კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

შორენა სიგუა

რელიგიური ფაქტორის გავლენა რეგიონული კონფლიქტის მოგვარებაში

(ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის მაგალითზე)

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

პოლიტიკის მეცნიერების დოქტორის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილია

დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

მაია კაპანაძე

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

თბილისი, 0141, საქართველო

2023

ავტორის განაცხადი

როგორც ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომში გამოყენებული მასალა ციტირებული და დამოწმებულია სათანადო წესების შესაბამისად.

შორენა სიგუა

ნაშრომის წარდგენის თარიღი: **01.06. 2022**

მადლიერების გვერდი

სადოქტორო ნაშრომზე მუშაობა საკმაოდ რთული და ხანგრძლივი პროცესია, რაც დიდ შრომასა და ნებისყოფასთან არის დაკავშირებული. წინამდებარე დისერტაცია ვერ შედგებოდა, რომ არა ჩემი სამეცნიერო ხელმძღვანელის - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ **მაია კაპანაძის** მხარდაჭერა და დახმარება.

ღრმა პატივისცემით, მადლობას ვუხდი დოქტორანტურის სამსახურის უფროსს, ქალბატონ **ნინო მინდიაშვილს,** თანადგომისა და ყურადღებისთვის.

უღრმესი მადლობა ისტორიის დოქტორს, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს, ქალბატონ **ქეთევან შოშიაშვილს,** ყურადღების, მხარდაჭერისა და სითბოსთვის.

მადლობას ვუხდი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორ, ბატონ **დავით კუხალაშვილს,** ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ, ბატონ **ემზარ მაკარაძეს.**

ასევე მადლობას ვუხდი ისტორიის მეცნიერება დოქტორს, კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორს, ქალბატონ **ელისაბედ მაჩიტიძეს** და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორს, **თამარ კიკნაძეს.**

მადლობა დარგის სპეციალისტებს, საინტერესო იდეების გაზიარებისა და კვლევის ფარგლებში გაწეული თანამშრომლობისთვის.

ანოტაცია

თითქმის უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც კვლავ მსოფლიოს ყურადღების ცენტრშია ისრაელ-პალესტინის კონფლიქტი, რომელსაც სხვაგვარად ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტსაც უწოდებენ. ეს უთანხმოება სხვა მასშტაბური კონფლიქტების ფონზეც უკვე მრავალი წელია აქტუალურობას არ კარგავს.

კვლევის საგანი კვლევის საგანს წარმოადგენს ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის მოგვარება და მისი გადაჭრის გზები, განსაკუთრებით კი _ რელიგიურ ჭრილში. ამასთანავე, ამ უთანხმოების წარმოშობისა და მისი განვითარების ეტაპებია. ნაშრომში კონკრეტულად განვიხილეთ ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის წარმოშობის ისტორია, მიზეზები, მოგვარების შესაძლო გზები, განსაკუთრებით კი კონფლიქტის მოგვარებაში ყურადღება რელიგიურ ფაქტორზე გავამახვილეთ, რაზეც აქამდე ძირეული კვლევა თითქმის არ ჩატარებულა.

სადისერტაციო ნაშრომში მკვეთრად ხაზგასმულია რელიგიური ფაქტორი. მისი დადებითი როლი და გავლენა რეგიონული კონფლიქტის მოგვარებაში, კერძოდ _ ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის მაგალითზე.

ნაშრომში განხილულია კონფლიქტის წარმოშობის მიზეზები და შემდგომ მათი ესკალაციის გზები და შედეგები. ასევე, მასში ყურადღება გავამახვილეთ ამ პრობლემის წინარე ისტორიულ ფაქტებზე.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენი თემის კვლევისას შესწავლილია რელიგიის დადებითი და, ამასთანავე, მისი შესაძლო უარყოფითი როლი ამ ყველაზე ხანგრძლივ კონფლიქტთან მიმართებაში.

Annotation

The world has been paying attention and observing the Israeli-Palestinian conflict in detail for almost half a century till now, in other words known as the Middle East conflict. This disagreement has not lost its relevance for many years.

The subject to discuss in our theme is the origin and further development stages of the Middle East, specifically the Israel-Palestine conflict.

In the paper, we precisely discussed the history of the origin of the Israeli-Palestinian conflict, its causes, and possible ways to resolve it, especially in this direction, we focused on the religious factor, that has hardly been the subject of fundamental research.

The religious factor is strongly emphasized in the thesis. Its positive role and influence over resolving the regional conflict, in particular, on the example of the Israeli-Palestinian conflict.

The paper discusses the causes of the conflict and the ways and consequences of their escalation. Preliminary historical facts of this problem are discussed as well.

As mentioned earlier, our research examines the positive and, at the same time, the possible negative role of religion in relation to this longest-standing conflict.

სარჩევი

ანოტაცია 4

Annotation..... 5

შესავალი 6

თავი I. ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტების ისტორიული წანამძღვრები და თეორიული ჩარჩო 222

I.I კონფლიქტები და მისი თეორიული დისკურსი 22

1.2. რელიგიის ფაქტორი კონფლიქტის გაღვივებასა და მის მართვაში 26

1.3. წმინდა ადგილების როლი ახლო აღმოსავლეთის რეგიონულ პოლიტიკაში 31

თავი II ებრაულ-არაბული ტერიტორიების გადანაწილება და კონფლიქტის გაღრმავება 49

II.I „თეთრი წიგნი“ და კონფლიქტის ახალი ეტაპის დასაწყისი- 49

II.II წმინდა ადგილების როლი, როგორც კონფლიქტის მოუგვარებლობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი 69

II.III სიონიზმის, როგორც იდეოლოგიის გავლენა ებრაული სახელმწიფოს პოლიტიკაზე 75

თავი III. საერთაშორისო თანამეგობრობა და ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის გადაჭრის სავარაუდო გზები 87

III.I მუსლიმური ქვეყნების დამოკიდებულება ისრაელ-პალესტინის კონფლიქტისადმი 87

III.II დასავლური სამყაროს და რუსეთის ჩართულობა კონფლიქტის მოგვარებაში 100

III.III კონფლიქტის მოგვარების სავარაუდო პერსპექტივები 114

სიღრმისეული ინტერვიუ ექსპერტებთან.....131

დასკვნა 133

ბიბლიოგრაფია 137

დანართი 150

შესავალი

საკითხის წინაპირობა და თემის აქტუალურობა

მსოფლიოში განვითარებული პოლიტიკურ-ეკონომიკური და სოციალური მოვლენები საზოგადოებაზე, მათი აზრისა და შეხედულების ფორმირებაზე სერიოზულ გავლენას ახდენს. აქედან გამომდინარე, აუცილებელია იმის ცოდნა, თუ რატომ ხდება მსოფლიოში ესა თუ ის კონფლიქტი. შეიძლება თუ არა მისი დადებითად გადაჭრა, შედეგების პროგნოზირება, მართვა და კონტროლი. შესაბამისად, კონფლიქტები დღეს უკვე თანამედროვე პოლიტიკური მეცნიერების მუდმივი კვლევის საგნად იქცა. კონფლიქტების, კრიზისებისა და ომების გამომწვევი მიზეზების, შედეგებისა და მათი გავლენის ცოდნა აუცილებელია, რათა **პოლიტიკური** ურთიერთობები უკეთ დარეგულირდეს, როგორც სახელმწიფოს შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთაც.

თითქმის უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც მსოფლიოს ყურადღების ცენტრშია ისრაელ-პალესტინის კონფლიქტი, რომელიც უკვე მრავალი წელია აქტუალურობას არ კარგავს.

ისრაელ-პალესტინის მრავალწლიანი კონფლიქტი, საერთაშორისო თუ ადგილობრივი მასშტაბით, განიხილება ეთნიკურ, პოლიტიკურ და გეოგრაფიულ პრიზმაში. ორი ეთნოსის დაუსრულებელი უთანხმოება ხასიათდება როგორც ძველი, ისტორიული მიწის სამართალმემკვიდრეთა ბრძოლა პირველობისთვის. თუმცა ამ დრომდე ნაკლებად განიხილავდნენ აღნიშნულ დავას რელიგიურ ჭრილში. აღსანიშნავია, რომ პალესტინელ არაბებსა (არაბულ სამყაროს _ შ. ს.) და ებრაელებს საერთო მამამთავარი _ აბრაამი, იგივე იბრაჰიმი, ჰყავთ და, აქედან გამომდინარე, საერთო რელიგიური სიწმინდეები გააჩნიათ, რაც ამ მწვავე აქამდე დაუსრულებელ კონფლიქტს, კიდევ უფრო აღრმავებს და ახანგრძლივებს.

ჩვენი თემის განხილვის საგანი, ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის წარმოშობისა და მისი განვითარების ეტაპებია. ნაშრომში კონკრეტულად

განვიხილეთ ამ პრობლემის წამოჭრის ისტორია, მიზეზები, მოგვარების შესაძლო გზები. განსაკუთრებით კი ყოველივე ეს გავაანალიზეთ რელიგიურ ჭრილში, რასაც აქამდე ნაკლებად ექცეოდა ყურადღება სამეცნიერო წრეებში.

ცნობილი ფაქტია, რომ რელიგია ახლო აღმოსავლეთში ძალიან დიდ როლს თამაშობს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. პოლიტიკა კი ხშირ შემთხვევაში საკუთარ იარაღად იყენებს რელიგიას და ორივე თავისებურ ზემოქმედებას ახდენს კონკრეტულ გეოგრაფიულ სივრცესა და ხალხებზე.

ამის კარგი მაჩვენებელია წმინდა ადგილებისა და განსაკუთრებით კი _ იერუსალიმის როლი კონფლიქტის განვითარების დინამიკასა და მისი მოგვარების პერსპექტივაში კონკრეტული ქვეყნებისათვის. რაც საკმაოდ საინტერესო და ამავე დროს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია. ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის დეტალურად შესწავლა და მიმოხილვა აუცილებელია, რადგან ამ კონფლიქტის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი არის დავა საერთო წმინდა ადგილების ექსკლუზიურად ფლობის უფლების მოსაპოვებლად.

ისრაელსა და პალესტინას შორის დღემდე გადაუჭრელი კონფლიქტი ოფიციალურად ისრაელის სახელმწიფოს გამოცხადებიდან მეორე დღესვე (1948 წლის 15 მაისი) დაიწყო და დღემდე მსოფლიოს ყურადღების ცენტრშია. თუმცა, მას უფრო დიდი ხნის ისტორია გააჩნია და ის უშუალოდ სიონიზმის ჩასახვისთანავე გამოიკვეთა. როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, პალესტინელები და ებრაელები ერთი სემიტური წარმოშობის ხალხები არიან, რომელთაც საერთო მამამთავარი ჰყავთ. შესაბამისად, მათ გააჩნიათ საერთო რელიგიური სიწმინდეებიც, რომლებსაც ორივე მხარე თავიანთ საკუთრებად მიიჩნევს, თუმცა ორივე მათგანისთვის ცნობილია, რომ ის ეკუთვნით როგორც ებრაელებს, ასევე პალესტინელ არაბებს (და ზოგადად არაბებს).

ისრაელისა და პალესტინის მოუგვარებელი კონფლიქტი, რომელიც თავისი ხანგრძლივობით გამოირჩევა, კვლავ აქტუალურია. აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ მისი მოგვარების არაერთი მცდელობის მიუხედავად, შედეგის მიღწევა მაინც ვერ მოხერხდა. ამას ხელს უშლის როგორც რეგიონს შიგნით არსებული გარკვეული ძალები, ასევე, რეგიონს გარედან არაერთგზის განხორციელებული უხეში ჩარევაც.

კიდევ ერთხელ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის მნიშვნელოვანი გარემოება, რომ პალესტინელ არაბებსა (მთლიანობაში არაბებსა და ისლამურ სამყაროსაც) და ებრაელებს აქვთ საერთო რელიგიური სიწმინდეები, რის გამოც მათ შორის ხშირია შეუთანხმებლობა მათ ფლობასთან დაკავშირებით. ორივე მხარე მათ თავიანთ საკუთრებად მიიჩნევს. ამ გარემოებას ხშირად იყენებენ ხოლმე ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის გასაღრმავებლად. თუმცა, რელიგიურმა ფაქტორმა, ანუ საერთო სიწმინდეების არსებობამ, შესაძლოა ამ უთანხმოების დასარეგულირებლად, დადებითი როლიც შეასრულოს.

აქედან გამომდინარე, საკვლევი თემის ძირითადი პრობლემა აქტუალურია.

თემის დამუშავების მდგომარეობა

კონფლიქტების, კონკრეტულად კი -ისრაელისა და პალესტინის კონფლიქტის ანალიზის დროს მნიშვნელოვანია დისციპლინათაშორისი კვლევის მეთოდის გამოყენება.

ნაშრომში არსებული ბიბლიოგრაფია დაყოფილია შემდეგნაირად: წყაროთა პირველ ჯგუფში შედის ქართველ და უცხოელ ავტორთა სამეცნიერო ნაშრომები პოლიტიკურ მეცნიერებაში, კონფლიქტოლოგიაში, გეოპოლიტიკაში და ა.შ. საყურადღებოა რ.გაჩეჩილაძე, რ. ჯორბენაძეს, თ.ჯაფარიძე, ჯონათან მარკუსი, მ. ბარ-ზოხარი , ჩერტოფლი, კოენი, ბოაზ ევრონ და სხვათა შრომები, რომლებშიც განხილულია, ზოგადად,

კონფლიქტები, მისი წარმოშობის მიზეზები და არსი, ისტორიულად ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის წარმოშობის ასპექტები და განვითარების ეტაპები.

წყაროთა მეორე ჯგუფში შედის ადგილობრივი და საერთაშორისო სააგენტოების ინტერნეტრესურსები და ინფორმაციები - წამყვანი საინფორმაციო-ანალიტიკური და სამეცნიერო-კვლევითი პორტალები, ასევე, პერიოდული გამოცემების ინტერნეტვერსიები.

ნაშრომის თეორიული ჩარჩო

ნაშრომის მეთოდოლოგიური საფუძველი განპირობებულია მისი სპეციფიკური ხასიათით და ეფუძნება შემდეგ კონცეფციებს: ბ. ვებერის, გ. ალმონდის, დ. მაკგრეგორ ბერნსისა და ჰ. ჰაიფეცის კონცეფციებს.

ამ მეთოდოლოგიურმა საფუძველმა ჩვენს მიერ განხილული კონფლიქტის არსის პოლიტიკურ, რელიგურ თუ ეთნიკურ ჭრილში განხილვის საშუალება მოგვცა.

კვლევას საფუძვლად უდევს ეთნოლოგიური, ფსიქოლოგიური, სოციალ-კულტურული, რელიგიური, კონფლიქტოლოგიის, ეთნოკონფლიქტების, ეთნიკური ურთიერთობათა მართვა. მსგავსი მიდგომით გავაანალიზეთ ისრაელ-პალესტინას შორის განვითარებული ეთნოპოლიტიკური, რელიგიური ტიპის კონფლიქტების სტრუქტურული და პროცესუალური პრობლემები და მათი კლასიფიკაცია. კვლევა ეყრდნობა ეთნიკურ-რელიგიური კონფლიქტების მართვის თეორიას, რომლის მიხედვით კონფლიქტების მართვა ვიწრო გაგებით გულისხმობს: კონფლიქტის ლოკალიზაციას, მონაწილეთა რაოდენობის შეზღუდვას და მოლაპარაკების პროცესის მომზადებას. ხოლო ფართო გაგებით: ეს არის კონფლიქტზე ზემოქმედების მექანიზმი, გარე მხარეთა ჩარევა (ტრანსფორმაცია, მოწესრიგება და სხვა).

საკვლევი თემის ძირითადი მიზნები და ამოცანები

კვლევის ძირითადი მიზნებია:

- ✓ ისრაელსა და პალესტინას შორის კონფლიქტის წარმოშობის რეალური მიზეზების სიღრმისეულად შესწავლა;
- ✓ იმის გარკვევა, თუ რამდენად ფიგურირებდა პრობლემის გამწვავებაში რელიგიური, ეთნიკური, პოლიტიკური და ტერიტორიული ფაქტორები;
- ✓ ამ კონფლიქტში საერთო სემიტური წარმოშობისა და საერთო რელიგიური სიწმინდეების არსებობის როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეების გაანალიზება;
- ✓ ამ მრავალწლიანი კონფლიქტის მოგვარების შესაძლო გზებისა და პერსპექტივების გაანალიზება და შეფასება;
- ✓ მიმდინარე პროცესებში ცალკეული მნიშვნელოვანი ფაქტორებისა და გარე და შიდა და აქტორების ჩართულობის ხარისხისა და მათი ზემოქმედების შედეგის გაანალიზება და შეფასება;
- ✓ აღნიშნული კონფლიქტის მოგვარების ალტერნატიული გზების მოძიება რელიგიური ფაქტორის გათვალისწინებით;
- ✓ დარგის ექსპერტებისა თუ პოლიტოლოგების მოსაზრება და მათი ანალიზი ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის გადაჭრის შესაძლო ალტერნატივებზე;
- ✓ ყურადღების გამახვილება იმაზე, თუ რამდენად ნეგატიურ და პოზიტიურ გავლენას ახდენს საერთო აბრაამისტული წარმომავლობა და, აქედან გამომდინარე, საერთო რელიგიური სიწმინდეები კონფლიქტის ესკალაციასა თუ დეესკალაციაზე.
- ✓ განსაკუთრებულად გამოყოფა გარე ძალების როლის მნიშვნელობისა ამ პრობლემასთან მიმართებით.

სადისერტაციო ნაშრომის ამოცანებია:

- რელიგიური ფაქტორის მკაფიოდ გამოკვეთა კონკრეტულად ამ კონფლიქტის წარმოშობასა და მიმდინარეობაში;
- აღნიშნული კონფლიქტის განსხვავებულ, კერძოდ კი – რელიგიურ ჭრილში დანახება როგორც სამეცნიერო წრეებისთვის, ისე ამ საკითხით დაინტერესებული პირებისთვის;
- ისეთი ხასიათის სამეცნიერო ნაშრომის შექმნა, რომელიც საინტერესო იქნება სხვადასხვა მიმართულების, განსაკუთრებით კონფლიქტოლოგების, ახალგაზრდა მკვლევრებისა და სხვათათვის;
- ასევე, ვფიქრობთ, აღნიშნული ნაშრომი, რომელშიც კონფლიქტის მოგვარების საკითხში ყურადღება რელიგიურ ფაქტორზეა გადატანილი, გამოსადეგი იქნება სადაზვერვო სამსახურებისთვისაც.

ნაშრომის ძირითადი საკვლევი კითხვები:

1. მოსალოდნელია თუ არა, საერთო რელიგიური სიწმინდეების დაუფლების სურვილმა უფრო მეტად დაძაბოს კონფლიქტური ვითარება დაპირისპირებულ მხარეებს შორის?
2. რამდენად შესაძლებელია ხელი შეუწყოს საერთო რელიგიურმა სიწმინდეებმა პალესტინელებსა და ებრაელებს შორის არსებული დავის გადაჭრას?
3. რამდენად სავარაუდოა ამ კონფლიქტის მოგვარება გადავადდეს ან დაჩქარდეს გარე ფაქტორების ზემოქმედების გარეშე?
4. შესაძლებელია თუ არა რელიგიური ფაქტორიდან გამომდინარე ამ ორმა ხალხმა საერთო ენის გამონახვა დამოუკიდებლად, თვითონ შეძლოს?

ჰიპოთეზა:

რელიგიურ ფაქტორს, როგორც უარყოფითი, ისე დადებითი როლის შესრულება შეუძლია, ისრაელსა და პალესტინას შორის არსებული ხანგრძლივი და აქამდე გადაუჭრელი კონფლიქტის მოგვარებაში. ამ ხალხებს შორის არსებულ საერთო რელიგიურ სიწმინდეებს საფუძვლად უდევს მათი საერთო სემიტური (აბრაამისტული) წარმომავლობა, ეს შეიძლება გახდეს მათთვის საერთო ენის გამონახვის ერთ-ერთი საშუალებაც გარე აქტორების უხეშად ჩარევის გარეშე.

კვლევის მეთოდები

ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდები:

- ✓ მონაცემთა ანალიზი;
- ✓ ისტორიულ - აღწერილობითი;
- ✓ პოლიტიკის კვლევის ანალიზი;
- ✓ კონტენტ-ანალიზი.

კვლევის ჩასატარებლად გამოვიყენეთ თვისებრივი კვლევის მეთოდი, კერძოდ კი სიღრმისეული ინტერვიუები. რესპონდენტებად შევარჩიეთ დარგის სპეციალისტები, ექსპერტები, ანალიტიკოსები, უცხოელი ექსპერტები და მოქალაქეები. ინგლისურ ენაზე ჩაწერილი ინტერვიუები ვთარგმნეთ ქართულად.

რეალური ვითარების წარმოსაჩენად გამოყენებულია **შედარებითი კვლევის მეთოდიც** _ რაც გულისხმობს დაპირისპირების სისტემურ პროცედურას. მისი საშუალებით დგინდება მოვლენებს შორის მსგავსება და განსხვავება.

ჩვენი აზრით, მისი ეფექტიანობა იმით გამოიხატება, რომ რეგიონული (ახლო აღმოსავლეთის) კონფლიქტი სწორად გავაანალიზეთ და განვიხილეთ პოლიტიკურ და რელიგიურ ჭრილში.

საერთო ჯამში, კვლევის ჩვენ მიერ გამოყენებული მეთოდები ითვალისწინებს სამ ძირითად კომპონენტს, ესენია:

- ❖ ინფორმაციის მოპოვება და დამუშავება;
- ❖ მოვლენათა კლასიფიკაცია;
- ❖ სიტუაციური ანალიზი.

კვლევის მეთოდოლოგია

- ❖ გამოვიყენეთ **ვილსონისეული იდეალიზმი,** რომელიც გულისხმობს რაციონალური საერთაშორისო ორგანიზაციების შექმნას. ამ პრინციპით ომის შეკავებას, რაც მსოფლიოში სამუდამო მშვიდობის დამყარების საფუძველი უნდა გამხდარიყო;
- ❖ **რიჩარდ კოენის - Cooperative Security** -კოლექტიური უსაფრთხოების მოდელი წარმოადგენს საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების უნივერსალურ სისტემას. მისი დოქტრინის მიხედვით, უსაფრთხოების დილემის გადალახვა და ომის თავიდან აცილება სახელმწიფოებს არა ძალთა წონასწორობის, არამედ საერთაშორისო ინსტიტუტების ერთობლიობის შექმნით შეუძლიათ;
- ❖ **ძალთა ბალანსის თეორია** - რომელიც გამომდინარეობს საერთაშორისო სისტემის ანარქიული სტრუქტურიდან, ერთ-ერთი ფუნდამენტური კონცეფციაა საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიაში. იგი მჭიდროდ უკავშირდება პოლიტიკურ რეალიზმს და გამომდინარეობს საერთაშორისო სისტემის ანარქიული სტრუქტურიდან. ამ კონცეფციის მიხედვით, იმის გამო, რომ საერთაშორისო სისტემა ანარქიულია, თითოეული სახელმწიფოს ძირითადი ამოცანაა ბრძოლა თვითგადარჩენისა და თვითდამკვიდრებისათვის.

- **სექიურითიზაციის კონცეფცია** - უკავშირდება უსაფრთხოების კვლევების კოპენჰაგენის სკოლას. კონცეფციის არსი მდგომარეობს შემდეგში, შეიძლება თუ არა ესა თუ ის შემთხვევა მივიჩნიოთ უსაფრთხოების საკითხად? უსაფრთხოების საკითხები უფრო ნაკლებად უკავშირდება ფიზიკურ რეალობასა თუ ობიექტურ გარემოებებს და მეტად მიეკუთვნება აღქმის სფეროს – უნდა იქნეს თუ არა აღქმული ესა თუ ის ფენომენი საფრთხედ.

- **პოლიტიკური რეალიზმის თეორია** - პოლიტიკური რეალიზმი აზროვნების სკოლაა, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობებს ძალაუფლების გადმოსახედიდან აღწერს. სახელმწიფოების მიერ ერთმანეთის მიმართ ძალისმიერი ქმედებების ჩადენა ზოგჯერ რეალისტურ ან ძალისმიერ პოლიტიკად მოიხსენიება. თეორიის მიხედვით საერთაშორისო ურთიერთობებში ძირითადი სუბიექტი სახელმწიფოა, ძირითადი მამოძრავებელი იდეა _ სახელმწიფოს ეროვნული ინტერესები, განმსაზღვრელი ფაქტორი _ ძალა (სამხედრო, პოლიტიკური, ეკონომიკური).

- **ჯოზეფ ნაის „რბილი ძალის“** თეორია - ცნობილმა ამერიკელმა მეცნიერმა, ჯოზეფ ნაიმ 80-იანი წლების ბოლოს მსოფლიოს გააცნო ახალი ტერმინი „რბილი ძალა“. მისი განმარტებით, „რბილი ძალა“ სახელმწიფოს უნარია, ხისტი ძალის გამოყენების გარეშე, დადებითი განწყობებისა და დამოკიდებულებების შექმნით, გავლენა მოახდინოს საერთაშორისო სისტემის სხვა აქტორებზე. ეს არის კულტურული ძალა, რომლის მეშვეობითაც სახელმწიფოები ახორციელებენ საკუთარი საგარეო პოლიტიკური მიზნების რეალიზებას. იგი ეფუძნება სამ ძირითად წყაროს: კულტურა, პოლიტიკური ღირებულებები და საგარეო პოლიტიკა.

სადისერტაციო კვლევის მეცნიერული სიახლე

ისრაელსა და პალესტინას შორის არსებული საკმაოდ ხანგრძლივი კონფლიქტი მხოლოდ კონკრეტული, ახლო აღმოსავლეთის რეგიონის პრობლემად ვერ ჩაითვლება. ეს კონფლიქტი გლობალურია, რომელშიც აქტიურად არიან ჩართულნი, როგორც შიდა რეგიონული, ისე გარე აქტორები, რომლებმაც მის გახანგრძლივებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს.

ებრაელებსა და პალესტინელებს შორის არსებული დავის მოსაგვარებლად აქამდე გადადგმული ყველა ნაბიჯი თითქმის უშედეგო აღმოჩნდა.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ აქამდე ამ პრობლემის აღმოფხვრას ცდილობდნენ ტერიტორიული დავის გადაჭრის გზით. ასევე, ებრაელი და პალესტინელი მოსახლეობის ბალანსის დაცვით, როგორც ისრაელში, ისე პალესტინის ადმინისტრაციის ტერიტორიაზე.

უკვე რამდენიმე ათეული წელია საერთაშორისო თანამეგობრობის ძალისხმევა, წამყვანი ქვეყნების ლიდერთა არაერთი შეხვედრა, თუ მოლაპარაკება თითქმის უშედეგოდ მთავრდება და ამ გადაუჭრელი კონფლიქტის გასაღები ჯერ კიდევ ვერ მოიძებნა.

პრობლემა, რომელიც ხანგრძლივ კონფლიქტში გადაიზარდა, სათავეს არა მარტო რამდენიმე ათეული წლის წინ იღებს, არამედ, უფრო შორეულ წარსულში გვაბრუნებს. მის განვითარებასა და ესკალაციაზე ჩვენს ნაშრომში დეტალურად ვსაუბრობთ. ათეული წლებია საუკუნეების წინ გაჩენილ უთანხმოებასა და ამჟამად მიმდინარე პროცესებს მრავალი მკვლევარი, არაერთი მეცნიერი და პოლიტიკოსი, ეთნიკურ-გეოგრაფიულ თუ პოლიტიკურ ჭრილში განიხილავს. ჩვენ ვეცადეთ სხვა კუთხით წარმოგვეჩინა ეს პრობლემა და, აქედან გამომდინარე, მისი მოგვარების გზაც სხვა მხრიდან განგვეხილა _ რელიგიური ფაქტორის პრიზმიდან, რომლის დეტალური ანალიზიც ნაშრომის თავებშია მოცემული.

ჩვენი თემის სიახლე კი იმაში მდგომარეობს, რომ აღნიშნულ სადისერტაციო ნაშრომში, ყურადღება გავამახვილეთ, ისეთ სენსიტიურ და მნიშვნელოვან საკითხზე, როგორიცაა ამ ორი ხალხის საერთო წარმომავლობა და, აქედან გამომდინარე, მათი საერთო რელიგიური სიწმინდეები.

ამ კონფლიქტის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა სწორედ საერთო რელიგიური სიწმინდეების ექსკლუზიური ფლობის სურვილია, რაზეც შეუთანხმებლობა არსებობს არა მხოლოდ პალესტინელებსა და ებრაელებს, არამედ მთლიანად არაბებსა და ებრაელებს შორისაც.

ჩვენი კვლევის შედეგად გამოვყავით ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორები, როგორიცაა, ამ კონფლიქტის მოგვარების ერთ-ერთი გზა _ *ყურადღების გამახვილება იმ საერთო რელიგიური სიწმინდეების გამოყენებაზე, რომელთა მეშვეობითაც, ხშირად მათ შორის ურთიერთობა იძაბება.* ვფიქრობთ, წმინდა ადგილებისა და საერთო სემიტური წარმომავლობის მეშვეობით შესაძლებელია კონფლიქტში მონაწილე მხარეებმა საერთო ენა გამონახონ და კონსენსუსს მიაღწიონ.

ჩვენი ნაშრომის მეცნიერულ სიახლეს ამყარებს ის ფაქტიც, რომ გამოკითხვის შედეგად ამ მიმართულებით გამოკვეთილი (რელიგიური ჭრილი) ჩვენეული ხედვა საინტერესო სიახლე აღმოჩნდა როგორც დარგის ექსპერტებისათვის, ასევე, ებრაელ და პალესტინელ რესპონდენტთათვისაც.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კვლევა მიმოიხილავს კონფლიქტის მოგვარების სავარაუდო გზებს, ჩვენს მსჯელობას ამყარებს გამოკითხულ ექსპერტთა და მოქალაქეთა მოსაზრებებიც. მათი დაკვირვებით, თეორიულად და პრაქტიკულადაც შესაძლებელია მოიძებნოს ამ პრობლემის გადაჭრის შესაძლო ვერსიები. ნაშრომში გამოვკვეთეთ ჩვენეული ხედვა _ მოვიძიეთ გზები, რომელთა დახმარებითაც, ვფიქრობთ, შესაძლოა რეალური და პერსპექტიული გახდეს შექმნილი ვითარების დეესკალაცია (აქ იგულისხმება

კონფლიქტში მონაწილე მხარეების საერთო რელიგიური სიწმინდეების დადებითი კუთხით გამოყენება).

ნაშრომის თეორიული ღირებულება და პრაქტიკული მნიშვნელობა

ნაშრომის თეორიული მნიშვნელობა _ რელიგიური, პოლიტიკური თუ ეთნოკონფლიქტები ჯერ კიდევ 21-ე საუკუნის მთავარ გამოწვევად რჩება. კერძოდ, რელიგიური სახის უთანხმოებებისა და მათი კლასიფიკაციის შესწავლა და კვლევის შედეგად გამოტანილი დასკვნები საშუალებას გვაძლევს სწორად გავიგოთ და გავაანალიზოთ ის ძირითადი ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობს ან უშლის რელიგიურ ჭრილში ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის გადაჭრას. ასევე, განხილულია, თუ რა ტიპის საფრთხე, რისკი ან დაბრკოლება შეიძლება ახლდეს რელიგიური გზით ამ პრობლემის გადაჭრას.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ვფიქრობთ, ის სამეცნიერო სივრცეში ერთ-ერთი პროდუქტიული და საჭირო კვლევა იქნება ამ პრობლემაზე მომუშავე როგორც ანალიტიკოსებისა და მკვლევრების, ასევე სადაზვერვო სამსახურებისთვისაც. ამავდროულად, ნაშრომი გამოადგებათ უმაღლესი სასწავლებლების სამივე საფეხურის (საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო) სტუდენტებსაც.

სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა

გამოყენებული წყაროების ნაწილი რელიგიურ ფონზე აღმოცენებულ კონფლიქტებსა და მათ გამომწვევ მიზეზებს, ასევე პრობლემის გადაჭრის სავარაუდო გზებს ეხება. კონკრეტული მეცნიერული წყაროს მიმოხილვისას, წარმოვადგინეთ რამდენიმე სახის ნაშრომი, რომლებსაც ამ თემატიკასთან უშუალო კავშირი აქვს.

1. გ. სანიკიძე, ნ. გელოვანი, გ. ალასანია, „ახლო აღმოსავლეთის ისტორია“. თბ. 2011. _ სამი ავტორის აღნიშნულ მონოგრაფიაში,

პალესტინა-ისრაელის პრობლემის გამომწვევ მიზეზებსა და შემდგომ ამ კონფლიქტის განვითარებაზე მსჯელობას საკმაო ადგილი ეთმობა. ავტორები სხვადასხვა მასალების განხილვის შედეგად გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებებს ხსენებული კონფლიქტის მოგვარების გზებზე;

2. რ. გაჩეჩილაძე, „ახლო აღმოსავლეთი“, თბ. 2011. _ მეცნიერს ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტების ფონზე განხილული აქვს ჩვენთვის საინტერესო საკითხიც _ პალესტინა-ისრაელის კონფლიქტი. გარდა ამისა, წყაროში ყურადღება იერუსალიმის პრობლემაზეცაა გამახვილებული;

3. თ. ჯაფარიძე, „სამშვიდობო პროცესი ახლო აღმოსავლეთში (ისრაელისა და პალესტინელთა ხელშეკრულებები 1993-1999 წლებში)“, ქართული დიპლომატია. წელიწდეული, XII, თბ., 2005. 337-356, 523. _ ავტორი ამ ნაშრომში განიხილავს სამშვიდობო მოლაპარაკებების პროცესს, რომელიც მიმდინარეობდა პალესტინელებსა და ებრაელებს შორის გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან;

4. *რ. გაჩეჩილაძე - „ახლო აღმოსავლეთი“ (გეოგრაფიული და ისტორიული ნიშანსვეტები), თბ. 2018, ტომი I- II.* - ქართველი აღმოსავლეთმცოდნე თავის ორტომეულ ნაშრომში პალესტინასა და ისრაელს შორის არსებულ პრობლემებს, მათი განვითარების ეტაპებსა და სამშვიდობო მოლაპარაკებებს საკმაოდ საინტერესოდ განიხილავს.

5. გ. სანიკიძე, ნ. ნახუცრიშვილი - თბ. 2013. „თანამედროვე ახლო აღმოსავლეთი“ - ქართველი აღმოსავლეთმცოდნეების სამეცნიერო ნაშრომში შესწავლილია ჩვენთვის საინტერესო პრობლემა. მოცემულ წყაროში აღნიშნული საკითხი განხილულია როგორც ევროპული, ისე აღმოსავლური სამეცნიერო ნაშრომების გაანალიზების საფუძველზე. ეს პრობლემა ამ წყაროში საკმაოდ დაწვრილებით არის შესწავლილი და წარმოდგენილი. ხსენებულ სამეცნიერო კვლევაში დიდი ადგილი ეთმობა არა მარტო ებრაელებსა და არაბებს შორის მიმდინარე საომარ მოქმედებს, არამედ სამშვიდობო მოლაპარაკებებსაც.

6. თ. ჯაფარიძე „სამშვიდობო პროცესი, თვითმმართველობა და ისლამური რადიკალიზმი პალესტინაში“ - (სადისერტაციო ნაშრომი, თბ. 2006) - ავტორი თავის კვლევაში განიხილავს იმ სამშვიდობო პროცესებს, რომლებიც მიმდინარეობდა ისრაელსა და პალესტინას შორის გასული საუკუნის 90-იან წლებში. მას საკმაოდ სიღრმისეულად აქვს შესწავლილი ამ მოლაპარაკებების შედეგად დადებული ხელშეკრულებები და ასევე ის პრობლემები, რომლებიც ხელს უშლიდნენ მიღწეული შეთანხმების განხორციელებას.

7. ჯონათან მარკუსი, ბი-ბი-სის საერთაშორისო პოლიტიკური ანალიტიკოსი, (ბი-ბი-სი, 28.01. 20202) აღნიშნულ სტატიაში ავტორი განიხილავს ამერიკის ექსპრეზიდენტის, დონალდ ტრამპის მიერ მიღებულ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებას, რომელიც ეხება იერუსალიმის ისრაელის დედაქალაქად გამოცხადებას. ავტორი ხაზს უსვამს იმ გამოწვევებს, რომლებიც ამ გადაწყვეტილებას მოჰყვა.

8. მ. ბარ-ზოხარი _ „ბენ-გურიონი“, გამომცემლობა „დელაკორტ პრესი“, თელ-ავივი, 1989. ბარ ზოხარი თავის ნაშრომში განიხილავს „თეთრი წიგნის“ როგორც დადებით, ისე უარყოფით მხარეებს. აქვე ყურადღებას ამახვილებს „თეთრი წიგნის“ მიმართ არა მარტო პალესტინელების, არამედ ებრაელების პოზიციებზეც.

9. Robert D. Lee-July "Religion and Politics in the Middle East: Identity, Ideology, Institutions"-2013 - ეს ნაშრომი მოიცავს ზოგადად რელიგიურ და პოლიტიკურ პრობლემებს რეგიონში, კერძოდ, ისრაელში, ეგვიპტეში, საუდის არაბეთში, ირანში და თურქეთში. ასევე, ავტორი სიღრმისეულად განიხილავს პალესტინელებსა და ებრაელებს შორის არსებულ როგორც პოლიტიკურ, ისე რელიგიურ პრობლემებს. აქვე ხაზგასმულია ამ ქვეყნების პოზიცია და დამოკიდებულება ისრაელ-პალესტინის კონფლიქტისადმი.

*10. Chertolf, MJOrdechai S. Zionism: „a Basic Reader, New York: HerzlPress, 1975“*_ ეს ნაშრომი საინტერესოა და ასევე მნიშვნელოვანია იმით, რომ მასში ვრცლად არის განხილული სიონიზმის წარმოშობის მიზეზები და ის

შედეგები, რამაც ხელი შეუწყო ისრაელის სახელმწიფოს წარმოქმნას. ამან კი მათსა და პალესტინელებს შორის ერთ-ერთ ხანგრძლივ კონფლიქტს დაუდო სათავე.

11. *Michael J. Cohen "Appeasement in the Middle East: The British White Paper on Palestine, May 1939"*_ აღნიშნულ ნაშრომში დეტალურად არის განხილული ინგლისის სამანდატო პოლიტიკის როლი პალესტინელებსა და ებრაელებს შორის სამშვიდობო მოლაპარაკებებში, „თეთრი წიგნის“ მნიშვნელობა და ახლო აღმოსავლეთში არსებული სიტუაციის გასანეიტრალებლად გატარებული მთელი რიგი ღონისძიებები. სხვადასხვა მიზეზთა გამო აღნიშნული ძალისხმევა უმეტეს შემთხვევაში უშედეგოდ მთავრდებოდა;

12. *Boaz Evron, „Jewish State or Israeli Nation?“, Bloominghton andIndianapolis: Indiana University Press, 1995.* _ პალესტინის ტერიტორიაზე ისრაელის სახელმწიფოს ჩამოყალიბებისა ან, უმეტეს შემთხვევაში, როგორც ბევრი მეცნიერი უწოდებს, აღდგენაზე, აღნიშნულ ნაშრომში საკმაოდ საინტერესო მოსაზრებებია გამოთქმული. მასში ვითარდება აზრი, რომ პალესტინა მთლიანად ებრაული ნაციის საკუთრებაა და მხოლოდ ისრაელის სახელმწიფოს არსებობას ამ ლოკაციაზე სრული ლეგიტიმაცია გააჩნია. ასევე, წყაროში განხილულია პალესტინელი არაბების მისწრაფებები და მათი უფლებები ამ ტერიტორიაზე.

დისერტაციის სტრუქტურა

წარმოდგენილი დისერტაცია შედგება შესავლის, სამი თავის, (148 გვერდი) დასკვნისა (7 გვერდი) და გამოყენებული ლიტერატურის სიისაგან (10 გვერდი).

თავი I. ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტების ისტორიული წანამძღვრები და თეორიული ჩარჩო

1.1. კონფლიქტები და მისი თეორიული დისკურსი

კაცობრიობა, დასაბამიდან დღემდე, თავისი არსებობის განმავლობაში, კონფლიქტის წარმოშობის მიზეზებზე, მისი მართვისა და აღმოფხვრის მექანიზმებზე მუშაობს.

„კონფლიქტი“ ლათინური სიტყვაა და ქართულად შეჯახებას ნიშნავს. მას თითქმის ყველა ენაში დავის ან რაიმე უთანხმოების აღმნიშვნელ სიტყვად ვიყენებთ, რომელშიც ვგულისხმობთ დასჯას, შეუთანხმებლობას, ფიზიკურ, სულიერ თუ რელიგიურ ძალადობას.

XIX საუკუნიდან ფსიქოანალიზის მამად წოდებულმა, ზიგმუნდ ფროიდმა ღრმად შეისწავლა სხვადასხვა ფსიქოდინამიკური ძალების შინაგანი ბრძოლა ადამიანის ეგოს გასაკონტროლებლად და მის სამართავად, ხოლო გერმანელმა ფილოსოფოსმა, კარლ მარქსმა კი _ არსებულ დიალექტიკურ ფილოსოფიაზე დაყრდნობით, შეიმუშავა რა პოლიტიკური და ეკონომიკური სწავლება, გაგვიზიარა ის მოსაზრება, რომ კონფლიქტი საზოგადოებრივი ცხოვრების განუყრელი ნაწილია. თუ მე-19 საუკუნის ამ ორი უდიდესი მოაზროვნის ნაშრომიდან მხოლოდ იმ აზრს გამოვიტანთ, რომ თითქოს კონფლიქტს მუდმივად და აუცილებლად ნგრევა მოაქვს, მაშინ მათი ნაშრომის არსი დაგვეკარგება.

ფროიდი კონფლიქტს განიხილავდა, როგორც პიროვნული ზრდის პროცესს, რომელიც საჭირო და აუცილებელია შინაგანი კონფლიქტების გაგებისა და წვდომისთვის. ხოლო მარქსმა თავის დიალექტიკურ მატერიალიზმში გაგვიზიარა ის მოსაზრება, რომ კონფლიქტს მოაქვს ახალი კონფლიქტი და ცვლილებები გარდაუვალია, ყოველ შემთხვევაში, მისი გაგებით _ მათ (კონფლიქტებს) აუცილებლობით მივყავართ ადამიანის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებამდე. ორი უდიდესი მოაზროვნის ღრმა რწმენით, კონფლიქტს _ მოვლენის ძვირადღირებულ შედეგთან ერთად დადებით მხარეც გააჩნია.

რაც შეეხება კონფლიქტის დადებით მხარეს, ის მხოლოდ მაშინ შეიძლება მივიჩნიოთ ასეთად, თუ შედეგი არ არის უარყოფითი და ის წარმოადგენს ბრძოლას არსებული უსამართლობის წინააღმდეგ. კონფლიქტის თავიდან აცილებით კი ჩვენ ვახშობთ რეფორმატორებს, ნოვატორებს, რევოლუციონერებს.

შესაძლოა პარადოქსულად ჟღერს, როცა ვამბობთ, რომ არსებობს კონფლიქტის დადებითი და უარყოფითი მხარეები, თუმცა ეს წინააღმდეგობრიობა უფრო მოჩვენებითია, ვიდრე _ რეალური.

კონფლიქტის პოზიტიურ მხარეს მეტოქეობის მძიმე ტაქტიკა და მიდგომა ახშობს. მისი დადებითი მხარეები ვერ გამოჩნდება, თუ ის გადაიზრდება ურთიერთშეურაცხყოფაში, მუქარასა და ძალადობაში. როდესაც საზოგადოების წევრები, ერები ან სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენლები ცდილობენ კონფლიქტი გადაჭრან მეტოქეობის გზით და ამგვარად მოიპოვონ გამარჯვება, მაშინ, როგორც წესი, იყენებენ ისეთ მოქმედებებსა და კონტრქმედებებს, რომლებიც კონფლიქტს უფრო მეტად აძლიერებს და აღვივებს. მათი ინტენსივობის ასეთ გაძლიერებას კი _ ჩვენ ესკალაციას ვუწოდებთ. კონფლიქტის ესკალაციას თან ახლავს მთელი რიგი ტრანსფორმაციებისა, რომელთა სათითაოდ ლიკვიდირება საკმაოდ ძნელია, მაგრამ არა შეუძლებელი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არ არის აუცილებელი კონფლიქტი დესტრუქციული იყოს, მაგრამ თუ ის მძიმედ მიმდინარეობს, მაშინ აუცილებლად სასტიკ და მძვინვარე ომში გადაიზრდება. ამაში კი დამანგრეველი ხასიათი უფრო ვლინდება, ვიდრე მისი მონათესავე _ კონსტრუქციული მხარე, რომელსაც დეესკალაცია ძალუძს.

აქვე გვინდა ვახსენოთ ესკალაციის ორი მოდელი: აგრესიულ-თავდაცვითი და სპირალური _ რომელთა დახასიათებაცა და კლასიფიკაციაც ცალკე განხილვის საგანია, თუმცა აუცილებელია

კონფლიქტის ინტენსივობის გაცვლის, ესკალაციის ტრაექტორიის, დეესკალაციისა და პრობლემის გადაჭრისაკენ მიმავალი გზების განხილვა[1].

არსებობს სხვადასხვა ტიპის კონფლიქტები, როგორიცაა: პოლიტიკური, სოციალური, რელიგიური, ეთნიკური, შესაბამისად, მნიშვნელოვანია ზუსტად განისაზღვროს, თუ რა სახის კონფლიქტი გვაქვს სახეზე.

პოლიტიკური კონფლიქტების ინტენსიური შესწავლა XX-საუკუნის 50-იანი წლებიდან დაიწყო, თუმცა მათი არსებობა საუკუნეებს ითვლის და სათავეს ანტიკური ხანიდან იღებს. მაგ: არისტოტელემ თავის ნაშრომებში გადმოსცა ელიტურ წრეებში არსებული დაპირისპირება, სადაც გარკვეულწილად უკვე კონფლიქტის არსი იკვეთება. შემდგომ განსაკუთრებული ყურადღება აღნიშნულ საკითხს **ნ. მაკიაველმა, ე. როტერდანელმა, კ. კლაუზევიცმა** დაუთმეს, თუმცა დღემდე უკვე სახეზე გვაქვს მრავალი ავტორის უამრავი ნაშრომი, სადაც არა მარტო კლასობრივი, არამედ პოლიტიკური, სამხედრო თუ რელიგიური კონფლიქტია აღწერილი, რომელთა ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანს.

კონფლიქტში ძირითადად, ორი მხარე მონაწილეობს, თუმცა პოლიტიკურ სფეროში, ძირითადად მრავალმხრივი კონფლიქტი შეიძლება შეგხვდეს.

პოლიტიკურ ცხოვრებაში კონფლიქტის არსებობა არ განიხილება როგორც მუქარა პოლიტიკურ ორგანიზმზე, არამედ ის არის ევოლუციური ბიძგის მიმცემი. კონფლიქტს ძალუძს როგორც დესტრუქციული, ისე კონსტრუქციული გავლენა მოახდინოს პოლიტიკურ გარემოსა და სივრცეში არსებულ მოვლენებზე. დესტრუქციული კონფლიქტი შეგვიძლია

---

[1] ჯორბენაძე რ., „პოლიტიკური კონფლიქტების მართვა“, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 2001წ. გვ. 5-39

დავახასიათოთ შემდეგნაირად: ამ დროს მხარეთა ურთიერთგაგება და მხარდაჭერა მცირდება და მატულობს იმპულსური ქმედებები. კონსტრუქციული კონფლიქტებისას კი პირიქით _ ყალიბდება საერთო ღირებულებები, ხელი ეწყობა თვითშემეცნებას, ერთიანობის გაცნობიერებას, პრიორიტეტების განსაზღვრას, ირთვება თავდაცვითი მექანიზმის ფუნქცია, აშკარავდება სხვა, დაფარული მხარეები, შემდგომ აღდგება კონტაქტები და სხვა.

პოლიტიკური კონფლიქტი შეიძლება შემდეგნაირად განიმარტოს _ ის არის დაპირისპირება, შეტაკება პოლიტიკურ თუ რელიგიურ ჯგუფებს შორის, რომლებსაც განსხვავებული ინტერესები, შეხედულებები და მრწამსი გააჩნიათ. ისინი ადვილად ზემოქმედებენ ერთმანეთზე და თითოეული მათგანი საკუთარი ინტერესების გატანასა და მის მონოპოლიზაციას ცდილობს. ეს განმარტება შესაძლოა ზოგადად საერთაშორისო და საშინაო კონფლიქტებზეც გავრცელდეს.

თვითონ ცნება _ პოლიტიკური კონფლიქტი უფრო ფართო სპექტრისაა და მოიცავს გლობალურ კონფლიქტებს, ეთნოკონფლიქტებს, რელიგიურ კონფლიქტებს, ასევე, ომისა და მშვიდობის საკითხებს, ძალაუფლებას და სხვა.

ჩვენ კი, ჩვენი მხრივ, შევეცდებით პოლიტიკური, ეთნიკური და რელიგიური კონფლიქტების მართვის პროცესები არა მარტო თეორიული, არამედ პრაქტიკული თვალსაზრისითაც განვიხილოთ.

მე-20 საუკუნემ ნათლად დაგვანახა ის მკაფიო და შემზარავი სურათი, თუ რა მასშტაბის სისასტიკე შეიძლება მოუტანოს ფიზიკურმა, ფსიქოლოგიურმა, სამხედრო ძალადობამ, აგრესიამ, მტრობამ, შუღლმა და სხვა ნებისმიერი სახის კონფრონტაციამ სრულიად მსოფლიოს.

რელიგიამ უკვე კარგა ხანია გავლენა მოიპოვა ყველა პოლიტიკურ თუ კულტურულ სიბრტყეზე და თითქმის ხელშესახებიც კი გახდა. ყველაზე ხშირად ეს გამოხატავს და განამტკიცებს იმ აზრს, რომ რელიგიური

მოტივით გამოწვეული სიძულვილი და განსხვავებები ერთ-ერთი ძირითადი და მთავარი მიზეზია არაერთი ბოლოდროინდელი კონფლიქტისა.

რელიგიას შეუძლია კონფლიქტის როგორც გაღვივება და წახალისება, ასევე მშვიდობის დამყარება, რაზეც არაერთი ფაქტი მოწმობს _ რელიგიურ ძალას, კონფლიქტის გადაჭრის საკითხში შეუძლია კონსტრუქციული დიალოგის წარმართვაში მთავარი როლი ითამაშოს.

რელიგიურ პირებსა და ორგანიზაციებს, შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლი ითამაშონ არა მარტო კონფლიქტის საწყისს ეტაპზე, არამედ მისი გაღვივებისას და გააჩნიათ მისი მოგვარების ისეთივე იარაღი, როგორც მშვიდობისმყოფელთ, ისინი უზრუნველყოფენ და ირგებენ შუამავალის როლს და შერიგების საქმეშიც საკუთარი წვლილი შეაქვთ. რელიგიის, როგორც მშვიდობისმყოფელის, როლზე ჩატარებულმა მოკლე კვლევამ (დაწყებული მოზამბიკიდან, დამთავრებული ნიგერიითა და კამბოჯათი) ცხადყო თვისობრივად მისი ნაწილობრივი წარმატება, რაც საზოგადოების შერიგებაზე, სოციალური კავშირების გამყარებასა და გაუმჯობესებაზე მუშაობს და კაცობრიობის განვითარებისა და წინსვლისთვის მნიშვნელოვან და აუცილებელ საფუძველს წარმოადგენს[2].

1.2. რელიგიის ფაქტორი კონფლიქტის გაღვივებასა და მის მართვაში

რელიგიას შეუძლია შეასრულოს, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი როლი პოლიტიკურ ცხოვრებაში და ცალკეული ხასიათის კონფლიქტების მართვაში. ის, თავისთავად შესაძლოა იყოს როგორც ომებისა და კონფლიქტების წარმოშობის ერთ-ერთი და ძირითადი მიზეზი, ასევე, შესაძლოა მშვიდობისმყოფელის ფუნქციაც დაეკისროს.

რელიგია, წმინდა და ნომინალურია სხვადასხვა ჯგუფის წევრებისათვის, ხოლო ზოგიერთებისთვის კი ის, პირადი ვალდებულებაა.

[2] Jeffrey Haynes, 2009, 52-75, Religion and international relations after '9/11', Jeffrey Haynes,| Accepted 01 Jan 2005, Published online: 05 Aug 2006. pp.45-57.

სადისერტაციო ნაშრომის სათაურიდან გამომდინარე, ჩვენი კვლევის მიზანია კონკრეტული პრობლემისადმი რელიგიური თვალსაზრისით მიდგომა.

„რელიგიურობა“ დამოკიდებულებასთან, ქცევასა და ღირებულებებთან არის დაკავშირებული, ხოლო რელიგიური კუთვნილება უფრო ეთნიკური წარმომადგენლობაა, რაც უმრავლესობისათვის მათი ოჯახის, საზოგადოებისა ან კულტურული მემკვიდრეობის ნაწილია, ვიდრე მათი პირადი არჩევანი.

მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია რელიგიურობის რაოდენობრივი განსაზღვრა (რაზეც არაერთი სამეცნიერო ლიტერატურა მოწმობს _ მაგ: *(„Peace Research and Peacebuilding Authors“: Chadwick F Alger - Dept. of Political Science and, The Ohio State University, Columbus, USA - Electronic ISSN -2194-3133, Hans Guenter Brauch, Rightwing Populism, An Element of Neodemocracy, Authors: Klaus von Beyme, 2019, Published: 29 November 2018, R.J. Rummel: An Assessment of His Many Contributions Editors: Nils Petter Gleditsch, 2017 Published: 08 June 2017)*, არ არსებობს მკაფიო სტანდარტები, თუ რა ასპექტებით არის მისი გაზომვა შესაძლებელი. არის მხოლოდ მნიშვნელოვანი რამ: რწმენა, პრაქტიკა, ფორმალური წევრობა, არაფორმალური მიკუთვნებულობა, რიტუალის ინიციირება, დოქტრინული ცოდნა, ზნეობრივი გრძნობა, ძირითადი ფასეულობები. არსებობს სხვადასხვა ასპექტი, რომლებშიც რელიგიის განსხვავებული ფუნდამენტური მიდგომა ვლინდება. საზოგადოებრივ ცხოვრებაში რელიგიური ჩართულობის სამ ასპექტს გამოვყოფთ. ესენია: რწმენა, პრაქტიკა და მიკუთვნებულობა, რომლებზეც ფოკუსირება ჩვეულებრივი მოვლენა გახდა.

ღვთისადმი რწმენა, შემდგომი სიცოცხლე ან ტრანსცენდენტური წესრიგი უმეტესი რელიგიებისთვის ფუნდამენტურია.

კვლევებმა დაადასტურა, რომ რელიგიის სამშვიდობო იარაღად გამოყენება ძალზე მნიშვნელოვანი პასუხია იმ აშკარა რელიგიურ განსხვავებებზე, რომლებსაც მისი ლიდერები იყენებენ დამანგრეველი კონფლიქტებისა და ომის დაწყებისას.

შესაძლებელია ასევე პარალელის გავლებაც. იმაზე დაფიქრება, თუ რა საერთო აქვთ რელიგიურ ტერორისტებსა და რელიგიურ მშვიდობისმყოფელებს, რა აიძულებთ მათ უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლაში სხვადასხვა ხერხი და გზა გამოიყენონ.

არსებობს არაერთი ნაშრომი, რომლებშიც ნათლად გამოხატულია რელიგიის როლი მშვიდობისმყოფელობასა და მშვიდობის დამყარების საუკეთესო იარაღად წარმოჩენაზე. იქმნება რელიგიური კავშირებიც, რომლებიც თავად გვევლინება მშვიდობისმყოფელის როლში[3].

პოლიტიკა და რელიგია _ თვისობრივად ეს ორი სრულიად განსხვავებული ცნება ხშირად წარმოუდგენლად დაკავშირებული და, შეიძლება ითქვას, გადაჯაჭვულია კიდეც ერთმანეთზე. მათი ჰარმონიული შერწყმა, კლერიკალური, თეოლოგიური თუ პოლიტიკური საზოგადოების მშვიდი თანაცხოვრების აბსოლუტური გარანტია. თუმცა ოდნავ დისონანსს ან დისბალანს შეუძლია გამოიწვიოს მსუბუქი ან ძლიერი პოლიტიკური რყევები, რისი არაერთი ისტორიული მაგალითიც არსებობს მსოფლიოს შორეულ თუ უახლოეს წარსულში.

ამ ეტაპზე ყურადღება გვინდა გავამახვილოთ ორი უდიდესი და უძველესი კულტურის, რელიგიისა და საერთო სემიტური ეთნოსის ერზე _ ებრაელებსა და არაბებზე, მათ საერთო რელიგიურ წმინდა ადგილებზე, რაც დღემდე მოუგვარებელი კონფლიქტის წარმოშობის ძირითადი მიზეზია. ამ დაუსრულებელი უთანხმოების გადაჭრის გზა თუ ხერხი წლების განმავლობაში არაერთხელ განიხილეს სხვადასხვა სამშვიდობო მოლაპარაკებების დროს, მაგრამ უშედეგოდ. ჩვენ კი ჩვენი მხრივ

[3] Chadwick F. Alger, Ohio University,"Religion as a peace tool", London: publisher: Routledge, 2020, pp 94-109

შევეცდებით წარმოდგენილ ნაშრომში ჩვენეული ხედვა და გზა შემოგთავაზოთ იმასთან დაკავშირებით, თუ რაოდენ დიდი, დადებითი წვლილის შეტანა შეუძლია რელიგიას პოლიტიკური ცხოვრების დეესკალაციაში.

ისრაელ-პალესტინის კონფლიქტს რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს: ეთნიკური, ეროვნული, ისტორიული და რელიგიური. ნაშრომში ყურადღება გამახვილებული გვაქვს ამ კონფლიქტის რელიგიურ განზომილებაზე, რომლის საფუძველია ისტორიული და ბოლოდროინდელი მოვლენები, რაც არასაკმარისად არის განხილული და შეფასებული.

ისრაელ-პალესტინის კონფლიქტი რელიგიური კუთხით ყველაზე ნაკლებად არის შესწავლილი. ამ ფაქტორის დადებითი და უარყოფითი მხარეები მასში მონაწილეთათვის აქამდე ნაჩვენები არც ყოფილა. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ რელიგია უნდა გახდეს ამ ხანგრძლივი კონფლიქტის არა მხოლოდ გაღვივების, არამედ მისი გადაჭრის ერთ-ერთი ოპტიმალური საშუალება.

„სამანდატო პალესტინის“ ტერიტორიაზე, სადაც ისრაელის სახელმწიფო და პალესტინის ადმინისტრაციაა, იუდეველთა და მუსლიმთათვის თანაბრად წმინდა და საკრალური არაერთი ადგილია. სწორედ მათი ფლობის სურვილი წარმოშობს ამ ორი რელიგიის აღმსარებლებს (განსაკუთრებით არაბებსა და ებრაელებს) შორის მიმდინარე დაპირისპირებას. ამ უთანხმოებაში ხშირად რადიკალური ორგანიზაციებიც ერთვებიან, რომლებიც თავიანთ ბროლას რელიგიით ფუთავენ. ამ მხრივ აღსანიშნავია პალესტინური ისლამისტური მოძრაობა _ „ჰამასი“, რომლის მიერ გადადგმული რადიკალური ნაბიჯები ხშირად კონფლიქტს აღვივებს და მისი მოგვარების პერსპექტივას აქრობს. ამ მხრივ გამოირჩევიან ისლამისტური რადიკალური ორგანიზაციები, რომლებიც „ისლამის“ სახელით მოქმედებენ.

ისლამისტური ორგანიზაცია „ჰამასი“, ისრაელის წინააღმდეგ ისლამის სახელით იბრძვის. ის ღაზასა და დანარჩენ ადგილებში მხარდამჭერების მოსაპოვებლად აპოკალიფსური ნარატივის პროპაგანდის მეთოდებს იყენებს. „ჰამასს“ საფუძვლად უდევს ისლამისტურ-ფუნდამენტალისტური ორგანიზაცია „მუსლიმი ძმების“ იდეოლოგია, რომელიც ისლამის აღორძინებასა და ისტორიული ისლამური ხალიფატის აღდგენით ხელისუფლების ხელში ჩაგდებას ცდილობს. „ჰამასი“ ისრაელს „უცხოდ“ და მიუღებლად მიიჩნევს და იბრძვის მის წინააღმდეგ.

არარელიგიური, მაგრამ ტრადიციული არაბი შესაძლოა იზიარებდეს სეკულარიზაციისა და „ებრაული გავლენის“ შიშს. ფუნქციონალურად კი „ჰამასის“ ლიდერები ძალადობისა და ძალის დემონსტრირებას ავლენენ (ხალხის დაქვემდებარებით) ისრაელისა და, ზოგადად, ებრაელი ხალხის მიმართ.

რელიგიის როლი და რელიგიური დიალოგის მაგალითი შეიძლება შორეული წარსულიდანაც გავიხსენოთ. მაგალითად, VII საუკუნის შემდეგ ებრაელებსა და მუსლიმებს შორის წარსული ნაყოფიერი ურთიერთთანამშრომლობა; ორივე მხრიდან საგანმანათლებლო სისტემებში, რელიგიურ ტექსტებზე ფოკუსირება; პოზიტიური და ტოლერანტული რელიგიური ღირებულებების განმტკიცება, რაც არახალია. თუმცა, სიახლე კი ამ კუთხით _ რელიგიური კომპონენტის გადაუდებლობა და ცენტრალიზება ისრაელ-პალესტინის „საუკუნის გარიგების“ მისაღწევად, ნებისმიერი ტიპის მცდელობა ან თუნდაც უბრალოდ კონფლიქტის შერბილებაზე ფიქრი _ გზას გაუხსნიდა და საშუალებას მისცემდა გრძელვადიან, მშვიდობიან და უსაფრთხო მომავალ თანაცხოვრებას[4] ამ ორი რელიგიის აღმსარებლებს შორის. აქვე იმასაც დავძენთ, რომ სხვადასხვა პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე,

[4] "Religion and the Israel-Palestinian Conflict: Cause, Consequence, and Cure " by Mohamed Galal Mostafa, May 31, 2018 . https://www.washingtoninstitute.org/policy-analysis/religion ბოლოს გადამოწმებულია - 10.05.2021.

რელიგიური ფაქტორი პალესტინელებსა (არაბები) და ებრაელებს შორის, პირიქით, ცუდად იქნა გამოყენებული, რაც ძალზე ნეგატიურად აისახა როგორც მუსლიმებსა და ებრაელებს შორის ურთიერთდამოკიდებულებაზე, ასევე, მთლიანად რეგიონზეც.

1.3. წმინდა ადგილების როლი ახლო აღმოსავლეთის რეგიონულ პოლიტიკაში

პოლიტიკა და რელიგია, თვისობრივად ეს ორი სრულიად განსხვავებული ცნება, ხშირად წარმოუდგენლად დაკავშირებული და შეიძლება ითქვას, გადაჯაჭვულია კიდეც ერთმანეთზე. მათი ჰარმონიული შერწყმა, კლერიკალური, თეოლოგიური თუ პოლიტიკური საზოგადოების მშვიდი თანაცხოვრების აბსოლუტური გარანტია. თუმცა ოდნავ დისონანსს ან დისბალანს შეუძლია გამოიწვიოს მსუბუქი ან ძლიერი პოლიტიკური რყევები, რისი არაერთი ისტორიული მაგალითიც არსებობს მსოფლიოს შორეულ თუ უახლოეს წარსულში.

ანტიკური დროიდან დღემდე ცივილიზაციის განვითარების უმაღლეს საფეხურზე მყოფი სახელმწიფოებისათვისაც კი არსებული პრობლემა დიდი ხნის განმავლობაში გადაუჭრელი რჩებოდა და ერთგვარი შემაფერხებელი ფაქტორი იყო. რთულია ბალანსისა და ჰარმონიის შენარჩუნება, ორი სრულიად განსხვავებული ან თუნდაც მსგავსი კულტურისა ან ეთნოსის ერებს შორის საერთო ენის გამონახვა.

ამ ეტაპზე ყურადღება გვინდა გავამახვილოთ ორი უდიდესი და უძველესი კულტურის, რელიგიისა და საერთო სემიტური ეთნოსის ერზე, მათ საერთო რელიგიურ წმინდა ადგილებზე, რაც დღემდე მოუგვარებელი კონფლიქტის წარმოშობის ძირითადი მიზეზია. ამ დაუსრულებელი უთანხმოების გადაჭრის გზა თუ ხერხი არაერთხელ უშედეგოდ ეძებეს. ჩვენ კი, ჩვენი მხრივ, შევეცდებით ნაშრომში ჩვენეული ხედვა შემოგთავაზოთ. წარმოვაჩინოთ, თუ რაოდენ დიდი, დადებითი და, ასევე, უარყოფითი წვლილის შეტანა შეუძლია რელიგიას პოლიტიკური ცხოვრების დეესკალაციაში.

მაგალითისთვის მოვიყვანოთ იერუსალიმი, რომელიც სამი მონოთეისტური რელიგიის: იუდაიზმის, ქრისტიანობისა და ისლამის წმ. ქალაქია (მაგრამ ჩვენი თემიდან გამომდინარე, ყურადღებას ისლამსა და იუდაიზმზე გავამახვილებთ). ეს ქალაქი ისრაელსა და პალესტინას შორის არსებული კონფლიქტის ერთ-ერთ ძირითად ობიექტს წარმოადგენს. ორივე იერუსალიმს საკუთარ დედაქალაქად მიიჩნევს.

ისრაელის სახელმწიფოს აღდგენის შემდეგ (1948 წლის 14 მაისი) როგორც პალესტინის ადმინისტრაციული ერთეული, ისე ისრაელი, იერუსალიმის დედაქალაქობაზე პრეტენზიას აცხადებდნენ. ამის მიზეზი კი მუსლიმებისა (განსაკუთრებით არაბების) და იუდეველების საერთო წმ. ადგილებია, რომლებიც ამ ქალაქში მდებარეობს. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ეს გახდა მიზეზი მათ შორის არსებული ხანგრძლივი შეუთანხმებლობისა.

ძველ ებრაელთა პირველი სახელმწიფოებრივი გაერთიანება იყო ისრაელის სამეფო, რომელშიც დასავლეთ სემიტური მოდგმის ტომები, მათ შორის _ საკუთრივ ისრაელი, იუდეა, ბენიამინი, ზებულონი და სხვანი შედიოდნენ. სამეფო წარმოიშვა პალესტინაში (ქანაანში), დაახლოებით ჩვ.წ.აღ-მდე XI საუკუნის მიწურულს, როდესაც ისრაელთა ტომებმა თითქმის მთლიანად დაიმორჩილეს ადგილობრივი ქანაანელები (ასევე, დას. სემიტური წარმოშობის ტომებიც).

ქანაანის ტერიტორია ხმელთაშუა ზღვიდან მდინარეების: ორონტესისა და იორდანეს ველებამდე, ტავრის მთიდან ღაზამდე იყო გადაჭიმული. თორას თანახმად, ქანაანის მიწა ანუ ერეც-ისრაელი (ებრაულად ისრაელის მიწა) იყო ღვთის (იაჰვეს) მიერ ისრაელთა მოდგმისთვის აღთქმული. ძვ.წ. 1025 წელს ისრაელის სამეფოს პირველი მეფე გახდა საული. მეფე დავითმა (ძვ.წ.1003-970) აიღო იერუსალიმი და ის გამოაცხადა ისრაელისა და იუდეას გაერთიანებული სამეფოს დედაქალაქად და იქ იაჰვეს კულტი დაამყარა. მეფე სოლომონის (ძვ. წ. 970-931) სახელს უკავშირდება ისრაელ-იუდეას ერთიანი სამეფოს აყვავება,

იერუსალიმის, იგივე „სოლომონის“, პირველი ტაძრის აგება. სოლომონის გარდაცვალების შემდეგ იფეთქა აჯანყებამ (დაახლოებით ძვ.წ. 928 წ.), რასაც შედეგად მოჰყვა ისრაელ-იუდეას ერთიანი სამეფოს გაყოფა (ძვ. წ. 930-920) ორ დამოუკიდებელ ერთეულად: სამხრეთი სამეფო _ იუდეას სამეფო (ცენტრი _ იერუსალიმი) და ჩრდილოეთი სამეფო _ საკუთრივ ისრაელის სამეფო (ცენტრი _ ქალაქი სიქემი, ახლანდელი ნაბლუსი; მოგვიანებით დაარსდა ახალი სატახტო ქალაქი _ სამარია).

ძვ. წ. 722 წელს ასურელებმა ისრაელის სამეფო დაიპყრეს, განდევნეს ებრაელები და მათ ადგილას ასურეთის ქვეშევრდომნი (ბაბილონელები, არამეელები) ჩაასახლეს. ძვ.წ. 586 წელს, ბაბილონელებმა დაიკავეს იუდეა, მოსახლეობის დიდი ნაწილი კი მეფე ნაბუქოდონოსორ II-მ გადაასახლა ბაბილონში, სადაც შეიქმნა პირველი ებრაული დიასპორა. დაიწყო ე.წ. „ბაბილონის ტყვეობა“. აქემენიანთა მიერ ბაბილონის დამხობის შემდეგ (ძვ.წ. 538) კიროს II-მ იუდეველებს იერუსალიმში დაბრუნებისა და იაჰვეს ტაძრის აშენების ნება დართო. ძვ. წ. IV საუკუნეში იუდეა ალექსანდრე მაკედონელის სამეფოში შედიოდა, მოგვიანებით კი რომის იმპერიის პროვინციად გადაიქცა. იუდეა საბოლოოდ ახალი წელთაღრიცხვით 70 წელს დაეცა, როდესაც რომაელმა სარდალმა ტიტუს ფლავიუსმა ეს ქალაქი დაანგრია. ჩვ.წ. 135 წელს ებრაელები საბოლოოდ განდევნეს იერუსალიმისა და მისი მიმდებარე მიწებიდან. ამ ტერიტორიას რომაელებმა უწოდეს პალესტინა (Philistine Syria _ ჰეროდოტესგან მომდინარე ტერმინი, რომლითაც „ისტორიის მამად“ წოდებული მემატიანე სირიის სამხრეთ ნაწილს აღნიშნავდა), რათა ებრაულ სამფლობელოზე მოგონებაც კი წაეშალათ.

რომაელები პალესტინას მე-4 საუკუნემდე მართავდნენ, ხოლო შემდგომ კი ის ბიზანტიის იმპერიის კონტროლქვეშ გადავიდა. არაბების მიერ იერუსალიმის აღების შემდეგ (638 წ.) ებრაელებს ნება დართეს დაბრუნებულიყვნენ ქალაქში, სადაც მათ რომაელები/ბიზანტიელები/ წინა ხუთი საუკუნის განმავლობაში დასახლების უფლებას არ აძლევდნენ.

„ბაბილონის ტყვეობიდან“ მოყოლებული (ძვ.წ. VI ს.), ბოლო ორი ათასწლეულის განმავლობაში, ებრაელთა აბსოლუტური უმრავლესობა ცხოვრობდა მუდმივად მზარდ დიასპორაში (მესოპოტამია, სპარსეთი, ესპანეთი, საფრანგეთი, გერმანია, პოლონეთი, რუსეთი, აშშ. და სხვ. პირველი ებრაული კოლონიის არსებობა საქართველოში, დადასტურებულია ძვ.წ. II საუკუნეში), ხოლო მცირე ნაწილი კი კვლავ პირვანდელ სამშობლოში დარჩა.

ისტორიულად სხვადასხვა პერიოდში, სიბრტყესა თუ დროში, ებრაელები მასობრივ დევნასა და შევიწროებას ხშირად განიცდიდნენ. ჯერ კიდევ 1215 წელს კათოლიკურმა ეკლესიამ დაავალდებულა ებრაელები ეტარებინათ სპეციალური სამოსი და აუკრძალა ხელოსნობით დაკავება. ამან კი საფუძველი ჩაუყარა ებრაელთა განცალკევების იდეას ანუ ებრაულ „გეტოებს “. 1555 წლის პაპის ბულათით (Cum nimis absurdum) დაწესდა რელიგიური და ეკონომიკური შეზღუდვები ცენტრალური იტალიის ტერიტორიაზე (მასზე პაპის უფლებამოსილება 1870 წლამდე ვრცელდებოდა) მცხოვრები ებრაელებისათვის. 1558 წელს გამოცემული არაერთი კანონით გაიზარდა კონტროლი ებრაელებზე.

ოსმალეთის მიერ პალესტინის დაპყრობის (1516 წ) შემდეგ ებრაელთა მცირე ჯგუფების მოძრაობა ოსმალური პალესტინის მიმართულებით, განუწყვეტელი პროცესი იყო[5].

მე-19-ე საუკუნის დასაწყისიდან შუა ხანამდე, საფრანგეთსა და გერმანიაში ებრაელთათვის ხელსაყრელი პირობები შეიქმნა და ევროპულ საზოგადოებაში მათი ინტეგრაციის იმედი გაჩნდა. 1791 წელს ებრაელებმა მიიღეს მოქალაქეობა საფრანგეთში, ხოლო 1858 წელს კი _ ინგლისში.

ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის განხილვისას ძნელია ყურადღება არ გავამახვილოთ ებრაული კოლონიზაციის საკითხზე. მე-19 საუკუნის დასაწყისში პალესტინის ებრაული მოსახლეობა შეადგენდა დაახლოებით 5

[5] გაჩეჩილაძე რ. -„ახლო აღმოსავლეთი: სივრცე, ხალხი, პოლიტიკა“, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი, 2011. გვ.427-431

000 ადამიანს და ძირითადად ოთხ ქალაქში ცხოვრობდნენ: იერუსალიმი, საფედი, ტიბერია, ხებრონი. ებრაელებს არასოდეს შეუწყვეტიათ „წმინდა მიწაზე“, ანუ პალესტინაში, პატარა ჯგუფებად ჩასახლება, რადგან ის ებრაულ საკულტო და კულტურულ ცენტრად რჩებოდა. XIX საუკუნის ბოლომდე ებრაული კერის დაფუძნებისთვის პირობები არ არსებობდა და მათი კავშირი წმინდა მიწასთან დიდხანს აბსტრაქტულ იდეად აღიქმებოდა.

ახლო აღმოსავლეთის ამ კონფლიქტის ერთ-ერთი შემადგენელი ელემენტია დავა საერთო რელიგიური წმინდა ადგილებისთვის. მათ შორის, ერთ-ერთი უმთავრესი იერუსალიმის ტაძარია.

ნაშრომში დაწვრილებით განვიხილავთ წმ. ადგილების როლსა და მათ მნიშვნელობაზე, როგორც ამ კონფლიქტის გაღვივების, ისე შესაძლო მოგვარების საქმეში.

ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფისათვის გეოგრაფიული სივრცის გარკვეული მონაკვეთი, ადგილი „წმინდაა“ იმიტომ, რომ კონკრეტულ ეთნიკურ ჯგუფს გააჩნია განსაკუთრებული სიყვარული და მოწიწება მის მიმართ. იმის გამო, რომ ამ ადგილზე განვლო მათმა ბავშვობამ, იქ არიან დასაფლავებული მათი საყვარელი ადამიანები, იქ არის მათი სამშობლო.

უფრო ხშირად ადგილს, სიწმინდეს ანიჭებს ხოლმე რელიგიური ტრადიცია. ვინაიდან იქ არის ისეთი რამ, რაც ამ რელიგიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა. ეს შეიძლება იყოს წმინდანად მიჩნეულ პირთა საფლავი ან ნაგებობა (რელიგიური დანიშნულების შენობა), ხანდახან სულაც ქვები, რომელთაც მითოლოგია ღვთიური ენერგიის გამოვლინებას მიაწერს ხოლმე.

იმ ადგილის მნიშვნელობა, რომელიც რაიმე ნიშნით წმინდაა ადამიანთა ჯგუფისათვის, პოლიტიკაშიც საკმაოდ დიდია, რაც განსაკუთრებულ პოლიტიკურ დატვირთვას იძენს. სასულიერო და საერო ლიდერები ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რათა ღვთიური ძალა

კონკრეტულ სივრცეს (ადგილს) დაუკავშირონ: ეს მეტ ლეგიტიმურობას ანიჭებს მათ ხელისუფლებას.

ნაშრომში გვსურს ყურადღება გავამახვილოთ კონკრეტულად ახლო აღმოსავლეთზე, სადაც სამივე რელიგიას თავისი წმინდა ადგილები გააჩნია. ამ რეგიონში არსებულ საკრალურ სალოცავებს სამივე აბრაამისტული რელიგია საკუთრებად მიიჩნევს. ამ შემთხვევაში, ჩვენი კვლევის საგნიდან გამომდინარე, გამოვყოფთ იუდეიზმსა და ისლამს.

იუდეველებისათვის წმინდაა მთელი ისრაელი, რომელიც თორას მიხედვით მათ ღმერთმა (იაჰვემ) აღუთქვა. განსაკუთრებული სიწმინდე მათთვის ტაძრის მთას, იგივე ჰარ ჰა-ბაითს გააჩნია, სადაც ისინი არ/ვერ ადიან და მის დასავლეთ კედელთან, კოტელ ჰა-მაარავთან ლოცულობენ. გარდა ამისა, ებრაელები პატივს მიაგებენ პატრიარქთა სამარეს (აბრაჰამის, იცხაკის, იაკობის საფლავებს) მახპელას მღვიმეში, ქალაქ ხებრონში, იერუსალიმში, სიონის მთაზე მდებარე საფლავს, რომელსაც მეფე დავითს მიაწერენ და ასევე შუა საუკუნეების რამდენიმე რელიგიური მოღვაწის საფლავსაც.

მუსლიმებისათვის უწმინდესი ადგილია მექა, სადაც დაიბადა მოციქული და წინასწარმეტყველი მუჰამედი და სადაც მდებარეობს ალმასჯიდ ალ-ჰარამი (იგივე ქააბას მიზგითი), რომლის ეზოშიც არის „შავი ქვა“. მექას მიდამოებშია სხვა წმინდა ადგილებიც: მინა, მუზდალიფი, არაფათის ველი და არაფათის მთა. ამ უკანასკნელზე (არაბულად ჯაბალ არაფათ), ტრადიციის თანახმად, ებრაელებისა და არაბების მამამთავარ იბრაჰიმს, იგივე აბრაჰამს, მსხვერპლად უნდა შეეწირა თავისი ძე, ისმაილი (არაბთა წინაპარი), მაგრამ ღმერთმა სანაცვლოდ მას ცხვარი/კრავი/ გამოუგზავნა.

მუსლიმებისათვის მეორე წმინდა ქალაქია მედინა, სადაც დაკრძალულია მუჰამედი, ხოლო მესამე _ იერუსალიმი იგივე ალ-კუდსი,

სადაც მდებარეობს [ბორცვი] ალ-ჰარამ აშ-შარიფი („წმინდა ნაკრძალი“); ებრაელები ზუსტად იმავე ადგილს ჰარ ჰა-ბაითს უწოდებენ.

იერუსალიმი იყო ყიბლა (ლოცვის მიმართულება) მუჰამედისათვის, ვიდრე იგი, მედინაში მყოფი, 636 წლიდან ყიბლად არ აქცევდა მექას. ამით მექაში მდებარე ქააბას ისლამში უპირველესი სიწმინდის მნიშვნელობა მიენიჭა. ალ-კუდსში (იერუსალიმში), რომელიც მუსლიმებისათვის მესამე წმინდა ქალაქია, მათთვის მთავარი წმინდა ადგილებია: ალ-ჰარამ აშ-შარიფზე მდებარე ალ-აკსას მიზგითი და ალ -კუბბათ ას-სახრა (კლდის გუმბათი).

მუსლიმებისათვის ასევე წმინდაა ქალაქ ალ-ხალილში (იუდეველთათვის ეს ქალაქი ხებრონია) მდებარე პატრიარქთა სამარე, სადაც დაკრძალულია ებრაელთა და არაბთა მამამთავარი იბრაჰიმი, (იუდეველებისათვის ის არის პატრიარქი აბრაჰამი): სადაც მე-7 საუკუნეში აშენდა მიზგითი ალ-ჰარამ ალ-ხალილ-ი.

აქვე ხაზი უნდა გავუსვათ იმ მნიშვნელოვან გარემოებას, რომ თუ ადგილი ტრადიციულად წმინდაა ერთი რელიგიისათვის, მაშინ რელიგიათაშორისი პოლიტიკური პრობლემები მინიმალურია. მაგალითად, მექას ფლობისათვის სხვადასხვა მმართველების (ყოველთვის მუსლიმების) სისხლიანი მეტოქეობა არც თუ იშვიათი მოვლენა იყო, მაგრამ ისლამის გარდა, არც ერთი სხვა რელიგია არ აცხადებდა პრეტენზიას ამ ადგილზე.

საკმარისია ის ფაქტი, რომ წმინდა ადგილზე პრეტენზია ორ ან მეტ რელიგიას გააჩნდეს, მშვიდობიანი თანაარსებობა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აქ ერთ-ერთი რელიგიის განსაკუთრებულ უფლებას სხვა რელიგიებიც ცნობენ. თვითონ კი ეგუებიან იმ აზრს, რომ მათაც გააჩნიათ იქ ლოცვის საშუალება. თუმცა ამ ექსკლუზიური უფლების შეცვლის მცდელობა მძაფრ პროტესტს და ხანდახან სისხლიან დაპირისპირებასაც იწვევს.

ამის კარგი მაგალითია პალესტინა-ისრაელის კონფლიქტის ძირითადი მიზეზი, რომელიც ბევრად სცდება კონკრეტულად მათ პოლიტიკურ და ეთნიკურ ინტერესებს. ეს დაპირისპირება რელიგიურ ხასიათს იძენს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქალაქ ხებრონში მდებარე წმინდა ადგილზე ერთდროულად პრეტენზიას აცხადებს იუდაიზმი და ისლამიც.

VII საუკუნიდან ამ ადგილზე ექსკლუზიური უფლება ჰქონდა ისლამს. ერთდროულად ქალაქში ყოველთვის ცხოვრობდა ებრაული მოსახლეობა და მის მიმართ მუსლიმური უმრავლესობა გარკვეულ ტოლერანტობას იჩენდა. ყოველ შემთხვევაში, უფლებას აძლევდა, შეესრულებინა საკუთარი რიტუალები.

რელიგიური კონფლიქტი XX საუკუნეში დაიწყო, როდესაც ხებრონში/ალ-ხალილში ისლამის ექსკლუზიური უფლების იუდაიზმით შეცვლის მცდელობის პრეცედენტი გაჩნდა. 1929 და 1936 წლებში მომხდარი ებრაელთა რბევის შემდეგ ამ უკანასკნელებს ხებრონის დატოვება მოუხდათ. ისინი იმავე ადგილზე დაბრუნდნენ მხოლოდ 1967 წლის შემდეგ, როდესაც ისრაელმა მთელი „დასავლეთ ნაპირის“ ოკუპაცია შეძლო. 1970-იანი წლებიდან იუდაისტ ფუნდამენტალისტთა მოზრდილი ჯგუფი სახლობს ხებრონში იმ მიზნით, რომ პატრიარქთა სამარეზე იუდაიზმის უპირატესი უფლება განამტკიცოს. ეს მუსლიმებისათვის მიუღებელია. ისრაელის არმია იძულებულია, ადგილობრივ არაბულ მოსახლეობასთან (150 ათასი) მუდმივ კონფლიქტში მყოფი 500-ოდე ებრაელი რელიგიური მოახალშენე დაიცვას.

რელიგიათაშორისი მეტოქეობის ყველაზე მკაფიო მაგალითია იერუსალიმიც _ წმინდა ქალაქი სამი რელიგიისათვის[6] (ამ შემთხვევაში, ყურადღებას ორ რელიგიაზე ვამახვილებთ).

---

[6] გაჩეჩილაძე რ. -„ახლო აღმოსავლეთი: სივრცე, ხალხი, პოლიტიკა“, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი 2011. გვ. 207-210

იერუსალიმი საკულტო ცენტრი იყო ათასწლეულით ადრე, ვიდრე მას ებრაელთა მეფე დავითი იებუსელებისაგან დაიპყრობდა (მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ეს შეიძლება მომხდარიყო ძვ. წ. XI საუკუნის ბოლოს) და იუდეის რელიგიურ ცენტრად აქცევდა. გამაგრებულ დასახლებას (ქალაქს) მაშინ პატარა ადგილი ეჭირა, მაგრამ იგი ფლობდა წყაროს (გიხონ), რაც წყალმცირე იუდეის მთებში მუდმივი სამყოფის შექმნის ძირითადი პირობა და მისთვის მეტოქეობის მთავარი მიზეზი იყო.

ამჟამინდელი 3 რელიგიიდან ყველაზე დიდი ხნის ისტორია იერუსალიმში იუდაიზმს აქვს. სწორი იქნება თუ თავდაპირველად განვიხილავთ იერუსალიმის, როგორც ადგილის, მნიშვნელობას ამ რელიგიისათვის. [7]

პატრიარქების ეპოქაში, სანამ ებრაელები იერუსალიმს დაეუფლებოდნენ, მათთვის საკულტო მნიშვნელობა ჰქონდა შილოს, ბეთ-ელს, შხემს (არაბები ამ უკანასკნელს ნაბლუსს უწოდებენ, რაც ბერძნული ნეაპოლისის, ანუ ახალი ქალაქის არაბული სახელია). ისინი მიიჩნევენ, რომ მეფე დავითს შემდეგ იერუსალიმი იქცა იუდაიზმის სიმბოლოდ, ებრაელის ერისა და მისი სახელმწიფოს ჩამოყალიბების უდიდეს სტიმულად. როდესაც ებრაული სახელმწიფო წყვეტდა არსებობას, იერუსალიმი თავის სიმბოლურ როლს ყოველთვის ინარჩუნებდა.

იუდაისტური რწმენის თანახმად, **პირველი** და **მეორე** ტაძარი სწორედ იმ ბორცვზე იყო აგებული (მორიას მთა), სადაც აბრაჰამმა თავისი ძე იცხაკი (ისააკი) ღვთისათვის შესაწირად აიყვანა. ბორცვს, რომელიც იურუსალიმის ძველ ქალაქში მდებარეობს, ებრაულად: ჰარ ჰა-ბაით“-ი (ტაძრის მთა) ეწოდება.

პირველი ტაძარი (რომელიც თანახის თანახმად, მეფე სოლომონმა ააგო ძვ. წ. X საუკუნეში) დაანგრიეს ბაბილონელებმა ძვ.წ. VI საუკუნეში და

[7] Raphael Jehudah Zwi Werblowsky - „Jérusalem dans la conscience juive chrétienne et musulmane“, French, 1995, Edition:3e édition View all formats and editions. Publisher:Centre d'information d'Israël, Jérusalem, 1995.

იმავე საუკუნეშივე აღადგინეს. მის ადგილზე ძვ. წ. პირველი საუკუნის ბოლოს, მეფე ჰეროდეს დროს, **მეორე ტაძარი** აშენდა, რომელიც რომაელებმა დაანგრიეს ახ. წ. 70 წელს ებრაელთა აჯანყების ჩაქრობისას. სახარების მიხედვით იესო ქრისტე სწორედ ამ მეორე ტაძარში შედიოდა.

იუდეველთა მეორე ტაძრის ნაშთად მხოლოდ მისი საძირკვლის შემორჩენილი საყრდენი _ ჰა-კოტელ ჰამაარავი („დასავლეთ კედელი“, უფრო ცნობილი, როგორც „გოდების კედელი“) მიიჩნევა. მას იუდეველები თავიანთი სარწმუნოების ძირითად სალოცავად აღიარებენ.

ორთოდოქსული იუდაიზმი უკრძალავს ებრაელს ჰარ-ჰა ბაითზე ასვლას, რადგანაც შემთხვევითმა ნაბიჯმაც კი შესაძლოა ტაძრის სიწმინდე შებღალოს. 20 საუკუნის წინ, როდესაც მეორე ტაძარი იდგა, წმიდათა წმიდაში შესვლის უფლება ჰქონდა მხოლოდ პირველმოძღვარს, ისიც წელიწადში ერთხელ – იომქ-ქიფურზე (განკითხვის დღეს). ყველა დანარჩენ ებრაელს იქ მოხვედრა სიკვდილის შიშით ეკრძალებოდა. იმის გამო, რომ თითქმის ორი ათასწლეულია, რაც ტაძარი აღარ არსებობს, „წმიდათა წმიდას“ ზუსტი მდებარეობა უცნობია.

მორწმუნე ებრაელებს სჯერათ, რომ მესამე ტაძარს აღმართავს მაშიახი (მესია, ღვთის მიერ მოვლენილი მხსნელი), მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებიც მზად არიან თვითონვე ააშენონ მესამე ტაძარი იმ ადგილზე, სადაც, მათი ვარაუდით, იდგა წინა ორი. ეს გულისხმობს იმავე ტერიტორიაში მდგარი ისლამური სიწმინდის _ კლდის გუმბათის შემუსვრას. საღად მოაზროვნე ისრაელელ პოლიტიკოსებს კარგად ესმით, რომ ასეთი რამის მცდელობაც კი უდიდესს საერთაშორისო პრობლემას შექმნის.

ებრაელისათვის (მათ შორის, სეკულარული, არამორწმუნისათვისაც) „იერუსალიმი“ და „სიონი“ (ებრაულად – „ციონ“) სინონიმებია. ორივე სიტყვა გადატანით აღნიშნავს არა მარტო ქალაქს, არამედ ისრაელის მთელ მიწას (ერეც-ისრაელ). თანამედროვე ებრაულმა ნაციონალურმა მოძრაობამ

„სიონიზმმა“ (ებრაულად – „ჰა-ციონუთ“) ტერმინის ფუძე არა ქვეყნისა ან ხალხის, არამედ ადგილის სახელიდან აიღო. [8]

იერუსალიმში ამჟამად არაა ებრაელი ხალხის უწმინდესი სალოცავი, ვინაიდან ტაძარი დანგრეულია. მაგრამ არცერთ მორწმუნე ებრაელს ეჭვი არ ეპარება, რომ უფალმა ეს მიწა მის ერს აღუთქვა და აირჩია ადგილი, სადაც გამოგზავნის მაშიახს (მესიას) მესამე ტაძრის ასაგებად.

ჩვ. წ. 135 წელს, ებრაელთა მორიგი აჯანყების შემდეგ, რომაელებმა ებრაელები ქალაქიდან განდევნეს (თუმცა არა მთელი პალესტინიდან) და ხელახლა ააშენეს ქალაქი, რომელსაც სახელიც კი გამოუცვალეს და მას **ელია კაპიტოლინა** უწოდეს, ხოლო იუდეველთა ნატაძრალზე იუპიტერის ტაძარი აღმართეს. არქეოლოგიური ნაშთების უმეტესობა იერუსალიმში სწორედ რომაელთა პერიოდს განეკუთვნება. ებრაელთა „გოდების კედელიც“ კი, შესაძლოა, რომაელებმა ააგეს, როგორც საყრდენი „ტაძრის მთისათვის“.

მე-4 საუკუნეში, ქრისტიანობის დამკვიდრების შემდეგ, ბიზანტიის ქრისტიანმა იმპერატორებმა წარმართული ტაძარი დაანგრიეს და იმ ადგილზე VII საუკუნემდე მხოლოდ იუპიტერის ტაძრის ნანგრევები რჩებოდა. ბორცვი ნაგავსაყრელად იქცა, ხოლო ქრისტეს ჯვარცმასთან დაკავშირებული ქრისტიანული სიწმინდე იერუსალიმის სხვა ადგილას გაჩნდა. ბიზანტიელებმა ქალაქს სახელი კი აღუდგინეს, მაგრამ ებრაელებს იქ დაბრუნების უფლება მაინც არ მისცეს! ქრისტიანებს იერუსალიმში აქვთ გამოკვეთილად უწმინდესი ადგილი – ტაძარი, რომელსაც მართლმადიდებლები _ აღდგომის ეკლესიას, ხოლო კათოლიკეები წმინდა აკლდამის ეკლესიას უწოდებენ. ტაძრის შიგნით მდებარეობს გოლგოთა და ქრისტეს საფლავი (აკლდამა).

იერუსალიმი და ისლამი _ იერუსალიმი ასევე საკრალური და განსაკუთრებული მნიშვნელობის არის მუსლიმებისათვისაც. არაბულად

[8] გაჩეჩილაძე, რ. ახლო აღმოსავლეთი: სივრცე, ხალხი და პოლიტიკა. თბილისი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2011 (მესამე გამოცემა)გვ.185-187

მისი სახელია ალ-კუდს აშ-შარიფ-ი (წმინდა დიდებული), შემოკლებით ალ-კუდსი.

637 წელს, იერუსალიმის დაპყრობის შემდეგ, ხალიფა ომარმა თანამებრძოლებთან ერთად საკუთარი ხელით გაწმინდა ნაგავსაყრელი ნატაძრალ ადგილზე და გამოაჩინა კლდისპირი, რომელიც ისლამმა თავის წმინდა ადგილად გამოაცხადა: საიდანაც „მუჰამმადმა ზეცაში იმოგზაურა“. სწორედ ხალიფა ომარმა მისცა ებრაელებს იერუსალიმში დაბრუნების უფლება და მუსლიმთა ბატონობის დროს იქ ყოველთვის იყო პატარა ებრაული თემი.

იერუსალიმში არსებული ქრისტიანული ეკლესიებისა და სხვა სალოცავების (რომლებიც დამპყრობელ არაბებს არ დაუნგრევიათ) სიმრავლე ერთგვარი გამოწვევა იყო ახალი ბატონებისათვის: ამის მსგავსი მათ არაფერი გააჩნდათ!

ამიტომაც, როდესაც უმაიანი ხალიფები დამასკში დამკვიდრდნენ და სახალიფო მსოფლიო იმპერიად გადაიქცა, ხალიფა აბდ ალ მალიქ იბნ მარვანმა დაახლოებით 691-692 წლებში იერუსალიმის ტაძრის მთაზე, სწორედ იმ კლდისპირის გარშემო, რომელიც ომარმა აღმოაჩინა, ააგო „კლდის გუმბათი“ (ალ-კუბბათ ას-სახრა; მისი სხვა სახელია ას-სახრა ალ-მუშარაფა), რომელსაც ხშირად შეცდომით „ომარის მიზგითს“ უწოდებენ.

კლდის გუმბათი, რომელიც არქიტექტურული შედევრია (ის ბიზანტიელი ოსტატების მიერაა აგებული) და დღესაც დომინირებს იერუსალიმის ზეცის ფონზე, აიგო, როგორც ფიქრობენ, იუდეველთა ნატაძრალზე, იმ ბორცვზე, რომელიც ებრაელებისათვის არის ხარ ჰა-ბაით-ი, ხოლო არაბებისათვის ალ-ჰარამ აშ-შარიფ-ი („წმინდა ნაკრძალი“). იმავე ბორცვის განაპირას VII საუკუნეშივე აიგო დიდი მიზგითი **ალ-აკსა**, რაც სიტყვასიტყვით **„შორეულს“** აღნიშნავს: ის არის ისლამის მესამე უწმინდესი მიზგითი, **მექასა** და **მედინას** შემდეგ. არავითარი წყარო არ ადასტურებს იმას, რომ მუჰამმადი ოდესმე ყოფილა იერუსალიმში მისი სიცოცხლის

დროს ბიზანტიის იმპერიის ქრისტიანულ ქალაქში. ამას ზოგი არაბი მეცნიერიც აღიარებს.

ისევე, როგორც თორაში იერუსალიმი არც ყურანშია პირდაპირ მოხსენიებული: ყურანის 1 სურაში არის ბუნდოვანი მინიშნება „ხელუხლებელი მიზგითიდან უშორეულეს მიზგითში“ მუჰამმადის ერთი ღამით გადაადგილების შესახებ. შემდგომში ეს „უშორეულესი მიზგითი“ გაიგივდა იერუსალიმის ალ-აკსასთან. მუსლიმთა რწმენის თანახმად, მუჰამმადმა **ფრთოსანი არსების, ბურაკის,** მეშვეობით სასწაულებრივად იმოგზაურა ერთ ღამეს მექადან იერუსალიმში (ამ ღამის მგზავრობას ეწოდება ისრა), საიდანაც ავიდა ზეცაში (ამ ასვლას ეწოდება მირაჯი) ისრა და მირაჯის წყალობით ისლამმა თავი დაუკავშირა იერუსალიმის იმ განსაკუთრებულ სიწმინდეს, რომელიც უკვე მყარად იყო დამკვიდრებული იუდაიზმსა და ქრისტიანობაში და ეს კულტურული მემკვიდრეობა საკუთარ რელიგიურ სისტემაში ჩართო.

წმინდა ადგილი და პოლიტიკა _ ადგილის სიწმინდე ყოველთვის ერთნაირად არ განისაზღვრება. იერუსალიმის სიწმინდისადმი ორი რელიგიის _ იუდაიზმისა და ისლამის მიდგომის შედარება გარკვეულ კონტურებს გამოკვეთს და, შესაბამისად, გადაკვეთის რამდენიმე წერტილს გვიჩვენებს:

ისლამის შემთხვევაში რწმენა და ღვთისმოსავობა ქმნის რელიგიურ ფაქტს – მუჰამმადის ასვლას ზეცაში; რელიგიური ფაქტი წარმოშობს „ისტორიულს“ – მუჰამმადის ყოფნას იერუსალიმში. ჯერ რელიგიური ფაქტი და მისი მეშვეობით შექმნილი „ისტორიული“ ფაქტი ერთად ლოკაციას ისლამის წმინდა ადგილად აქცევს. ასე შექმნილი „ისტორიული“ ფაქტი მუსლიმი თეოლოგის, კულტუროლოგისა და დასავლეთის უნივერსიტეტში განათლებამიღებული მუსლიმი პოლიტიკოსის მიერაც კი ისეთივე რეალობადაა მიჩნეული, როგორც დადასტურებული, თვალნათელი ფაქტი.

ისლამი, ქრისტიანობისაგან განსხვავებით, არ მიჯნავს ცხოვრების რელიგიურ და საერო სფეროს, რითაც ისლამი უფრო ახლოს დგას ტრადიციულ იუდაიზმთან.

ისლამისთვის, რელიგიურ ფაქტს ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორიც რეალურ ისტორიულს. მაგალითად შეიძლება დავასახელოთ მოვლენა, რითაც მუსლიმები აკავშირებენ იერუსალიმს ისლამთან _ ალაჰის მოციქულისა და წინასწარმეტყველის, მუჰამმადის, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი აქცია (რელიგიური ფაქტი) იერუსალიმს უკავშირდება. მუსლიმი მიიჩნევს, რომ ეს ადგილი მისი სამყაროს პოლიტიკური სივრცეა. არც თუ იშვიათად ხდება ისე, რომ რელიგიურ განზომილებას არადანიშნულებისამებრ, პოლიტიკური ინტერესებისათვის, იყენებენ. რელიგიური არგუმენტები და სიმბოლოები გამოიყენება სეკულარული მოძრაობების მიერ საკუთარი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. ეს რელიგიურ დაპირისპირებას აღვივებს.

იმის გამო, რომ იერუსალიმი იმთავითვე წმინდა ქალაქი იყო (ქალაქის სტრატეგიული მნიშვნელობა ყოველთვის ჩამორჩებოდა მისსავე რელიგიურ მნიშვნელობას), მას განუწყვეტლივ: „ათავისუფლებდნენ“ რელიგიური საბაბით. „გათავისუფლების აქციას“ საერო ხელისუფალი ახორციელებდა, რასაც დიდი სისხლისღვრა სდევდა თან. [9]

ძვ. წ. XI საუკუნეში მეფე დავითი იერუსალიმს იებუსელებისაგან ათავისუფლებდა; ბაბილონელები (ძვ. წ. 586 წ.) – იუდეველებისაგან, ხოლო სპარსელები (ძვ. წ. 538 წ.) – ბაბილონელებისაგან; იუდეველი მაკაბელები (ძვ. წ. 142 წ.) – წარმართი ელინებისაგან; რომაელები (ახ. წ. 70 წ. და 135წ.) – მეამბოხე იუდეველებისაგან; ზოროასტრი ირანელები (614 წ.) – ქრისტიანი ბიზანტიელებისაგან; მუსლიმი არაბები (638 წ.) – იმავე ბიზანტიელებისაგან; ქრისტიანი ჯვაროსნები (1099 წ.) – მუსლიმებისაგან (სხვათა შორის, კათოლიკე ჯვაროსნებმა მახვილს მისცეს არა მარტო

[9] გაჩეჩილაძე, რევაზ. ახლო აღმოსავლეთი: სივრცე, ხალხი და პოლიტიკა. თბილისი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2011 (მესამე გამოცემა) გაჩეჩილაძე, გვ.183-185

დამარცხებული მუსლიმები, არამედ ადგილობრივი მართლმადიდებლებიცა და ებრაელებიც); მუსლიმი სალაჰ-ად-დინი (სალადინი; 1187 წ.) – ქრისტიანი ჯვაროსნებისაგან; ოსმალეთის სულთანი სელიმ იავუზი (1516 წ.) – მამლუქებისაგან; ინგლისელები (1917 წ.) – ოსმალებისაგან.

ებრაული იატაკქვეშა ორგანიზაციები 1945-48 წლებში ბრიტანელებისაგან ათავისუფლებდნენ იერუსალიმს. ახალშექმნილ ისრაელის სახელმწიფოსა და არაბულ ქვეყნებს შორის 1948-1949 წლებში წარმოებული ომის შედეგად იორდანიას დარჩა იერუსალიმის „ძველი ქალაქი“, ის, რაც ებრაელთათვის ასე ფასობდა სიწმინდის გამო – მათი „დასავლეთი კედელი“, იგივე „გოდების კედელი“.

1967 წელს ძველი იერუსალიმი ისრაელმა გაათავისუფლა იორდანიელებისაგან. ახლა უკვე პალესტინელი არაბები ისახავენ თავიანთ მიზნად „ალ-კუდსის განთავისუფლებას სიონისტებისაგან“. 1967 წლიდან ისრაელის სახელმწიფო, როგორც მისი ოპონენტები მიიჩნევენ – manu militari-ით, ანუ სამხედრო ძალით, ფლობს იერუსალიმს. მაგრამ უშუალოდ ხარ ჰა-ბაით/ალ-ჰარამ აშ-შარიფის ტერიტორია (14,4 ჰექტარი) ვაკფ*-ია, რომლის მეურვე (1990-იანი წლებიდან – პალესტინის ადმინისტრაცია, იქამდე – იორდანიის მეფე) არ ემორჩილება ისრაელის საერო ხელისუფლებას.[10]

მუსლიმებსა და იუდეველებს, ერთსა და იმავე წმინდა ადგილზე აქვთ პრეტენზია, რაც თითქმის უიმედოს ხდის მათ შორის მორიგების ყველა მცდელობას.

ორი რელიგიისათვის წმინდა ადგილის გეოგრაფიული თანხვედრა, რასაკვირველია, იდეოლოგიურ დაპირისპირებას ქმნის და ვერავითარმა ეკონომიკურმა გარიგებამ (კომპენსაცია და ა.შ.) ვერ შეძლო მისი გადაჭრა.

[10] Brown L. Carl "Religion and State: The Muslim Approach to Politics" Paperback: – September 15, 2001

რელიგიური დავა ერთი და იმავე ადგილისათვის პოლიტიკურ და სამხედრო დაპირისპირებაში შეიძლება გადაიზარდოს. იმავე **ჰარ ჰა-ბაით/ალ-ჰარამ აშ-შარიფის** მაგალითი გვარწმუნებს ამაში. მოლაპარაკების დროს, რომელიც პალესტინა-ისრაელის კონფლიქტის მოსაგვარებლად აშშ-ის პრეზიდენტ კლინტონის შუამავლობით მიმდინარეობდა კემპ-დევიდში 2000 წელს, ერთ-ერთი დაუძლეველი ბარიერი აღმოჩნდა იმაზე შეთანხმება, თუ ვინ უნდა ფლობდეს de jure ზემოხსენებულ „ტაძრის მთას“. ზოგი მიმომხილველი კი ამტკიცებს, რომ პრობლემა იყო, თუ ვინ უნდა განაგებდეს „ტაძრის მთის“ მიწისქვეშეთს და მსჯელობდნენ ე.წ. „ვერტიკალური სუვერენიტეტის“ შესახებაც კი: „ტაძრის მთის“ ქვედა ფენა, ჰეროდეს დროინდელი კედლის ნაშთებამდე, ებრაელებს უნდა დაჰქვემდებარებოდა, ზედა ფენა კი, არაბების, მამლუქებისა და ოსმალების დროს ნაგები – პალესტინელებს! სამწუხაროდ, ეს დავა სულაც არ იყო აზრთა გაცვლა-გამოცვლა რელიგიურ-ფილოსოფიურ თემებზე. როდესაც ზემოხსენებული მოლაპარაკება იმავე 2000 წელს ჩაიშალა, იგივე ადგილი („ტაძრის მთა“) იქცა პალესტინელთა მეორე აჯანყების, ე.წ. „ალ-აკსას ინთიფადის“ სიმბოლოდ. ამისათვის საბაბი შექმნა 2000 წლის 28 სექტემბერს ისრაელის ოპოზიციის იმდროინდელი ლიდერის (მომავალი პრემიერ-მინისტრის) **არიელ შარონის** (მისი თვალსაზრისით – გაცნობითმა, ხოლო პალესტინელების თვალსაზრისით – პროვოკაციულმა) ასვლისას „ტაძრის მთაზე“ და იქ მდებარე მუსლიმთა ერთ-ერთ უდიდეს სალოცავთან – **ალ-აკსას მიზგითთან** – მისვლისას. შარონი იქ დიდი რაოდენობით პოლიციელთა თანხლებით, მაგრამ ვაკფ-ის მეურვეების ფორმალური ნებართვის გარეშე იმყოფებოდა. ამას მოჰყვა პალესტინელთა ხმაურიანი პროტესტი, ჯერ – ქვების, მერე – ტყვიის სროლა, 193 დახოცილი. პალესტინელთა აჯანყება მხოლოდ 2005 წელს დამთავრდა, მაგრამ კონფლიქტი ჯერაც არ დასრულებულა და, სამწუხაროდ, საამისო პერსპექტივა არც უჩანს.

იერუსალიმის მაგალითზე იკვეთება, რომ წმინდა ადგილის მნიშვნელობა პოლიტიკაში ხანდახან არანაკლებ ანგარიშგასაწევია, ვიდრე ისეთი ტერიტორიისა, რომელსაც ძირითადად ეკონომიკური ან სამხედრო-სტრატეგიული დატვირთვა ეძლევა. უფრო მეტიც, წმინდა ადგილის შემთხვევაში კომპრომისის მიღწევა თითქმის შეუძლებელია. [11]

1947 წლიდან, გაეროს გადაწყვეტილებით, იერუსალიმი გამოცხადდა დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ ერთეულად, რომელიც მხოლოდ მას ემორჩილებოდა. 1948-1949 წლებში არაბ-ისრაელელთა ომის დროს, იერუსალიმი ორად გაიყო: მისი აღმოსავლეთი ნაწილი იორდანიას გადაეცა, ხოლო დასავლეთი _ ისრაელს.

1950 წელს ისრაელის მთავრობამ გაეროს გადაწყვეტილების საწინააღმდეგოდ იერუსალიმი ისრაელის დედაქალაქად გამოაცხადა და ამის შემდეგ აღმოსავლეთი ნაწილიც შეიერთა[12]. ამის გამო ისრაელსა და პალესტინას შორის დღემდე მოუგვარებელი კონფლიქტია.

მსოფლიოს არაერთი ქვეყანა ცდილობს ამ დაპირისპირების მშვიდობიანი გზით გადაჭრას, ისეთი გზის პოვნას, რომელიც ორივე მხარეს დააკმაყოფილებს. ნაშრომში თანმიმდევრობით არის მოცემული აქტიური და ფასილიტატორი ქვეყნების ჩართულობა.

აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი, დონალდ ტრამპი თავის სიტყვაში აცხადებდა: „მოვიდა დრო, იერუსალიმი ოფიციალურად იყოს აღიარებული ისრაელის დედაქალაქად“. მან ასევე განკარგულება მისცა აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტს ისრაელში აშშ-ის საელჩოს თელ-ავივიდან იერუსალიმში გადატანის თაობაზე.

„იერუსალიმი იყო და უნდა დარჩეს იმ ადგილად, სადაც ებრაელები გოდების კედელთან, მუსლიმები _ „ალ-აქსას“ მეჩეთთან, ხოლო

---

[11] გაჩეჩილაძე, რევაზ. ახლო აღმოსავლეთი: სივრცე, ხალხი და პოლიტიკა. თბილისი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2011 (მესამე გამოცემა), გვ.175-180

[12] სანიკიძე გ., ნახუცრიშვილი ნ., „თანამედროვე ახლო აღმოსავლეთი“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2013. გვ 10-14

ქრისტიანები ქრისტეს საფლავის ტაძარში ლოცულობენ. მაგრამ იერუსალიმი ისრაელის დედაქალაქია. ეს ფაქტია და ის უნდა ვაღიაროთ, რასაც მე ვაკეთებ“, _ განაცხადა ტრამპმა.

ფაქტი ის არის, რომ ამან კიდევ უფრო გააღრმავა კონფლიქტი ისრაელსა და პალესტინას შორის, რადგან არა მარტო პალესტინელებისათვის, არამედ მთლიანად არაბებისა და ისლამური სამყაროსათვისაც მიუღებელია იერუსალიმის ისრაელის დედაქალაქად გამოცხადება. ამ პროცესმა კიდევ უფრო მეტი რადიკალიზაცია და სისხლისღვრა გამოიწვია და კონფლიქტის მოგვარება გააჭიანურა.

საერთო წმინდა ადგილების ექსკლუზიურად ფლობის სურვილი კონფლიქტის აღმოფხვრასა და კომპრომისის მიღწევას ძალიან ართულებს. თუმცა ამავე დროს საერთო წინაპარი და რელიგიური სიწმინდეები, ვფიქრობთ, შეთანხმებასა და კონფლიქტის მოგვარებას შეუწყობს ხელს. ასევე, საგულისხმოა ის ფაქტი, რომ შესაძლებელია ეს მიზეზები სხვა ძალების უხეშად ჩარევის გარეშე არსებული უთანხმოების არათუ გამწვავების, არამედ პრობლემის გადაჭრის მიზეზიც გახდეს.

ჩვენი კვლევა სწორედ ამ მიმართულებით წარვმართეთ და შევეცადეთ ჩვენეული ხედვა წარმოგვედგინა იმასთან დაკავშირებით, თუ „რა როლი აქვს საერთო წარმომავლობას რელიგიური კონფლიქტის როგორც მოგვარებაში, ისე გამწვავებაში“. მოვლენები ხშირად არაპროგნოზირებადი და ცვალებადია. ამის დასტურია ის ფაქტებიც, რომ თემაზე მუშაობის პერიოდში სიტუაცია არაერთხელ შეიცვალა[13].

[13] გაჩეჩილაძე რ.- „ახლო აღმოსავლეთი“, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი, 2019. გვ. 427-431

თავი II არაბ-ებრაული ტერიტორიების გადანაწილება და კონფლიქტის გაღრმავება

2.1. „თეთრი წიგნი“ და კონფლიქტის ახალი ეტაპის დასაწყისი

გასული საუკუნის ოციანი წლებიდან, რაც უფრო ძლიერდებოდა ებრაელთა რეპატრიაციის პროცესი, მით უფრო მატულობდა უკმაყოფილება და დაუფარავი სიძულვილი არაბ მოსახლეობაში ებრაელებისადმი. ამ პერიოდში მათ შორის ურთიერთობა განსაკუთრებულად დაიძაბა.

1929 წელს ქალაქ ხებრონში არაბებმა მასობრივი არეულობა და კაცთა კვლა მოაწყეს. ისინი გოდების კედელთან მლოცველ ებრაელებს თავს დაესხნენ, დაარბიეს სინაგოგები, დაწვეს იუდეველთა წმინდა წიგნები, ამ დროს ინგლისელი ჯარისკაცები მაქსიმალურად, თუმცა ამაოდ ცდილობდნენ მათ დაცვას. არაბთა მხრიდან ასეთი მწვავე რეაქცია განპირობებული იყო იმ პროვოკაციულად გავრცელებული ბოროტი ხმებით, თითქოს ებრაელები ალ აქსას მეჩეთის დანგრევასა და მის ადგილზე იერუსალიმის ახალი ტაძრის აგებას აპირებდნენ. ამიტომაც გაისმოდა მოწოდებები ჯიჰადისკენ (ურჯულოთა წინააღმდეგ ომის წამოწყება). სწორედ ამ პერიოდში ჩამოყალიბდა ებრაული სააგენტო, რომელშიც უნდა შესულიყვნენ როგორც სიონისტები, ისე არასიონისტებიც. ებრაული სააგენტოს („სოხნუთი“) სააგენტოს მიზანი „სამანდატო პალესტინაში“ კვლავაც ებრაელთა რეპატრიაცია, მათი მოწყობა, ფინანსების მოზიდვა და მიწების შესყიდვა ე.წ. ებრაელთა დასახლების გაზრდა იყო.

1929 წლის აგვისტოში ციურიხში გამართულ სსო-ს /*საერთაშორისო სიონისტური მოძრაობა/* მე-16 კონგრესს, სადაც აღნიშნული საკითხები განიხილებოდა, არაბული სამყარო თვალყურს გაფაციცებით ადევნებდა, რადგან შესაძლოა ეს შეკრება არაბთა პალესტინიდან განსადევნად იყო მოწვეული.

იერუსალიმში დაწყებული ტერორი კი მთელ პალესტინას მოედო. კაცთაკვლამ ჰებრონში საშინელი სახე მიიღო; დაღუპულთა შორის 133

ებრაელი იყო, ხოლო დაჭრილი _ 339.[14] ინგლისელმა ჯარისკაცებმა შეტაკებისას 102 არაბი მოკლეს, მათგან 852 კი ებრაელებზე თავდასხმისას დაიღუპა.

ბრიტანელები არაბულმა ბუნტმა ისე დააფრთხო, რომ კოლონიების მინისტრმა ლორდ პასფილდმა ანტიებრაული ღონისძიებების სრული კასკადი წამოიწყო.

1930 წელი განსაკუთრებულად რთული აღმოჩნდა ებრაელთათვის. სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის სიონიზმის მიერ გაწეული შრომა ჯერჯერობით გამარჯვებით არ სრულდებოდა. ინგლისის არაბული ბუნტის მიზეზთა შემსწავლელი კომისია უარს ამბობს „ბალფურის დეკლარაციის“ პრინციპებზე, მეტიც, საუბარი იყო პალესტინაში ებრაელთა რეპატრიაციის შემცირებასა და ებრაელთა მიერ ისტორიულ სამშობლოში მიწის შესყიდვის საკითხზე. ეს ყველაფერი მკაფიოდ გაიწერა 1930 წლის ოქტომბერში, ლორდ პასფილდის მიერ გამოქვეყნებულ „თეთრ წიგნში“.

„თეთრი წიგნის“ სახით სიონისტური მოძრაობა უმძიმესი დარტყმის ქვეშ მოექცა. ბრიტანეთმა არაბებსა და ებრაელებს შორის დაპირისპირების ჩაცხრობის მიზნით პალესტინაში ებრაელთა სახელმწიფოებრიობის აღდგენაზე უარი განაცხადა. ასეთმა დამოკიდებულებამ და მიდგომამ ებრაული სამყაროს დიდი შფოთვა და მღელვარება გამოიწვია იმ მასშტაბით, რომ ბრიტანეთის ლეიბორისტული ხელისუფლებაც კი დეზორიენტირდა.

ამ პერიოდისათვის ვითარება შემდეგნაირად წარიმართა. ხაიმ ვეიცმანი პროტესტის ნიშნად ებრაული სააგენტოს თავმჯდომარეობიდან გადადგა. ამავე დროს ბენგურიონი ინგლისელების წინააღმდეგ მწვავე მოწოდებებით გამოვიდა, თუმცა მისი ნარატივი სიონისტებმა არათუ გაიზიარეს, არამედ დაგმეს და დაუპირისპირდნენ კიდეც. მიუხედავად ამისა, „თეთრი წიგნი“ მათთვისაც მიუღებელი აღმოჩნდა. მოგვიანებით კი

[14] ბათიაშვილი გ. „დავით ბენ გურიონი“, გამომცემლობა „პალიტრა L“, თბილისი, 2018. გვ.102-105

შეიქმნა მსოფლიო სოციალისტური სიონისტური ორგანიზაცია და 1930 წლის 27 სექტემბერს ბერლინში 19 სახელმწიფოს 196-მა დელეგატმა მოიყარა თავი, სადაც ბენ გურიონი სიტყვით გამოვიდა და განაცხადა, რომ მათი შეკრების მიზანი არა კრიზისი, არამედ გამარჯვებაა.

პალესტინის ებრაელი მოსახლეობის ნეგატიურმა დამოკიდებულებამ მაკდონალდსის მთავრობა აიძულა გადაეხედა „თეთრი წიგნისათვის“ და მასში შემავალ ზოგიერთ პუნქტზე უარი განეცხადებინა ისე, რომ არ შელახულიყო ინგლისის ღირსება. მასში ხაზგასმით იყო აღნიშნული ის ფაქტი, რომ იმიგრაცია და მიწების შესყიდვა და ახალი დასახლებების შექმნა ებრაელთათვის არ იქნებოდა აკრძალული[15].

ლონდონს, როგორც ჩანს, თავიდან იმედი ჰქონდა რომ პალესტინაში ებრაული იმიგრაციის წახალისებით, გარკვეულად დააბალანსებდა არაბი ლიდერების მისწრაფებას _ შეექმნათ ერთიანი არაბული სახელმწიფო. ასეთი სახელმწიფოს შექმნა ლონდონის ინტერესებში არ შედიოდა, ამიტომაც შეუწყო მან ხელი იორდანიასა და ერაყში სხვადასხვა სახელმწიფოს შექმნას და იქ ჰაშიმიანთა საგვარეულოს ორი შტოს გაბატონებას, რომლებიც მექადან განდევნა მეტოქე საუდიანთა საგვარეულომ.

I მსოფლიო ომისდროინდელ ლონდონში, სადაც პალესტინის ბედი წყდებოდა, პოლიტიკოსები, სიონისტურ ოცნებას _ შეექმნათ საკუთარი სახელმწიფო პალესტინაში, როგორც ჩანს სერიოზულად ვერ აღიქვამდნენ.[16]

თუმცა ებრაულ და ინგლისურ პოლიტიკურ სპექტრს შორის დამაკავშირებელი ხიდი უკვე ჩატეხილი იყო. აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ინგლისელთა მიერ ნდობით აღჭურვილი ხაიმ ვაიცმანის ავტორიტეტიც მკვეთრად დაეცა.

---

[15] ბარ-ზოხარი მ. „ბენ-გურიონი“, გამომცემლობა“დელაკორტ პრესი“, თელ-ავივი, 1989 Ben-Gurion, by Michael Bar-Zohar, publisher Delacorte Press, 2013. გვ.107-110

[16] გაჩეჩილაძე რ. „ახლო აღმოსავლეთი“, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი, 2019. ტ.II გვ.215-217

ლონდონში, პრემიერ-მინისტრის კაბინეტში, წარმოებული მოლაპარაკებებისას, რომელსაც ესწრებოდნენ: ბენგურიონი, ნიმეირი და სსო-ს პოლიტიკური სექციის მდივანი არაბებისა და ებრაელების მხრიდან პალესტინის პარიტეტულად მართვის საკითხი წამოიჭრა. ბენგურიონი ითხოვდა თანაბარუფლებიანობას, როგორც პოლიტიკურ, ისე სამეურნეო საკითხებში. პალესტინის თანაბრად მართვის საკითხი არა მხოლოდ პალესტინაში მცხოვრებ ებრაელთა, არამედ მსოფლიოში მიმოფანტული ყველა ებრაელის მოთხოვნა იყო, რადგან პალესტინა ყველა ებრაელისაა, სადაც არ უნდა ცხოვრობდეს ის. მაკდონალდი ბენგურიონის ამ მოსაზრებას დაეთანხმა, ამასთანავე პარიტეტულობის პრინციპის განსაზღვრება შემდეგნაირად განმარტა: *„ეს პრინციპი გაგებულ უნდა იქნას ებრაელობის სასარგებლოდ. პალესტინაზე ჩვენი მანდატი გახლავთ, ებრაელებს მივცეთ არა ის, რაც არაბებს აქვთ, არამედ უფრო მეტი“*[17].

პალესტინაში ებრაელების დასახლებისკენ მოწოდებებში პირველი სიონისტები იყენებდნენ მოხდენილ ფორმულას „ხალხი მიწის გარეშე, მიწა ხალხის გარეშე“. თუმცა, სამწუხაროდ, არასწორ ინფორმაციას ეყრდნობოდნენ: პალესტინა არ იყო „მიწა ხალხის გარეშე“.

1930-1936 წლებში პალესტინის ებრაელი მოსახლეობა ორჯერ გაიზარდა, რამაც სსო-ს მუშაობის გარდაქმნა განაპირობა. პარალელურად მიმდინარეობდა მუშაობა ლტოლვილებისათვის მდგომარეობის შემსუბუქებაზე. ამ გარემოებამ, კონკურენტი სიონისტი ლიდერები: ბენ გურიონი და ზეევ ჟაბოტინსკი ერთმანეთთან კიდევ უფრო დააკავშირა, მიუხედავად მათი იდეოლოგიური განსხვავებისა, ორივე მათგანი, საერთო მიზნის მისაღწევად საკუთარ ძალთა გაერთიანებას აუცილებლად მიიჩნევდა.

საერთაშორისო სიონისტური მოძრაობის რანგით მეორე პირი, ბენ გურიონი, რომელიც კონგრესის თავმჯდომარედ მეორედ აირჩიეს,

[17] ბათიაშვილი გ._ „დავით ბენ გურიონი“, გამომცემლობა „პალიტრა L”, თბილისი, 2018. გვ.115-117

გრანდიოზულ გეგმას ისახავდა მიზნად _ პალესტინის ებრაელი მოსახლეობის გაზრდა მილიონამდე; რეპატრიანტების მოზიდვა გერმანიიდან და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან. ამისათვის საჭირო იყო: ძლიერი საერთაშორისო სიონისტური ორგანიზაცია, აშშ-ის ებრაელობის ფინანსური დონაცია და ინგლისის ხელისუფლების კეთილგანწყობა.

დაიწყო დასახული მიზნის განსახორციელებლად საჭირო ოპერაციების დაგეგმვა. სსო-ს ცენტრი არა ლონდონში, არამედ იერუსალიმში უნდა გადასულიყო. თუმცა პარალელურად მიმდინარეობდა მუშაობა პალესტინელ მოღვაწეებთან კარგი ურთიერთობის შესანარჩუნებლად, რადგან ებრაელებს რეპატრიაციის შემდგომ ყველაფრის გაკეთება თვითნებურად, პალესტინაში არაბთათვის ანგარიშგაუწევლად არ შეეძლოთ. 1934 წელს მოლაპარაკება გაიმართა მუსა ალიამსა (მდიდარი მიწათმფლობელი და არაბებს შორის დიდად პატივცემული პიროვნება) და ბენ გურიონს შორის. ებრაელების მიერ მიწების შესყიდვის პროცესი, საკმაოდ დიდ პრობლემასა და უკმაყოფილებას იწვევდა არაბ მოსახლეობაში. ცდილობდნენ, მოლაპარაკება პრაგმატულ ჩარჩოებში წარემართათ. იმ შემთხვევაში, თუ არაბი მოსახლეობა შეეცდებოდა ურთიერთობის ნორმალიზებას, ებრაული მხარე დახმარებას აღუთქვამდა მათ სოფლის მეურნეობისა და ფინანსურ სფეროში. თუმცა პალესტინელი არაბები ძალიან ფრთხილობდნენ, რადგან ისინი ფიქრობდნენ, რომ ებრაელები „ალ აქსას“ მეჩეთის დანგრევასა და ახალი ტაძრის აგებას ცდილობდნენ. ასევე, წუხდნენ დემოგრაფიულ საკითხზეც, თუმცა ებრაელები ირწმუნებოდნენ, რომ მილიონობით არაბს შორის, ისინი მაინც უმცირესობაში იქნებოდნენ. გრძელდებოდა არაბებთან მუდმივი შეხვედრები და ასევე საუბარი მიდიოდა ფედერაციის შექმნის საკითხზე, როგორი კუთხითაც უნდა დასმულიყო საკითხი ებრაელთა კერის შექმნის თაობაზე, პასუხი იყო მხოლოდ ერთი _ არა!

1936 წლის აპრილის თვეში ქალაქ იაფოს ქუჩებში დაიწყო ებრაელთა მასობრივი დევნა და ხოცვა. არაბთა აჯანყებამ თითქმის 3 წელიწადს გასტანა და მათი ყოველი ბუნტის შემდეგ ინგლისელთა სამანდატო ხელისუფლება ებრაელთა იმიგრაციას ზღუდავდა. თუმცა, მიუხედავად ამ ფაქტისა, სიონისტები მაინც ცდილობდა ბრიტანეთთან ურთიერთობის ბალანსსა და ნორმალიზებას. რადგან მიიჩნევდა, რომ ინგლისი იყო ის ერთადერთი ძალა, რომელსაც შეეძლო სისხლისღვრის შეჩერება. ამიტომ ხსნას ისევ ლონდონში ეძებდა. ბენ გურიონი და ვაიცმანი, ბრიტანეთის დედაქალაქის უმაღლეს წრეებში შეხვედრებს ერთობლივად მართავდნენ, კითხულობდნენ ლექციებს, ეწეოდნენ საზოგადო მოღვაწეობას ებრაელთა ისტორიისა და სიონისტური მოძრაობის ცნობადობის გასაზრდელად. ამ ტანდემის დაუღალავმა შრომამ შედეგი გამოიღო _ საპარლამენტო დებატებისას, პროსიონისტური ტენდენცია იკვეთებოდა. პრესაშიც იგივე სულისკვეთების სტატიები ჩნდებოდა. პალესტინაში, არაბთა საყოველთაო გაფიცვა, ებრაელობამ სათავისოდ გამოიყენა და მიიჩნია, რომ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ყველა რგოლი, ებრაელთა ხელში უნდა გადასულიყო. ეს იდეა პალესტინაში ებრაულმა მოსახლეობამ მალევე აიტაცა და ყველა სასიცოცხლო და საკვანძო მნიშვნელობის ობიექტი შეუფერხებლად აამუშავა და შესაბამისად ეს ყველაფერი ებრაელთა ხელში გადავიდა. აქვე წამოიჭრა თელ-ავივში პორტის მშენებლობის საკითხიც, რაც დამატებით მუშახელს საჭიროებდა, ამიტომ სამანდატო ხელისუფლება იძულებული გახდა იმიგრაციის კვოტა გაეზარდა, ამით კი არაბები მასობრივი უმუშევრობის საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ.

ამის შედეგად ლორდ ფილე 1936 წლის ნოემბერში ინგლისის პარლამენტის კომისიის წევრებთან ერთად პალესტინაში ჩავიდა და ადგილზე შეისწავლა იქ გამძვინვარებული უკმაყოფილებისა და მასობრივი გაფიცვების მიზეზები. ამასთან დაკავშირებით არსებობდა გარკვეული შიშები ებრაელთა მხრიდან, რომ ბრიტანეთს ებრაელთა იმიგრაცია არ შეეზღუდა, თუმცა მოვლენები სრულიად საპირისპირო მიმართულებით

განვითარდა: კომისიის ერთ-ერთმა წევრმა, სერ სტაფორდ კრიპლისმა საკითხი შემდეგნაირად დააყენა _ პალესტინაში უნდა შექმნილიყო ებრაელთა და არაბთა სახელმწიფოები, რაც საკმაოდ აღმაფრთოვანებელი ინიციატივა იყო. ხაიმ ვაიცმანს სურდა ევროპის ქვეყნებიდან ებრაელთა მაქსიმალური რაოდენობა გადმოსულიყო. ამჯერად ვაიცმანისა და ბენ გურიონის მჭიდრო თანამშრომლობა შედგა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ლორდ პილის კომისია დაეთანხმა კრიპლის წინადადებას პალესტინაში ორი სახელმწიფოს შექმნის თაობაზე. აქვე მოინიშნა ისრაელის, როგორც მომავალი სახელმწიფოს, საზღვრები. უფრო დაზუსტებით კი ზემო და ქვემო გალილეა, ისრაელის ველი, იორდანეს ველის ნაწილი და ზღვისპირეთი. ეს ის ტერიტორიაა, რომელიც დღევანდელი ისრაელის დასავლეთ ნაწილის მეოთხედ ტერიტორიას მოიცავდა, სადაც იმ დროს ცხოვრობდა 258 000 ებრაელი და 225 000 არაბი. სამანდატო პალესტინის დანარჩენი უზარმაზარი ტერიტორია კი არაბებს დარჩებოდათ. დიდმა ბრიტანეთმა თავისთვის დაიტოვა „სამანდატო მფარველობაში მყოფი ტერიტორიის“ გარკვეული ნაწილი ანკლავად[18].

პილის კომისიის ძირითადი პრინციპები საკმარისად მისაღები აღმოჩნდა ებრაელებისათვის, თუმცა უკიდურესად მიუღებელი _ როგორც მემარცხენეთათვის, ასევე მემარჯვენეთათვის. რელიგიური პარტიები კი მას ძველი აღთქმის დოგმატების მიხედვით აპროტესტებდნენ, რადგან ისინი მიიჩნევდნენ, რომ პალესტინა არ უნდა გაყოფილიყო და ებრაელთა სახელმწიფო საუკუნეების წინანდელ პირვანდელ ჩარჩოში უნდა აღდგენილიყო. მათი პროტესტი გამოწვეული იყო იმით, რომ ის არ უნდა გაენაწილებინათ დამპყრობელთან (კერძოდ, არაბებთან).

აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ფილის კომისიის მიხედვით, ებრაელობას პალესტინის ტერიტორიის მიზერული ნაწილი რჩებოდა, რაც მათი კუთვნილი ტერიტორიის ნახევარიც არ იყო. მიუხედავად ამ ფაქტისა,

---

[18] მეიერი გ._ „ჩემი ცხოვრება“, გამომცემლობა „დელ ბუქსი”, თელ-ავივი, 1975. გვ. 199-122
“My Life” by Golda Meir, Publisher Dell Books, Tel aviv, 1975. pp.199-122

მთავარი იყო ებრაელთა სახელმწიფოს შექმნა, რადგან მოვლენათა შემდგომი განვითარება აბსოლუტურად იქნებოდა დამოკიდებული სახელმწიფოს მეთაურთა კეთილგონიერებაზე.

პალესტინაში ორი სახელმწიფოს არსებობის იდეას არც არაბი მოსახლეობა იზიარებდა. ის „ბალფურის დეკლარაციის“ უარყოფას მოითხოვდა და ბრიტანეთს ემუქრებოდა _ თუ ის პალესტინაში პოლიტიკას არ შეცვლიდა, არაბები ინგლისისადმი მტრულად განწყობილ ქვეყნებთან საერთო ენას გამონახავდნენ.

ბრიტანეთმა აღნიშნულ მუქარას ანგარიში გაუწია, იმიგრაცია თითქმის გააუქმა და შესაბამისი კვოტა დააწესა. ასევე, უკან გაიწვიეს სიონისტური მოძრაობის აქტიური მხარდამჭერი **არტურ უოკოპი.** მის ნაცვლად კი **სერ ჰეროლდ მაკმაიკლომი** გამოაგზავნეს, რომელსაც ბენ გურიონი, ინგლისის უმაღლეს კომისართა შორის ყველაზე უარყოფით ფიგურად მოიხსენიებდა. ამ უკანასკნელმა 1937 წლის დეკემბერში პალესტინის გაყოფის იდეაზე უარი განაცხადა, რაზეც ისრაელისაგან საპასუხო რეაქცია მიიღო. მან საჯაროდ უარყო ინგლისის მხარდაჭერა, ამასთანავე, გადავიდა საკუთარი სამხედრო ძალების გაძლიერებაზე, რათა აუცილებლობის შემთხვევაში ინგლისთან ომიც შესძლებოდა.

XX საუკუნის მეორე დეკადიდან არაბულ-ებრაულმა ურთიერთობამ მკვეთრი გაუარესება დაიწყო. სამანდატო პალესტინაში ევროპელი ებრაელების იმიგრაციის მზარდმა მასშტაბებმა _ არაბთა მრავალი ლოკალური კონფლიქტი, ხოლო 1936-1939 წლებში დიდი ანტიბრიტანული აჯანყებაც გამოიწვია.

ამიტომაც ინგლისის მთავრობამ სპეციალური კომისია შექმნა ლორდ რობერტ პილის თავმჯდომარეობით, რომელიც თავის „თეთრ წიგნში“ (1937წ.) მდგომარეობის განსამუხტად მანდატის დასრულების წინადადებით გამოვიდა. ასევე, პალესტინაში არაბული და ებრაული მოსახლეობის გამიჯვნისა და ინგლისის კონტროლქვეშ დასატოვებელი

მომცრო ზონისა (ქ. იერუსალიმი,ზღვაზე გასასვლელით ქალაქ იაფოში) და სამანდატო ტერიტორიის მომზადების იდეითაც, იქ ორი, ებრაული და არაბული სახელმწიფოს შესაქმნელად.

პილის კომისიის წინადადებები მიუღებელი აღმოჩნდა ორივე მხარისთვის, განსაკუთრებით კი არაბებისათვის. თუმცა ლონდონი მათ პალესტინის ტერიტორიის 60 პროცენტზე მეტს სთავაზობდა, ხოლო არაბები მთელ პალესტინას მოითხოვდნენ.

1939 წელის მაისში, ბრიტანეთის მთავრობამ გამოაქვეყნა მორიგი „თეთრი წიგნი“. იმავე წელს, ინგლისურ-არაბულ-ებრაული კონფერენცია, ინგლისის ხელისუფლების ორგანიზებით გაიმართა სენტ-ჯეიმსის სასახლეში, სადაც არაბებმა ებრაელებთან ერთად ერთ ოთახში მოლაპარაკება არ ისურვეს. ამიტომ ნევილ ჩემბერლენი, ინგლისის პრემიერ-მინისტრი, ორივე მხარესთან ცალ-ცალკე კაბინეტში აწარმოებდა მოლაპარაკებას.

აღნიშნულ კონფერენციაზე „ებრაულ სააგენტოსთან“ (სოხნუთ“) ერთად პალესტინელი არაბების, ეგვიპტის, საუდის არაბეთის, ტრანსიორდანიის, იემენის წარმომადგენლებიც იყვნენ მოწვეულნი, სადაც გამოაშკარავდა გეგმის საბოლოო მიზანი _10 წლის შემდეგ დამოუკიდებელი ერთიანი პალესტინის სახელმწიფოს შექმნა, ხოლო მიმდინარე ამოცანად _ ებრაული იმიგრაციის ისე შეზღუდვა (5 წლის განმავლობაში არა უმეტესს 75 ათასისა), რომ ებრაელთა რაოდენობას ქვეყნის საერთო მოსახლეობის 1/3 -სთვის არ გადაეჭარბებინა. ებრაელების მიერ მიწის შეძენა ზოგ რაიონში შეიზღუდა, ზოგან კი _ აიკრძალა.

შედეგად, ბრიტანული წინადადებები მიუღებელი აღმოჩნდა ებრაელთათვის და აღნიშნული შეხვედრები უშედეგოდ დასრულდა.

1939 წლის მაისში ბრიტანეთის მთავრობამ შემდგომი 5 წლის განმავლობაში პალესტინაში ებრაელთა რეპატრიაცია აკრძალა. ხოლო

მომავალში ეს მხოლოდ პალესტინელი არაბების თანხმობის შედეგად იქნებოდა შესაძლებელი.

ბრიტანეთმა, რომელიც გეგმავდა მომავალი ათი წლის განმავლობაში დამოუკიდებელი პალესტინის სახელმწიფოს შექმნას, ახლო აღმოსავლეთის არაბულ სახელმწიფოებთან კონსულტაციის შედეგად „თეთრ წიგნში“ ცვლილებები შეიტანა. ის დრამატულად განსხვავდებოდა მისი წინარე პოლიტიკისგან, განსაკუთრებით კი _ სიონისტებისადმი დამოკიდებულებისგან. ადრე ინგლისი ბიუროკრატიულად ნეიტრალური, ხოლო უკეთეს შემთხვევაში კი _ აშკარად მათი გულშემატკივარი იყო. ამ ტიპის პოლიტიკით ბრიტანეთი ცდილობდა, თავიდან აეცილებინა პალესტინელი არაბების რისხვა.

ლონდონის გეგმამ, გარკვეულწილად დააკმაყოფილა პალესტინელი არაბები, მათი აჯანყება ჩაცხრა, თუმცა არაბული ელიტის ანტიბრიტანული და ამის საპირისპიროდ, პროგერმანული განწყობა რთული დასამალი აღმოჩნდა. მაგრამ „თეთრმა წიგნმა“ გამოიწვია სიონისტების დიდი აღშფოთება: ნაციზმის წინსვლა ევროპაში და უკვე დაწყებული მისი ანტისემიტური ქმედებები დაუცველად და მიუსაფარად ტოვებდა მილიონობით ებრაელს. ამიტომაც, ისრაელის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ (1948 წლის 14 მაისი) მისივე მთავრობის ერთ-ერთი უპირველესი აქტი 1939 წლის „თეთრი წიგნით“ ებრაული იმიგრაციისთვის დაწესებული შეზღუდვების გაუქმება იყო. გაეროს სპეციალურმა კომისიამ წინასწარ მოინახულა პალესტინა და დაადგინა რომ ერთ სახელმწიფოში არაბებისა და ებრაელების თანაარსებობა შეუძლებელი იყო. შედგა პალესტინის გაყოფის გაეროს გეგმა: რაც გარკვეულწილად ემთხვეოდა „პილის კომისიის“ (1937 წ) რეკომენდაციებს: არსებითი სხვაობა ის იყო რომ პილის კომისია პალესტინის სამხრეთ ნაწილში მდებარე ნეგევის უდაბნოს მომავალი არაბული სახელმწიფოს შემადგენლობაში ტოვებდა, ხოლო გაეროს კომისია იმავე ტერიტორიას მომავალ ებრაულ სახელმწიფოს აძლევდა. პალესტინაში ებრაული სახელმწიფოს შექმნას, თითქმის

მსოფლიოს ქვეყნების უმეტეს ნაწილი უჭერდა მხარს, განსაკუთრებით კი _ აშშ, კანადა, ევროპისა და ლათინური ამერიკის ქვეყნები.

ამის შემდგომ, ორი თვის თავზე, ბრიტანეთმა ახალი, ანტისემიტური კანონებით გაჟღენთილი „თეთრი წიგნი“ გამოაქვეყნა. აქ უკვე ბენ გურიონის რეაქციამ არ დააყოვნა და სიონისტური მოძრაობის შემდგომ ეტაპად ძალისმიერ მეთოდზე გადასვლა დააანონსა. მისი ყურადღება მიიქცია ებრაელი ახალგაზრდების არაფორმალურმა დაჯგუფება „ჰაგანამ“, რომელსაც ინგლისელთა წინააღმდეგ შეტევა უნდა განეხორციელებინა. ამ გასაიდუმლოებული რაზმის მოქმედების იდეა, ებრაული საზოგადოების აზრთან და მის მოქმედებასთან თანხვედრილი იყო. მათი მიზანს არა მარტო ინგლისელთა წინააღმდეგ გალაშქრება, არამედ არაბი ტერორისტებისთვის სათანადო პასუხის გაცემა წარმოადგენდა.

ძირითადი პრობლემა მაინც არალეგალური რეპატრიაცია იყო, რადგან კვოტის მიუხედავად, პალესტინაში ებრაელთა ფარული შესვლა მაინც გრძელდებოდა. ხაიფას თუ იაფოს პორტში ძალზედ ხშირი იყო უკან გაბრუნების შემთხვევები, რომელთა უმეტესობას ტრაგიკული დასასრული ჰქონდა. ამიტომ შეიქმნა მალულად შემოსული რეპატრიანტების დაცვის რაზმი. ის სამანდატო ხელისუფლების იმ შენაერთებს უპირისპირდებოდა, რომლებიც ზღვიდან მალულად შემოსულ ებრაელებს უქმნიდნენ პრობლემებს. სამშობლოში დაბრუნების მსურველთა უმეტესობა საბოლოო ნავსაყუდელს ხშირად ხმელთაშუა ზღვაში პოვებდა, ხოლო გადარჩენილთ კი ორმხრივ ცეცხლში უწევდათ გადმოსვლა.

მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ებრაელთა ლიდერებს ბევრი აკრიტიკებდა სამშობლოში მათი დაბრუნების ასეთი მეთოდის გამო, ეს გზა კიდევ უფრო ამძაფრებდა „შინ“ ყოფნის სურვილს. როცა ბრიტანელები ღია ზღვიდან უკან აბრუნებდნენ რეპატრიანტებს, ბენ გურიონი დიდ აჟიოტაჟს ტეხდა პრესის მეშვეობით და მსოფლიოს აუწყებდა, თუ როგორ არაადამიანურად ეპყრობოდნენ ბრიტანელები ებრაელებს.

ამასობაში მსოფლიო რუკაზე სხვა რეალობა გამოიკვეთა _ გერმანია პოლონეთში შეიჭრა. „იარაღაღმართული ებრაელობა“ ინგლისისადმი დაუმორჩილებლობას გულისხმობდა, ხოლო ბრიტანეთი კი, თავის მხრივ, ფაშისტურ გერმანიას ებრძოდა. აქედან გამომდინარე, ბენ გურიონმა შემდეგი სტრატეგია შეიმუშავა: „ჰიტლერთან ომში ინგლისს ისე დავეხმაროთ, თითქოს „თეთრი წიგნი“ არც არსებობს, ხოლო „თეთრ წიგნს“ კი ისე ვებრძოლოთ, თითქოს ომი არ არის!“[19].

მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ებრაელობა საკუთარი არმიის შესაქმნელად ემზადებოდა. თუმცა ბრიტანეთის ჯარში ათასობით ებრაელი იბრძოდა ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ. სიონისტები კი პარალელურად მაინც ფიქრობდნენ ერთიანი ეროვნული ებრაული შენაერთის შექმნაზე, სადაც ბრძანებებიც კი ივრითზე გაიცემოდა და საკუთარი დროშის ქვეშ იბრძოლებდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ ებრაელებისთვის პალესტინის არაბულ და ებრაულ სახელმწიფოდ გაყოფა არახელსაყრელი და მიუღებელი იყო, ბრიტანელებისთვის მათი მხრიდან რაიმე ტიპის ძალადობრივი წინააღმდეგობის გაწევას ვერავინ ივარაუდებდა. ძირითადი საფრთხე არაბული ქვეყნებიდან იყო მოსალოდნელი, განსაკუთრებით კი პალესტინელი არაბებისგან.

ბრიტანეთი მიიჩნევდა, რომ მისი ინტერესები არაბებისა და ებრაელებისაზე მაღლა უნდა დამდგარიყო და, შესაბამისად, უნდა შეჩერებულიყო იდეალური გადაწყვეტილების ძიება. ხოლო ინგლისი მომდევნო ერთი-ორი წლის განმავლობაში უნდა კონცენტრირებულიყო პალესტინელი არაბების სტაბილურობასა და სიმშვიდეზე, სანამ ევროპული კრიზისი არ გადაივლიდა.

რაც შეეხება ებრაელებს, ინგლისელთა აზრით, ისინი თითქოს არავის სჭირდებოდა, მაგრამ მაინც მიიჩნევდნენ, რომ არ უნდა მიეტოვებინათ

[19] ბათიაშვილი გ. „დავით ბენგურიონი“, გამომცემლობა „პალიტრა L“, თბილისი, 2018. გვ.115-117

ებრაელები, რადგან ეს უკანასკნელნი 2000 წელი ელოდნენ „საკუთარ სახლს“. ბრიტანელები დარწმუნებული იყვნენ, რომ ებრაელებს ძალუძდათ ლოდინი მანამ, სანამ ინგლისელები არ გაუწვდიდნენ დახმარების ხელს, რათა ნებისმიერ ფასად მიეღოთ ის, რაც მათ ეკუთვნოდათ.

პალესტინაში, ებრაულ-არაბულ კონფერენციაზე, მაკდონალდმა მოკლე ვიზიტისას გაახმოვანა ბრიტანეთის ადმინისტრაციისა და სამხედრო ჩინოვნიკების მოსაზრებები. მან ასევე გამოთქვა აზრი შესაძლო და მიღწევად კომპრომისთან დაკავშირებით. თუმცა ბრიტანეთის მაღალჩინოსნის, მაკმიშელის მოსაზრებით, პალესტინის დაყოფის საკითხზე სამსჯელოდ მოლაპარაკების მაგიდას ებრაელებთან ერთად არცერთი არაბი არ მიუჯდებოდა. თუმცა, მისი აზრით, კარგი იქნებოდა პატარა ებრაული სახელმწიფოს დაარსება ამ სანაპირო ზოლის გასწვრივ, ბრიტანული მოდიფიცირებული მანდატის ქვეშ. ხოლო 5 წელიწადში მთლიანი პალესტინა, გარდა ამ ტერიტორიისა და ზოგიერთი ანკლავისა, ბრიტანეთის მუდმივი მანდატის ქვეშ იქნებოდა და არაბულ სახელმწიფოდ გადაკეთდებოდა. სხვა მაღალჩინოსნები კი მიიჩნევდნენ, რომ მანდატი აუცილებლად უნდა გაგრძელებულიყო. ორად გაყოფის პერსპექტივას ვერ ხედავდნენ.

ბრიტანეთის მთავრობის დამოკიდებულება სიონიზმისადმი უფრო მკაფიოდ გამოიხატა სამანდატო ხელისუფლების წარმომადგენლისა და ვეიცმანის შეხვედრის მერე.

მაკდონალდმა სიონისტების ლიდერს განუცხადა, რომ, სანამ პალესტინის გაყოფა საუკეთესო გადაწყვეტილებად მიიჩნეოდა, მასზე რამდენიმე ფაქტმა მოახდინა შთაბეჭდილება _ მნიშვნელოვანი არაბული უმცირესობის ებრაულ სახელმწიფოში ჩართვა სახიფათო ჩანდა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს სახელმწიფო გარშემორტყმული იყო ძლიერი არაბი მეზობლებით, რომლებიც თანაუგრძნობდნენ უმცირესობის მისწრაფებებს. ასევე, არსებობდა იტალიისა და გერმანიის მხრიდან არაბებისთვის მხარის დაჭერის საფრთხე. ასეთი სცენარის შემთხვევაში

კონფლიქტს დუალური სახე მიეცემოდა, რაც ასეთ სურათს იძლეოდა _ ერთი მხრივ, ებრაული ეროვნული „სახლის“ ჩამოყალიბება და, მეორე მხრივ, ძირძველი არაბების კეთილდღეობის ხელშეწყობა პალესტინაში. [20]

ვეიცმანისთვის ნათელი გახდა ის ფაქტი, რომ, თუკი ერთი წლის წინ, ბრიტანეთისთვის პალესტინის გაყოფის იდეა მისაღები იყო, ახლა უკვე ეს მას დიდ პრობლემას უქმნიდა. ერთი წლის შემდეგ გარემოება შეიცვალა, დაყოფის პოლიტიკას სამეფო კომისიის რეკომენდაციების საფუძველზე მხარს მხოლოდ მთავრობა უჭერდა, რადგან დაყოფაზე უარის თქმა არაბი ტერორისტების გამარჯვებად მიიჩნეოდა.

ვეიცმანის მრავალწლიანი კავშირები ინგლისის მთავრობის წარმომადგენლებთან შესაძლებელია ჩაითვალოს როგორც მის სუსტ, ასევე ძლიერ მხარედ. ის ბრიტანულ პოლიტიკურ წრეებში მიღებული პერსონა იყო. გააჩნდა საკმარისი ცოდნა, რამაც სიონისტებისთვის შეუფასებელ „აქტივად“ აქცია. თუმცა, ამავდროულად ამ ყველაფერმა მას წაართვა უნარი ბრიტანეთის მთავრობის წინააღმდეგ გამოსულიყო.

რაც შეეხება ბენ გურიონს, მას ბრიტანეთისადმი ამხელა ლოიალობა არ გააჩნდა. მან იცოდა, მაკდონალდთან არგუმენტირებისას რა აქცენტები უნდა გაეკეთებინა. ბენ გურიონი ვეიცმანის ინგლისთან ურთიერთობისას სისუსტეს ავლენდა.

ებრაელთა დელეგაციასთან პირველი შეხვედრისას ვეიცმანი დეტალურად იკვლევდა მათ კავშირს პალესტინასთან (განსაკუთრებით კი სამანდატო პოლიტიკის პროგრესის დროს, როდესაც საერთაშორისო შეთანხმების მიხედვით, ბრიტანეთს მორალური პასუხისმგებლობა ეკისრებოდა).

ვეიცმანი მაკდონალდსის გავლენას განიცდიდა. ეს უკანასკნელი კი მორალურ ვალდებულებას პალესტინელ არაბებთან მიმართებით ბრიტანეთს ჰკიდებდა. მისთვის ასევე ბალფურის დეკლარაცია ოდნავ

[20] The Historical Journal Vol. 16, No. 3 Published By: Cambridge University Press , 1973, pp. 571-577

ბუნდოვანი და გაურკვეველი იყო, თუმცა არაბებთან ებრაელთა უმცირესი ნაწილის უფლებების დაცვასა და, ამავე დროს, პალესტინაში, არაბების უფლებაზე ამახვილებდა ყურადღებას. ეს კი „გათიშე და იბატონეს“ მსუბუქ ვერსიად შეიძლება მივიჩნიოთ.

მაკდონალდსი გამუდმებით ამტკიცებდა, რომ ებრაელთა უფლებები პალესტინაში არაბი მოსახლეობის თანხმობით უნდა იყოს განპირობებული, მტკიცება, რომელიც, ფაქტობრივად, აბათილებს ბალფურის დეკლარაციას.

ერთი შეხედვით, მისი არგუმენტი უდავოდ უტყუარი ჩანდა, თუმცა რამდენად ადარდებდათ ბრიტანელებს არაბთა უფლებები? სიონისტები სამანდატო ხელისუფლების მიერ შემუშავებულ ტაქტიკას ნათლად ხედავდნენ. მათ სჯეროდათ, რომ ევროპაში მცირე ერებისთვის თვითგამოხატვის პროცესი დიდი ძალების ხელში მხოლოდ პროპაგანდის ინსტრუმენტი იყო.

მაკდონალდმა დაუყოვნებლივ წამოწია უფრო მკაცრი გეგმა „B“, რომელიც იმიგრაციის იგივე ტემპს ითვალისწინებდა, როგორიც გეგმა „A“, თუმცა ვეტო დაადო ებრაელთა შემდგომ იმიგრაციას და ხაზგასმით აღნიშნა ის ფაქტი, რომ მათი უმცირესობაში ყოფნა მუდმივი პროცესი არ უნდა ყოფილიყო. არაბთა ვეტო სიონისტებისთვის ერთგვარი სტიმულია, რომელმაც შესაძლოა არაბთა კეთილგანწყობაზე დადებითად იმუშაოს, რათა შემდგომი ემიგრაციისთვის თანხმობა მოიპოვონ.

1939 წელს სამანდატო ხელისუფლების მიერ გამოქვეყნებულ კანონში მითითებული იყო ებრაელთათვის მიწის რამდენი პროცენტის გაყიდვა იქნებოდა შესაძლებელი. მეტი სიზუსტისთვის პალესტინის ტერიტორია გაიყო 3 ნაწილად, ესენი იყო: „ა ზონა“, რომელშიც ქვეყნის საერთო ფართობის 65% შედიოდა და სადაც მიწის ყიდვა დასაშვები იყო მხოლოდ და მხოლოდ არაბებისათვის; „ბ ზონა“ _ ქვეყნის ტერიტორიის 30 %, აქაც ებრაელთათვის მიწის შესყიდვა იკრძალებოდა; მესამე ნაწილი კი „თავისუფალ ზონად“ გამოცხადდა. ამის შემდგომ ებრაელებმა სამანდატო

ხელისუფლების წინააღმდეგ შეიარაღებული გზით ბრძოლა გადაწყვიტეს. დაიწყო მასობრივი აქციები, მიტინგები, გაფიცვები, პოლიციასთან შეტაკებები. რამდენიმე ქალაქში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა. ეს არეულობა ფაშისტურ გერმანიას უფრო ხელსაყრელ სიტუაციაში ამყოფებდა.

ამ პერიოდისათვის ლონდონში პოლიტიკური კლიმატი შეიცვალა. ჩემბერლენის ხელისუფლება დაემხო, პრემიერად დაინიშნა უინსტონ ჩერჩილი, რომელიც ცნობილი იყო როგორც სიონიზმისადმი დადებითად განწყობილი ფიგურა. მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდგომ მსოფლიო რუკაზე ახალი წესრიგის შტრიხები მკაფიოდ გამოიკვეთა.

აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ებრაული სამხედრო შენაერთები ჰიტლერის რეჟიმის განადგურების წინააღმდეგ იყვნენ ჩართულნი ამ ბრძოლაში, ომის შემდგომ კი მათ მიზანს პალესტინაში დაფუძნება წარმოადგენდა. საჭიროების შემთხვევაში, ისინი სამანდატო ხელისუფლებასთან შებრძოლებასაც კი შეძლებდნენ, თუ ინგლისი ებრაული სახელმწიფოს შექმნას რაიმე ფორმით შეეწინააღმდეგებოდა. მიზანი _ მათი პალესტინიდან განდევნა იყო.

ომის შემდგომ კი აშკარა გახდა ის ფაქტი, რომ ბრიტანეთს ზესახელმწიფოს სტატუსის შენარჩუნება გაუჭირდებოდა, ამიტომ ებრაელებმა ძლიერი მფარველის ძიება ამერიკის შეერთებული შტატების სახით გადაწყვიტეს.

ვითარება ამ პერიოდისათვის საკმაოდ დინამიკური იყო. 1941 წლის 22 ივნისს ებრაელთა ლიდერისა და კოლონიების მინისტრის, ლორდ მაიანის შეხვედრისას საუბარი შედგა დასავლეთ გერმანიის ტერიტორიაზე ებრაელთა სახელმწიფოს შექმნაზე. მიზანი აღმოსავლეთ პრუსიიდან გერმანელების განდევნა და იქ ებრაელთა დასახლება იყო. აღნიშნული წინადადება ებრაელთათვის მიუღებელი აღმოჩნდა.

ამ პერიოდში მალევე გაიმართა სიონისტთა ყრილობა ნიუ-იორკში, სასტუმრო „ბილტმორში“, სადაც მკაფიოდ გაისმა ის თეზისები, რომელშიც საუბარი იყო ებრაელთათვის პალესტინის კარიბჭის ფართოდ გაღების თაობაზე.

1944 წლის 19 სექტემბერს ჩამოყალიბდა ებრაული ბრიგადა, რომელიც ბრიტანეთის არმიის შემადგენლობაში შედიოდა. ის ბრძოლისუნარიანობით მალევე გამოირჩა. ასევე, ბრიგადამ პალესტინაში არალეგალური იმიგრაციის საქმეს წარმატებით გაართვა თავი და „ბრიხას“ ოპერაციების შეუფერხებლად განხორციელებას უზრუნველყოფდა („ბრიხა“_ იატაკქვეშა ორგანიზაცია, რომელსაც ფარულად გადაჰყავდა ებრაელები ხმელთაშუა ზღვის პორტებში). ფარული ოპერაციების ჩატარება კი ნამდვილად აუცილებელი იყო, რადგან ინგლისი ებრაელთა იმიგრაციის სრულად განხორციელების უფლებას ჯერ კიდევ არ იძლეოდა.

აქვე შესაძლოა გაჩნდეს რიტორიკული შეკითხვა _ რამდენად შესაძლებელი იყო ჩერჩილს ამ ბრიგადის ფარული ზრახვების შესახებ რამე სცოდნოდა და მაინც მისცემდა თუ არა მას არსებობს უფლებას? აქვე შეიძლება სავარაუდო პასუხის გაცემაც _ ბრიგადის შექმნის მიზანი, ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლასთან ერთად, სიონიზმის დახმარებაც იყო. აქვე პარალელურად გამოითქვა საყვედური იმის გამო, რომ „თეთრი წიგნი“ გაუქმდა, თუმცა ომის მძიმე წლებში ასეთი ქმედება არაბული სამყაროს განაწყენებას გამოიწვევდა. შესაბამისად, ამის საპირწონედ შეიქმნა ებრაული ბრიგადა, რომელიც თავიანთი მიგრანტების გადაყვანით უდიდეს საქმეს აკეთებდა. ჩერჩილის მიერ გადადგმული ეს ნაბიჯები მის ფარულ სიონისტურ ზრახვებზე მიგვითითებს. აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ 1943 წელს, როცა ომი ჯერ კიდევ მძვინვარებდა, მან შექმნა საიდუმლო კომისია, რომელიც ისრაელის სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესებს შეისწავლიდა. ეს ყველაფერი ძალზე საიდუმლოდ ხდებოდა.

სამანდატო ხელისუფლების პოლიტიკით აღშფოთებული პალესტინის ებრაელობა, სიონისტებთან ერთად, საბრძოლო მოქმედებაზე

გადავიდა. სამხედრო დაჯგუფება „ეცელის“ მიზანი იყო გამარჯვებამდე ბრძოლა. ის ანტიინგლისურ ძალებთანაც თანამშრომლობდა და ტერორისტულ აქტებსაც არ ერიდებოდა. ეს ფაქტი კი სიონისტებისათვის დიდად მისაღები არ იყო.

პალესტინაში ტერორისტების აქტივობის თვალსაზრისით 1944 წელი განსაკუთრებით გამოირჩეოდა. მოსახლეობას ანტიინგლისური განწყობა ტალღასავით მოედო. ისმოდა ლოზუნგები და მოწოდებები _ „თავისუფლება ან სიკვდილი!“

აქვე უნდა აღინიშნოს ებრაელთა ლიდერების პოზიციაც. მენახიმ ბეგინი ბენ გურიონს კოორდინირებულ მოქმედებას სთავაზობდა, ხოლო ეს უკანასკნელი კი სასტიკად ეწინააღმდეგებოდა ტერორიზმს, რომლის განადგურებაც „პალმახის“ დახმარებით დაისახა მიზნად და საქმეც ბოლომდე მიიყვანა. ბეგინი კი „ეცელს“ თავშეკავებისკენ მოუწოდებდა[21].

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ კვლავ გრძელდებოდა ბრძოლა სახელმწიფოებრიობისათვის.

აქვე უნდა აღინიშნოს აშშ-ს პრეზიდენტის, ფრანკლინ რუზველტის ორმაგი თამაშის წესები. მან გააჟღერა იალტის კონფერენციის შეთანხმება, სადაც თითქოს აშშ, ბრიტანეთი და სსრკ პალესტინაში ებრაელთა იმიგრაციის გაძლიერებაზე შეთანხმდნენ. სინამდვილეში კი მსგავსი მასალები არ მოიპოვებოდა. არსებობს მისი მიმოწერა არაბ ლიდერებთან, სადაც უდასტურებს იმ ფაქტს, რომ ის არასოდეს მიიღებდა ისეთ გადაწყვეტილებას, რაც არაბ მოსახლეობას აღაშფოთებდა. სამწუხაროდ, ჩერჩილის დაპირება _ პალესტინის გაყოფასა და ისრაელის სახელმწიფოს შექმნაზე, რის განხორციელებაც საიდუმლოდ წამოიწყეს, ასევე ჩაიხსნა დღის წესრიგიდან.

[21] ბათიაშვილი გ. „დავით ბენ გურიონი“, გამომცემლობა „პალიტრა L“, თბილისი, 2018. გვ.140-147

ებრაელმა ლიდერებმა კვლავ დაიწყეს ახალი გზების ძიება. ხსნა ისევ აშშ-ის მფარველობის მოპოვება იყო.

1945 წლის პირველ ივლისს 17 ნიუიორკელი უმდიდრესი ებრაელი შეიკრიბა სონესნორნის სასახლეში, სადაც გეგმად დაისახეს პალესტინაში მცხოვრებ ებრაელთათვის ჯერ მედიკამენტური, სამედიცინო და მერე სამხედრო დახმარების ორგანიზება. იმიგრაციისათვის გემები შეისყიდეს. 1946 წლიდან 1947 წლამდე დაშლილი იარაღით სავსე 950 კონტეინერი გაიგზავნა პალესტინაში. დოკუმენტურად კი ეს აღიწერა როგორც საფეიქრო დანადგარები. ასე დაიბადა ისრაელის სამხედრო მრეწველობა.

1945 წლის ივლისში ჩერჩილი ლეიბორისტებმა ჩაანაცვლეს. ისინი სიონისტური ორიენტაციისა აღმოჩნდნენ. ებრაელი ლიდერები კვლავ მოითხოვდნენ „თეთრი წიგნის“ გაუქმებას, წინააღმდეგ შემთხვევაში კი _ ბრძოლით იმუქრებოდნენ.

საბოლოოდ, ებრაელი ხალხის ოცნების რეალიზება ჰარი ტრუმენის გაპრეზიდენტებას უკავშირდება, რომელმაც თეთრ სახლში შესვლისთანავე გაგზავნა მისი წარმომადგენელი ებრაელ ლტოლვილთა მდგომარეობის შესასწავლად. ელ ჰარისონმა მოახსენა, რომ საწყისი ეტაპისთვის ასი ათას ებრაელს ბანაკებიდან გამოსვლისა და პალესტინაში რეპატრიაციის უფლება უნდა მისცემოდათ. პრეზიდენტმა ჰარისონის წინადადებას მხარი დაუჭირა. თუმცა ბრიტანელები ამავდროულად „თეთრი წიგნის“ პრინციპებს მისდევდნენ, რის საპასუხოდაც ებრაელები დივერსიებისა და შურისძიების გზით ბრძოლას აგრძელებდნენ. პროტესტის ამ ფორმით მოითხოვდნენ „თეთრი წიგნის“ გაუქმებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, ლონდონთან ყოველგვარი ურთიერთობის გაწყვეტით იმუქრებოდნენ. ამერიკის შეერთებული შტატებისთვის პალესტინის საკითხის გადაჭრა ძალზე პრიორიტეტული იყო.

1947 წლის 24 აპრილს გაეროს გენერალური ასამბლეის საგანგებო სესია განიხილავდა პალესტინის საკითხს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ

გაეროში საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა _ ალექსეი გრომიკომ პროსიონისტური სიტყვა წარმოთქვა, სადაც მან დააფიქსირა თავისი მოსაზრება პალესტინის გაყოფისა და ასევე ისრაელის სახელმწიფოს აღდგენის შესახებ, რამაც მსოფლიო ებრაელობა აღაფრთოვანა. შეიქმნა საოცარი ტანდემი _ ტრუმენისა და სტალინის ნებას წინ ვერაფერი აღუდგებოდა. ამერიკის შეერთებული შტატების დამოკიდებულება ამ საკითხისადმი დიდი ხნის წინ იყო უკვე გამოკვეთილი, ხოლო სსრკ-ს პოზიცია ძალიან მოულოდნელი აღმოჩნდა. ცნობილი იყო, რომ ებრაელი ხალხის ბრძოლას სახელმწიფოებრიობისათვის, სათავეში ედგნენ სიონისტები, რომელთაც ბოლშევიკები კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ. ამ ორი მიმდინარეობის ურთიერთობა თავიდანვე ანტაგონისტური იყო. თუმცა მათ შორის დამაკავშირებელი კვანძი შესაძლოა ლიდერთა იდეური კავშირი _ სოციალიზმი ყოფილიყო. ასევე, არსებობდა მოსაზრება იმის შესახებ, რომ ისრაელის სახელმწიფოებრიობა, დამანგრეველი იქნებოდა ბრიტანეთის კოლონიალიზმისათვის, რაც სოციალისტური სსრკ-სთვის ძალიან ხელსაყრელი იყო. გაეროს სპეციალური კომისიის დასკვნაც ამას მოწმობდა _ მან პალესტინის გაყოფას მხარი დაუჭირა.

საბოლოდ კი 1947 წლის 29 ნოემბერს გენერალურ ასამბლეაზე კენჭი უყარეს პალესტინის ორად გაყოფის იდეას[22]. რეზოლუციას მხარი 33 სახელმწიფომ დაუჭირა, 13 წინააღმდეგი იყო _ ძირითადად მუსლიმური სახელმწიფოები, 10-მა დელეგაციამ თავი შეიკავა. ასეთი იყო ისრაელის სახელმწიფოს დაბადების წინა პერიოდი, 1948 წლის 14 მაისამდე.

[22] ბათიაშვილი გ. „დავით ბენ გურიონი“, გამომცემლობა „პალიტრა L“, თბილისი, 2018. გვ.148-153

2.2. წმინდა ადგილების როლი, როგორც კონფლიქტის მოუგვარებლობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი

სახელმწიფო, მისი წარმოშობა, მართვა და განვითარება არაერთ გარემოებაზეა დამოკიდებული _ მისი პოლიტიკური კურსი, საშინაო თუ საგარეო ვექტორი, ამასთან ერთად რელიგიური ფაქტორი დიდ როლს თამაშობს ქვეყნის მშვიდობისმყოფელობაზე. რელიგიისა და პოლიტიკის მცირე შეუთავსებლობამ კი შესაძლოა გამოიწვიოს ის მცირე და მნიშვნელოვანი ცვლილებები, რაც ქვეყანაში კონფლიქტური სიტუაციით გამოვლინდება და, საბოლოოდ, შეიარაღებულ დაპირისპირებაშიც კი გადაიზრდება. მათ შორის მცირე უთანხმოებაც კი პოლიტიკურ კრიზისსა და ქაოსს წარმოშობს.

საუკუნეების განმავლობაში რელიგიას მშვიდობისმყოფელის როლი ეკისრებოდა და ხანგრძლივი ომების დაზავება და შეწყვეტაც მისი პრეროგატივა იყო. თუმცა კაცობრიობას მისით გამოწვეული არაერთი კონფლიქტი და ომიც ახსოვს.

რელიგიასა და წმინდა ადგილებს დასაბამიდან ძალზე დიდი მისტიკური გავლენა ჰქონდა როგორც სეკულარულ, ისე სულიერ სამყაროში. საკრალურ წესებსა და რიტუალებთან ერთად მას პოლიტიკურად დომინანტური როლი გააჩნდა სახელმწიფოს შექმნაში, მის ჩამოყალიბებაში. მისი წონა წარმოუდგენლად დიდი და მრავალწახნაგოვანია. წმინდა ადგილების დაუფლების მიზეზით, არაერთი ომი თუ დაუსრულებელი კონფლიქტი გაჩაღებულა.

წმინდა ადგილები, განსაკუთრებულად დიდ როლს თამაშობს ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკურ თუ სოციალურ ცხოვრებაში. ხშირ შემთხვევაში, პოლიტიკა საკუთარ იარაღად იყენებს ამ საკრალურ ადგილებს, რაც, ბუნებრივია, თავისებურად ზემოქმედებს პოლიტიკურ თუ გეოგრაფიულ სივრცესა თუ ლანდშაფტზე.

იერუსალიმი წმინდაა და საკრალური ადგილია მსოფლიოს ისეთი სამი ძირითადი რელიგიისათვის, როგორებიცაა: იუდაიზმი, ქრისტიანობა და ისლამი. ამჟამად ყურადღებას იუდაიზმსა და ისლამზე გავამახვილებთ. სწორედ ამ წმინდა ადგილის მნიშვნელოვნობა და წარმომავლობა იწვევს ორ ერს შორის დაუსრულებელ უთანხმოებას. ამ საკრალური ადგილების ფლობის სურვილმა ებრაელები და პალესტინელი არაბები აქამდე დაუსრულებელ კონფლიქტამდე მიიყვანა.

ებრაელთათვის „აღთქმულ მიწაზე“ დაბრუნების იდეა მათი რელიგიის წიაღშივე იშვა, რისი აღსრულებისკენაც მიილტვიან საუკუნეების განმავლობაში. ეს სწორედ ის რელიგიური მოტივია, რასაც საფუძვლად პოლიტიკური სარჩულიც უდევს. მსოფლიოს ყველა კუთხეში გაფანტულ ებრაელთათვის გამაერთიანებელი რგოლი მათი რელიგია და „ღვთის რჩეული“ ერისთვის განკუთვნილ წმინდა ადგილზე დაბრუნების სურვილია. ხოლო რაც შეეხება პოლიტიკურ ისლამს ან ისლამიზმს, თავის მხრივ, ყურანის მიხედვით ის განისაზღვრება როგორც რწმენა, რომელზეც აგებულია საზოგადოება და მისი მმართველობა. უკვე კარგა ხანია ისლამიზმი თანდათანობით ყალიბდება და იზრდება მძლავრ იდეოლოგიურ ძალად ახლო აღმოსავლეთში.

ისრაელის სახელმწიფოს აღდგენის შემდეგ იერუსალიმის დედაქალაქობაზე პრეტენზიას როგორც ებრაელები, ისე პალესტინელები თანაბრად აცხადებდნენ; ამის მიზეზად კი _ იუდეველებსა (ებრაელებს) და მუსლიმებს (ამ შემთხვევაში, ხაზს ვუსვამთ პალესტინელ არაბებს) შორის არაერთი საკრალური ადგილის არსებობა სახელდება და, შესაბამისად, მათი ფლობის ექსკლუზიური სურვილი, რომელმაც დღემდე მოუგვარებელი პრობლემა გამოიწვია[23].

[23] გაჩეჩილაძე რ. „ახლო აღმოსავლეთი“, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი, 2019. გვ.203-211

იერუსალიმი _ მსოფლიო რელიგიათა დედაქალაქი ისრაელსა და პალესტინას შორის არსებული კონფლიქტის მთავარი ბირთვია. თითოეული მათგანი ამ წმინდა ქალაქს, საკუთარ დედაქალაქად მიიჩნევს.

სწორედ წმინდა და საკრალური ადგილებია პალესტინელებსა და ებრაელებს შორის დღემდე მოუგვარებელი უთანხმოებისა და სისხლისმღვრელი კონფლიქტის ძირითადი მიზეზი, რაც დაპირისპირებულთა ჭრილობას უფრო და უფრო აღრმავებს და მოშუშების შესაძლებლობას არ აძლევს.

იუდეველებისათვის მთლიანად ისრაელი საკრალური ადგილია, მათთვის ის ღვთისგან ბოძებულია. რაც შეეხება ტაძრის მთას (ჰარ ჰა-ბაითი), იქ, ისინი არ/ვერ ადიან, ხოლო მის დასავლეთ კედელთან (კოტელ ჰა-მაარავი) _ ლოცულობენ. ეს ორივე ადგილი, იდენტურად წმინდაა მუსლიმებისთვისაც.

ქალაქ ჰებრონში მდებარე პატრიარქთა სამარე (აბრაჰამის, იცხაკის, იაკობის საფლავები მახპელას მღვიმეში) ებრაელებისა და მუსლიმებისათვის თანაბარი სიწმინდის ადგილია, რადგან იქ ორივე მხარისთვის საერთო მამამთავარი, იბრაჰიმი, იგივე აბრაჰამია, დაკრძალული, სადაც მე-7 საუკუნეში აშენდა მიზგითი ალ-ჰარამ ალხალილი.

მუსლიმებისათვის მექასა და მედინას შემდეგ, მესამე წმინდა ქალაქია იერუსალიმი, იგივე ალ-კუდსი, სადაც მდებარეობს [ბორცვი] ალ-ჰარამ აშ-შარიფზე მდებარე ალ-აკსას მიზგითი („წმინდა ნაკრძალი“) (ებრაელები ზუსტად იმავე ადგილს ჰარ ჰა-ბაითს უწოდებენ) და ალ-კუბბათ ას-სახრა (კლდის გუმბათი).

იერუსალიმი საკულტო ცენტრი იყო ათასწლეულით ადრე, ვიდრე მას ებრაელთა მეფე დავითი ძველი სემიტი იებუსელებისაგან დაიპყრობდა

და იუდეის რელიგიურ ცენტრად აქცევდა[24]. მან ისრაელის სამეფოს ცენტრად იერუსალიმი გამოაცხადა. ქალაქი დაიყო დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილებად მას შემდეგ, რაც ირგვლივ გალავანი შემოარტყეს.

მუჰამედის მოგზაურობას მექადან მედინაში, შემდგომ მედინადან იერუსალიმში და, საბოლოოდ კი უკვე ზეცად ასვლას _ ეწოდა მირაჟი. მუსლიმებმა საკმარის მიზეზად მიიჩნიეს ეს მოვლენა იმისათვის, რომ იერუსალიმი ერთ-ერთ განსაკუთრებულ სიწმინდედ დაესახელებინათ, თუმცა ეს ადგილი უკვე ძალზე დიდხანს მყარად იყო დამკვიდრებული იუდაიზმში, როგორც ამ მხრივ გამორჩეული.

აქედან გამომდინარე, როცა ორი რელიგიისთვის წმინდაა ერთი საერთო ადგილი, ის თავისთავად წარმოშობს რელიგიურ და პოლიტიკურ დაპირისპირებას[25]. რაც უკვე მისი გადაჭრის გზებს საკმაოდ ართულებს. მით უმეტეს, იმ ფონზე, როდესაც ამ ტერიტორიულ და რელიგიურ კონფლიქტში ჩართული გარე ძალები საერთო რელიგიურ სიწმინდეებს პალესტინელებსა და ებრაელებს შორის უთანხმოების გასამწვავებლად იყენებენ.

ამის ნათელი დადასტურებაა ის ფაქტი, რომ აშშ-ის პრეზიდენტმა, დონალდ ტრამპმა 2017 წელს იერუსალიმი ისრაელის დედაქალად აღიარა.

„იერუსალიმი იყო და უნდა დარჩეს იმ ადგილად, სადაც ებრაელები გოდების კედელთან, მუსლიმები _ „ალ-აქსას“ მეჩეთთან, ხოლო ქრისტიანები ქრისტეს საფლავის ტაძარში ილოცებენ, მაგრამ იერუსალიმი ისრაელის დედაქალაქია. ეს ფაქტია და ის უნდა ვაღიაროთ, რასაც მე ვაკეთებ“, - განაცხადა ტრამპმა[26].

---

[24] Philip Mattar "Encyclopedia of the Palestinians Hardcover" , Publisher Routledge,April 1 2005. pp.273-336

[25] გაჩეჩილაძე რ.- „ახლო აღმოსავლეთი“, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი, 2019. გვ. 87-95

[26] Trump Recognizes Jerusalem as Israel's Capital and Orders U.S. Embassy to Move by By Mark Landler Dec. 6, 2017 https://www.nytimes.com/2017/12/06/world/middleeast/trump-jerusalem-israel-capital.html -ბოლოს გადამოწმებულია 29.05.2021.

იერუსალიმის ისრაელის დედაქალაქად გამოცხადება კონფლიქტს ისრაელსა და პალესტინას შორის უფრო ღრმა ფაზაში შეიყვანს. საკითხი მოექცევა ჩიხში, რისი დაძლევაც უკვე ძალიან რთული და თითქმის შეუძლებელიც იქნება.

მოუგვარებელი პრობლემის ძირი და სათავეც ის გახლავთ, რომ ებრაელებსა და პალესტინელებს საერთო მამამთავარი აბრაამი ჰყავდათ და, აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, საერთო რელიგიური სიწმინდეებიც გააჩნიათ. სწორედ მათი ფლობის სურვილი უფრო და უფრო ამწვავებს მათ შორის დღემდე არსებულ უთანხმოებას, რაც სისხლისმღვრელ კონფლიქტშია გადაზრდილი და აგერ უკვე ათეული წლებია, თანამედროვე მსოფლიო რუკაზე ერთ-ერთ ცხელ კერად რჩება[27].

ებრაელებს სწამთ, რომ მესია, იგივე მაშიახი, შეძლებს მესამე ტაძრის აშენებას, თუმცა არსებობენ ისინიც, ვინც მზად არიან თვითონვე ააგონ ის, იმ ადგილას, სადაც, მათი რწმენით, წინა ორი იყო აღმართული. ეს კი, თავისთავად, იმავე ტერიტორიაზე არსებული ისლამური სიწმინდის _ კლდის გუმბათის განადგურების ტოლფასია. ამიტომ, ჯანსაღად მოაზროვნე ებრაელ პოლიტიკოსებს, ღრმად აქვთ შეგნებული, რომ ასეთი რამის მცდელობაც კი უდიდეს საერთაშორისო პრობლემას წარმოქმნის.

პირველი ტაძარი ჩვ.წ.აღ-მდე მეათე საუკუნეში სოლომონ მეფის მიერაა აშენებული. ის იმავე წელთაღრიცხვის VI საუკუნეში ბაბილონელებმა დაანგრიეს. შენობის აღდგენა იმავე საუკუნეში მოხერხდა. მეორე ტაძარი კი რომაელებმა ჩვენი წელთ აღრიცხვით 70 წელს დაანგრიეს.

იუდეველები მისი საძირკვლის შემორჩენილ საყრდენს, რომელსაც ჰა-კოტელ ჰამაარავი („დასავლეთ კედელი“, უფრო ცნობილი, როგორც „გოდების კედელი“) ეწოდება, მეორე ტაძრის ნაწილად მიიჩნევენ და მას თავიანთი სარწმუნოების ძირითად სალოცავად აღიქვამენ.

---

[27] გაჩეჩილაძე რ. „ახლო აღმოსავლეთი“, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი, 2019. გვ. 235-238

ორთოდოქსული იუდაიზმის მიხედვით, ებრაელს მკაცრად ეკრძალება ჰარ-ჰა ბაითზე ასლვა, რადგან ეს ადგილი შემთხვევითი ფეხის დადგმითაც კი იბღალება. ის ტაძრის წმინდათა წმინდა ადგილია. თუმცა ორი ათეული საუკუნე გავიდა მას შემდეგ, რაც ტაძარი აღარ არსებობს და ამ „წმინდათა წმიდას“ ზუსტი ადგილმდებარეობა უცნობია.

1947 წელს, გაეროს რეზოლუციის თანახმად, იერუსალიმი დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ ერთეულად გამოცხადდა. ის მხოლოდ გაეროს ემორჩილებოდა. 1948-1949 წლებში არაბ-ისრაელთა ომის დროს, იერუსალიმი ორ ნაწილად გაიყო: მისი აღმოსავლეთი მხარე იორდანიას გადაეცა, ხოლო დასავლეთი _ ისრაელს.

1950 წ. ისრაელის მთავრობამ იერუსალიმი ისრაელის დედაქალაქად გამოაცხადა, რითაც გაეროს გადაწყვეტილებასთან წინააღმდეგობაში მოდიოდა, ხოლო შემდგომ კი _ აღმოსავლეთ ნაწილი შეიერთა. ისრაელ-პალესტინას შორის დღემდე გადაუჭრელი კონფლიქტის ძირითად მიზეზადაც სწორედ ეს იქცა.

ის გარემოება, რომ ეს ადგილი ერთმნიშვნელოვნად და თანაბრად საკრალურია მუსლიმებისა და იუდეველებისათვის, სისხლიანი დაპირისპირების მშვიდობიანად მოგვარებისათვის გამოჩენილ ყოველგვარ ძალისხმევას თითქმის უიმედოდ აქცევს[28].

თუმცა, ამასთანავე, ჩვენი აზრით, გარეშე ან სხვა ძალთა უხეშად ჩარევამ და, მათ შორის, საერთო წმინდა ადგილების ფლობის ძლიერმა სურვილმა შესაძლოა ამ თითქმის დაუსრულებელი კონფლიქტის მოგვარება კიდევ უფრო გაახანგრძლივოს და გააჭიანუროს.

[28] Mark Tessler “A History of the Israeli-Palestinian Conflict” (Indiana Series in Arab and Islamic Studies) Publisher-Indiana serie-Middle eats studies. Paperback – March 24, 2009. pp.273-336

2.3. სიონიზმის, როგორც იდეოლოგიის, გავლენა ებრაული სახელმწიფოს პოლიტიკაზე

მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს და მეოცე საუკუნის დამდეგს, საკუთარი ერის ბედით შეწუხებული მრავალი ებრაელი განსაკუთრებული საბრძოლო სულისკვეთებით განიმსჭვალა. მსგავსი შემართების ნაკლებობას ებრაელობა არც წინა საუკუნეებში განიცდიდა, რადგან ისინი ძირითადად რელიგიაში პოვებდნენ შვებას. მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს და მეოცე საუკუნის მიჯნაზე თეოდორ ჰერცლის მოძღვრებამ ეს რელიგიური და პატრიოტული შემართება შეაჯერა და გააასმაგა.

ასიმილაციის გზაზე მყოფ, მაგრამ ანტისემიტთათვის მაინც ებრაელ თეოდორ ჰარცლის, რომელიც სიონიზმის დამაარსებლად მიიჩნევა, განსხვავებული ხედვა და მიდგომა გააჩნდა. მისი აზრით, ანტისემიტიზმთან ბრძოლის საუკეთესო საშუალება მხოლოდ ასიმილირება იყო, შესაბამისად, მისი აზრით, ებრაელობა უნდა გათავისუფლებულიყო ეროვნული ტრადიციებისაგან, უნდა განსდგომოდა მოსეს რჯულს და უკუეგდო სინას მთის მცნებები, რადგან მხოლოდ ეს იქნებოდა ერთადერთი საშუალება შეწყვეტილიყო ებრაელთა მასობრივი დევნა-შევიწროება.

ჰერცლის აზრები უფრო შორს მიდიოდა, როცა საქმე ეხებოდა ებრაელთა „გადარჩენას“. აღსანიშნავია ასევე ის ფაქტი, რომ სიონიზმის მამამთავარს სურდა რომის პაპისთვის დახმარება ეთხოვა ანტისემიტიზმთან ბრძოლის წინააღმდეგ. თვითონ კი სათავეში ჩაუდგებოდა ამ დიდ ბრძოლას. ებრაელობას უნდა დაეტოვებინა თავისი რწმენა და მიეღო ქრისტიანობა. ამ რიტუალის აღსრულება მას საჯაროდ სურდა, მხოლოდ ფორმალურ დონეზე. თუმცა, მიუხედავად ასიმილატორი ებრაელების არსებობისა, ამ საკითხის დღის წესრიგში დატოვება სრულიად გამორიცხული იყო. რადგან იუდეველობა უკვე ის მდგომარეობა და აღმსარებლობა იყო, რომელიც „გასაჩივრებას“ არ ექვემდებარებოდა.

1894 წელს წარმოშობით ებრაელი, მაგრამ ფრანგი ოფიცერი ალფრედ დრეიფუსი, სასამართლოს მიერ ბრალდებულად გამოცხადდა. მას გერმანულ დაზვერვასთან კავშირში სდებდნენ ბრალს (გაყალბებული წერილის მიხედვით), შესაბამისად, ეს სამშობლოს ღალატის ტოლფასი იყო, თუმცა 1906 წელს მისი უდანაშაულობა დამტკიცდა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ დრეიფუსის საქმემ დიდი გავლენა იქონია ჰერცლის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებასა და მეტამორფოზაზე.

ინგლისელი პოლიტიკოსის, ენტონი ეშლი კუპერ შეფთსბერის აზრით, მხოლოდ ქრისტიანობაზე მოქცევის შემდეგ შეძლებენ ებრაელები წმინდა მიწაზე დაბრუნებას, რის შემდეგადაც დადგება სამყაროს აღსასრული და გამოჩნდება მესიაც. შეფთსბერიმ ასევე შთააგონა ინგლისის სახელმწიფო მდივანი, საგარეო საკითხებში, ლორდ პალმერსტონი, რათა ბრიტანეთს აღმოეჩინა მფარველობა პალესტინაში მცხოვრები ებრაელებისათვის. მისთვის წარმოუდგენელი იყო და თითქმის შეუძლებელი, პალესტინის ტერიტორიაზე დამოუკიდებელი ებრაული სახელმწიფოს შექმნა, თუმცა, სჯეროდა, რომ ებრაელები, წმინდა მიწაზე რეპატრიაციით პალესტინაში ევროპული ცივილიზაციის შეტანას შეძლებდნენ.

პალესტინაში, ევროპელი ებრაელების იმიგრაცია და ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის გაღვივებაც ერთმანეთთანაა თანხვედრილი და მისი დაწყების ზუსტ დროდ შესაძლოა 1881 წელი მივიჩნიოთ.

XIX საუკუნის ბოლოს ევროპაში ანტისიონისტური მოძრაობა და განწყობა მკვეთრად გამოიხატა. შესაბამისად, ებრაელები საგონებელში ჩავარდნენ, თუ სად უნდა ჩამოყალიბებულიყო ებრაული სახელმწიფო. თავიდან საუბარი იყო უგანდაზე, იემენზეც კი. მაგრამ თითქმის ყველა

ებრაელის ოცნება შორეულ წინაპართა ძირძველ მიწაზე _ პალესტინაში დაბრუნება იყო. რაც ებრაელთათვის სიონად იწოდებოდა[29].

ჰერცლიმ 1897 წლის ივნისში სიონიზმის პროპაგანდის მიზნით პირველი კონგრესისათვის დაიწყო სამზადისი. აქვე დააარსა გაზეთი „დი ველტ“. იმავე წლის 29-30 აგვისტოს გაიმართა კონგრესი ქ. ბაზელში, სადაც სიონისტური მოძრაობის პროგრამა მიიღეს. ისტორიაში კი ეს შევიდა, როგორც ბაზელის პროგრამა. აქვე დაფუძნდა საერთაშორისო სიონისტური მოძრაობა (სსო), რომლის პრეზიდენტადაც თავად ჰერცლი აირჩიეს. ამ მოვალეობის შემსრულებელი ის სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე გახლდათ. პირველ სიონისტურ კონგრესზე გადაწყდა შემდეგი:

1. *პალესტინაში ებრაელი ხალხის ეროვნული კერის შექმნა;*
2. *სსო-ის პოლიტიკური და ფინანსური მოლაპარაკებების წარმმართველად აღიარება (რომელიც პალესტინაში ახალი ებრაული დასახლებების შექმნა-განვითარებას იკისრებდა).*

სახელმწიფოს შექმნა სიონიზმის უმთავრესი მიზანი იყო. თუმცა, რადგან პალესტინა თურქეთის შემადგენლობაში შედიოდა, ამისათვის აუცილებელი იყო სულთანთან მოლაპარაკების წარმოება და მისგან ნებართვის აღება.

ჰერცლიმ პროექტის განხორციელება დაიწყო. სტამბოლში შეხვდა სულთანს, ხოლო იმპერატორი ვილჰელმ მეორე წმინდა ადგილების მოსანახულებლად გაემგზავრა და შეხვედრა დაუნიშნა იერუსალიმში. ამასთანავე, ის შეხვდა იტალიის მეფეს, რომის პაპს, რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრს _ პლევეს. მოლაპარაკების მთავარი გეგმა და მიზანი უპირობოდ პალესტინის ტერიტორიაზე, ისტორიულ სამშობლოში, ებრაელთა სახელმწიფოს შექმნა იყო. სსო-ს პრეზიდენტმა შეძლო, რომ დიდი ბრიტანეთის ხელისუფლებას ამ საკითხისთვის ყურადღება მიექცია.

[29] გაჩეჩილაძე რ. -„ახლო აღმოსავლეთი: სივრცე, ხალხი, პოლიტიკა“, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი 2011. გვ. 212-215

ამ მიზნით შედგა შეხვედრა როტშილდების ინგლისური შტოს წარმომადგენლებთან, რომლებიც ებრაელთა პალესტინაში დაბრუნების სიონისტურ იდეას არ იზიარებდნენ და წინადადება წარადგინა _ ახალი კერის ძიება ბრიტანეთის იმპერიის ტერიტორიაზე. ხოლო დიდი ბრიტანეთის კოლონიების მინისტრი, ჩემბერლენი კი ებრაელების აღმოსავლეთ აფრიკაში, კერძოდ, უგანდაში დასახლების ინიციატივით გამოვიდა. როგორც ცნობილია, მაშინ უგანდა დიდი ბრიტანეთის იმპერიის ნაწილში შედიოდა.

შემდეგი სიონისტური შეხვედრა 1898 წელს გაიმართა. დამსწრეთა რაოდენობა წლიდან წლამდე დიდი სისწრაფით იზრდებოდა. ამ პერიოდში მას 350 წევრი ესწრებოდა, მაგრამ სიონისტური მოძრაობის წევრთა რიცხვმა 900 შეადგინა. 1896 წლამდე პალესტინაში ებრაელთა 5 ალია განხორციელდა: პირველი იყო მეცხრამეტე საუკუნის მიწურულსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში, სადაც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან დაახლოებით ოცდახუთი-ოცდაათი ათასი ებრაელი ჩავიდა, მათი უმრავლესობა აღმოსავლეთ ევროპიდან იყო.

მეორე ალია მეოცე საუკუნის ათიან წლებში შესრულდა, სადაც დაახლოებით ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპიდან ორმოც ათასამდე ებრაელი ჩავიდა. მათ შორის უმეტესობა რუსეთიდან იყო;

მესამე ალია მეოცე საუკუნის ოციანი წლებით თარიღდება, სადაც ოცდაჩვიდმეტი ათასი ებრაელი ჩავიდა. ისინი ძირითადად რუსეთიდან და პოლონეთიდან იყვნენ. მესამე ალიას საფუძველი ბალფურის დეკლარაციამ და რუსეთის ოქტომბრის რევოლუციამ ჩაუყარეს;

რაც შეეხება მეოთხე ალიას, ის გასული საუკუნის ოციანი წლების მიწურულს შედგა, სადაც ძირითადად პოლონელი ებრაელები (დაახლოებით სამოცდაათი ათასი ადამიანი) ჩავიდნენ. მათი გადასახლების მთავარ მიზეზად პოლონეთის მკაცრი საგადასახადო პოლიტიკა დასახელდა;

და ბოლოს, მეხუთე ალია უფრო მასშტაბური იყო (ორას ოცდახუთი ათასი ადამიანი) მათი უმეტესი ნაწილი გერმანიიდან წავიდა[30].

აქვე გვინდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ მეოცე საუკუნის პირველ დეკადაში ევროპაში ანტისემიტური განწყობების გარკვეული დაღმასვლა იგრძნობოდა. თუმცა დასავლეთ ევროპისგან განსხვავებით, რუსეთში ებრაელების მიმართ ძალადობა გრძელდებოდა. 1903 და 1905 წლებში მასშტაბური „პოგრომები“ მოხდა კიშინიოვში (ახლანდ. მოლდოვა). რუსეთის საიდუმლო პოლიციამ გაყალბებული დოკუმენტი „სიონელი ბრძენკაცების პროტოკოლები“ (რუს. Протоколы сионских мудрецов) გამოაქვეყნა, რომელშიც იკითხებოდა მსოფლიო ბატონობის თითქოს ებრაელთა მიერ შედგენილი სამოქმედო გეგმა. სწორედ ეს სიონისტური ყალბი ოქმები ანტისემიტური განწყობის ერთ-ერთ ძირითად არგუმენტად დღემდე მიიჩნევა და სწორედ მან ჩაუყარა საფუძველი შეთქმულების თეორიების მთელ კასკადს. ებრაელთა მდგომარეობა კი მთელ ევროპაში უარესდებოდა. კიშინიოვის დარბევამ კი (1903 წ) მსოფლიო შეაძრწუნა.

ჰერცლი მიიჩნევდა, რომ ებრაელებს „უგანდის პროექტი“ მშვიდ და ნორმალურ ყოფას დაუბრუნებდა, ამიტომ მის აქტუალიზებას ემხრობოდა. ***1903 წლის ბაზელის კონფერენციაზე კიშინიოვის დარბევით შეძრწუნებულმა ჰერცლიმ და მისმა თანამოაზრეებმა ყრილობას „უგანდის პროექტი“ წარუდგინეს. ამით ებრაელობას მსოფლიოში გაღვივებული, გამძვინვარებული ანტისემიტიზმის უზარმაზარ დარტყმას აარიდებდნენ. ამ იდეამ ებრაელებში დიდი დისონანსი გამოიწვია. მას ეს წინადადება ღალატად ჩაუთვალეს. განსაკუთრებული აგრესიულობით კი _ რუსეთიდან წამოსული ებრაელი სიონისტები გამოირჩეოდნენ. ისინი მიიჩნევდნენ, რომ ებრაელთა სახელმწიფო მათ ისტორიულ მიწაზე _ისრაელში უნდა შექმნილიყო. კონგრესი ლამის ორად გაიყო: მცირე ნაწილი „უგანდის***

[30] ბათიაშვილი გ._ „დავით ბენგურიონი“, გამომცემლობა „პალიტრა L“, თბილისი, 2018. გვ. 25-28

პროექტს“ უჭერდა მხარს, უმეტესობა კი _ ისტორიულ იუდეასა და ისრაელის სამეფოს აღორძინებას[31].

სწორედ უმრავლესობისათვის მისაღები გეგმის, ღვთის აღთქმულ მიწაზე დაბრუნების, განსახორციელებლად საჭირო გახდა როგორც ფინანსური, ისე ფიზიკური რესურსი. პალესტინაში ებრაელთა მასობრივ მიგრაციას ძლიერი ფინანსური და იურიდიული ბერკეტი სჭირდებოდა.

სიონიზმისთვის, ეკონომიკური ბაზის შექმნა და ფინანსური წყაროს მოპოვება ადვილად მოხერხდა. მრავალი შეძლებული ებრაელი თანახმა იყო ამ მნიშვნელოვან საქმეს საკუთარი ფინანსებით დახმარებოდა. 1901 წელს შექმნილმა ებრაულმა „მიწის ფონდმა“ _ კერენ კაიემეთმა, რომელიც 1948 წლამდე დონაციებით არსებობდა, პალესტინაში ოთხმოცდათექვსმეტი ათასი ჰექტარი მიწა შეისყიდა, რაც ებრაელთათვის წარმოუდგენლად დიდი განძია. მრავალმა მდიდარმა ებრაელმა შეიძინა მიწა პალესტინაში, რაც დიდი სტიმული იყო ებრაული იმიგრაციისათვის. ასე გაჩნდა დასახლებები ზიხრონ-იაკოვი, ფეთახ-თიკვა, რეხოვოთი, რისონ-ლე-ციონი. ხოლო 1909 წელს კი ქ. იაფოში მცხოვრები ებრაელობა ამ ქალაქიდან ჩრდილოეთით გადავიდა, რამდენიმე კილომეტრის მოშორებით _ ასე გაჩნდა დასახლება, რომელსაც თელ-ავივი იგივე „გაზაფხულის ბორცვი“ ეწოდა.

1903 წლისთვის კი პალესტინაში უკვე ოცდახუთი ათასი ებრაელი ცხოვრობდა, მათი უმეტესობა კი _ აღმოსავლეთ ევროპიდან იყო[32].

ცალკე აღნიშვნის ღირსია სიონისტების დამოკიდებულება პალესტინელი არაბებისადმი. მარადიული კითხვა _ ვინ არის სინამდვილეში პალესტინის მკვიდრი? დაუსრულებელს ხდის ებრაელებსა

---

[31] მეიერი გ._ „ჩემი ცხოვრება“, გამომცემლობა „დელ ბუქსი”, თელ-ავივი, 1975. “My Life” by Golda Meir “My Life” by Golda Meir, Publisher Dell Books, Tel aviv, 1975. pp.199-122

[32] "Essential papers of Zionism" Jehuda Reinharz, Jehuda Reinharz, Anita Shapira, Professor of Jewish History Anita Shapira, 1995 https://www.jstor.org/stable/30245706 --ბოლოს გადამოწმებულია 29.05.2021.

და არაბებს შორის სისხლიან კონფლიქტს. ებრაელები, თავიანთი საკუთარი რელიგიისა და ისტორიის მიხედვით, უშუალო მკვიდრად მიიჩნევენ თავს, არაბები კი _ წმინდა მიწაზე მოსახლეობის ათასწლეულებს ითვლიან.

გასული საუკუნის 40-იან წლებში პალესტინაში ორი ნაციონალისტური მოძრაობა გამოიკვეთა: ერთი _ სიონიზმი, რომლის მთავარი მიზანი ეროვნული კერის შექმნა იყო და მეორე _ პალესტინურ-არაბული ნაციონალიზმი, რომელსაც სურდა ბრიტანული მმართველობის გაუქმება და დამოუკიდებელი პალესტინის სახელმწიფოს შექმნა. სწორედ ამ ორმა უკიდურესად ნაციონალისტურმა, რელიგიურმა და ეთნიკურმა სუბიექტმა წარმოქმნა ის უთანხმოება ებრაელებსა და პალესტინელ არაბებს შორის, რაც დღემდე გრძელდება.

რეალურად, ორივე მხარეს ბუნებრივად გააჩნია უფლება იცხოვრონ არსებულ ტერიტორიაზე ერთმანეთზე ჰეგემონობის გარეშე[33].

ზოგიერთი სიონისტი მკაცრად გმობდა არაბი მოსახლეობის იქ არსებობას და შექმნა ლოზუნგი „მიწა (პალესტინა) _ ხალხის გარეშე, ხალხი (ებრაელები) _ მიწის გარეშე“[34].

პარალელურად კი ებრაული ახალშენები და ისრაელის სახელმწიფო ვითარდებოდა და ყალიბდებოდა ისეთ რეჟიმსა და პირობებში, რომ ამ გარემოებამ პალესტინელ არაბებს მტკიცე ხასიათი და თვითშეგნება ჩამოუყალიბა. ამ პერიოდში ებრაელობა პალესტინის არაბულ მოსახლეობასთან და მის მხარდამჭერ მეზობელ არაბულ ქვეყნებთან მუდმივად კონფლიქტურ სიტუაციაში იმყოფებოდა. თუმცა საკუთრივ პალესტინური ეროვნული თვითშეგნება მათ ჯერ კიდევ ამ ბრძოლის გამწვავებამდე გააჩნდათ.

არსებობს მრავალი ნაშრომი თუ მოსაზრება, რომელიც აკრიტიკებს ებრაელი კოლონისტების დამოკიდებულებას არაბი მოსახლეობისადმი.

---

[33] ჯორბენაძე რ. „პოლიტიკური კონფლიქტების მართვა“, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 2001წ. გვ.5-39

[34] გაჩეჩილაძე რ.- „ახლო აღმოსავლეთი“, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი, 2019 წ. გვ.219-222

ერთ-ერთი მათგანია: ხაიმ ხისინი, ცნობილი პუბლიცისტი და ჟურნალისტი, რომელიც ამბობს, რომ არაბებისგან წამოსული სიძულვილი კოლონისტების დათესილია. მათ ზომაზე მეტად მაღალი წარმოდგენა აქვთ საკუთარ თავზე და, შესაბამისად, ზემოდან უყურებენ არაბებს.

სიონისტებს მიზნად ჰქონდათ „ებრაელთა სამშობლოს“ შექმნა პალესტინაში თურქების ან გერმანელების გამგებლობის ქვეშ. პალესტინაში ჩასახლებულმა ებრაელებმა შექმნეს სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებები _ კიბუცები, ხოლო მოგვიანებით კი ააშენეს ქალაქი თელ-ავივი. თუმცა პარალელურად არაბული მოსახლეობის ძალიან მკვეთრი ზრდაც აღინიშნებოდა. 1948 წელს პალესტინის შვიდასი ათასზე მეტი მოსახლეობიდან ექვსას თხუთმეტი ათასი არაბი, ხოლო ოთხმოცდახუთიდან ასი ათასამდე ებრაელი იყო. ეს ის დრო გახლდათ, როდესაც ევროპელებს არაბული და ებრაული ნაციონალიზმი ნატურალურ მოკავშირეებად მიაჩნდათ.

1916 წლის თექვსმეტ მაისს, დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთს შორის ფარულად დადებულ გარიგებას საიქს-პიკოს შეთანხმება ეწოდა. ამ ქვეყნებმა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, აღნიშნული გარიგების საფუძველზე, გავლენის სფეროები ახლო აღმოსავლეთში გადაინაწილეს შემდეგი მიმართულებით:

1915 წლის 23 ნოემბერს ლონდონში ინგლისელმა დიპლომატმა, სერ მარკ საიქსმა და საფრანგეთის გენერალურმა კონსულმა ბეირუთში, ფრანსუა ჟორჟ-პიკომ, რომელთაც თავიანთი მთავრობების რწმუნება ჰქონდათ, საფრანგეთის საელჩოს შენობაში, დაიწყეს მოლაპარაკება და 1916 წლის დასაწყისისათვის ოსმალეთის იმპერიის არაბული სამფლობელოების გაყოფის თაობაზე საიდუმლო შეთანხმება მოამზადეს.

საფრანგეთმა და დიდმა ბრიტანეთმა გამოთქვეს სურვილი და მზაობა ეცნოთ და დაეცვათ დამოუკიდებელი არაბული სახელმწიფო ან არაბული ქვეყნების კონფედერაცია ერთ-ერთი არაბი ლიდერის სუვერენიტეტის ქვეშ. თუმცა არსებულ რუკაზე მონიშნული იყო ოსმალეთის იმპერიის ის

ნაწილები, სადაც საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი პირდაპირი ან არაპირდაპირი ადმინისტრაციისა ან კონტროლის დაარსების უფლებას აძლევდნენ ერთმანეთს.

„საიქს-პიკოს შეთანხმებაში“ ხაზგასმით იყო აღნიშნული ის ფაქტი, რომ ლიბანი, სირიის სანაპირო რაიონები და დღევანდელი თურქეთის სამხრეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი ანატოლიის ნაწილი, უნდა დაჰქვემდებარებოდა უშუალოდ საფრანგეთს, ხოლო შიდა სირია და მოსულის ვილაიეთი (ამჟამინდელი ჩრდილოეთი ერაყი) ფრანგული გავლენის ზონა უნდა გამხდარიყო. მოსულის ვილაიეთის შეტანა ფრანგული გავლენის ზონაში, ბრიტანეთის ინიციატივა იყო. მას სურდა „ფრანგული ბუფერის“ შექმნა თავისი და რუსეთის სამომავლო სამფლობელოებს შორის. ამასთანავე, მოსულის ვილაიეთში ნავთობის არსებობა უკვე დადასტურებული იყო, მაგრამ მისი მოცულობა _ დაუდგენელი.

ბრიტანეთის უშუალო კონტროლს უნდა დაჰქვემდებარებოდა ცენტრალური და სამხრეთ ერაყი და ქუვეითი (წითელი ზონა), ხოლო დღევანდელი იორდანია და დასავლეთი ერაყი _ ბრიტანული გავლენის ქვეშ მოქცეულიყო. პალესტინაზე ორივე აპელირებდა. ამიტომაც გარკვეული სახის დათმობაზე წავიდნენ. მისი დიდი ნაწილი, იერუსალიმთან ერთად უნდა დაჰქვემდებარებოდა საერთაშორისო ადმინისტრაციას, რომლის სტატუსიც სხვა მოკავშირეებსა და მექის შარიფის წარმომადგენლებთან მოლაპარაკების მერე უნდა შეეთანხმებინათ რუსეთის იმპერიასთან. 1919 წელს ერთა ლიგამ დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის ლიდერობით ამ შეთანხმების საფუძველზე მოხაზა ახლო აღმოსავლეთის „ახალი“ რუკა.

ძალაუფლების გადანაწილების გეგმა ასე გამოიყურებოდა: პალესტინა _ ბრიტანული მმართველობის, მისი დანარჩენი ნაწილი _ მოკავშირეების დაქვემდებარების, სირია და ლიბანი კი _ საფრანგეთის გავლენის ქვეშ მოექცეოდა. ბრიტანეთი მხარს უჭერდა არაბების

დამოუკიდებლობას და მათ ზუსტად იმავე ტერიტორიას ჰპირდებოდა. ამავდროულად, ის ებრაელებს ეროვნულ კერას სთავაზობდა და ე.წ. ორმაგ თამაშს თამაშობდა. ამ საკითხებთან დაკავშირებით ეგვიპტეში ინგლისელთა უმაღლეს კომისარს, სერ ჰენრი მაკმაჰოლსა და მექის შარიფ ჰუსაინს შორის აქტიური კორესპონდენცია მიმდინარეობდა (1915-1916 წწ). ამ წერილებში ინგლისელი დიპლომატი განსაკუთრებულად სიფრთხილით ეკიდებოდა პალესტინის მომავლის ზუსტ პროგნოზირებას.

თავდაპირველად, ინგლისელების ჩართულობა ორი მოტივით იხსნებოდა: ერთი _ რელიგიური, ხოლო მეორე _ პოლიტიკური. პირველი განაპირობებდა მორალურ გრძნობა-ვალდებულებას ბიბლიური ხალხის მიმართ, რომელსაც სჭირდებოდა ეს მიწა... მეორე მოტივი კი იმპერიალისტურ ზრახვებს უკავშირდებოდა.

ინგლისელებს ახლო აღმოსავლეთში ევროპული ტიპის ებრაული სახელმწიფოს შექმნა საკმაოდ მიმზიდველად მოეჩვენათ. ეს შეიძლებოდა დახმარებოდა დიდ ბრიტანეთს, დაეცვა თავისი ინტერესები _ მათ შორის, შეენარჩუნებინა კონტროლი ევროპასა და აზიასთან დამაკავშირებელ სახმელეთო და საზღვაო გზებზე[35].

იმ პერიოდში, როცა პალესტინა ოსმალეთის იმპერიაში შედიოდა, ებრაელთა ჩასახლება ადგილობრივი ოსმალო მოხელის ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული, რაც იქ გამეფებულ კორუფციაზე მიუთითებდა. მაგრამ სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა მას შემდეგ, რაც ეს მხარე, ევროპული იმპერიის _ დიდი ბრიტანეთის გავლენის ქვეშ მოექცა.

დიდ ბრიტანეთს, პალესტინაში საკუთარი გეოპოლიტიკური ინტერესი გააჩნდა. მას ხაიფას ნავსადგური უნდოდა, რომელიც ბრიტანული ფლოტის მსხვილ ბაზად იქცა. ის მას სუეცის არხის დასაცავად ჰქონდა გამიზნული, სხვა სერიოზული ეკონომიკური ინტერესი კი ბრიტანეთს პალესტინაში არ ჰქონია, რადგან ეს უკანასკნელი, მისთვის უფრო ემოციად აღიქმებოდა, ვიდრე რეალობად.

---

[35] Mark Tessler- "A History of the Israeli-Palestinian Conflict", Publisher-Indiana Series in Arab and Islamic Studies, Paperback – March 24, 2009. pp.273-336

ებრაელთა რეპატრიაციას იურიდიული საფუძველი ბალფურის დეკლარაციამ მიანიჭა, რომელშიც სიონისტური მიზნების მიმართ აშკარა მხარდაჭერა იკითხებოდა.

1917 წლის 2 ნოემბერს დიდი ბრიტანეთის მთავრობის სახელით საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივანმა, ლორდმა ბალფურმა (1848-1930) საბოლოოდ შეთანხმებული ტექსტი ბრიტანეთის ებრაული თემის წარმომადგენელს, ლორდ როტშილდ გაუგზავნა. მასში ნათლად ჩანდა დიდი ბრიტანეთის კეთილგანწყობა პალესტინაში ებრაელი ხალხისათვის ეროვნული კერის ჩამოყალიბების საკითხისადმი[36].

ამ დეკლარაციის მიხედვით, ბრიტანეთის იმპერია მხარს უჭერდა ისრაელის მიწაზე (პალესტინაში) „ებრაელი ხალხისათვის ეროვნული კერის“ შექმნას, თუმცა ტექსტი თავიდანვე არ იყო სრულყოფილი სახით რედაქტირებული და წარმოდგენილი. რადგან არ გახლდათ მითითებული ზუსტი ტერიტორია, სად უნდა განხორციელებულიყო ებრაელი ხალხის ჩასახლება. ეს პროცესი ნებაყოფლობითი უნდა ყოფილიყო. მსოფლიოს ნებისმიერ სხვა ქვეყანაში მათ უნდა ჰქონოდათ იმის უფლება, რომ სტატუსი ბოლომდე შეენარჩუნებინათ. დეკლარაციაში გარკვევით ეწერა, რომ ებრაელი ხალხი პალესტინაში ეროვნულ კერას შექმნიდა და არა ის, რომ სრულად გარდაქმნიდა პალესტინას თავის სამყოფლად.

1917 წლიდან დიდი ბრიტანეთის მთავრობამ და სიონისტურმა ფედერაციამ წამოიწყო მოლაპარაკება პალესტინაში ებრაელთა კანონიერად ჩასახლების უფლების მოპოვების თაობაზე. იმავე წლის 2 ნოემბერს ინგლისის მთავრობის სახელით, საგარეო საქმეთა მინისტრმა, ლორდმა ბალფურმა სიონისტური ფედერაციისათვის წარსადგენი, საბოლოოდ შეთანხმებული ტექსტი გაუგზავნა ცნობილი ბანკირების, როტშილდების ბრიტანული შტოს წარმომადგენელს, ლორდ როტშილდს. იმავე წლის 4 ივნისს საფრანგეთის მთავრობამაც წერილობით გამოხატა მხარდაჭერა სიონისტებისადმი. ტექსტი ემხრობოდა ებრაელი ერის აღორძინებას იმ

[36] ბათიაშვილი გ._ „დავით ბენგურიონი“, გამომცემლობა „პალიტრა L“, თბილისი, 2018. გვ.77-80

მიწაზე, საიდანაც ის მრავალი საუკუნის წინ განიდევნა. ამ დოკუმენტმა, გარკვეული ბიძგი მისცა დიდი ბრიტანეთის მთავრობას, რათა მას თავისი გარანტიები მიეცა სიონისტებისათვის, რაც მანამდე მის მიერ არ იყო მკვეთრად და მკაფიოდ ჩამოყალიბებული.

„ბალფურის დეკლარაციის“ გამოქვეყნებით ლონდონი ცდილობდა ებრაელობის მხარდაჭერის მოპოვებასა და ბერლინისთვის დროში მოგებას. ამის მერე გერმანიის მთავრობამაც ანალოგიური დეკლარაცია გამოაქვეყნა 1918 წლის 5 იანვარს, რომელსაც შემდგომ ისრაელში „ნელ-თბილი“ უწოდეს.

აქვე დავძენთ, რომ ბრიტანულ დოკუმენტს მეტი მნიშვნელობა მიენიჭა, რადგან პალესტინა მათ დაიპყრეს და „ბალფურის დეკლარაცია“ სისრულეში მოიყვანეს. ხოლო, რაც შეეხება სამომავლო გეოპოლიტიკურ გეგმებს, ბრიტანეთის მთავრობის აზრით, პალესტინაში ებრაული კერის დაარსება მკვეთრად გაზრდიდა ლონდონის გავლენას ამ ძალზე მნიშვნელოვან და სტრატეგიულ ადგილზე.

ასევე, უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ „ბალფურის დეკლარაციამ“ თავიდანვე არაერთგვაროვანი დამოკიდებულება გამოიწვია. მსოფლიო ებრაელობა ამ დეკლარაციას დიდი სიხარულით შეხვდა, თუმცა არცერთი არაბული ქვეყნის მთავრობამ ის არ აღიარა. ზოგიერთი არაბი მოღვაწე სასტიკად ეწინააღმდეგებოდა ამ დეკლარაციას და ამბობდა, რომ ბალფურმა მისცა მიწა მათ, ვისაც არ ეკუთვნოდა ის და რომელზეც უფლება არ გააჩნდათ.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ბევინის მოსაზრებით, მეოცე საუკუნეში ბალფურის დეკლარაცია იყო ბრიტანული საგარეო პოლიტიკის უდიდესი შეცდომა.

1918 წელს „ბალფურის დეკლარაცია“ საფრანგეთმა და იტალიამ აღიარეს. 1922 წელს მას დაეთანხმა აშშ-ის კონგრესი. იმავე წელს ის აისახა ერთა ლიგის მიერ რატიფიცირებულ დოკუმენტში, რომლის ძალითაც პალესტინის მართვის მანდატი დიდ ბრიტანეთს გადაეცა. ამრიგად,

„ბალფურის დეკლარაცია“ საერთაშორისო ვალდებულების მქონე დოკუმენტი გახდა.

ჰერცლის ფრაზაში _ „რაბინების ადგილი მხოლოდ სინაგოგებშია!“ _ გადმოცემული მიდგომა განპირობებული იყო იმ მტკიცე რწმენით, რომელიც მიიჩნევდა, რომ ებრაელთა სახელმწიფოს აღდგენას ვერცერთი პოლიტიკური მოძრაობა თუ ორგანიზაცია ვერ შეძლებდა. ის მხოლოდ ღვთის ნებით აღდგებოდა და ეს მოხდებოდა მაშინ, როცა, მათი რწმენით, მაშიახი მოევლინებოდათ.

ამგვარად, სიონისტთა მიზანი და იდეა _ „ებრაელთა სახელმწიფო“ _ მსოფლიო ებრაელთა მამოძრავებელ ძალად იქცა. მან მისცა ბიძგი ისრაელის სახელმწიფოს ჩამოყალიბებას, რომელსაც არსებობის შესანარჩუნებლად დღემდე სასტიკი ბრძოლა უწევს[37].

თავი III. საერთაშორისო თანამეგობრობა და პალესტინა-ისრაელის კონფლიქტის გადაჭრის სავარაუდო გზები

3.1. მუსლიმური ქვეყნების დამოკიდებულება ისრაელ-პალესტინის კონფლიქტისადმი

გასული საუკუნიდან დღემდე ახლო აღმოსავლეთის უმეტესი რეგიონი ცხელ წერტილებად რჩება. ისრაელ-პალესტინის კონფლიქტი კიდევ უფრო ღრმა ფაზაში შევიდა და მისი გადაჭრის საკითხი დღემდე მოუგვარებელია.

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ პოლიტიკური ლანდშაფტი გარკვეულწილად შეიცვალა. ისრაელის სახელმწიფოს შექმნის მერე (1948 წ) არაბულმა სამყარომ დიდი დარტყმა მიიღო.

მართალია, ისრაელ-პალესტინის კონფლიქტი არა მხოლოდ გასული საუკუნიდან იღებს სათავეს, არამედ მას უფრო ღრმა, შორსგადმგული

[37] ბათიაშვილი გ._ „დავით ბენ გურიონი“, გამომცემლობა „პალიტრა L”, თბილისი, 2018. გვ.39-41

ფესვები აქვს, მაგრამ ამ ეტაპზე განვიხილავთ ისრაელის სახელმწიფოს შექმნის დღიდან დაწყებულ ძირეულ პრობლემას და მისი მოგვარების არაერთ ხერხს.

XIX საუკუნის დასაწყისში ებრაელ ხალხს „სიონიზმის“ შექმნისკენ საკუთარი მიწის დაბრუნების დიდმა რწმენამ და მუდმივმა მისწრაფებამ უბიძგა. საბოლოო მიზანი ბიბლიის მიხედვით აღთქმულ მიწაზე დაბრუნება იყო. ეთნიკური არაბები ნელ-ნელა ტოვებენ ამ ადგილს და ებრაული მოსახლეობის რიცხვი ისრაელის ამჟამინდელ ტერიტორიაზე თანდათან იზრდება. ამ მოვლენამ დიდი დისონანსი გამოიწვია პალესტინელ არაბებში და მცირე უთანხმოება ორ ეთნიკურ ჯგუფს შორის უფრო ფართომასშტაბიან კონფლიქტში გადაიზარდა. იმის გამო, რომ ტერიტორია დიდი ბრიტანეთის მმართველობის ქვეშ იყო, პალესტინელი არაბების მცირე აჯანყებას, ბუნებრივია, ებრაელი სამხედროები მათი დახმარებით ახშობდნენ. შესაბამისად, თანდათან გაძლიერდა შეიარაღება ორივე მხრიდან და დაიწყო მობილიზება საკუთარი სამხედრო შენაერთების შესაქმნელად.

სიტუაცია განსაკუთრებულად გამწვავდა 1948 წელს, როცა გაერომ ისრაელი ოფიციალურად დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ცნო და საერთაშორისო თანამეგობრობამ მას სახელმწიფოს სტატუსი მიანიჭა. ხოლო რაც შეეხება არაბულ სამყაროს (ეგვიპტე, საუდის არაბეთი, ტრანსიორდანია, სირია, ლიბანი და ერაყი), ისინი ერთობლივად შეთანხმდნენ, პალესტინის დასახმარებლად გაერთიანებულიყვნენ და ისრაელს ომი გამოუცხადეს. ეს ბრძოლა ისრაელის გამარჯვებით დასრულდა. უამრავი ეთნიკურად არაბი იძულებული გახდა ისრაელის ტერიტორია დაეტოვებინა და საცხოვრებლად არაბულ ქვეყნებში გადასულიყო.

ისრაელის სახელმწიფოში ძველი პალესტინის თითქმის მთელი ტერიტორია შევიდა, გარდა ღაზას სექტორისა და დასავლეთ სანაპიროს ნაწილისა. ისრაელი ყოველთვის ცდილობდა ამ ადგილების შემოერთებას,

თუმცა გასული საუკუნის 50-იან წლებში პალესტინამ, არაბული სამყაროს დახმარებით, ღაზას სექტორთან არსებულ ტერიტორიაზე სასაზღვრო დაცვას გაამკაცრა და, ამგვარად, ისრაელს არ მისცა ამ რეგიონის დაბრუნების საშუალება.

ისრაელ-პალესტინას შორის კონფლიქტის ახალი ეტაპი გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან იღებს სათავეს. თუმცა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის 6-დღიანი ომი, რომელიც 1967 წლის ივნისში დაიწყო და ისრაელის გამარჯვებით დასრულდა. რის შემდეგაც აღმოსავლეთ იერუსალიმსა და მდ. იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე კონტროლი დაამყარა. ამის შემდეგ კონფლიქტს მასშტაბური ხასიათი მიეცა, რომლის მშვიდობიანად დასრულება უფრო და უფრო გართულდა.

ეს განსაკუთრებით გაამწვავა იმ მოვლენამ, რომ ებრაელებმა აღმოსავლეთ იერუსალიმიც დაიკავეს. ამასთანავე, ებრაული მხარის ტერიტორიაზე აღმოჩნდა მუსლიმთათვის ერთ-ერთი წმინდა ადგილი _ ალ-აქსას მეჩეთი, რამაც არაბულ სამყაროსთან (ეგვიპტის, ლიბანის, სირიის და ერაყის სამხედრო დანაყოფები) 15 თვიანი ომი გამოიწვია. ისრაელი გამოხატავდა მზაობას არაბულ სახელმწიფოებთან ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე მოლაპარაკებები ეწარმოებინა, თუმცა ერაყის უარი სიტუაციას კიდევ უფრო ძაბავდა[38].

ეგვიპტის პოზიცია და როლი _ 1967 წელს ეგვიპტემ ისრაელთან ომი დაიწყო. წარმატებული იერიშის შემდეგ გაეროს ქვედანაყოფები სინაის ტერიტორიიდან განდევნა, მაგრამ ისრაელმა უკან არ დაიხია და შეტევაზე გადავიდა. რის შედეგადაც სინაის ნახევარკუნძული, ღაზას სექტორი და მდინარე იორდანეს დასავლეთი სანაპიროც დაიბრუნა. მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ისრაელი კვლავ მოლაპარაკებების სახით კვლავ წავიდა დათმობაზე, 1968 წელს ომი ისევ გაჩაღდა. ხოლო, 1970-იანი წლების დასაწყისში აშშ-ის ფასილიტატორის როლის მიუხედავად, სიტუაცია კიდევ უფრო გამწვავდა; თუმცა 1973 წელს დაიდო შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის

[38] Palestine, Israel and the Arab-Israeli Conflict- Joel Beinin and Lisa Hajjar https://merip.org/palestine-israel-primer/ ბოლოს გადამოწმებულია -03.16.2021

შესახებ. ამ პერიოდში გაჩაღებული კონფლიქტის დაწყება-დასრულებაში თავისი წვლილი მიუძღოდა ეგვიპტეს, რომელმაც 1978 წელს კემპ დევიდში, მშვიდობის დამყარებას მოაწერა ხელი.

მიუხედავად კემპ დევიდის შეთანხმებისა, სადაც მხედველობაში მიიღეს ეგვიპტე-ისრაელის ინტერესები, მაინც ყურადღების მიღმა დარჩა ისეთი საკითხები, როგორებიცაა: მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროს, ღაზას სექტორისა და გოლანის მაღლობის ოკუპაცია ისრაელის მიერ.

1978 წელს ეგვიპტის პრეზიდენტმა, ანვარ სადათმა და ისრაელის პრემიერ მინისტრმა, მენახემ ბეგინმა, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ჯიმი კარტერის თანდასწრებით კემპ დევიდში სამშვიდობო ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი. მიუხედავად ამ ფაქტისა, გაერომ ეს ბოლო, 1979 წელს ხელმოწერილი შეთანხმება ცნო, რადგან პირველი _ პალესტინის ტერიტორიებს ეხებოდა და, პირობების თანახმად, ისრაელი დათანხმდა სინას ნახევარკუნძულის დაბრუნებას, რომელიც მან 1967 წელს აიღო. ამის საპასუხოდ, არაბულმა ლიგამ ეგვიპტეს წევრობა შეუჩერა.

ეს იყო ეგვიპტე-ისრაელის პირველი სამშვიდობო ხელშეკრულება, რომელმაც დაასრულა შეიარაღებული კონფლიქტი ორ ქვეყანას შორის და რამაც მათ შორის დიპლომატიურ და ეკონომიკურ ურთიერთობებს ჩაუყარა საფუძველი.

ზემოხსენებული დოკუმენტის მიხედვით, ისრაელს, სინაის ნახევარკუნძული 1982 წლამდე უნდა გაეთავისუფლებინა და სამხედრო ძალებს ეს ტერიტორია უნდა დაეტოვებინათ, ხოლო შემდგომ იქ გაეროს სამშვიდობო ჯარი უნდა განლაგებულიყო. დოკუმენტს დაემატა ის პუნქტი, სადაც ისრაელს უნდა ეღიარებინა პალესტინელი ხალხის თვითგამორკვევის უფლება. ამ საკითხის გადაწყვეტამდე ისრაელმა მათ ავტონომიის სტატუსი მიანიჭა. ის მხოლოდ ღაზას სექტორს აკონტროლებდა და ისრაელ-ეგვიპტის საზღვრები ისევ 1948 წლის შეთანხმების მიხედვით დარჩა. ამ ხელშეკრულების დადების შემდეგ არაბული ქვეყნებიდან ეგვიპტე იყო პირველი, რომელმაც ისრაელი,

სუვერენულ სახელმწიფოდ აღიარა და მასთან დიპლომატიური ურთიერთობები დაამყარა. ეს ფაქტი არაბულმა სამყარომ არ მიიღო და ანვარ სადათი მოკლა, ხოლო ეგვიპტე არაბული ქვეყნების ლიგიდან გარიცხა.

კემპ დევიდში დადებული ხელშეკრულება ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის დამყარების პირველი მცდელობა იყო. ამას დაემატა ის ფაქტიც, რომ ისრაელი, სირიიდან და იორდანიიდან არანაირ საშიშროებას აღარ მოელოდა, პალესტინა კი, რეალურად მარტო დარჩა, ამიტომაც ამ უთანხმოებამ სახელი შეიცვალა და დღეს უკვე ისრაელ-პალესტინისა და არა არაბულ-ებრაულ კონფლიქტად მოვიხსენიებთ[39].

1973 წლის ოქტომბრის ომი _ არაბული ქვეყნებისა და ისრაელის მეოთხე სამხედრო დაპირისპირება 1973 წლის 6 ოქტომბრით თარიღდება. ამ დროს ეგვიპტე და სირია ერთობლივად და ერთ დროს დაესხა თავს ისრაელს. მაშინ, როცა ებრაელები მათთვის მთავარ რელიგიურ დღესასწაულს _ იომ-ქიფურს („განკითხვის დღე“) ზეიმობდნენ. თავიდან ეგვიპტელებმა საჰაერო ბრძოლაში გამარჯვება მოიპოვეს. იმავე წლის ოქტომბერში ისრაელმა სახმელეთო ბრძოლაში გაიმარჯვა. მან სირიელებისა და ეგვიპტელების შეტევაც მოიგერია. ამ ომმა ისრაელს დაანახა, რომ მეტოქე უფრო ძლიერი იყო, ვიდრე ადრე. ამ მოვლენებში აშშ ირიბად მონაწილეობდა, რომელიც ისრაელს სამხედრო ტექნიკით ამარაგებდა და ასევე პრეზიდენტ ანვარ სადათზე ზემოქმედებდა. ამ ომს გარკვეული ფსიქოლოგიური რეზულტატიც ჰქონდა. ისრაელი საკუთარ უძლეველობაში ძველებურად აღარ იყო დარწმუნებული. არაბულმა სამყარომ ისრაელის რეპუტაციას სერიოზული ზიანი მიაყენა და ამის შემდეგ ის მხოლოდ ომის პირველი ეტაპით ამაყობდა, როდესაც უპირატესობებით სარგებლობდა. აქვე უნდა აღინიშნოს აქტიურ პოლიტიკაში 71 წლის გოლდა მეირის პრემიერ-მინისტრის სტატუსის

[39] Egypt, Israel, Palestine by Khaled Elgindy https://www.thecairoreview.com/essays/egypt-israel-palestine/ ბოლოს გადამოწმებულია -03.16.2021

დაბრუნების შემდეგ, ხუთი ურთულესი წლის განმავლობაში, ებრაელი ერის „კეთილშობილმა ბებიამ“ ძალზე სერიოზული მოლაპარაკებები აწარმოა საერთაშორისო თანამეგობრობასთან და იომ ქიფურის უმძიმესი ომი გამარჯვებით დაასრულა. მაშინ, როდესაც მოშე დაიანმა გადადგომის სურვილი გამოთქვა, გოლდამ უარყო სარდლის მოთხოვნა. რადგან ეს დაიანის მხრიდან პასუხისმგებლობისაგან თავის არიდებას ნიშნავდა.

სირია და ისრაელი _ ამ ორ ქვეყანას შორის ისტორიულად ოდითგანვე უარყოფითი და არასახარბიელო ურთიერთობა იყო. ისრაელის დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან სირია იყო ისრაელის ერთ-ერთი ძირითადი მეტოქე, რომელიც შემდგომ აღმოსავლეთის ფრონტზე ყველაზე მთავარი ოპონენტი გახდა.

ისრაელ-სირიის დამოკიდებულება კიდევ უფრო დაიძაბა 1967 წლის ექვსდღიანი ომის შემდეგ, როცა ებრაელებმა გოლანის მაღლობი დაიკავეს (დღემდე მის დაქვემდებარებაშია). მათ შორის დღემდე დაულაგებელი ურთიერთობის ქვაკუთხედად სწორედ ეს ფაქტი იქცა.

მათი ამჟამინდელი მდგომარეობა სრულად დამოკიდებულია რუსეთსა და ირანის ისლამურ რესპუბლიკაზე. მეტწილად კი _ ისრაელ-რუსეთის ურთიერთობაზე. ებრაელები რუსეთს სირიაში ირანის ისლამურ რესპუბლიკასთან მიმართებით ერთ-ერთ მთავარ ფასილიტატორად მიიჩნევენ. თავის მხრივ, ისრაელი რუსეთს შუამდგომლობას სთხოვს სირიასთან მიმართებით. სურს აღიაროს, რომ ისრაელი უარყოფითად არ არის განწყობილი სირიის მიმართ. ებრაული მხარე სირიასა და ირანთან რუსეთის ფასილიტატორობის მომხრეა, რაც აღნიშნული მდგომარეობის ჩიხიდან გამოსაყვანად ძალიან გონივრული ნაბიჯია.

მდგომარეობა გამწვავდა მას შემდეგ რაც აშშ-მ და რამდენიმე ქვეყანამ იერუსალიმი ისრაელის ოფიციალურ დედაქალაქად აღიარა. ამ ფაქტმა, ბუნებრივია, პალესტინელ არაბთა, და არა მხოლოდ მათი, დიდი შეშფოთება გამოიწვია. მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ პალესტინელი

არაბების უმეტესობა სუნიტი მუსლიმია, ისინი შიიტურ ირანსა და თუნდაც ასადის სირიასთან ურთიერთობისთვის მზად არიან.

რეგიონში ასადის რეჟიმის პერიოდში სირია ისრაელის მეტოქედ რჩება. ურთიერთობის დალაგება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ გოლანის მაღლობების საკითხი მოგვარდება, თუმცა არსებობს უფრო ძირეული დეტალებიც. ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა მსოფლიოს ზე-სახელმწიფოებზეა დამოკიდებული.

აშშ-ს სირიის დამოკიდებულების შეცვლის რესურსი გააჩნია. ის ცდილობს, მის მთავარ მოკავშირეს _ ისრაელს, რადაც უნდა დაუჯდეს, რეგიონში კომფორტი შეუქმნას. თუმცა ეს ასადის ხელისუფლების დროს ძნელადაა შესაძლებელი. ახალი ძალის მოსვლის შემთხვევაში, აშშ-ს გააჩნია რესურსი ისრაელისადმი დამოკიდებულების თვალსაზრისით სირიაზე გარკვეული გავლენა იქონიოს. რისი საუკეთესო მაგალითიც ისრაელისა და ეგვიპტის ურთიერთობის ნორმალიზებაა, რაშიც აშშ-ს ლომის წვლილი მიუძღვის.

აშშ-ს ახალი, დემოკრატი პრეზიდენტის მმართველობის ეპოქაში, ადვილი შესაძლებელია ახლო აღმოსავლეთში გონივრული პოლიტიკა გატარდეს. ეს კი ისრაელ-სირიის ურთიერთობასა და მთელ ახლო აღმოსავლეთის რეგიონზე დადებითად აისახოს[40].

ტრანსიორდანიის პოზიცია _ 1946 წლის 22 მარტს ლონდონში 25 წლის ვადით ინგლისისა და ტრანსიორდანიის თანამშრომლობას მოეწერა ხელი. ტრანსიორდანია დამოუკიდებელ სამეფოდ გამოცხადდა, თუმცა იქ ინგლისის არმია ჯერ კიდევ რჩებოდა. იმავე წლის მაისში, საკანონმდებლო საბჭოს გადაწყვეტილებით, ტრანსიორდანიის საამიროს იორდანიის ჰაშიმიანთა სამეფო ეწოდა, სადაც მეფის უფლებები თითქმის შეუზღუდავი იყო _ მას შეეძლო დაეთხოვა პარლამენტი, ჰქონდა ვეტოს უფლება და ა.შ. ისრაელის სახელმწიფოს გამოცხადებიდან ძალიან მალე პალესტინელებსა

[40] The many paths to Syrian-Israeli reconciliation - https://www.atlanticcouncil.org/blogs/menasource/the-many-paths-to-syrian-israeli-reconciliation/ - ბოლოს გადამოწმებულია 03.16.2021

და ებრაელებს შორის შეიარაღებული შეტაკებები ღია ომში გადაიზარდა. არაბების დასახმარებლად მაშინვე გამოვიდა არაბულ სახელმწიფოთა ლიგა, რომელმაც პალესტინაში გასაგზავნად მოხალისეთა მობილიზაცია გამოაცხადა. არაბებმა ომის დაწყებაზე პირდაპირი პასუხისმგებლობა აიღეს.

იორდანიის მეფე აბდალაჰ I-მა შემდეგი სახის განცხადება გააკეთა: „პალესტინის პრობლემის მშვიდობიანი გზით მოგვარების მცდელობა მარცხით დამთავრდა, ჩვენ დაგვრჩა მხოლოდ ომის გზა[41]“.

მთელი მსოფლიოს მუსლიმებისადმი ებრაელთა წინააღმდეგ „საღვთო ომის (ჯიჰადის)“ დაწყებასთან დაკავშირებით მოწოდებები გაისმა. პალესტინაში არაბული არმიის შესვლას ეწინააღმდეგებოდა პალესტინის „დიდი მუფთი“, ჰაჯი ამინ ალ-ჰუსეინიც, რომელსაც აქაურ ტრაგედიაში მთავარ როლს აკუთვნებენ. ის კარგად ხვდებოდა, რომ არაბული ქვეყნების ჯარს ქვეყნის დაკავება სურდა. მას კი არანაირი სურვილი არ ჰქონდა ვინმესთვის თავისი ძალაუფლება გაეყო. თუმცა ბოლოს იორდანიისა და ერაყის არმიების პალესტინაში შესვლა არ გაუპროტესტებია. მისი მიზანი იყო შეექმნა საკუთარი არმია, რომელიც ებრაელებს გარე ძალების დაუხმარებლადაც დაამარცხებდა.

მაშინ, როცა პალესტინის საკითხი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რიგით მეორე სესიაზე განიხილებოდა, „მუსლიმმა ძმებმა“ *(ტრადიციული სუნიტური ისლამური ორგანიზაცია, რომელიც დაარსებულია 1928 წელს ეგვიპტეში ისლამმცოდნისა და სკოლის მასწავლებლის, ჰასან ალ-ბანას მიერ. ამ ორგანიზაციამ არაბულ სამყაროში მხარდამჭერები მოიპოვა და გავლენა თვით ჰამასზეც კი იქონია)* ამ თემასთან დაკავშირებით საკუთარი პოზიცია გაეროს გენერალური მდივნისა და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის წინაშე გამოხატეს _ სიონისტური გეგმის განხორციელება და ებრაული სახელმწიფოს შექმნა პალესტინაში უდავოდ კიდევ ერთ ცხელ წერილს

[41] ROBERT SATLOFF „FROM HUSSEIN TO ABDULLAH: JORDAN IN TRANSITION“, Publisher The Washington Institute for Near East Policy.1999. pp. 5-9

გააჩაღებდა მთელ ახლო აღმოსავლეთში, რაზეც პასუხისმგებლობა სრულად დაეკისრებოდათ მათ, ვინც არაბების წინააღმდეგ განხორციელებულ ამ სიონისტურ, უსამართლო გეგმას დაუჭერდა მხარს[42].

როგორც მთლიანად არაბული სამყარო, ასევე იორდანიის ჰაშიმიანთა სამეფო, აშკარად წინააღმდეგნი იყვნენ ისრაელის სახელმწიფოს შექმნისა; თუმცა, სინამდვილეში ისრაელისა და იორდანიის კოლაბორაციის ისტორია ისრაელის სახელმწიფოს შექმნამდე და იორდანიის დამოუკიდებლობის დეკლარირებამდე არაერთ წელს ითვლიდა.

ამ ორი ქვეყნის მეთაური ცდილობდა, ამ პოლიტიკურად მყიფე რეგიონში მოწყვლადი ადგილების შექმნის შესაძლებლობა მინიმუმამდე დაეყვანა.

გაეროს მეორე რეზოლუციის მიხედვით პალესტინისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე არაბულ სახელმწიფოთა ლიგის წევრი ქვეყნების _ იორდანიის, ერაყის, ეგვიპტის, სირიისა და ლიბანის ჯარები შევიდნენ.

არაბული სახელმწიფოების პრინციპული პოზიცია პალესტინის საკითხთან დაკავშირებით გაეროს სხდომაზე ადრეც გამოითქვა. პალესტინაში მთავრობის შექმნის უფლება მხოლოდ პალესტინელებს უნდა ჰქონოდათ. იქ კი, სადაც ებრალები არღვევდნენ არაბთა წესრიგს, არაბები იძულებულნი იყვნენ საკუთარი კერა მიეტოვებინათ და მეზობელ არაბულ ქვეყნებში გადასულიყვნენ. პალესტინაში მიმდინარე მოვლენები პროვოცირებული იყო იმპერიალისტების მიერ. აქ მიმდინარე დესტაბილიზაცია არაბულ ქვეყნებში მშვიდობისა და უსაფრთხოების დამყარებას სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა. სწორედ ამიტომ სტაბილურობა პალესტინაში მათთვის წმინდა და უპირველესი მოვალეობა იყო და არის. არაბული სამყარო თავს მოვალედ მიიჩნევს, ამ ომში ჩაერთოს პალესტინაში წესრიგისა დამყარებისა და მშვიდობის აღდგენის მიზნით.

---

[42] Charter of the Islamic Resistance Movement (HAMAS) of Palestine (The Charter was translated by Muhammad Maqdisi for the Islamic Association for Palestine, Dallas, Texas, in 1990) JPS, XXII, no.4 (Summer). p.p. 122-134

ზემოთაღნიშნული საკითხების მოგვარების შემთხვევაში, არაბული ქვეყნები საქმეში აღარ ჩაერევიან და პალესტინის სუვერენულ სახელმწიფოს სრული უფლება ექნება არაბულ სახელმწიფოებთან ითანამშრომლოს. მას შეეძლება ნებისმიერი ნაბიჯის გადადგმა თავისი ხალხისა და ტერიტორიის კეთილდღეობისა და უსაფრთხოებისათვის. ისრაელს ომი გამოუცხადეს, აგრეთვე, საუდის არაბეთმა და იემენმაც.

მაროკოსა და ტუნისის დამოკიდებულება აღნიშნული კონფლიქტისადმი _ მაროკოსა და ტუნისს არ აქვთ ოფიციალური სამშვიდობო შეთანხმებები ისრაელთან, მაგრამ ურთიერთობები შედარებით სტაბილურად რჩება. ისრაელის მოქალაქეებს შეუძლიათ მაროკოსა და ტუნისში გამგზავრება თავიანთი ქვეყნის პასპორტით (როგორც ეგვიპტესა და იორდანიაში).

1948 წლამდე ძლიერი ებრაული თემები არსებობდა შუა აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის ბევრ ქვეყანაში, მათ შორის, მაროკოსა და ტუნისში.

ისრაელის სახელმწიფოს შექმნის შემდეგ დაიწყო მასობრივი მიგრაცია ისრაელში. თუმცა პოლიტიკის მიღმა არაერთმა წარმოშობით მაროკოელმა და ტუნისელმა ებრაელმა შეინარჩუნა მჭიდრო კულტურული ურთიერთობა ისრაელთან და ზოგიერთი მოგზაურობის მიზნით უკან დაბრუნდა კიდეც [43].

ლიბანი, სირია, ერაყი _ ლიბანს, სირიასა და ერაყს საკმაოდ გაყინული ურთიერთობა ჰქონდათ და თითქმის არავითარი დიპლომატიური კავშირი არ გააჩნდათ ისრაელთან. ამ უკანასკნელს სამხრეთ ლიბანის ნაწილი 15 წელზე მეტ ხანს ჰქონდა ოკუპირებული, სანამ 2000 წელს ჯარი არ გაიყვანა. დაძაბულობის ხარისხი კვლავაც მაღალი იყო ისრაელსა და ჰეზბოლას შორის, რომელიც სამხრეთ ლიბანში განლაგდა.

---

[43] The Two-State Solution: What It Is and Why It Hasn't Happened - https://www.nytimes.com/2016/12/29/world/middleeast/israel-palestinians-two-state-solution.html%20) – ბოლოს გადამოწმებულია 29.12.2016

მაშინ, როცა წლების მანძილზე ისრაელსაც და ერაყსაც დაძაბული ურთიერთობა აქვთ, ისრაელსა და ჩრდილოეთ ერაყში მცხოვრებ ქურთებს შორის საკმაოდ მშვიდი ალიანსი ჩამოყალიბდა. მართალია, მათი ურთიერთობები არ ყოფილა ოფიციალურ დონეზე გაფორმებული, თუმცა სავაჭრო და სადაზვერვო კავშირებმა უფრო გაამყარეს ეს დამოკიდებულება[44].

ისრაელი _ ირანი და თურქეთი _ ირანის 1979 წლის რევოლუციამდე ისრაელისა და ირანის ხელმძღვანელობა საკმაოდ ახლოს იყვნენ ერთმანეთთან. თუმცა ეს ყველაფერი შეიცვალა ირანის შაჰის დამხობისა და ამჟამინდელი თეოკრატიული მთავრობის აღზევების შემდეგ. ირანში მოსახლეობის უმეტესობა შიიტი მუსლიმია. მას ჯერ კიდევ ჰყავს საკმაოდ დიდი ებრაული თემი, თუმცა ბევრი მათგანი ისრაელსა ან შეერთებულ შტატებში გადასახლდა. ისრაელი ირანს აშშ-სა და სხვა არაბულ სახელმწიფოებთან მზარდი ალიანსის ფონზე თავის მთავარ საფრთხედ მიიჩნევს.

თურქეთსა და ისრაელს არაოფიციალურად ჰქონდათ მჭიდრო სამხედრო კავშირები. თუმცა ბოლო წლების განმავლობაში ურთიერთობები დაიძაბა, რადგან თურქეთი უფრო რეგიონულ როლს ეძებდა. თურქეთმა ირანთან ერთად დაგმო ბაჰრეინთან და არაბთა გაერთიანებულ საემიროებთან დადებული შეთანხმება ურთიერთობის ნორმალიზების შესახებ, რაც ამ.წ. სექტემბერში აშშ-ის ფასილიტატორობით შედგა[45].

ახლო აღმოსავლეთში ირანი ყოველთვის გვევლინებოდა პალესტინელთა მხარდამჭერ ქვეყნად. ანალიტიკოსების განცხადებით, ღაზას ფლოტილიის ინციდენტის შემდეგ თურქეთი ყურადღების საკუთარ თავზე გადატანას ცდილობდა. მათივე თქმით, თურქეთი ირანისთვის კონკურენციის გაწევას აპირებდა, რეგიონში გავლენის ხელში ჩასაგდებად.

---

[44] Laqueur. Walter and Rubin, Barry (eds.), The Israeli-Arab Reader: A Documentary History of the Middle East Conflict, New York: Publisher-Penguin Books, 1995. pp. 215-217

[45] Israel's relations in the Middle East, explained - https://www.washingtonpost.com/world/2020/08/15/israels-relations-middle-east-explained/ - ბოლოს გადამოწმებულია 15.08.2020

2010 წელს, როდესაც თურქეთიდან ღაზას სექტორის მიმართულებით დაძრულ ჰუმანიტარულ მისიას ისრაელის საზღვაო ქვეითები დაესხნენ თავს, თურქეთმა მკაცრად დაგმო მომხდარი ფაქტი. ირანმა კი კრიტიკისგან თავი შეიკავა. კერძო ანალიტიკური ფირმის სტრატფორის ექსპერტი, რევა ბალა აცხადებს, რომ ირანი ძალზე უკმაყოფილოა თურქეთის მსგავსი აქტივობით.

- ირანს არ მოსწონს თურქეთის მიერ ინიციატივის ხელში ჩაგდება, თეირანი უკვე მრავალი წელია ცდილობს პალესტინელთა ჭეშმარიტი მხარდამჭერის როლი შეასრულოს, მაშინ, როდესაც დანარჩენ მუსლიმანურ სამყაროს უმოქმედობაში ადანაშაულებს, _ აცხადებს ქალბატონი რევა ბალა.

თუმცა ამასთანავე, როგორც ჩანს, ირანი პალესტინის მთავარ მხარდამჭერად მოიაზრება. სახელმწიფო მდივნის ყოფილი თანაშემწე პოლიტიკურ საკითხებში, ნიკოლას ბერნსი ირანის პოლიტიკას პალესტინისადმი უფრო მეტად სიტყვიერ მხარდაჭერად აფასებს, ვიდრე ქმედითად.

თუმცა, ირანი საკმაოდ ფარისევლურად იქცევა, პალესტინელების დასახმარებლად მას არასდროს გადაუდგამს ქმედითი ნაბიჯები. მიუხედავად ამისა, ხშირად ხმამაღლა გამოხატავს პოზიციას, რომელიც არაბულ სამყაროში საკუთარი თავის განმტკიცებას ემსახურება, _ აცხადებს ანალიტიკოსი.

ისრაელის სახელმწიფოებრიობის საკითხის მიმართ განსხვავებული დამოკიდებულება აქვს როგორც თეოკრატიულ ირანს, ისე სეკულარულ თურქეთს. თურქეთი იყო პირველი მუსლიმანური სახელმწიფო, რომელმაც აღიარა ისრაელი, როგორც ქვეყანა. ამასთანავე, ისრაელი თურქეთისთვის იარაღის მთავარი მიმწოდებელია. მხარეებს შორის ურთიერთობა მას შემდეგ დაიძაბა, რაც 2009 წელს თურქეთმა დაგმო ისრაელის მიერ ღაზას სექტორში სამხედრო ოპერაციების დაწყება.

ანალიტიკოსის რევა ბალას განცხადებით, ღაზას სექტორის ბლოკადის გარღვევა კიდევ უფრო გაართულებს ისრაელისა და აშშ-ის მდგომარეობას.

ისრაელის მთავარ პრიორიტეტი ღაზას სექტორის ბლოკადაა. იმ შემთხვევაში, თუ ისრაელი დათმობს პოზიციებს, რეგიონში ძალთა ბალანსის გადანაწილება მოხდება, რასაც არაბულ სამყაროში თურქეთის გავლენის გაზრდა მოჰყვება.

მეორეს მხრივ, თუ ისრაელი უფრო მკაცრ პოზიციას დაიჭერს, შესაძლებელია ამან აშშ-ის მხარდაჭერა რისკის ქვეშ დააყენოს.

ანალიტიკოსების ნაწილი მიიჩნევს, რომ ირანი და თურქეთი რეგიონში გავლენისთვის იბრძვიან. სადამ ჰუსეინის მმართველობის პერიოდში ერაყი ირანის მთავარ მეტოქედ იყო აღიარებული, მაგრამ 2003 წელს, ამერიკის ერაყში შეჭრის შემდეგ, პირველობა ირანის მხარეს გადაიხარა.

არაბული სახელმწიფოებისთვის მთავარ საშიშროებას ირანის სამხედრო ძალის მზარდი პოტენციალი წარმოადგენს და, შესაბამისად, არაბული სახელმწიფოები არ ენდობიან ირანს. ამასთანავე, არაბული სახელმწიფოს დამოკიდებულება თეირანის მიმართ არ იცვლება, მიუხედავად იმისა, რომ ის პალესტინის მხარდაჭერაზე ხშირად საუბრობს, _ აცხადებს ბატონი ბერნსი.

ექსპერტები მიიჩნევდნენ, რომ 2010 წელს, ღაზას სექტორში მომხდარი ინციდენტი შეანელებდა აშშ-ის მხრიდან ირანის წინააღმდეგ გაეროს ახალი სანქციების დაწესების ძალისხმევას. გაეროს უშიშროების საბჭოს ყურადღება ახლა ღაზას ინციდენტზე გადაერთო. თურქეთმა და ბრაზილიამ ირანთან რამდენიმე ხნის წინ დაბალ დონეზე გამდიდრებული ურანის თურქეთში გადაგზავნის თაობაზე შეთანხმებას მიაღწიეს. ანალიტიკოსების განცხადებით, ეს თურქეთის მხრიდან გავლენის განმტკიცების ერთგვარი გამოხატულებაა. თავის მხრივ, აშშ-მა

ხელშეკრულებას მხარი არ დაუჭირა არაადეკვატურობის გამო და ირანის წინააღმდეგ ახალი სანქციების დაწესებას ითხოვს[46].

2021 წლის 10 მაისის სისხლიან შეტაკებას გამოეხმაურა თურქეთის პრეზიდენტი_ რეჯეფ თაიფ ერდოღანი, რომელმაც სატელეფონო საუბრისას თავის ირანელ კოლეგასთან, ჰასან როუჰანთან განიხილა ისრაელის თავდასხმები პალესტინაზე. ერდოღანმა როუჰანთან საუბრისას აღნიშნა, **რომ თურქეთი მყარად ინარჩუნებს თავის პოზიციას და გმობს ისრაელის დარტყმებს პალესტინის წინააღმდეგ.**

ერდოღანის თქმით, გლობალურმა საზოგადოებამ უნდა გაუგზავნოს ისრაელს მკაცრი შემაკავებელი შეტყობინება მისი (ისრაელის) დაუფიქრებელი თავდასხმების ფონზე.

თურქეთის პრეზიდენტმა ასევე ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ისლამური სამყაროსთვის აუცილებელია ისრაელის თავდასხმების წინააღმდეგ ერთიანი დისკურსის მიღება. ორ ქვეყანას შორის საუბარი ორმხრივ ურთიერთობებსაც შეეხო. 10 მაისს ისრაელის ღაზაზე თავდასხმების დაწყების შემდეგ, 181 პალესტინელი, მათ შორის, 52 ბავშვი და 31 ქალი დაიღუპა და კიდევ 1,225 დაშავდა[47].

3.2. დასავლური სამყაროსა და რუსეთის ჩართულობა კონფლიქტის მოგვარებაში

ისრაელის მიერ პალესტინის ტერიტორიების ოკუპაცია, შემდგომ გაეროს მოთხოვნა მის დეოკუპაციასთან დაკავშირებით და პალესტინელების სამართლებრივი უფლება მათ მიერ აღიარებულ

---

[46]03 ივნისი, 2010 ისრაელის რეიდი „ჰუმანიტარულ ფლოტზე“ ანალიტიკოსთა შეფასებები: რეალური მიზნები და თურქეთის როლი https://www.amerikiskhma.com/a/article95551014/529735.html ბოლოს გადამოწმებულია- 29.05.20212.

[47] Turkish, Iranian leaders discuss Israeli attacks on Palestine - https://www.aa.com.tr/en/politics/turkish-iranian-leaders-discuss-israeli-attacks-on-palestine/2243500 - ბოლოს გადამოწმებულია 16.05.2021

ტერიტორიაზე, კიდევ უფრო ამწვავებს და აღრმავებს უთანხმოებას, რაც უკვე ათწლეულებია პოლიტიკურ სივრცეში აქტუალობას არ კარგავს.

გასული საუკუნის ორმოციანი წლებიდან, ისრაელის სახელმწიფოს შექმნის შემდეგ, საბჭოთა კავშირის (კერძოდ, რუსეთის) დამოკიდებულება არ იყო მკვეთრად გამოკვეთილი, თუმცა პალესტინის გაყოფის გეგმას _ ანუ ებრაული სახელმწიფოს შექმნის იდეას, მოულოდნელად მხარი დაუჭირა და გაეროს რეზოლუციას ხმა მისცა. ეს უკანასკნელი 1947 წლამდე პალესტინაში ბრიტანული მანდატის გაუქმებას მოითხოვდა. იმდენად, რამდენადაც საბჭოთა კავშირი მთავარ მეტოქედ დიდ ბრიტანეთს მიიჩნევდა, ამ გზით ცდილობდა მის „დამცირებას“.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთს ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისი ჰქონდა. სწორედ ამის გამო მათ ჩამოაყალიბეს ახალი სტრატეგია თავიანთი უსაფრთხოების გასაზრდელად და რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე საწინააღმდეგო ბალანსის შესაქმნელად. ამის საფუძველზე რუსეთმა განსაზღვრა თავისი ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია, რომლის მიხედვითაც ახლო აღმოსავლეთი სტრატეგიულ რეგიონად მიიჩნია. ამით მისი გავლენა გაიზარდა. რუსეთის ყოფნა რეგიონში სამ მნიშვნელოვან პრინციპს ემყარებოდა: 1) ეწინააღმდეგებოდა აშშ-ის ცალმხრივ მიდგომას; 2) თავიდან იცილებდა შუა აზიისა და კავკასიის რეგიონებში მის (აშშ-ის) გავლენას და ბოლოს, 3) ირანთან და თურქეთთან თანამშრომლობით ექსტრემისტულ და ტერორისტულ ჯგუფებს ებრძოდა.

ახლო აღმოსავლეთის საქმეებში აშშ-ის ჩართულობის მასშტაბმა შესამჩნევად იკლო. ამის გათვალისწინებით, ხშირად ამბობენ, რომ რუსეთი შეძლებს ვაშინგტონის ჩანაცვლებას. ამასთანავე, მოსკოვი არ აპირებს რეგიონში „ჟანდარმის“ როლის შესრულებას, როგორც ამის შესახებ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, სერგეი ლავროვმა განაცხადა.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ორი ქვეყნის ხელისუფლებას შორის მნიშვნელოვანი შეხვედრები შედგა, რამაც საბოლოოდ ისინი

ეკონომიკურ, ბირთვულ და სამხედრო-უსაფრთხოების შეთანხმებებამდე მიიყვანა. თურქეთმა, რომელსაც ბოლო წლებში უფრო დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა აშშ-სა და ნატოსთან, რუსეთთან ურთიერთობა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა. ამიტომ თურქეთის პრეზიდენტი, ერდოღანი სირიის ჩრდილოეთით რუსეთის კოორდინაციით ნებისმიერ ზომებს იღებს. ამასთან, ამ რეგიონში ყველაზე მნიშვნელოვანი ქვეყანაა ისრაელი. მას მჭიდრო კულტურული, პოლიტიკური, ეკონომიკური ურთიერთობები და უსაფრთხოების თვალსაზრისით კავშირი აქვს რუსეთთან[48]. ამ უკანასკნელმა 2015 წლის შემოდგომაზე ისრაელთან კომუნიკაციის თავისებური სტილი შეიმუშავა. ის ცდილობს თავიდან აიცილოს ისრაელთან ურთიერთობის გაფუჭება სირიის საკითხის გამო _ ისრაელის ავიაცია სირიაში გამუდმებით ახორციელებდა საჰაერო დარტყმებს, რათა ირანის სამხედრო ბაზების განლაგებისთვის ხელი შეეშალა. შემდგომ წლებში (2017-2018 წწ.) ისრაელმა ირანის წინააღმდეგ საჰაერო თავდასხმა (დაბომბვა) ორასზე მეტჯერ განახორციელა, „ჰეზბოლასა“ და, ამავდროულად, სირიის სამხედრო ობიექტებზე, თავისივე ტერიტორიაზე, რასაც რუსეთის მხრიდან რეაგირება არ მოჰყოლია. თუმცა 2018 წლის სექტემბერში რუსეთსა და ისრაელს შორის საჰაერო იერიშის გამო ურთიერთობა დაიძაბა.

რუსეთი როგორც ფასილიტატორი _ რუსეთის ოფიციალური პირები, მათ შორის, პრეზიდენტი პუტინი და საგარეო საქმეთა მინისტრი ლავროვი საერთაშორისო საზოგადოების ყურადღების მოპყრობას კვლავ განაგრძობენ ისეთ საკითხზე, როგორიცაა ისრაელსა და პალესტინას შორის არსებული კონფლიქტის მოგვარების აუცილებლობა.

მათი საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე ამის შესახებ ვკითხულობთ: „რუსეთი ახლო აღმოსავლეთში კონფლიქტის სამართლიანად და საფუძვლიანად მოგვარების მომხრეა მყარი

[48] Russia's approach to the Israeli-Palestinian conflict with emphasis on the “Deal of the Century - https://russiancouncil.ru/en/blogs/abijan/russias-approach-to-the-israelipalestinian-conflict-with-emphasis-on-t/ - ბოლოს გადამოწმებულია 25.05.2021.

საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩოს ფარგლებში, რათა დასრულდეს 1967 წელს ისრაელის მიერ არაბული მიწების ოკუპაცია“. დასავლეთ სანაპიროზე ისრაელის დასახლებები უკანონოდ მიიჩნევა. 2017 წელს რუსეთმა აღიარა დასავლეთი იერუსალიმი ისრაელის დედაქალაქად (ხოლო აღმოსავლეთი იერუსალიმი _ პალესტინის დედაქალაქად). ფუნქციონირებადი და სიცოცხლისუნარიანი პალესტინის სახელმწიფოს შესაქმნელად საჭირო გარემოებებისთვის ხელის შეწყობა რუსეთისთვის კონფლიქტის მოგვარების ერთ-ერთი მთავარი ელემენტია. მოსკოვი ახლო აღმოსავლეთის კვარტეტის წევრია აშშ-ს, ევროკავშირსა და გაეროსთან ერთად, თუმცა დღეს აშკარაა, რომ ეს ფორმატი ნელ-ნელა კარგავს ძალას.

რუსეთის როლმა სირიის კონფლიქტში რუსეთ-ისრაელის ურთიერთობებს ახალი განზომილება მისცა, რაც რისკებსაც და, თავის მხრივ, შესაძლებლობებსაც შეიცავს. მათი ურთიერთობა ახლა შეიძლება შეფასდეს, როგორც პრაგმატული და ურთიერთსასარგებლო პარტნიორობა. შესაძლოა ასევე ვლადიმერ პუტინსა და ბენიამინ ნეთანიაჰუს შორის ნორმალური და სტაბილურად კარგი პირადი ურთიერთობებიც დაეხმაროს მხარეებს აღნიშნული კრიზისის მოგვარებაში. მაგალითად 2018 წელს **IL-20**-ის ჩამოგდების ინციდენტიც გამოდგება. / https://netgazeti.ge/news/305109//

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთსა და ისრაელს შორის რეგიონული კოორდინაციის მთავარი პუნქტი სირიაა, ისრაელ-პალესტინის კონფლიქტი ჯერ არ დასრულებულა. თუმცა ნაკლებად სავარაუდოა, რომ ისრაელმა სერიოზულად განიხილოს მოსკოვი შეერთებული შტატების ნაცვლად, როგორც ახალი მოდერატორი ან კეთილსინდისიერი ბროკერი. რუსეთს არა აქვს ისეთი ფინანსური შესაძლებლობები, რომ კონკურენცია გაუწიოს ვაშინგტონს, როგორც ისრაელის საგარეო დახმარების მთავარ დონორს. ის არც აპირებს ჩაენაცვლოს აშშ-ს, როგორც ისრაელის მთავარ სტრატეგიულ პარტნიორს. ათწლეულების განმავლობაში ვაშინგტონი ცდილობს გაითვალისწინოს ებრაული სახელმწიფოს უსაფრთხოების საკითხები.

ისრაელის მთავრობისთვის რუსეთის ურთიერთობები ირანსა და სირიასთან კვლავ მთავარ დამამუხრუჭებელ ფაქტორად რჩება. მოსკოვი არ მიიჩნევს „ჰამასს“ ტერორისტულ ორგანიზაციად, რაც ისრაელის თანამოაზრეთა უმეტესობას აწუხებს.

რუსეთი მთავარი მოდერატორია შიდა პალესტინური მოლაპარაკებებისა, რომელთა ბოლო რაუნდიც შედგა მოსკოვში 2019 წელს. როგორც ცოტა ხნის წინ საგარეო საქმეთა მინისტრმა, ლავროვმა განაცხადა: „რუსეთი გააგრძელებს ძალისხმევის გამოჩენას პალესტინის შიდა განხეთქილების დასაძლევად”. მათი ერთიანობის აღდგენა არის ის წვლილი სამშვიდობო პროცესში, რომლის მიღწევაშიც რუსეთს დახმარება შეუძლია. პალესტინელები დაინტერესებულნი არიან რუსეთის უფრო აქტიური მონაწილეობითა და ჩარევით ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარებაში, როგორც ამას ღიად აცხადებენ.

ბოლო წლების განმავლობაში რუსეთი ცდილობდა ისრაელ-პალესტინის მოლაპარაკებების მასპინძელი ყოფილიყო, თუმცა ამ მცდელობებს რაიმე კონკრეტული შედეგი არ მოჰყოლია, როგორც პუტინმა ალ-არაბიასთან ბოლო ინტერვიუში ახსენა. რუსეთი უახლოეს მომავალში, ალბათ, გააძლიერებს ამგვარ ძალისხმევას.

მოსკოვს ასევე შეუძლია გამოიყენოს მისი მჭიდრო ურთიერთობა სხვა არაბულ სახელმწიფოებთან, რათა თავიდანვე უზრუნველყოს მათი მონაწილეობა შეხვედრებში. როგორც ჩანს, ამ პროცესის წარმატებისთვის მნიშვნელოვანია ახალი სამშვიდობო ფორმატი, რომლის განხორციელებაშიც რეგიონული და გლობალური მოქმედი პირები იქნებიან ჩართული. თუმცა დაძაბულობა რუსეთ-ამერიკის ურთიერთობაში და ისრაელისა და აშშ-ის საშინაო საკითხები მიზნის მიღწევას ართულებს.

შეერთებულმა შტატებმა ვერ შეძლო კონფლიქტის მოგვარება თავისით და ვერც ახლო აღმოსავლეთის კვარტეტის მეშვეობით, შედეგად სიტუაცია კიდევ უფრო გაუარესდა. არის თუ არა რუსეთი მზად ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის მოგვარების „ჭაობში“ გადაეშვას? როგორც

კარნეგის ფონდიდან ეჟენ რუმერი და ენდრიუ ვეისი ამტკიცებენ, თუ რუსეთს სურს იყოს ნამდვილი საბროკერო ძალა, მან „უნდა გამოიყენოს თავისი რესურსი, დაიკავოს რომელიმეს მხარე და გარისკოს ზოგიერთი მხარის ანტაგონიზება“. ნაკლებად სავარაუდოა, რომ მოსკოვს უნდოდეს ამ ეკლიანი გზის გავლა.

ახლო აღმოსავლეთში ამერიკის ჩართულობასთან დაკავშირებით ისრაელსა და რუსეთს საპირისპირო მოსაზრებები გააჩნიათ. გარდა ამისა, რუსეთი ირანთან თანამშრომლობს სირიაში, ამარაგებს იარაღით და იცავს ერთობლივ სამოქმედო გეგმას (JCPOA). ხოლო ისრაელი თეირანს მთავარ საფრთხედ მიიჩნევს და მის წინააღმდეგ პოლიტიკურ-სამხედრო კამპანიას ატარებს. რუსეთი ფიქრობს, რომ ისრაელს შეუძლია ხელი შეუშალოს (სამხედრო საქმიანობითა და ვაშინგტონში თავისი გავლენებით) იმ სტრატეგიულ არქიტექტურას, რომლის ხილვაც მოსკოვს სურს ახლო აღმოსავლეთში. ამასთანავე, რუსეთი, ისრაელს აშშ-სთან შესაძლო დამაკავშირებელ რგოლად მიიჩნევს.

ამის მიუხედავად, მოსკოვისთვის მნიშვნელოვანია მისი როლის გაფართოება, როგორც მშვიდობისმყოფელისა და ფუნდამენტური აქტორისა ახლო აღმოსავლეთში. გარდა ამისა, რუსეთი რამდენიმე წლის განმავლობაში იბრძოდა რეგიონული როლის მოსარგებად ლოკალურ კრიზისებში და წარმოადგინა თავისი გეგმები, რომელიც აშშ-ის მიდგომის საწინააღმდეგო იყო. ამის მიუხედავად, აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ისრაელს დიდი გავლენა აქვს რუსეთში. ერთი მხრივ, მოსკოვში ძლიერი ებრაული ლობისა და ინვესტორების ძალა დიდია, რომელთა ზეწოლაც რუსეთს ძალიან აწუხებს. მეორეს მხრივ, ისრაელში ცხოვრობენ რუსები, რაც ძალიან აწუხებს პუტინს და განსაკუთრებულად ზრუნავს მათ უსაფრთხოებაზე. მოსკოვი ცდილობს მთავარი როლი შეასრულოს ამ კონფლიქტის მოგვარებაში. ამიტომ ნეთანიაჰუ, ტრამპთან შეხვედრის შემდეგ პუტინთან შესახვედრად გაემგზავრა. ამასთანავე, რუსეთი დაჟინებით მოითხოვს, რომ პალესტინის მხარე უნდა ჩაერთოს ამ გეგმაში,

რადგან მათი არდასწრება პროექტს ძალიან ახლო მომავალში ჩააგდებს. მოსკოვის მიდგომა კონფლიქტისადმი ასეთია _ ის უნდა აღმოიფხვრას. ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის მიღწევით, ყველა გაიმარჯვებს.

ებრაელებმა და პალესტინელებმა რუსეთის მხარდაჭერის მოპოვებით უნდა შეძლონ თავიანთი ხანგრძლივი კონფლიქტის მოგვარება. მოსკოვს, როგორც ჩანს, გააჩნია მზაობა იმისა, რომ იყოს პარტნიორი ახალ გარიგებაში, რაც საბოლოოდ დაასრულებს კონფლიქტს ახლო აღმოსავლეთში[49].

ევროკავშირი და მისი პოზიცია _ ევროკავშირის შიდა დაყოფისა და, ასევე, გლობალური ტენდენციების ფონზე მის წევრ ზოგიერთ ქვეყანასა და ისრაელს შორის ნელ-ნელა ურთიერთობების გაუარესება შეიმჩნევა. მიუხედავად მათ შორის აშკარა განსხვავებულობისა, ისინი საერთო ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინტერესებს იზიარებენ. ისრაელთან ურთიერთობა კი ეფუძნება იმ პრინციპებს, რომლებიც მათ იდეურ-პოლიტიკურად აახლოებს.

ეს ქვეყნები საშინაო და საგარეო საფრთხეებს ერთნაირად აღიქვამენ, ასევე, აცნობიერებენ საერთო შესაძლებლობების ზრდის საჭიროებას უსაფრთხოების, ეკონომიკის, ენერგეტიკის, ტურიზმისა და სხვა სფეროებში თანამშრომლობის კუთხით. დამატებითი საერთო ინტერესი კი ანტისემიტიზმის წინააღმდეგ ბრძოლა და ისრაელის მთავრობის პოლიტიკის კრიტიკაა.

თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ ის მსგავსება, რაც ბოლო პერიოდში ისრაელსა და ევროკავშირის ულტრამემარჯვენე ნაციონალისტური პარტიის ქვეყნებს აკავშირებთ. ისინი იზიარებენ ერთნაირ პოლიტიკურ დღის წესრიგსა და მისწრაფებებს, რაც ეთნოცენტრული ღირებულებებსა და ნაციონალისტურ პრიორიტეტებს ადგენს, ხოლო გლობალურ მოძრაობებსა

[49] Who Needs a Deal-Maker? Russia's Mediation in the Israeli-Palestinian Conflict - https://www.ispionline.it/en/pubblicazione/who-needs-deal-maker-russias-mediation-israeli-palestinian-conflict-24699 -ბოლოს გადამოწმებულია 29.05.2021.

და პროგრესული ლიბერალური ღირებულებების ლეგიტიმურობას ძირს უთხრის.

ევროპის ზოგიერთი ქვეყანა ისრაელის სამხედრო და ეკონომიკური ძალის, განსაკუთრებით, მისი პოლიტიკური ლიდერების მნიშვნელოვან როლს აღიარებს. სამხედრო თვალსაზრისით, ისრაელი რადიკალურ ისლამიზმთან მებრძოლად გვევლინება. ასევე, ის ახლო თუ შორეულ საზღვართან უსაფრთხოების რთულ გამოწვევებს წარმატებით უმკლავდება. ამ კონტექსტში ისრაელის რამდენიმე ევროპული პარტნიორი ქვეყანა საერთო შეხედულებებს იზიარებს საგარეო საფრთხესთან დაკავშირებით, როგორიცაა ევროპაში ექსტრემისტული ისლამიზმის გავრცელება; ასევე, რუსეთიდან და თურქეთიდან უსაფრთხოებისა და თავდაცვის გამოწვევებთან გამკლავება.

ევროპის ზოგიერთი ქვეყანა ისრაელთან მჭიდრო ეკონომიკური თანამშრომლობის მომხრეა, რადგან ის ტექნოლოგიური ინოვაციებისა და კიბერუსაფრთხოების თვალსაზრისით ერთ-ერთი მოწინავეა. ასევე, ბუნებრივი აირითა და სხვა ეკონომიკური ბენეფიტებით მათთვის ძალიან მიმზიდველია. მეორე საერთო ინტერესს კი ანტისემიტიზმისა და ანტისიონიზმის წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენს.

აქვე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ებრაულ-ქრისტიანული ალიანსი საერთო საფრთხის (რადიკალურ ისლამიზმის) წინააღმდეგ ფართოვდება. ის ასევე ანტისემიტური და ანტისიონისტური მოძრაობის წინააღმდეგ იბრძვის. ეს ვალდებულებები ნათლად გამოვლინდა საკანონმდებლო ინიციატივებში, ქმედებებსა და ისეთ ოფიციალურ პირთა განცხადებებში, როგორებიც არიან: ავსტრიის კანცლერი, სებასტიან კურცი და საგარეო საქმეთა მინისტრი, კარენ კნეისლი. მათ საჯაროდ ანტისიონიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ფიცი დადეს და განაცხადეს, რომ ებრაულ სახელმწიფოს საერთაშორისო ფორუმებზე გვერდში დაუდგებოდნენ.

უნგრეთის პარლამენტარმა, ვიქტორ ორბანმა ამ ტენდენციას ზურგი უფრო გაუმაგრა. „უნგრეთმა შეცდომა დაუშვა და შესცოდა, როდესაც ის

ნაცისტებთან თანამშრომლობდა და არ დაიცვა ებრაელები... მე ავუხსენი ისრაელის პრემიერ-მინისტრს, რომ ეს აღარასოდეს განმეორდება. ჩვენ უნდა დავუსვათ წერტილი ანტისემიტიზმის მზარდ ტენდენციას ევროპაში და ნათლად უნდა განვაცხადოთ, რომ პატივს ვცემთ ისრაელის უფლებას, დაიცვას საკუთარი თავი. ნულოვანი ტოლერანტობა ანტისემიტიზმს!"[50]_ განაცხადა ორბანმა.

მრავალმხრივი არენა (გაეროს უსაფრთხოების საბჭო და გაეროს სხვა ორგანოები) მეორე ფრონტია, სადაც ისრაელი ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მხარდაჭერის მოსაპოვებლად (ისრაელის საკითხის ირგვლივ გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით) დიპლომატიურ მცდელობებს არ იშურებს. კერძოდ, ისრაელი აფართოებს თავის საერთაშორისო კავშირებს მეტი მხარდაჭერის მოსაპოვებლად და მოტივაციას უქმნის მოკავშირეებს, რათა ისინი პალესტინელთათვის ხელსაყრელი რეზოლუციის მიღებას წინ აღუდგნენ. გარდა ამისა, 2017 წლის დეკემბერში გაეროს გენერალურმა ასამბლეამ დაგმო აშშ-ის ქმედება მისი საელჩოს იერუსალიმში გადატანის გამო. მიუხედავად ამერიკის მუქარისა, შეეწყვიტათ დახმარება იმ ქვეყნებისთვის, რომლებმაც მხარი დაუჭირეს ამ რეზოლუციას, შედეგები ისრაელისთვის ძალიან იმედგამაცრუებელი იყო. უფრო მეტიც, ის ცდილობდა იუნესკოში ევროკავშირის წევრი ქვეყნების მხარდაჭერის მოპოვებას, რაც წარუმატებლად დასრულდა. ამან კი 2017 წლის ოქტომბერში აშშ-სთან ერთად ხსენებული ორგანიზაციის დატოვების გადაწყვეტილებამდე მიიყვანა.

ნეთანიაჰუმ სამიტზე მიმართა ევროკავშირის ქვეყნების ლიდერებს: „ნებისმიერ ქვეყანასთან ვცდილობ ჩვენი კავშირების განმტკიცებას, ასევეა ამ ქვეყნების ბლოკთანაც, რომელთანაც მსურს ჩემი პოლიტიკის

[50] The EU and the Israel–Palestine conflict Haim Yacobi and David Newman https://www.cambridge.org/core/books/abs/european-union-and-border-conflicts/eu-and-the-israelpalestine-conflict/95585E5E164EA61AE27D0E33D5F3B7FB ბოლოს გადამოწმებულია - 27.05.2021.

ხელშეწყობა და წინსვლა _ ევროკავშირის ფარისევლური და მტრული მიდგომის შეცვლა“.

ანალოგიურად, 2019 წლის იანვარში რუმინეთის პრემიერ-მინისტრის ისრაელში ვიზიტის დროს, პრემიერ-მინისტრმა ნეთანიაჰუმ განაცხადა: „იმედი მაქვს, თქვენ იმოქმედებთ ევროკავშირში ისრაელის წინააღმდეგ ცუდი რეზოლუციების შესაჩერებლად“.

ისრაელის დიპლომატიურ ურთიერთობებზე ევროკავშირის ქვეყნების პოლიტიკურ პარტიებთან უნდა აისახებოდეს ამ უკანასკნელთა პასუხისმგებლობა ებრაელების მიმართ ჩადენილი ისტორიული უსამართლობის გამოსწორებასთან დაკავშირებით. ზემოთქმული მოიაზრებს ებრაული საზოგადოების კეთილდღეობას ამ ქვეყნებში.

არსებობდა სამი ძირითადი ფაქტორი, რაც ხელს უშლიდა ევროპელებს თავიანთი პოზიციების გაცნობიერებაში. პირველი _ მათ თავი შეიკავეს იმისგან, რომ ამ კონფლიქტში აშშ-ის ადმინისტრაცია მთავარი შუამავლის როლში გამოეწვიათ. რადგან ამას არც ისრაელი და არც აშშ არ მიიღებდა. ევროპელები კი საკუთარ თავს ამ საქმის „მესაჭედ“ არ მიიჩნევდნენ. როგორც 2018 წლის თებერვალში ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა, ფედერიკა მოგერინიმ განაცხადა: „არაფერი შეერთებული შტატების გარეშე, არაფერი მხოლოდ შეერთებულ შტატებთან“.

ამრიგად, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ევროკავშირს არ მიუღია ინიციატივა ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის მოგვარების ალტერნატიული მიდგომის შესახებ. მისმა ცალკეულმა წევრმა ქვეყნებმა გადადგეს ნაბიჯები (ძირითადად, იგულისხმება საფრანგეთის სამშვიდობო ინიციატივა 2016/2017 წლებში). როგორც წესი, ევროპელებმა გადაწყვიტეს თავის შეკავება, სანამ აშშ არ იქნებოდა ინიციატორი. თუნდაც ეს ნაბიჯები უპერსპექტივო გამომდგარიყო. ამ თვალსაზრისით, მათ ასევე თავი შეიკავეს პრეზიდენტ ტრამპის პოლიტიკისა და რიტორიკის კრიტიკისგან, რამაც პალესტინის საკითხი სერიოზულად შეარყია. დონალდ ტრამპის

სამშვიდობო გეგმის გამოქვეყნების შეფერხება, როგორც ჩანს, უმოქმედობის საბაბი გახდა.

ევროპის უსაფრთხოების საბჭოს 2018 წლის დეკემბრის განცხადებაში ხაზგასმულია ის პრინციპები, რომლებიც სამშვიდობო ინიციატივის წარმატების მისაღწევად მხედველობაში უნდა მიეღოთ, თუმცა ამას ევროპის მხრიდან მოქმედება არ მოჰყოლია.

ამრიგად, ევროკავშირს აქვს საფუძველი იმისა, რომ აშშ-ს ადმინისტრაციას მთავარი ფასილიტატორის როლი დაუთმოს, რადგან განვითარებულ მოვლენებზე თავად მცირე გავლენის მოხდენა შეუძლია;

მეორე _ ევროკავშირის პოზიციებიდან გამომდინარე, მისი წევრი სახელმწიფოები ამ საკითხის ირგვლივ არ იჩენენ აქტივობას, ისინი თანმიმდევრობით არ ასრულებენ ერთობლივ გადაწყვეტილებებსა და ვალდებულებებს. მათ წარმომადგენლებს არ გააჩნიათ აქტიური პროპაგანდირებული პოზიციები (მაგალითად, დიფერენცირებაზე). პირიქით, ეს უმაღლეს წარმომადგენელს დააკისრეს, რათა აეხსნათ ევროკავშირის მიდგომები და თავი დაეცვათ მთელი რიგი ცილისწამებისგან.

მესამე _ მიუხედავად იმისა, რომ ევროპაში კონფლიქტის მოგვარების პრინციპებზე კონსენსუსი არსებობს, არ არის სქემა, თუ როგორ უნდა წავიდეს საქმე წინ, ანუ როგორ უნდა დაიძრას წინ კონფლიქტის მოგვარების საკითხი ან თუნდაც მოლაპარაკებების მაგიდასთან რამე ვარიანტი ეფექტურად შენარჩუნდეს. კონსენსუსი ასევე არ არსებობს იმ პრიორიტეტთან დაკავშირებით, რომელიც კონფლიქტის მოგვარებას უნდა ჰქონდეს ევროპის საგარეო პოლიტიკაში. შეთანხმების ვერსიების ნაკლებობა ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში უფრო საგრძნობი გახდა ევროპაში მემარჯვენე პოლიტიკის ზრდის პერიოდში _ 2015 წლის ე.წ. „ლტოლვილთა კრიზისისა“ და ტრამპის ადმინისტრაციის მიდგომის ფონზე. ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა, კერძოდ, ვიშეგრადის ჯგუფმა,

არაერთხელ დაბლოკა საბჭოს დასკვნები ან სხვა ერთობლივი განცხადებები.

„ძველი ევროპის“ სახელმწიფოები ცდილობენ საშუალო პოზიცია შეინარჩუნონ. გერმანიამ, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში თავს ევროკავშირში „ისრაელის კარგ ელჩად“ მიიჩნევდა, 2004 წლიდან მოირგო მოდერატორისა ან დამაკავშირებელი რგოლის როლი. მაშინ, როცა ბერლინი მეტად კრიტიკული მიდგომით გამოირჩეოდა ისრაელ-პალესტინის კონფლიქტთან დაკავშირებით ისრაელის პოზიციისა და, კერძოდ, ნეთანიაჰუს მთავრობის ამჟამინდელი პოლიტიკის მიმართ. საერთო ჯამში, ის ცდილობს ისრაელთან მეგობრული პოზიცია შეინარჩუნოს.

ევროკავშირსა და ისრაელს შორის ურთიერთობები რეალურად ვაჭრობის კუთხით ვითარდებოდა. ამავდროულად, ეს უკანასკნელი ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროგრამებში (როგორიცაა Horizon 2020) მონაწილეობდა და მთელ რიგ სფეროებში უფრო ღრმა თანამშრომლობა დაიწყო. თუმცა არსებობს ისეთი ვარაუდი, რომელიც ევროკავშირის წინააღმდეგ მეტყველებს და მას არამეგობრულ, უპასუხისმგებლო აქტორად წარმოაჩენს.

მაშინაც კი, თუ ევროპის წევრი სახელმწიფოები დღეს ისრაელ-პალესტინის კონფლიქტს პრიორიტეტულად არ მიიჩნევენ და ვერ ხედავენ, თუ როგორ შეუძლიათ წვლილი შეიტანონ მის მოგვარებაში, მათ სერიოზულად უნდა მიიღონ ამ რისკების არსებობა. არის, მინიმუმ, ორი დამაჯერებელი მიზეზი. პირველი _ ევროპელი გადამხდელების ფული არ იხარჯება მშვიდობისმყოფელობაში, პალესტინის თვითგამორკვევის რეალიზებასა და ისრაელის გვერდით დემოკრატიული პალესტინის სახელმწიფოს დამკვიდრებაში. უფრო მეტიც, ის ნაწილდება ღაზაში პოლიტიკურად შეთხზული ჰუმანიტარული კრიზისის საფასურის დასაფარად და კონფლიქტის მართვის არსებული სისტემის მხარდასაჭერად. ამგვარად, ის ისრაელს საშუალებას აძლევს, განაგრძოს

ოკუპაცია, ღაზას სექტორის იზოლირება და დასავლეთ სანაპიროს მცოცავი ანექსია.

ეს საშუალებას აძლევს ღაზას სექტორში დე ფაქტო მთავრობას საკუთარი მოქალაქეების კეთილდღეობაზე პასუხისმგებლობას თავი აარიდოს.

ამრიგად, ევროპული სახსრები ადგილობრივ აქტორებს სიმძიმეს აცილებს. რაც პასუხისმგებლობის არიდებით გამოიხატება. ასევე, ეხმარება პალესტინის სახელმწიფო ინსტიტუტების აშენებას, ეკონომიკურ განვითარებას და თავისი წვლილი შეაქვს კონფლიქტის მოგვარებაში.

მეორე, ევროპის სახელმწიფოები (როგორც ყველა სახელმწიფო) იურიდიულად ვალდებულნი არიან უარი თქვან საერთაშორისო უკანონო ქმედებების აღიარებაზე და საერთაშორისო სამართლის შესაბამისად იმუშაონ.

ადამიანის უფლებების დარღვევის რატიფიკაციის კრახი და საერთაშორისო სამართლის ნორმათა იგნორირება ისრაელის, საპარლამენტო ასამბლეისა და „ჰამასის“ მიერ ან საეჭვო ომის დანაშაულების გამოძიება კანონის დარღვევის გასაგრძელებლად კონფლიქტის მხარეების მოწვევას /მოხმობას/უტოლდება.

ნაცვლად იმისა, რომ შეიქმნას საფუძველი მშვიდობიანი თანაცხოვრებისთვის, ეს კიდევ უფრო აღრმავებს განხეთქილებებს საზოგადოებასა და მის შრეებს შორის[51].

აშშ-ს ჩართულობა _ პალესტინელები დასავლეთ სანაპიროს (უესტ ბანკს _ west bank) ხედავენ მომავალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს ცენტრად, ხოლო აღმოსავლეთ იერუსალიმს _ მათ დედაქალაქად. საერთაშორისო საზოგადოების უმეტესი ნაწილი მხარს უჭერს მათ პოზიციას, მაგრამ ტრამპმა, აშშ-ის ათწლეულების საგარეო პოლიტიკა ისრაელთან მიმართებით შეცვალა თავისი ახლო, ღია და მიკერძოებული

[51] The EU and the Israeli-Palestinian Peace Process in a Post-Mogherini Era - https://carnegieendowment.org/sada/79985 -ბოლოს გადამოწმებულია 03.05.2021

ურთიერთობის გამოხატვით. მისი სტრატეგიის მთავარი ელემენტი იყო იერუსალიმის ისრაელის დედაქალაქად აღიარება და, შესაბამისად, ამერიკის საელჩოს იქ გადატანა. მან ასევე დახურა პალესტინის დიპლომატიური ოფისები ვაშინგტონში და შეუწყვიტა დაფინანსება პალესტინის დახმარების პროგრამებს. პალესტინელებმა უარი თქვეს ტრამპთან დიალოგზე და არაბთა ლიდერებს სთხოვეს მხარდაჭერა. ქვემოთ მოცემულ რუკაზე ნაჩვენებია ტრამპის გეგმა:

თუმცა აშკარაა, რომ „საუკუნის გარიგება“ ვერ იქნება მიღწეული, თუ პალესტინურმა მხარემ სრულად უკუაგდო და ვერ მიიღო ის. რა თქმა უნდა, ისინი ამ შეთანხმების, რაც ორი სახელმწიფოს წარმოქმნას გულისხმობს, წინააღმდეგი იქნებიან

2015 წლის სექტემბერში გაეროს გენერალური ასამბლეის წინაშე მაჰმუდ აბასმა განაცხადა, რომ პალესტინელები „არ მიიღებენ დროებით გადაწყვეტილებებს ან დანაწევრებულ სახელმწიფოს“ _ რადგან პოზიცია, რომელიც მათ მრავალი წლის განმავლობაში უჭირავთ, მომავალშიც კვლავ შენარჩუნდება.

ებრაელებისა და პალესტინელების ურთიერთობა დიდხანს ჩიხში იყო მომწყვდეული და ამიტომაც რაღაც უნდა შეიცვალოს. სტატუს კვო არამდგრადი და არასტაბილურია, ძირითადად ისრაელისთვის, თუმცა გარკვეულწილად პალესტინელებისთვისაც.

ორივე მხარე ძალიან საჭიროებს დიალოგის მაგიდასთან დაბრუნებას, რათა მათმა მოსახლეობამ უსაფრთხოდ და მშვიდად შეძლოს თანაცხოვრება[52].

3.3. კონფლიქტის მოგვარების სავარაუდო პერსპექტივები

ისრაელის მიერ პალესტინის ტერიტორიების ოკუპაციის მერე, 1967 წელს, გაეროს მიერ ერთხმად მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, მას (ისრაელს) პალესტინის დეოკუპაცია უნდა განეხორციელებინა. იმდენად, რამდენადაც დოკუმენტს სამართლებრივი ძალა გააჩნდა მათ ტერიტორიაზე პალესტინელების უფლებასთან დაკავშირებით.

[52] What Is U.S. Policy on the Israeli-Palestinian Conflict? - https://www.cfr.org/backgrounder/what-us-policy-israeli-palestinian-conflict - -ბოლოს გადამოწმებულია 05.27.2021

აშშ-მ გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ 1976 წელს მიღებული რეზოლუცია, რომელიც 1967 წლამდე ორ სახელმწიფოს შორის არსებული საზღვრების იდეის ინიციირებას წარმოადგენდა, დაბლოკა. მისი (აშშ-ის) აზრით, საზღვარი მხარეებს შორის ორმხრივი მოლაპარაკებებით უნდა გარკვეულიყო.

სამშვიდობო მოლაპარაკებათა ქრონოლოგია _ პირველად, 1978 წ., კემპ-დევიდის ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, პალესტინელები (არაბები) და ებრაელები მოლაპარაკებების მაგიდას მიუსხდნენ.

მხარეებს შორის პირველი პირისპირ შეხვედრა მადრიდის სამშვიდობო კონფერენციაზე 1991 წლის 30 ოქტომბერს (30 ოქტომბრიდან 3 ნოემბრამდე), აშშ-ის პრეზიდენტის, ჯორჯ ბუში უფროსის ინიციატივით, საზეიმო ვითარებაში ჩატარდა. მადრიდში შეთანხმებას ორ პრინციპულ საკითხზე – მომდევნო შეხვედრის ადგილსა და მოლაპარაკებათა დღის წესრიგზე ვერ მიაღწიეს. ისრაელის წარმომადგენლები მოითხოვდნენ შეხვედრა ახლო აღმოსავლეთში შემდგარიყო, რათა ამით ხაზი გაესვათ იმ ფაქტისთვის, რომ აღნიშნული მოლაპარაკება რეგიონულ ხასიათს ატარებდა. ხოლო არაბებს კი, პირიქით, მისი ჩატარება ერთ-ერთ ევროპულ ქალაქში სურდათ.

მადრიდის კონფერენციამ მოწინააღმდეგე მხარეთა შემდგომ შეხვედრებს გზა გაუხსნა: 1991 წ. 10 დეკემბრიდან 1992 წ. დეკემბრის ჩათვლით ისრაელისა და პალესტინელ არაბთა წარმომადგენლების მოლაპარაკების 10 რაუნდი გაიმართა, რომლებიც უსარგებლოდ ჩაითვალა; შეხვედრა გაიმართა მოსკოვში 1992 წ. 28-29 იანვარს და ოტავაში - 1992 წ. მაისში[53].

ოსლოს ხელშეკრულება _ 1993 წ. 13 სექტემბერს ვაშინგტონში, თეთრ სახლში, ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრმა, შიმონ პერესმა და პგო-ს (პალესტინის განმათავისუფლებელი ორგანიზაციის) აღმასრულებელი

[53] "The Madrid Conference“ 1991Office of the Historian, U.S. Department of State. https://justvision.org/glossary/madrid-conference -ბოლოს გადამოწმებულია 28.05. 2021.

კომიტეტის წევრმა, მაჰმუდ აბასმა (აბუ მაზენმა) პალესტინის დროებით თვითმმართველობაზე შეთანხმებათა პრინციპების დეკლარაციას მოაწერეს ხელი. ხელმოწერის ცერემონიალზე ი. რაბინმა განაცხადა: „პალესტინელებო! ჩვენ, ჯარისკაცები, რომლებიც სისხლით შეღებილი დავბრუნდით ომიდან, ჩვენ, ვინც ვომობდით თქვენ წინააღმდეგ, დღეს გეუბნებით: გვეყო სისხლი და ცრემლები, გვეყო!“

თავის მხრივ, იასირ არაფათმა სიტყვით გამბედაობის, სიმამაცისა და მშვიდობის დასამკვიდრებლად მიმართა თავის ხალხს: „ჩვენი ხალხი არ მიიჩნევს, რომ თვითგამორკვევაზე უფლებების განხორციელება შელახავს მისი მეზობლების უფლებებს და დაარღვევს მათ უსაფრთხოებას“.

აღნიშნული დეკლარაციის მთავარ მიზანს ხუთწლიან დროებით შუალედურ პერიოდში მდ. იორდანეს დასავლეთ ნაპირზე და ღაზას სექტორში პალესტინის გარდამავალი თვითმმართველობის შექმნა წარმოადგენდა, სწორედ იმ ტერიტორიების ნაწილზე, სადაც გაერო-ს 1947 წ. 29 ნოემბრის 181 (II)-ე რეზოლუციით უნდა ჩამოყალიბებულიყო პალესტინის არაბული სახელმწიფო. ეს იდეა, როგორც ცნობილია, 1948-49 წწ. არაბებისა და ისრაელის პირველ ომს ემსხვერპლა.

ოსლოს შეთანხმებამ პალესტინის ავტონომიის საკითხის აუცილებლობა რეალურად დაგვანახა. ებრაელებსა და პალესტინელებს შორის მკვეთრი შემოტრიალება და ცვლილება შეინიშნა, რამაც გზა გაუხსნა არა მარტო ფართომასშტაბიან სამშვიდობო პროცესს მთელ ახლო აღმოსავლეთში, არამედ დიალოგის ალტერნატივა დაგვანახა. საპირისპირო მიდგომა იმ კონფრონტაციული პოლიტიკისა, რომელიც არაერთი კრახით დასრულებულა. მრავალ პალესტინელს გაუჩნდა იმედი, რომ მათი სანუკვარი ოცნება _ პალესტინის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა _ უკვე ხელშესახები იქნებოდა.

ოსლოს შეთანხმებაზე, თავდაპირველად, დადებითი რეაქცია ჰქონდა პალესტინისა და ისრაელის მოსახლეობის ძირითად ნაწილს, თუმცა მოგვიანებით შეინიშნებოდა უარყოფითი ტენდენციები. ამას ებრაელთა

მხრიდან თავისი მიზეზი ჰქონდა, ხოლო პალესტინელების მხრიდან _ თავისი. ისრაელისთვის იერუსალიმის სტატუსის განხილვის დაყოვნება შემაშფოთებელი იყო. იმდენად, რამდენადაც ის მიიჩნევდა, რომ ოსლოს შეთანხმებები ქმნიდა პალესტინის სახელმწიფოს ჩარჩოებს. ამას კი ის ეროვნული უსაფრთხოების მოტივით ეწინააღმდეგებოდა.

პალესტინის მხარეს, თავის მხრივ, შემდეგი საკითხები აღელვებდა: პალესტინის სახელმწიფოს შექმნა, 1948 წ., პალესტინელი ლტოლვილების დაბრუნება, აღმოსავლეთ იერუსალიმის სუვერენიტეტი, ებრაელთა დასახლებები, უსაფრთხოების ღონისძიებები, პალესტინელ პოლიტიკურ პატიმართა გათავისუფლება და მუდმივი საზღვრები, ისრაელის ჯარების გადაადგილება და არა გასვლა (მათი სრული გაყვანა არ განიხილებოდა, როგორც საბოლოო სტატუსზე მოლაპარაკებების ნაწილი. ასევე, არ არსებობდა არანაირი გეგმა იმასთან დაკავშირებით, რომ ისრაელს ჩამორთმეული მიწები დაებრუნებინა პალესტინელებისათვის).

ისრაელ-პალესტინელების მოლაპარაკებები და სამშვიდობო პროცესი 1994 წ. 25 თებერვლის ტრაგიკულმა შემთხვევამ შეაჩერა _ ამერიკაში დაბადებულმა და ისრაელში, კირიათ არბაში მცხოვრებმა, კაჩის ექსტრემისტული მოძრაობის წევრმა, ბარუხ გოლდსტეინმა, ქ. ჰებრონის ცენტრში, იბრაჰიმის მეჩეთში, დილით, დაცხრილა 29 მლოცველი. გოლდსტეინი მოკლეს, ხოლო შემდეგ ოკუპირებულ ტერიტორიებსა და ისრაელის არაბულ მოსახლეობაში დაიწყო მღელვარება, რამაც მომდევნო რვა დღეში 33 პალესტინელის სიცოცხლე შეიწირა. [54]

მოლაპარაკებების ახალი ეპოქა _ 2002 წლიდან მოლაპარაკებების ახალი ეტაპი დაიწყო, როდესაც ოთხეულმა (გაერო, აშშ, ევროპის კავშირი, რუსეთი) „საგზაო რუკა მშვიდობისათვის“ შექმნა.

„საგზაო რუკა მშვიდობისთვის“ ჯორჯ ბუში უმცროსის 2002 წლის სიტყვას დაეფუძნა. დოკუმენტის პირველი მონახაზი ევროპის კავშირმა

[54] ჯაფარიძე თ., სამშვიდობო პროცესი ახლო აღმოსავლეთში (ისრაელისა და პალესტინელთა ხელშეკრულებები 1993-99 დიპლომატია. წელიწდეული, 7, თბ., 2000, 264-300.

გამოაქვეყნა, რომელსაც მერე ამერიკული ვერსიაც მოჰყვა. თუმცა, მისი საბოლოო ვარიანტი 2003 წლის 30 აპრილს გამოქვეყნდა.

ზემოთაღნიშნული დოკუმენტის პირობები პალესტინის ახლადარჩეულმა პრემიერმა, მაჰმუდ აბასმა მოიწონა, თუმცა მისმა ებრაელმა კოლეგამ, არიელ შარონმა მასში ჩადებული ერთ-ერთი პუნქტი _ უკანონო დასახლებების დემონტაჟის განხორციელებაზე, შეუძლებლად მიიჩნია და პალესტინურ მხარეს საკუთარი 14 მოთხოვნა წაუყენა, რაზეც პალესტინის ლიდერმა ეს მოთხოვნები „საგზაო რუკიდან“ აცდენილად და შესაბამისად, მათთვის მიუღებლად და შეუსაბამოდ გამოაცხადა.

2003 წლის ბოლოსთვის, ორივე მხარემ „საგზაო რუკით“ გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება ვერ შეძლო: პალესტინა აგრძელებდა ტერორისტული თავდასხმებს ისრაელის ტერიტორიაზე, ხოლო ისრაელმა კი, თავის მხრივ, პალესტინური მიწების დეოკუპაცია არ მოახდინა და არც უკანონო მშენებლობები შეაჩერა. ამით საგზაო რუკის პირველი ეტაპი ჩიხში შევიდა.

მოლაპარაკებების მომდევნო ეტაპის პერიოდში 2007-2009 წლებში, მხარეები ყველაზე ახლოს იყვნენ კონკრეტული, ხელშესახები შედეგის მიღწევასთან. ამ დროის განმავლობაში ისრაელის პრემიერი, ეჰუდ ოლმერტი და პალესტინის პრეზიდენტი, მაჰმუდ აბასი 36-ჯერ მაინც შეხვდნენ ერთმანეთს. ისრაელმა პალესტინას კონკრეტული გეგმა შესთავაზა. რომლის მიხედვით, ისრაელის ჯარი ოკუპირებული პალესტინური ტერიტორიებიდან გამოვიდოდა და მუდმივი საზღვარი გაკეთდებოდა; ისრაელი საკუთარი ტერიტორიის 5.8%-ს ღაზას სექტორის მეზობლად, პალესტინურ 6.3% ტერიტორიაში გაცვლიდა; ისრაელის ჯარი პალესტინის მხარეს დისლოცირებას გააგრძელებდა; უკანონო დასახლებებში მცხოვრებთა 60% დარჩებოდა და გააგრძელებდა ცხოვრებას; იერუსალიმის სტატუს კვო შენარჩუნდებოდა – ებრაული ნაწილი _ ისრაელის, ხოლო პალესტინური ნაწილი პალესტინის სუვერენიტეტს შეინარჩუნებდა. ამასთანავე, მხარეები უსაფრთხოების, ბიზნესის, წყლის

მიწოდების, საბანკო და ტურიზმის სფეროში ითანამშრომლებდნენ. პალესტინურმა მხარემ ტერიტორიების გაცვლის სქემაში მეტი სიცხადის შეტანა მოითხოვა, რადგან ისრაელისთვის დასავლეთი სანაპიროს ტერიტორია სხვა პერიმეტრით განისაზღვრება და ოლმერტის შეთავაზებული 6.3% რეალურად, შესაძლოა 8.5% ყოფილიყო. მოლაპარაკებები საბოლოოდ ჩაიშალა, რაშიც მხარეები ერთმანეთს ადანაშაულებდნენ.

ამ პერიოდში ძალიან მნიშვნელოვანი პოლიტიკური ცვლილებები მოხდა თავად პალესტინაში. ქვეყნის ორი წამყვანი პოლიტიკური ძალა – „ჰამასი“ და ფათჰი ერთმანეთს დაუპირისპირდა. „ჰამასმა“ მოღვაწეობა ღაზას სექტორში, ხოლო ფატჰიმ _ დასავლეთ სანაპიროზე განაგრძო. ორივე ძალა თავიანთ თავს პალესტინელი ხალხის ნების გამომხატველად მიიჩნევდა. „ჰამასსა“ და ისრაელს შორის დაპირისპირებამ ამ პერიოდში კრიტიკულ ზღვარს მიაღწია.

ეგვიპტემ მოახერხა და 2008 წლის ივნისში მხარეები სამშვიდობო შეთანხმებაზე დაითანხმა, თუმცა, სამწუხაროდ, ის ნახევარ წელიწადში დაირღვა. შედეგად 2008 წლის დეკემბერში ღაზას სექტორში ომი დაიწყო.

2009 წელს, როდესაც აშშ-ს ადმინისტრაცია შეიცვალა, ახალმა პრეზიდენტმა, ბარაკ ობამამ კაიროში სიტყვით გამოსვლისას მთავარი აქცენტები მუსლიმთა ინტერესების დაცვასა და რეგიონში მშვიდობის ხელშეწყობაზე გააკეთა. შეხვდა ისრაელის პრემიერ-მინისტრს, ბენიამინ ნეთანიაჰუს, სადაც ორი სახელმწიფოს იდეას გაუსვა ხაზი. ნეთანიაჰუ კი პალესტინური სახელმწიფოს აღიარებას მხოლოდ გარკვეული პირობებით დათანხმდა, ისინი შემდეგში მდგომარეობდა: პალესტინის მხრიდან ისრაელის, როგორც ებრაული სახელმწიფოს, აღიარება, პალესტინის სამომავლო დემილიტარიზაცია, უსაფრთხოების გარანტიების მიღება, იერუსალიმის ისრაელის ადმინისტრირების ქვეშ გადასვლა და იქ პალესტინელი ლტოლვილების დაბრუნების მოთხოვნაზე უარის თქმა. ამასთანავე, ისრაელს უნდა დარჩენოდა უკანონო დასახლებების

მშენებლობის უფლებაც. რა თქმა უნდა, პალესტინურმა მხარემ მსგავსი მოთხოვნების შესრულების შესაძლებლობა მაშინვე უარყო.

2010 წლის შემოდგომაზე ობამას ადმინისტრაცია შეეცადა აღედგინა სამშვიდობო მოლაპარაკებათა სერია. სახელმწიფო მდივანი, ჰილარი კლინტონი მხარეების პირისპირ შეხვედრას გეგმავდა, რათა საბოლოოდ ორი სახელმწიფოს კონცეფციაზე შეჯერებულიყვნენ. სამწუხაროდ, „ჰამასი“ და ლიბანური ჰეზბოლა იმუქრებოდნენ, თუ რამე კონსენსუსი იქნებოდა მიღწეული, ისინი ძალადობრივ პოლიტიკას გააქტიურებდნენ, შესაბამისად, მოლაპარაკებების დაწყება ჩანასახშივე ჩაიშალა.

2012 წელს სახელმწიფოები შეთანხმდნენ ღაზას სექტორში შუალედური არჩევნების ჩატარებაზე. რეგიონი დამოუკიდებელ პოლიტიკურ ჯგუფებს უნდა ემართათ. ასეთი შეთანხმება შედგა 2014 წელსაც, თუმცა მხოლოდ მცირე ხნით. „ჰამასმა“ კვლავ დაიწყო თავისი ძალების დემონსტრირება და ისევ ალტერნატიული ხელისუფლება ჩამოყალიბდა.

სამშვიდობო მოლაპარაკებების შემდეგი ეტაპი 2013 წელს, სახელმწიფო მდივნის, ჯონ კერის ინიციატივით განახლდა. მოლაპარაკებები ვაშინგტონში დაიწყო, სადაც ისრაელის მხარეს იუსტიციის მინისტრი, ციპი ლივნი, ხოლო პალესტინურ მხარეს, საებ ერეკათი წარმოადგენდა. მხარეებს მიეცათ გარკვეული დრო, თუმცა ვადის ამოწურვის შემდეგ აშშ-ის წარმომადგენელმა, მარტინ ინდიკმა პროცესის ჩაშლაში ბრალი ისრაელის მხარეს დასდო. სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალური განცხადებით კი პროდუქტიული მოლაპარაკებების წარმართვისათვის არცერთი მხარე ცდილობდა გადაედგა დადებითი ნაბიჯი. მათ შორის დაძაბული ურთიერთობა კვლავ ნარჩუნდებოდა.[55] 2016 წლის შემდეგაც, ორი სახელმწიფო ცდილობდა კონფლიქტის მოგვარებას

[55] CONWAY, MADELINE. 02/15/2017. https://www.politico.com/story/2017/02/trump-two-state-one-state-solution-israel-235054 -ბოლოს გადამოწმებულია 27.05.2021.

მშვიდობიანი გზით, თუმცა სიტუაცია ისევ დაძაბულია და მხარეთა შორის მტრული დამოკიდებულების შეცვლა ვერ ხერხდება.

თუმცა ბოლო დროის მნიშვნელოვან მოვლენად უნდა ვაღიაროთ 2017 წელს აშშ-ის პრეზიდენტის, დონალდ ტრამპის მიერ იერუსალიმის ისრაელის დედაქალაქად აღიარება. „ისრაელი სუვერენული სახელმწიფოა და როგორც ყველა დამოუკიდებელ ქვეყანას, მასაც აქვს უფლება ჰქონდეს დედაქალაქი“ , _ განაცხადა პრეზიდენტმა ტრამპმა.

ბუნებრივია, ამ სიტყვებმა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ოფიციალურ პალესტინაში, რადგან ეს ისრაელის სახელმწიფოსთან ერთ-ერთი საკვანძო და სადავო საკითხი იყო. განსაკუთრებულად კრიტიკული იყო პალესტინის მოსახლეობა ამ განცხადების მიმართ და მაშინვე პალესტინის სხვადასხვა ქალაქის ქუჩებში ხალხმრავალი გაფიცვები მოეწყო.

ამერიკის პრეზიდენტის ადმინისტრაციამ კი განაცხადა, რომ ტრამპის ეს სიტყვები აშშ-ის პოლიტიკას ხელს არ შეუშლიდა და ის კვლავ ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის მოგვარების მოსურნედ დარჩებოდა.

ტრამპის ამ განცხადებას მაშინვე გამოეხმაურა პალესტინის ადმინისტრაციის პრეზიდენტი, მაჰმუდ აბასი, რომელმაც ამ ხელშეკრულებას საუკუნის სილის გაწნა უწოდა და განაცხადა, რომ აშშ-ს აღარ უნდა ჰქონოდა, არც მორალური და არც სამართლებრივი უფლება, ახლო აღმოსავლეთში სამშვიდობო პროცესების დარეგულირებაში მონაწილეობა მიეღო.

პრეზიდენტ ტრამპის სამშვიდობო მოლაპარაკებების გეგმაში გათვალისწინებული იყო პალესტინის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის ინიციატივა. იმ პირობით, რომ პალესტინას უარი უნდა ეთქვა იერუსალიმის თავის დედაქალაქად გამოცხადებაზე. ამავე დროს, უნდა ეღიარებინა მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე აქამდე არსებული ყველა ებრაულ დასახლება. სამშვიდობო ხელშეკრულება უგულებელყოფდა პალესტინელთა უფლებებს, დაბრუნებულიყვნენ ძველ საცხოვრისებში.

ხოლო მდინარე იორდანეს ხეობაზე კონტროლის უფლება ისრაელის სახელმწიფოს უნდა გადასცემოდა.

პალესტინის ადმინისტრაციის პრეზიდენტი, მაჰმუდ აბასი საუდის არაბეთის დედაქალაქ არ-რიადში ტახტის მემკვიდრემ, უფლისწულმა მოჰამად ბინ სალმანმა დაიბარა და მკაცრად გააფრთხილა, რომ მომავალ სამშვიდობო ხელშეკრულებაზე ან ხელი მოეწერა და ან გადამდგარიყო დაკავებული თანამდებობიდან. [56]

პრეზიდენტ მაჰმუდ აბასის განცხადებით, არცერთი პალესტინელი ლიდერი არ მოაწერდა ხელს აშშ-ის მიერ ინიციირებულ ამ ხელშეკრულებას, რადგან ეს პალესტინის სახელმწიფოს შექმნის იდეისა და რეალური პერსპექტივის სამუდამოდ გაქრობას ნიშნავდა. შესაბამისად, იმდროინდელი მდგომარეობით პალესტინის ადმინისტრაციის კონტროლირებადი ტერიტორიები იქნებოდა _ ღაზას სექტორი და დასავლეთი სანაპიროს 50 პროცენტი, რაც ჯამში შეადგენდა ისტორიული პალესტინის 12%-ზე ნაკლებს. ეს რეალურად არ ქმნიდა მინიმალურ სამართლებრივ ბაზისსაც კი შემდგომი მოლაპარაკებისთვის და მხოლოდ მინიპალესტინის სახელმწიფოს მოდელის შექმნის მცდელობა იქნებოდა, რასაც, ბუნებრივია, პალესტინის მხარე ვერ დასთანხმდებოდა.

2020 წლის 28 იანვარს თეთრ სახლში გამართული პრესკონფერენციის დროს ტრამპმა ისრაელის პრემიერ-მინისტრ, ბენიამინ ნეთანიაჰუსთან ერთად წარადგინა 181 გვერდიანი სამშვიდობო გეგმა სახელწოდებით, „მშვიდობიდან კეთილდღეობამდე“[57] ისრაელსა და პალესტინას შორის არსებული ხანგრძლივი კონფლიქტის საბოლოოდ გადასაწყვეტად. თეთრ სახლში ტრამპის მიერ წარდგენილ ამ გეგმას პალესტინის მხრიდან არცერთი წარმომადგენელი არ ესწრებოდა. ტრამპის გეგმის მეექვსე თავი

[56] Anders Persson, What will Trump's 'ultimate deal' mean for Palestinians? Aljazeera, 28 Mar 2018, https://portal.research.lu.se/portal/en/publications/what-will-trumps-ultimate-deal-mean-for-palestinians ბოლოს გადამოწმებულია 27.05.2021.

[57] Peace to Prosperity, A Vision to Improve the Lives of the Palestinian and Israeli People, The White House, Washington, January, 2020 https://trumpwhitehouse.archives.gov/peacetoprosperity/ -ბოლოს გადამოწმებულია 27.05.2021.

შეიცავდა დაპირებას, უფრო სწორად, ულტიმატუმს, სადაც საუბარი იყო პალესტინის დახმარებაზე, არსებული ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლაზე, იმ პირობით, თუ ეს უკანასკნელი მონაწილეობას მიიღებდა მოლაპარაკებებში და, საბოლოოდ, შეთანხმებას მიაღწევდნენ. აშშ-ის მხრიდან ეკონომიკური მხარდაჭერის პროგრამა პალესტინას 1 მილიონ ახალი სამუშაო ადგილს ჰპირდებოდა მომავალი 10 წლიანი პერიოდის განმავლობაში. ასევე, მთლიანი შიდა პროდუქტის გასამმაგებასა და ქვეყანაში 50 მილიარდი აშშ დოლარის ინვესტირებას. თუმცა, ანალიტიკოსები და ექსპერტები ამ ხელშეკრულებაში მოცემულ შეთავაზებას ისრაელისთვის ძალიან ხელსაყრელსა და პალესტინისთვის ცალსახად წამგებიანს უწოდებდნენ. სხვა არაერთ ფაქტორთან ერთად პალესტინისათვის სახელდებოდა შეზღუდული სუვერენიტეტი.

პალესტინის პრეზიდენტმა, მაჰმუდ აბასმა ამ შეთანხმებას „კონსპირაცია“ უწოდა და აღნიშნა, რომ მას მომავალი არ ჰქონდა. ღაზას სექტორიდან „ჰამასის“ ლიდერებმა კიდევ უფრო რადიკალური განცხადებები გააკეთეს. მათ ამ ხელშეკრულებას „გამოუსადეგარი“ უწოდეს და ის პალესტინელი ხალხის დაცინვად მიიჩნიეს.

ისრაელ-პალესტინის თითქმის საუკუნოვანმა კონფლიქტმა, აშშ, როგორც ისრაელის ყველაზე ახლო სტრატეგიული პარტნიორი, დააზარალა და მის საერთაშორისო პრესტიჟსა და ავტორიტეტს გარკვეული ჩრდილი მიაყენა. შეერთებული შტატების მხრიდან არაერთხელ ყოფილა ისრაელსა და პალესტინას შორის სამშვიდობო მოლაპარაკებების ფასილიტაციის მცდელობა და ზოგჯერ გარკვეული წარმატებითაც კი. გამონაკლისს არ წარმოადგენს პრეზიდენტ ტრამპის მიერ 2020 წელს გაკეთებული შეთავაზებაც. თუმცა ამ გეგმის ირგვლივ წარმოქმნილი ერთგვარი ნეგატიური დამოკიდებულებები გვიბიძგებს უფრო ფართოდ გავაშუქოთ აღნიშნული სამშვიდობო გეგმა და შევაფასოთ მისი დადებითი და უარყოფით მხარეები. რაც ყველაზე მთავარია, გავარკვიოთ, იყო თუ არა ის სამართლიანი როგორც ისრაელის, ისე პალესტინისათვის. ასევე,

საინტერესოა, რამდენად რეალურად სთავაზობდა ეს ხელშეკრულება ორივე მხარეს მეტ-ნაკლებად თანაბარ პირობებს? აღნიშნულ დოკუმენტს, რომელიც 22 პუნქტისგან შედგებოდა, ტრამპმა „საუკუნის შეთანხმება“ უწოდა, სადაც ერთ-ერთი ყველაზე სადავო პუნქტი იყო მდ. იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე უამრავი უკანონო ებრაული დასახლების ისრაელის კანონიერ ტერიტორიად ცნობა.

ზემოთ აღნიშნული შეთანხმება ასევე აწესრიგებდა დასავლეთ სანაპიროს ისრაელისა და პალესტინის სასაზღვრო ზოლში მცხოვრები მოსახლეობის ტრანსფერის საკითხს. კერძოდ, პალესტინის მხარეს მცხოვრები ებრაული მოსახლეობის 97% უნდა განსახლებულიყო ისრაელის კონტროლირებად სასაზღვრო ტერიტორიაზე. ხოლო, მეორე მხრივ, ისრაელის სასაზღვრო ზონაში მცხოვრები პალესტინური დასახლებების 97% უნდა განსახლებულიყო პალესტინის კონტროლირებად ტერიტორიაზე.

ტრამპმა მკაფიოდ და დამაჯერებლად განაცხადა, რომ იერუსალიმი უნდა გამოცხადებულიყო ისრაელის განუყოფელ დედაქალაქად. თუმცა, ამავე დროს, ტრამპმა ურთიერთგამომრიცხავი შინაარსი შესძინა საკუთარ განცხადებას. მან, შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში, ქალაქის მეორე ნაწილი, რომელიც პალესტინის მხარეს მდებარეობს, პალესტინის დედაქალაქად დაასახელა. ეს ბუნდოვანება მალევე გაქარწყლდა, როდესაც პრემიერმა ნეთანიაჰუმ აღნიშნა, რომ რეალურად საუბარი იყო აბუ დისის რეგიონზე, რომელიც იერუსალიმის აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ ნაწილებში მდებარეობს და ამ დროისთვის ის გამოყოფილია დამცავი ბარიერებით.

ვინაიდან იერუსალიმში ორივე მხარისთვის ძალიან მნიშვნელოვანი კულტურულ-ისტორიული და რელიგიური ადგილები მდებარეობს, ტრამპის ასეთი პოზიცია შორს იყო მოლაპარაკებებში ფასილიტატორის ნეიტრალური დამოკიდებულებისგან და ის ცალსახად მიკერძოებულად ჩაითვალა.

ჩვენი აზრით, ამ შეთანხმების სხვა პუნქტებთან ერთად ერთ-ერთი ყველაზე სადავო და არარეალური ისრაელის მხრიდან პალესტინის სახელმწიფოს ცნობაა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას არ ეყოლება არმია და რაიმე ფორმით საფრთხეს არ შეუქმნის ისრაელის უსაფრთხოების სპეციალურ ზონებს. შეთანხმების პირობის ეს ნაწილი განსაკუთრებით არასამართლიანი და ბუნდოვანია. კერძოდ, გაურკვეველია, რატომ უნდა აიღოს ხელი პალესტინამ, თუ ის სუვერენულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდება, არმიის ყოლასა და, შესაბამისად, სახელმწიფო უსაფრთხოების ელემენტარულ საფუძვლებზე, მაშინ, როდესაც ისრაელი იმავეს არ გააკეთებს.

ბუნდოვანია ტერმინი _ უსაფრთხოების ზონებიც. შეთანხმება ასევე ხაზგასმით მოითხოვს „ჰამასის“ სრულ განიარაღებას, ამ ორგანიზაციის დაშლასა და ღაზას სექტორზე მისი გავლენების აღკვეთას. ეს უკანასკნელი პუნქტი მეტად არარეალურად ჟღერს, რადგან უმეტესწილად „ჰამასი“ დამოუკიდებლად მოქმედებს და ის არ არის პალესტინის ადმინისტრაციის გავლენის ქვეშ.

სამშვიდობო შეთანხმების შეფასებები _ თეთრი სახლის მიერ გამოქვეყნებულ სამშვიდობო შეთანხმებას, ბუნებრივია, მოჰყვა შეფასებები. მსოფლიოს ყველა კუთხიდან გავრცელდა პალესტინის მხარდამჭერი განცხადებები, რომელშიც აშშ-ისრაელის ალიანსი მკაცრად დაგმეს და გააკრიტიკეს. შეფასებების უმეტესობაში აღნიშნული იყო, რომ პალესტინა-ისრაელის კონფლიქტი უნდა გადაწყვეტილიყო ორმხრივი მოლაპარაკებებისა და შეთანხმებების გზით. მათი აზრით, პალესტინის უფლებები ხელყოფილი არ უნდა ყოფილიყო.

„ისლამური თანამშრომლობის ორგანიზაციამ“ (OIC), რომელიც მოიცავს 57 სახელმწიფოს, აერთიანებს მილიარდ-ნახევარ მუსლიმს და რომლის წევრი პალესტინაცაა, განაცხადა, რომ ის და მისი არცერთი წევრი არ დაეხმარებოდა აშშ-ს ამ გეგმის სისრულეში მოყვანასა და განხორციელებაში. ეს გადაწყვეტილება საუდის არაბეთში, ქალაქ ჯიდაში

(სადაც მდებარეობს ორგანიზაციის შტაბბინა), ორგანიზაციის წევრების სპეციალურ, არაგეგმურ შეხვედრაზე მიიღეს. ამასთანავე, ტუნისისა და ინდონეზიის მიერ ინიციირებული დოკუმენტით გაეროს უშიშროების საბჭოს შემოთავაზებული სამშვიდობო ხელშეკრულების მიკერძოებულობის შესახებ ეცნობა. წარმოდგენილი სამშვიდობო გეგმის საწინააღმდეგო განცხადება გააკეთა მალაიზიის პრემიერ-მინისტრმა, მაჰირ მოჰამედმაც, მან მოუწოდა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სახელმწიფოების გაერთიანებას დახმარებოდნენ პალესტინას სამშვიდობო პროცესის ფასილიტაციაში. თავის მხრივ, ევროკავშირმაც[58] გააკეთა განცხადება, სადაც აღნიშნავდა, რომ არ დაუჭერდა მხარს არცერთ სამშვიდობო მოლაპარაკებას, რომელიც წინააღმდეგობაში მოვიდოდა საერთაშორისო სამართლის პრინციპებთან. კერძოდ, ევროკავშირის განცხადება ეხებოდა ტერიტორიების ანექსიასა და საზღვრების შეცვლის საკითხს, რაც ნახსენები იყო ზემოთ განხილულ სამშვიდობო ხელშეკრულებაში. კრიტიკული ნოტა წამოვიდა რომის პაპ ფრანცისკეს მხრიდანაც. მასში ნათქვამი იყო, რომ მშვიდობის მიღწევა ძალადობით შეუძლებელია და ის არ უნდა აღსრულდეს სუსტი მხარის უფლებების შელახვის ხარჯზე.[59] დიდი ბრიტანეთი, საუდის არაბეთი, ეგვიპტე, რუსეთი და ჩინეთი მოუწოდებდნენ აშშ-ს ორივე მხარესთან თანაბრად მუშაობისკენ, რათა მიღწეული ყოფილიყო უფრო რეალისტური, ხელმოსაჭიდი გეგმა, რომელიც ორივესთვის თანაბრად სამართლიანი იქნებოდა. თავიანთ განცხადებებში უფრო მკაცრი პოზიცია დააფიქსირეს ირანის, თურქეთის, იორდანიისა და ლიბანის შიიტურ-რადიკალური ორგანიზაცია „ჰეზბოლას“ ხელმძღვანელებმა. მათ მტკიცედ დაუჭირეს მხარი პალესტინას და

[58] EU rejects Trump Middle East peace plan, annexation, Reuters, February 4, 2020 https://www.reuters.com/article/us-israel-palestinians-eu-idUSKBN1ZY1I9 (ბოლოს გადამოწმებულია) - 28.05.2021

[59] Zarina Othman1, Raed M. I. Qaddoura2, Marina Abdul Majid, The 'Peace to Prosperity' and Trump's Conurdum, Journal of Critical Reviews http://www.jcreview.com/fulltext/197-1601025329-adt-1.pdf (ბოლოს გადამოწმებულია 20.05.2021)

აღუთქვეს დახმარება იმ შემთხვევაში, თუკი ადგილი ექნებოდა მათი უფლებების შელახვას. თავის მხრივ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პოზიცია ემყარებოდა პალესტინა-ისრაელის კონფლიქტის შესახებ „გაეროს“ რეზოლუციით დადგენილი გეგმის შესრულებას. ის მიესალმებოდა ნებისმიერი სამართლიანი სამშვიდობო შეთანხმების მცდელობას. [60] რადგანაც შეერთებულმა შტატებმა იერუსალიმი ისრაელის დედაქალაქად ცნო, შესაბამისად, მომავალში ამ კონფლიქტის მოსაგვარებლად ვაშინგტონის ფასილიტატორის როლში მოვლინება თითქმის წარმოუდგენელია. იმდენად, რამდენადაც პალესტინური მხარე მას მიკერძოებულად აღიქვამს და მისი ნდობისთვის საფუძველიც არ გააჩნია.

შეერთებული შტატების პრეზიდენტის, დონალდ ტრამპის გეგმა მშვიდობიანად გადაეწყვიტა ისრაელ-პალესტინის კონფლიქტი, ფუნდამენტური ხარვეზებისა და საერთაშორისო საზოგადოების ნეგატიური რეაქციის გამო არ შეიძლება რეალისტურად ჩაითვალოს. უფრო მეტიც, ის შესაძლოა პოტენციური მაპროვოცირებელი ფაქტორი იყოს კონფლიქტის შემდგომი ესკალაციისა და არსებული მოლაპარაკების ფორმატის გაუქმებისაც კი.

ამას ემატება განხეთქილება პალესტინის პოლიტიკურ ლიდერთა შორის. პრეზიდენტ მაჰმუდ აბასს არ გააჩნია საკმაო რეალური ლეგიტიმაცია პალესტინელი ხალხისგან, რომ მხოლოდ მან მიიღოს მონაწილეობა მოლაპარაკებების პროცესში და არც საკმარისი ავტორიტეტი, რათა შეძლოს სამშვიდობო ხელშეკრულების შეთანხმება.

2021 წლის მაისის 11 დღიანი ომი ამის მკაფიო მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს. კვლავ განახლდა საომარი მოქმედებები ღაზას სექტორში, სადაც ორივე მხარე ერთმანეთს ადანაშაულებს და არ არსებობს სწორი პოზიცია და გამარჯვებული... პალესტინელები, ებრაელებს რამადანის

[60] Haim Yacobi, Can the EU Stand Up to Trump's "Deal of the Century"?, 2020, https://www.academia.edu/download/62487752/iaicom20102000326-105119-1b66oq2.pdf (ბოლოს გადამოწმებულია 18.05.2021)

მარხვისას, მეჩეთში შეჭრასა და აღმოსავლეთ იერუსალიმის მიმდებარე **შეიხ ჯარაჰის** რაიონში პალესტინელი ოჯახების უკანონო გასახლებაში ადანაშაულებენ (რაც სასამართლოს საბოლოო განაჩენის გამოტანამდე მოხდა. საქმე ეხება სასამართლო განხილვას, რომლის ფარგლებშიც ებრაული ორგანიზაცია ამ უბანში მცხოვრები რამდენიმე პალესტინური ოჯახის გამოსახლებას ითხოვს და აცხადებს, რომ 1948 წლამდე ეს მიწა ებრაელებს ეკუთვნოდათ), რამაც პალესტინელთა რისხვა გამიწვია და, შედეგად, ისლამისტურმა დაჯგუფება „ჰამასმა“ თელ-ავივის მიმართულებით უპრეცედენტო სარაკეტო თავდასხმა განახორციელა, რასაც, თავის მხრივ, ისრაელის საპასუხო რეაქციაც მოჰყვა. ამ რამდენიმედღიან საომარ მოქმედებას ასამდე ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.

არსებული ვითარების შესაფასებლად და 2021 წლის მაისის კონფლიქტის მასშტაბმა კიდევ ერთხელ ცხადყო აღნიშნულ პროცესებში საერთაშორისო თანამეგობრობის ჩართულობის აუცილებლობა _ აშშ-მ კვლავ მკვეთრად გამოხატა თავისი პოზიცია _ სახელმწიფო მდივანმა, ენტონი ბლინკენმა ნეთანიაჰუსთან სატელეფონო საუბრისას კიდევ ერთხელ დაუჭირა მხარი ისრაელის უფლებას, დაიცვას თავი „ჰამასის“ სარაკეტო თავდასხმებისგან, თუმცა იქვე განმეორებით დასძინა, რომ ბაიდენის ადმინისტრაცია მხარეებს სიტუაციის დეესკალაციისა და ვითარების განმუხტვის აუცილებლობისაკენ მოუწოდებს.

2021 წლის 12 მაისს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, სერგეი ლავროვმა გაეროს უშიშროების მდივანთან საუბრის დროს განაცხადა, რომ ვითარება ახლო აღმოსავლეთის კვარტეტის მოწვევას მოითხოვდა. თურქეთის პრეზიდენტმა, რეჯეფ თაიფ ერდოღანმა კი რუსეთის პრეზიდენტს სატელეფონო საუბრისას განუცხადა, რომ საერთაშორისო საზოგადოებამ ისრაელს „მკაცრი გაკვეთილი“ უნდა ჩაუტაროს.

ეგვიპტელ მედიატორებს 2014 წლის სამხედრო კონფლიქტის (ისრაელსა და ღაზას შორის) მშვიდობიანად დასრულებაში მნიშვნელოვანი

წვლილი მიუძღვით. საომარი მდგომარეობის დეესკალაციის მიზნით ისინი ისრაელს 2021 წლის 13 მაისს ეწვივნენ. ცეცხლი კვლავ ეგვიპტის შუამავლობით შეწყდა.

„ჰამასის“ სპიკერი ირწმუნება, რომ ცეცხლის შეწყვეტა დამოკიდებულია ისრაელის გადაწყვეტილებაზე. ,,ჩვენ გვსურს, მივაღწიოთ მშვიდობას, მაგრამ სიტუაციას ამწვავებს ისრაელის მკაცრი პოზიცია, არ შეწყდეს შეტევა პალესტინაზე. მათ გადაწყვეტილი აქვთ, ჩაიდინონ დანაშაული“, – განაცხადა ,,ჰამასის” სპიკერმა ჰაზემ კასემმა.

თავის მხრივ, კრიტიკოსები დასძენენ, რომ ეს კანონი არ აძლევს საშუალებას პალესტინელებს, თავადაც იდავონ იმ საკუთრებაზე, რომელიც ისრაელის სახელმწიფოს ფორმირებამდე ებრაელი ოჯახების სასარგებლოდ დაკარგეს.

ისრაელის ხელისუფლება ამ საკითხს განიხილავს, როგორც კერძო დავას მხარეებს შორის, პალესტინელები კი ეთნიკური ნიშნით დევნაზე საუბრობენ და აცხადებენ, რომ აღნიშნულის წინააღმდეგ იბრძოლებენ.

რეგიონის ქვეყნების რეაქცია უკანასკნელი მოვლენების დროს, „ისლამური თანამშრომლობის ორგანიზაციამ“ (OIC) ღაზაში ისრაელის ქმედებებს „ბარბაროსული“ უწოდა და დაგმო „სისტემატური დანაშაული“ პალესტინელთა წინააღმდეგ. ორგანიზაცია 57 ქვეყანას, მათ შორის, არაბულ ქვეყნებს, თურქეთსა და ირანს აერთიანებს, თუმცა ისრაელთან ყველა მათგანს ერთნაირი ურთიერთობები არ აქვს.

ამ დროისთვის ისრაელის დამოუკიდებლობა აღიარებული აქვს და მასთან დიპლომატიურ ურთიერთობებშია ექვსი არაბული ქვეყანა. ეგვიპტემ და იორდანიამ ეს გასულ საუკუნეში გააკეთეს. არაბეთის გაერთიანებულმა საამიროებმა, ბაჰრეინმა, სუდანმა და მაროკომ კი ისრაელთან შეთანხმება გასულ წელს გააფორმეს. მსგავს შეთანხმებებს გმობენ არაბული რეგიონის სხვა სახელმწიფოები, რომლებიც აღნიშნულს პალესტინის იდეის ღალატად განიხილავენ.

რეგიონის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოთამაშე, თურქეთი, ისრაელთან ურთიერთობების დათბობის გზას ადგას, თუმცა ბოლო მოვლენებს ამ პროცესზე, როგორც მინიმუმ, დადებითად არ უმოქმედია. თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა პალესტინელთათვის საერთაშორისო დაცვის მექანიზმი მოითხოვა, OIC-ს წინაშე კი განაცხადა, რომ ისრაელმა პასუხი უნდა აგოს ომის დანაშაულებისთვის.

ისრაელის პასუხისმგებლობის საკითხს აყენებს ირანიც, რომელიც არ აღიარებს მის სახელმწიფოებრიობას და ათწლეულებია მკვეთრად

უარყოფითი დამოკიდებულებით გამოირჩევა, რაც შეიარაღებული დაჯგუფებების („ჰამასი“ და სხვ.) მხარდაჭერითაც გამოიხატება.

რა იქნება მომავალში? ამ კითხვაზე ზუსტი პასუხი არ არსებობს. რადგან არის პრობლემათა ციკლი, რომელიც ურთიერთკავშირშია. ერთ-ერთი მათგანი ლტოლვილების საკითხია _ გაეროს მონაცემებით, 5 მილიონს შეადგენს იმ ადამიანებისა და მათი შთამომავლების რიცხვი, რომელთაც ამ კონფლიქტის გამო თავიანთი საცხოვრებლის დატოვება მოუწიათ და რომელთა დიდი ნაწილი ღაზაში, დასავლეთ სანაპიროზე, სირიაში, ლიბანსა და იორდანიაში ცხოვრობს. მათი დაბრუნება პალესტინელთა ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნაა, რასაც ისრაელი არ იზიარებს იმ მიზეზით, რომ ამ რაოდენობის ადამიანების მიღების შემთხვევაში, ქვეყანა მეტად გადაიტვირთება და მისი, როგორც ებრაული სახელმწიფოს არსებობა დასრულდება. სხვა პრობლემები უკავშირდება ებრაული ახალშენების კანონიერებას, იერუსალიმის სტატუსს, უშუალოდ პალესტინურ ფრაქციებს შორის ურთიერთობასა და სხვა.

მიუხედავად ხანგრძლივი მოლაპარაკებებისა, პრობლემური საკითხების აბსოლუტური უმრავლესობა კვლავ ღიად რჩება.

სიღრმისეული ინტერვიუ ექსპერტებთან

კვლევის მიზნების განსახორციელებლად ავირჩიეთ სიღრმისეული ინტერვიუ.

მოგეხსენებათ, რომ მსოფლიო ახალი გამოწვევის, „კოვიდ-19-ის“ წინაშე აღმოჩნდა და პანდემიის გამო ვერ მოხერხდა ექსპერტთა ჯგუფთან პირისპირი ინტერვიუს ჩაწერა. ამიტომ სამუშაო რეჟიმი შეიცვალა და ონლაინსივრცეში გადაინაცვლა. შესაბამისად, აღნიშნული კვლევაც ჩავატარეთ ონლაინრეჟიმში. ექსპერტთა ჯგუფი შერჩეულია მათი პროფესიისა და დარგისმცოდნეობის მიხედვით. რესპონდენტებად შევარჩიეთ:

1. **ხათუნა ბაინდურაშვილი** -ისლამოლოგი, ირანისტი, ისტორიის

მეცნიერებათა დოქტორი.

2. **ლამზირა ხიდეშელი** _ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის (სეუ) პროფესორი;
3. **ვახტანგ თევდორაძე** _ აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი;
4. **კახა დემეტრაშვილი** _ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, აკად. გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის პროფესორი, მკვლევარი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, აღმოსავლეთმცდონე, ისტორიკოსი;
5. **გურამ აბრამის ძე ბათიაშვილი** (დაბადებული 10 იანვარს, 1938, კულაში, სამტრედიის მუნიციპალიტეტი) _ დრამატურგი. საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე (1987). მსოფლიოს ებრაელთა კონგრესისა (1991) და სიონისტური ორგანიზაციის (1993) გამგეობების წევრი.

ხუთივე ექსპერტი, რომელიც მონაწილეობდა გამოკითხვაში, ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების იდეას იზიარებს, თუმცა მათი აზრები გარე ძალების ჩარევის აუცილებლობასა და მის დადებით როლზე გაიყო.

კვლევაში მონაწილეობა მიღო ასევე პალესტინელმა, რომელიც თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტია _ Omair Fannoun Tamimi – (omair.fannoun.5@hotmail.com) _ ომარ ფანოუმ ტამინიმ ამ გამოკითხვაში თავისი აზრი დააფიქსირა.

კვლევის შემდეგი მონაწილე _ პატრიკ ჩურაკი - ინფორმატიკისა და ახალი ტექნოლოგიების სპეციალისტი (pchouraki@gmail.com) _ ეროვნებით ებრაელია.

კვლევისას აშკარად გამოჩნდა, რომ გარე ძალების ჩართულობასთან დაკავშირებით ორი განსხვავებული აზრი თითქმის თანაბარი რაოდენობით იკვეთება. ხმები თანაბრად გაიყო ამ კონფლიქტში გარე ძალების ჩართულობის დადებითი როლისა და მათი ჩარევის გარეშე მოგვარების

შესახებ. რაც შეეხება მეორე შეკითხვას _ რა დადებითი გავლენა შეუძლია იქონიოს საერთო აბრაამისტულმა წარმომავლობამ და სიწმინდეებმა ამ კონფლიქტის მოგვარებაში? აქ პასუხი თითქმის ცალსახაა. მხოლოდ ბატონი ემზარ მაკარიძე მიიჩნევს, რომ რელიგიურ სიწმინდეებს შეუძლია დადებითი როლი ითამაშოს ამ დაუსრულებელი კონფლიქტის მოგვარებაში, ხოლო დანარჩენი რესპონდენტები წმინდა ადგილების დადებით როლს ვერ ხედავენ. პირიქით, ისინი მიიჩნევენ, რომ საერთო წარმომავლობამ და სიწმინდეებმა კონფლიქტი უფრო გააღრმავა. ზოგი კი ამ საკითხს დაპირისპირების გამომწვევ მიზეზადაც კი მიიჩნევს.

აქვე გვსურს, გამოვყოთ ორი ექსპერტის მოსაზრება ბოლო შეკითხვასთან დაკავშირებით. მათ მიაჩნიათ, რომ ახალი პრეზიდენტის პერიოდში „ისრაელ–პალესტინას შორის ურთიერთობების მოგვარების საკითხში სავარაუდოდ ახალი ადმინისტრაცია „ორი სახელმწიფოს“ შექმნის იდეისკენ გადაიხრება. რაც მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს ბაიდენის ადმინისტრაციასა და ბენიამინ ნეთანიაჰუს შორის სამომავლო ურთიერთობებზე.“ (ლ. ხ.) აქედან ჩანს, რომ აშშ-ის ახალი ადმინისტრაცია და პრეზიდენტი ისრაელს ცალსახად მხარს არ დაუჭერენ.

დასკვნა

ჩვენ მიერ ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუს ძირითადი შედეგების შეჯამების შედეგად მივიჩნიეთ, რომ გამოკითხულთა უმრავლესობის აზრით:

- ისრაელ-პალესტინის მრავალწლიანი კონფლიქტის გადაჭრის გზა მხოლოდ დიალოგია;
- გარე ძალების ჩარევის შედეგად ამ უთანხმოების მოგვარება ნაკლებად პერსპექტიულია;
- აბრაამისტულმა საერთო წარმომავლობამ და სიწმინდეებმა ნაკლებსავარაუდოა რომ დადებითი როლი ითამაშოს ამ თითქმის მოუგვარებელი და დაუსრულებელი კონფლიქტის გადაჭრაში;

- ❖ რელიგიური ფაქტორი შესაძლოა კონფლიქტის გაღვივების მიზეზი უფრო გახდეს, ვიდრე მისი მოგვარების;
- ❖ აშშ-ის ახალი პრეზიდენტის, ჯო ბაიდენის მმართველობის პერიოდში ისრაელ-პალესტინის კონფლიქტთან დაკავშირებით ნაკლებსავარაუდოა რაიმე რადიკალური ცვლილების მომსწრე გავხდეთ. თუმცა მცირე ნაწილის მოსაზრებით, შესაძლოა პალესტინელებს ახალი პრეზიდენტის მმართველობის ეპოქაში არცთუ უპერსპექტივო დახმარების იმედიც კი გაუჩნდეთ.

კონფლიქტების როლი კაცობრიობის ისტორიაში მნიშვნელოვნად დიდია, მიუხედავად მისი დესტრუქციული ხასიათისა, რადგან დამანგრეველთან ერთად ის განვითარებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. აღსანიშნავია მისი სახეცვლილება და კლასიფიკაცია, ხოლო წარმოშობა და გადაჭრის პერსპექტივები არაერთგვაროვანია.

- ➢ რელიგია კი, თავის მხრივ, როგორც ჩანს, არა მარტო მშვიდობისმყოფელი იარაღია, არამედ მას თავად ძალუძს გამოიწვიოს ნებისმიერი სახის კონფლიქტი. ისრაელ-პალესტინის დღემდე დაუსრულებელი უთანხმოება უკავშირდება რელიგიურ ადგილებს, სიწმინდეებსა და მისი ფლობის სურვილს. ნაშრომში არაერთხელ აღინიშნა ის ფაქტი, რომ ეს ფაქტორი, როგორც დადებითად, ისე უარყოფითად ისახება ხსენებულ კონფლიქტზე, რაც მეტად ხანგრძლივსა და დაუსრულებელს ხდის მას.
- ➢ რელიგიის როლი პოლიტიკაში მნიშვნელოვანია და, შესაძლოა ითქვას, ფუნდამენტურიც კი, რაზეც არაერთხელ გავამახვილეთ ყურადღება ნაშრომში. ხოლო რაც შეეხება წმინდა ადგილებს, ის პოლიტიკასა და განსაკუთრებით კი ახლო აღმოსავლეთში კონფლიქტის წარმოშობის წყაროდ მივიჩნიეთ. ასევე, ის დაპირისპირების აღმოფხვრის ერთ-ერთი მყარი ინსტრუმენტიც შეიძლება გახდეს. რაზეც არაერთხელ ვისაუბრეთ. რელიგიის საკითხი აღმოსავლეთში ძალიან საკრალური და სათუთი თემაა. მას

ქვეყნის მართვის სადავეები უპყრია და არსებული სიტუაციის როგორც ესკალაცია, ისე დეესკალაცია ძალუძს. საჭიროა კიდევ უფრო მყარი და ფუნდამენტური არგუმენტირება და პროპაგანდა იმ იდეისა, რომ ამ ორ ერს საერთო სიწმინდეებთან ერთად, საერთო მამამთავარი _ აბრაამი ჰყავთ, რაც შესაძლებელია კონფლიქტის კერის ჩაქრობის ერთ-ერთი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ბერკეტიც კი აღმოჩნდეს.

- ისრაელ-პალესტინის კონფლიქტი მისი წარმოშობის დღიდან ძალიან აქტუალური იყო მსოფლიოს წამყვან მოვლენებთან ერთად, რადგან მისი გადაჭრის ვერც ერთი გზა გამოდგა ეფექტიანი. შედეგად, მისი გამომწვევი მიზეზები დღითიდღე მატულობდა და კონფლიქტები სულ უფრო ახალ ეტაპზე გადადიოდა _ ლორდ პასცფილდის „თეთრი წიგნი“, პილის კომისია, ბალფურის დეკლარაცია, რაც დეტალურად განვიხილეთ ნაშრომში. ეს ნუსხაა იმ მოვლენებისა, რომლებიც ამ უთანხმოებას კიდევ უფრო ამწვავებდა, ნაცვლად საერთო შეთანხმებამდე მისვლისა.
- ნაშრომსა და ბოლო ქვეთავში არაერთხელ აღვნიშნეთ და შემდგომ დეტალურად განვიხილეთ, რომ სიწმინდეები, განსაკუთრებით კი საერთო საკრალური ადგილები, არა მხოლოდ გზა კონსენსუსამდე, არამედ პრობლემის მოუგვარებლობის ერთ-ერთი სერიოზული მიზეზიც შეიძლება გახდეს. შესაბამისად, ამ ქვეთავში კონფლიქტის მოგვარების გაჭიანურების ერთ-ერთ მიზეზად ამ საერთო წმინდა ადგილების დაუფლებისა და პირველობის სურვილი დავასახელეთ. მათი ფლობა ორივე მხარეს იმდენად უნდა, რომ ბრძოლა კვლავაც გრძელდება.
- სიონისტური მოძრაობის ჩამოყალიბების გავლენა ამ კონფლიქტზე დეტალურად არის წარმოჩენილი ნაშრომში. თუმცა მათი ძალისხმევა პრობლემის მოგვარების მთავარ გზად ვერ მიიჩნევა. მოძრაობის მოქმედებები მის გამომწვევ ერთ-ერთ მთავარ მიზეზადაც კი

შეიძლება ჩაითვალოს, რადგან სიონიზმი გახდა ის მტკიცე იდეოლოგია, რითაც დღემდე ხელმძღვანელობენ ებრაელები და მკაცრად მისდევენ ჰერცლის პრინციპებს.

- ხოლო, რაც შეეხება ისლამური სახელმწიფოების დამოკიდებულებას ამ კონფლიქტისადმი, ის არაერთგვაროვანია. ნაშრომში წამყვანი მუსლიმური ქვეყნების პოზიცია ძირეულად არის განხილული, რაც, თავის მხრივ, კონფლიქტს არა თუ გამოსავლის გზების პოვნისკენ უბიძგებს, არამედ მისი გამწვავების ერთ-ერთი ფაქტორიც შეიძლება იყოს.
- ასევე, განხილულია დასავლური სამყაროსა და რუსეთის როლი ამ კონფლიქტის მოგვარებაში. დასავლეთი, საერთაშორისო ორგანიზაციები და სამშვიდობო მისიები ცდილობენ კონფლიქტის დასრულებაში დადებითი წვლილი შეიტანონ, თუმცა, მიუხედავად ამდენი ძალისხმევისა, შესაბამისი ბერკეტი მაინც ვერ მოიძებნა. მეორეს მხრივ, რუსეთი აშშ-სთან კონკურენციის მიზნით ცდილობს, თავისი როლი შეასრულოს ამ დაუსრულებელი უთანხმოების მოგვარებაში. უნდა აღინიშნოს, რომ მან ვერ შეძლო ფასილიტატორის როლის მორგება და ვერც მისმა ჩარევამ და აქტივობამ შეცვალა რამე.
- ნაშრომში კონფლიქტის გადაჭრის ქრონოლოგია არის განხილული, ზესახელმწიფო, აშშ, დაპირისპირების წარმოშობის დღიდან შუამავლის როლის მორგებას ცდილობს. მას უდიდესი წვლილი მიუძღვის მშვიდობისმყოფელის მანტიის მორგებასა და მისიის შესრულებაში. თუმცა აღმოჩნდა, რომ მისი ეს დინამიკური ჩართულობა ამ კონფლიქტს კიდევ უფრო ამწვავებს და ართულებს. კვლევებზე დაყრდნობით, შეიძლება აღინიშნოს, რომ შესაძლოა რელიგიურ ჭრილში მოიძებნოს პრობლემის გადაჭრის რეალური გზა.

ჩვენი მხრიდან კი დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ ათწლეულების განმავლობაში, მიუხედავად მრავალი შეთანხმებისა და არაერთი

საერთაშორისო თანამეგობრობის, ევროკავშირისა თუ ზესახელმწიფოების ჩარევისა, აღნიშნული კონფლიქტი კვლავაც მოუგვარებელია და ცხელ ზონად რჩება.

შესაბამისად, არსებული ვითარება და ამჟამინდელი სურათი არ გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ ისრაელი და პალესტინა უმოკლეს ვადაში კონსენსუსის მიღწევასა და მშვიდობიან თანაცხოვრებას შეძლებენ.

მიუხედავად არაერთი მცდელობის, სხვადასხვა მექანიზმების მოძიების, არაერთი სახელმწიფოსა თუ საერთაშორისო ორგანიზაციის მხრიდან კონფლიქტის დარეგულირების მცდელობისა, ეს ადგილი დღემდე ცხელ წერტილად მიიჩნევა და ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთ მყიფე და მოწყვლად რეგიონად რჩება.

კვლევის მიმოხილვისას წარმოჩენილი რთული მდგომარეობის მიუხედავად, თავს უფლებას ვაძლევთ, დავიტოვოთ იმედი, რომ ებრაელებსა და პალესტინელ არაბებს შორის მშვიდობიანი თანაცხოვრების ეპოქა დადგება. ამაში კი, მიუხედავად საერთო სიწმინდეების ერთპიროვნულად ფლობის სურვილისა, შესაძლოა დიდი როლი საერთო აბრაამისტულმა წარმომავლობამ ითამაშოს.

ბიბლიოგრაფია

1) ბათიაშვილი გ._ „დავით ბენგურიონი“, გამომცემლობა „პალიტრა L“, თბილისი, 2018
2) ბარ-ზოხარი მ. _ „ბენ-გურიონი“, გამომცემლობა “დელაკორტ პრესი“, თელ-ავივი, 1989. Ben-Gurion, by Michael Bar-Zohar , publisher Delacorte Press, Tel aviv, 2013
3) გაჩეჩილაძე რ.- „ახლო აღმოსავლეთი“, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი, 2019.
4) გაჩეჩილაძე რ. -„ახლო აღმოსავლეთი: სივრცე, ხალხი, პოლიტიკა“, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი 2011.

5) გაჩეჩილაძე რ.- -„ახლო აღმოსავლეთი“ (გეოგრაფიული და ისტორიული ნიშანსვეტები), ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი 2018, ტომი I.
6) გაჩეჩილაძე რ.- “ახლო აღმოსავლეთი” (გეოპოლიტიკა) ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი 2019, ტომი II.
7) გელოვანი ნ. - თანამედროვე არაბული ქვეყნები, გამომცემლობა - „მეცნიერება“, თბილისი 2008.
8) გოგიტიძე მ. ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის ძირითადი ასპექტები თანამედროვე ეტაპზე (ისრაელ-პალესტინის მაგალითზე) „აღმოსავლეთმცოდნეობის მაცნე“. N1. თბილისი 2018. გვ. 20-26.
9) კაპანაძე მ. სიგუა შ. – საერთო რელიგიური სიწმინდეები და მისი გავლენა რეგიონულ უსაფრთხოებაზე. „აღმოსავლეთმცოდნეობის მაცნე“. N 3. თბილისი 2020. გვ 19-27.
10) კუპრეიშვილი თ. –“ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკა”, თბილისი 2017.
11) მეიერი გ._ „ჩემი ცხოვრება“, გამომცემლობა „დელ ბუქსი”, თელ-ავივი, 1975. (გვ. 199-122) “My Life” by Golda Meir “My Life” by Golda Meir, Publisher Dell Books, Tel aviv, 1975.
12) სანიკიძე გ. ალასანია გ. გელოვანი. ნ. ახლო აღმოსავლეთის ისტორია და მის ურთიერთობები სამხრეთ კავკასიასთან (XIX-XXI საუკუნის დასაწყისი) გამომცემლობა-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი 2011.
13) სანიკიძე გ. ნახუცრიშვილი ნ. თბილის 2013 „თანამედროვე ახლო აღმოსავლეთი“,გამომცემლობა- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი
14) ჯორბენაძე რ. „პოლიტიკური კონფლიქტების მართვა“, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი 2001წ.

15) ჯაფარიძე თ., სამშვიდობო პროცესი ახლო აღმოსავლეთში (ისრაელისა და პალესტინელთა ხელშეკრულებები 1993-99 დიპლომატია. წელიწდეული, 7, თბ., 2000, 264-300.
16) Brown L. Carl "Religion and State: The Muslim Approach to Politics" Paperback: – September 15, 2001.
17) Michael Bar-Zohar -1989. Ben-Gurion, by Michael Bar-Zohar , publisher Delacorte Press, Tel aviv,
18) Religion and Politics in the Middle East: Identity, Ideology, Institutions, and Attitudes 2nd Edition- by Robert D. Lee. - July 30, 2013.
19) Michael J. Cohen "Appeasement in the Middle East: The British White Paper on Palestine, May 1939“
20) Chadwick F. Alger, Ohio University,"Religion as a peace tool", Publisher - Springer Cham, Pages 94-109, 2007.
21) S. McAndrew and D. Voas (U of Manchester) SQB Topic Overview 4 (Feb 2011)Measuring religiosicty using surveys.Goldschmidt, 2006: 278; Mayir, 1982, Publisher -The University of Manchester.
22) S. McAndrew and D. Voas (U of Manchester) SQB Topic Overview 4 (Feb 2011) “MEASURING RELIGIOSITY USING SURVEYS”
23) Ghada Karmi, In Search of Fatima: A Palestinian Story, Publisher- Verso
24) Philip Mattar, “Encyclopedia of the Palestinians Hardcover”, Publisher Routledge, (April 1 2005)
25) Mark Tessler “A History of the Israeli-Palestinian Conflict” –Publisher- Indiana Series in Arab and Islamic Studies) Paperback – March 24, 2009
26) Conflict, Conflict Resolution and Peace-Building: The Role of Religion in Mozambique, Nigeria and Cambodia Professor Jeffrey Haynes - Publisher- Verso
27) Goldschmidt, 2006: 278; Mayir, 1982-Published as scholar work
28) Evron, B. (1995). Jewish state or Israeli Nation? Bloominghton and Indianapolis: Published by Indiana University Press.
29) Mark Tessler A History of the Israeli-Palestinian Conflict (Indiana Series in Arab and Islamic Studies) Paperback – March 24, 2009.

30) Jeffrey Haynes, 2009, 52-75, Religion and international relations after ‘9/11’, Jeffrey Haynes,| Accepted 01 Jan 2005, Published online: 05 Aug 2006.

31) Where the Line is Drawn: Crossing Boundaries in Occupied Palestine Paperback – March 1, 2018

32) Where the Line is Drawn: Crossing Boundaries in Occupied Palestine Paperback – March 1, 2018 Ateek, Naim, Justice and Only Justice: A Palestinian Theology of Liberation (Orbis Books,1990).

33) Ateek applies the Liberation Theology he learned at a San Francisco seminary to the struggle for Palestinian self-determination. His approach is ecumenical, nonviolent, and inclusive, one aimed at bringing peace to all of the inhabitants of Palestine/Israel.

34) Beinin, Joel & Zachary Lockman, (eds.), Intifada: The Palestinian Uprising against Israeli Occupation (South End Press, 1989). Different writers describe the forces leading to the uprising which began in December 1987 and the US and Israeli responses.

35) Beit-Hallahmi, Benjamin, Original Sins: Reflections on the History of Zionism and Israel (Pluto Press, 1992). A thought-provoking distillation of the ideas behind Zionism, their origins, and consequences.

36) Benvenisti, Meron, Sacred Landscape: The Buried History of the Holy Land Since 1948 (University of California Press, 2000). Traces the original Palestinian geography of villages within Israel proper and explains how a Palestinian physical and human landscape was transformed into an Israeli state.

37) Cairo Press Review, 11.11.1999.

38) The Egyptian Gazette, 16.09.1999 (“Palestinians want W.Bank settlements evacuated".)

39) The Invention of the Jewish People by Shlomo Sand Israel Lobby and U.S. Foreign Policy Paperback – 2 Sept. 2008

40) Meron Benvenisti, Sacred Landscape: The Buried History of the Holy Land since 1948

41) Sari Nusseibeh, Once Upon a Country: A Palestinian Life- Publisher –Picador. April 29, 2008.

42) Ghada Karmi, In Search of Fatima: A Palestinian Story - Orbis Books

43) Jews for Justice in the Middle East. “The Origin of the Palestine-Israel Conflict”, Berkeley, CA, 2001.
44) Neil Caplan, The Israel-Palestine Conflict: Contested Histories
45) Shira N. Robinson, Citizen Strangers: Palestinians and the Birth of Israel’s Liberal Settler State
46) Yezid Sayigh, Armed Struggle and the Search for State: The Palestinian National Movement 1949-1993
47) Agreement on the Gaza Strip and the Jericho Area. SD, vol. 25(3), 1994, 359-364.
48) The Egyptian Gazette, 16.09.1999 (“Palestinians want W.Bank settlements evacuated".)
49) Charter of the Islamic Resistance Movement (HAMAS) of Palestine (The Charter was translated by Muhammad Maqdsi for the Islamic Association for Palestine, Dallas, Texas, in 1990) JPS, XXII, no.4 (Summer), 122-134.
50) Divided and Divisive, Europeans, Israel and Israeli-Palestinian Peacemaking, Edited by Dr. Muriel Asseburg & Dr. Nimrod Goen, May 2019.
51) Documentation: Israeli-palestinian Interim Agreement on the West Bank and the Gaza Strip, 28 September 1995. SD, vol. 26, no. 4, December 1995.
52) Documentation: Israeli-palestinian Interim Agreement on the West Bank and the Gaza Strip, 28 September 1995. SD, vol. 26, no. 4, December 1995, 469-478.
53) Documents and Source Material. JPS, XXXI, no.4 (Summer 2002), 175-198 (B.3. Palestinian Council. Statement on Reform of PA Institutions, Ramallah, 16 May 2002, Excerpts).
54) Documents and Source Material: B4.Palestinian National Authority, list of members, 28 May 1994; C4.Yitzhac Rabin, speech to Knesset on Gaza-Jericho agreement, Jerusalem, 11 May 1994 (excerpts); C5.Commission of Inquiry into the Massacre at the Tomb of Patriarchs in Hebron, Report, Jerusalem, 26 June, 1994 (excerpts).
55) Documents and Source Material. Israel and the PLO, Agreement on Preparatory Transfer of the Powers and Responsibilities, Erez Checkpoint, Gaza, 29 August 1994. JPS, XXIV, no 2 (Winter 1995), 109-126.
56) The Impact of closure and other mobility restrictions on Palestinian productive activities. UNESCO, sep. 2002 129. 130.

57) The Impact of Israel's Separation Barrier on Affected West Bank Communities. Report of the Mission to the Humanitarian and Emergency Policy Group (HEPG) of the Local Aid Coordination Committee (LACC). May , 4, 2003.
58) Intifada. Encyclopaedia of the Modern Middle East. Vol.2. Ed. by R.S.Simon. Ph. Mattar. R.W. Bulleit. NY, 1996. 130b.
59) Charter of the Islamic Resistance Movement (HAMAS) of Palestine (The Charter was translated by Muhammad Maqdisi for the Islamic Association for Palestine, Dallas, Texas, in 1990) JPS, XXII, no.4 (Summer).
60) Joel Beinin and Lisa Hajjar, "Palestine, Israel and the Arab-Israeli Conflict: A Primer".
61) Jews for Justice in the Middle East. "The Origin of the Palestine-Israel Conflict", Berkeley, CA, 2001.
62) The Palestine–Israel Conflict A Basic Introduction, Fourth Edition,
63) The EU and the Israel–Palestine conflict Haim Yacobi and David Newman. (p. 174-175)
64) Work in the Israeli–Palestinian Conflict Persson, Anders Published in:
65) Journal of Common Market Studies Published: 2017-08-07. Lund University.
66) Israel and PLO. Agreement on Preparatory Transfer of Powers and Responsibilities. Erez Checkpoint, Gaza, 29 August 1994. JPS , vol.XXIV, no.2 (Winter 1995), 109-133. 131. 132. 133. 134.
67) Israel and PLO. The Wye River Memorandum, Washington, 23 October 1998.- JPS, XXVIII, no.2 (Winter 1999), 135-139.
68) Israel under Rabin, Edited by Robert O. Freedman. Westwood Press, Boulder, San Francisco, Oxford, 1995.
69) Israeli Defence Forces Radio, February 2,1993, in FBIS-NES, February 3 1993.
70) The Israeli-Palestinian Peace Process: Lessons from Oslo David J. Wilcox
71) Israeli-Occupied Territories and Emerging Palestinian Autonomous Areas, MENA, 1998. Forty-Fourth Edition. Europa Publications Limited.st Edition.1998, 621-627.
72) The Two-State Solution: What It Is and Why It Hasn't Happened, By Max Fisher. Dec. 29, 2016.

https://www.nytimes.com/2016/12/29/world/middleeast/israel-palestinians-two-state-solution.html

73) Laqueur. Walter and Rubin, Barry (eds.), The Israeli-Arab Reader: A Documentary History of the Middle East Conflict, New York: Penguin Books, 1995.

74) Schulze, Kirsten. Israeli Crisis Decision-Making in the Lebanon War. Group Madness or Individual Ambitions Israel studies Vol. 3, 1998, pp. 215-230.

75) Shlaim, Avi. The Iron Wall. Israel and Arab World. New York, London: W.W. Norton and Co., 2000.

76) Tessler, Mark. A History of the Israeli-Palestinian Conflict. Bloomington: Indiana University Press, 1994.

77) Laqueur. Walter and Rubin, Barry (eds.), The Israeli-Arab Reader: A Documentary History of the Middle East Conflict, New York: Penguin Books, 1995.

78) Schulze, Kirsten. Israeli Crisis Decision-Making in the Lebanon War. Group Madness or Individual Ambitions Israel studies Vol. 3, 1998, pp. 215-230.

79) Shlaim, Avi. The Iron Wall. Israel and Arab World. New York, London: W.W. Norton and Co., 2000.

80) FROM HUSSEIN TO ABDULLAH: JORDAN IN TRANSITION by ROBERT SATLOFF, 1999.

81) Under the leadership of Josep Borrell, the newly-nominated High Representative of the European Union, the EU will continue its reactionary political approach to the Middle East peace process by GRACE WERMENBOL - https://carnegieendowment.org/sada/79985

82) Where Europe stands on the Israeli-Palestinian conflict: Polls European leaders are divided BY CORNELIUS HIRSCH AND GIOVANNA COI May 21, 2021 11:54 am https://www.politico.eu/article/europe-poll-israel-palestine-conflict/

83) The United States has long tried to negotiate a resolution to the Israeli-Palestinian conflict, but several factors, including deep divisions between and within the parties and declining U.S. interest in carrying out its traditional honest-broker role, hurt the chances of a peace deal- by Kali Robinson – https://www.cfr.org/backgrounder/what-us-policy-israeli-palestinian-conflict

84) Six Days of War: June 1967 and the Making of the Modern Middle East Paperback – June 3, 2003by Michael B. Oren (Author)
85) Righteous Victims: A History of the Zionist-Arab Conflict, 1881-2001 Reprint Edition, by Benny Morris (Author)
86) The Ethnic Cleansing of Palestine Paperback – September 1, 2007, by Ilan Pappe (Author)
87) Ten Myths About Israel Paperback – May 2, 2017 by Ilan Pappe (p. 15-17)
88) The Hundred Years' War on Palestine: A History of Settler Colonialism and Resistance, 1917–2017 Hardcover – January 28, 2020, by Rashid Khalidi (Author)
89) The Israeli-Palestinian Conflict: What Everyone Needs to Know® Paperback – May 1, 2019 by Dov Waxman
90) The Israeli-Palestinian Conflict: What Everyone Needs to Know® Paperback – May 1, 2019 by Dov Waxman (Author)
91) Resolving Identity-Based Conflict In Nations, Organizations, and Communities 1st Edition, by Jay Rothman (Author)
92) Where the Line Is Drawn: A Tale of Crossings, Friendships, and Fifty Years of Occupation in Israel-Palestine Hardcover – June 13, 2017 by Raja Shehadeh (Author)
93) Where the Line is Drawn: Crossing Boundaries in Occupied Palestine Paperback – March 1, 2018 by Raja Shehadeh (Author)
94) The Couple Next Door: A Novel Paperback – May 30, 2017 by Shari Lapena (Author)
95) Mark Tessler A History of the Israeli-Palestinian Conflict (Indiana Series in Arab and Islamic Studies) Paperback – March 24, 2009. by Mark Tessler (Author)
96) Righteous Victims: A History of the Zionist-Arab Conflict, 1881-2001 Reprint Benny Morris (Author)
97) Jerusalem: The Biography Oct 25, 2011 by Simon Sebag Montefiore
98) Letters to My Palestinian Neighbor Paperback – June 11, 2019, by Yossi Klein Halevi (Author)
99) Yossi Klein Halevi "At the Entrance to the Garden of Eden: A Jew's Search for God with Christians and Muslims in the Holy Land" Paperback – January 15, 2019.

100) Matti Friedman "Spies of No Country: Israel's Secret Agents at the Birth of the Mossad" Paperback – February 4, 2020.

101) Ari Shavit "My Promised Land: The Triumph and Tragedy of Israel" Paperback – February 3, 2015.

102) James L. Gelvin "The Israel-Palestine Conflict: One Hundred Years of War" 3rd Edition.

103) Meron Benvenisti, Sacred Landscape: The Buried History of the Holy Land since 1948

104) Sari Nusseibeh, Once Upon a Country: A Palestinian Life

105) Neil Caplan, The Israel-Palestine Conflict: Contested Histories

106) Ghada Karmi, In Search of Fatima: A Palestinian Story.

107) Shira N. Robinson, Citizen Strangers: Palestinians and the Birth of Israel's Liberal Settler State

108) Yezid Sayigh, Armed Struggle and the Search for State: The Palestinian National Movement 1949-1993

109) The Ethnic Cleansing of Palestine Paperback – September 1, 2007

110) Against Our Better Judgment: The Hidden History of How the U.S. Was Used to Create Israel

111) Benny Morris "The Birth of the Palestinian Refugee Problem"- 1947-1949 (Cambridge Middle East Library) Paperback – February 24, 1989.

112) Jeffrey Haynes - „Conflict, Conflict Resolution and Peace-Building: The Role of Religion in Mozambique, Nigeria and Cambodia"

113) Hundred Years' War on Palestine Paperback – January 26, 2021

114) Ilan Pappe "The Ethnic Cleansing of Palestine Paperback" – September 1, 2007.

115) John J. Mearsheimer "Israel Lobby and U.S. Foreign Policy Paperback" – September 2, 2008.

116) Grant F. Smith "Big Israel: How Israel's Lobby Moves America Paperback" – February 5, 2016

117) Jewish Power: Inside The American Jewish Establishment Paperback – September 29, 1997.

118) Raphael Jehudah Zwi Werblowsky - „Jérusalem dans la conscience juive chrétienne et musulmane", French, 1995, Edition:3e édition View all

formats and editions. Publisher:Centre d'information d'Israël, Jérusalem, 1995.

119) Makovsky, David. Making Peace with PLO, The Rabin Government's Road to the Oslo Accord, Published in Cooperation with the Washington Institute for the Near East Policy, Westview Press, A Division of Harper Collins publishers, 1996.

120) Ma'oz, Moche. From Conflict to Peace? Relations with Syria and the Palestinians. MEJ. vol. 53, no. 3, Summer 1999, 392-416. Mattar.

121) Philip The PLO and the Gulf Crisis. MEJ, vol. 48, no.1 (Winter 1994), 31-46. MENA, 1998. Forty-Fourth Edition. Europa Publications Limited.st Edition.1998.

122) MENA, 2004. 5oth Edition. Europa Publications. London and New York. 2004. MENA, 2005. 51st Edition. Europa Publications. London and New York. 2005.

123) Milton-Edwards, Beverley. The Concept of Jihad and the Palestinian Islamic Movement: A Comparison of Ideas and Techniques. BJMES, vol.19, no. 1, 1992, 48-53. Mishal, Shaul.Kuperman, Ranan D.

124) Investment in Peace. The Politics of Economic Cooperation between Israel, Jordan and the Palestinian Authority. Brighton. Portland. 2001.

125) Mishal, Shaul and Slea, Avraham. Participation without Presence: Hamas, the Palestinian Authority and the Politics of Negotiated Coexistence. MES, vol. 28, No.3, July 2002, 1-26.

126) Morris. B.Israel's Elections and their Implications. JPS ,XXVI, no1 (Autumn 1996). pp.7081 Nadar. L.The Friends of Bibi (FOBs) vs. "The New Middle East". JPS, XXVI, no.1 (Autumn 1996), 89-97.

127) Nazzal, Nafez Y., Nazzal, Laila A. Hamas. Historical Dictionary of Palestine. London.1997 The Oxford Encyclopedia of the Modern Islamic World. vol. II. J.L.Esposito. Editor in Chief. New York, Oxford, 1995.

128) Palestine National Council, Draft Bill Amending the Palestine National Charter, Gaza, 24 April,1996.- JPS, vol.XXV, no.4 (Summer 1996), 146-147.

129) The Palestinian Economy and Prospects for Regional Cooperation. United Nations Conference on Trade and Development. 1998 Peace Monitor, 16 November 1994- 15 February 1995. Compiled by Michele L. Kjorlien. JPS, XXIV, no.3 (Spring 1995), 116-121.

130) Peace Monitor. 16 May - 15 August 1995. JPS, XXV, no.1 (Autumn 1995), 122-130.

131) Peace Monitor. 16 August – 15 November 1995, Compiled by Michele L. Kjorlien. JPS, XXV, no.2 (Winter 1996), 104-113.

ინტერნეტწყაროები:

1) Editors: Dr. Muriel Asseburg & Dr. Nimrod Goren Graphic design: Het IJzeren Gordijn Divided and Divisive: Europeans, Israel and Israeli-Palestinian Peacemaking, ISBN: 978-94-92487-38-4 NUR: 689 Serial number: PAX/2019/07. May,2019/ ბოლოს გადამოწმებულია -2021.20.05

2) https://www.swpberlin.org/fileadmin/contents/products/fachpublikationen/Asseburg_PAX_REPORT_Divided_Divisive.pdf ბოლოს გადამოწმებულია -2021.20.05 -

3) Miriam Berger, Israel's relations in the Middle East, explained,Image without a cap tion. August 15, 2020. https://www.washingtonpost.com/world/2020/08/15/israels-relations-middle-east-explained/ ბოლოს გადამოწმებულია -2021.20.05

4) Jews for Justice in the Middle East, Published in Berkeley, CA, 2001 http://ifamericaknew.org/history/origin.html- ბოლოს გადამოწმებულია - 2021.20.05

5) Beinin, Joel and Lisa Hajjar - "Palestine, Israel and the Arab-Israeli Conflict: A Primer" Washington, DC: Middle East Research and Information Project, 2014 ბოლოს გადამოწმებულია -2021.20.05

6) https://merip.org/palestine-israel-primer/ ბოლოს გადამოწმებულია - 2021.20.05
7) Media gap on Israel-Palestine through independent storytelling and strategic audience engagement. 2022 https://justvision.org/glossary/madrid-conference ბოლოს გადამოწმებულია -2021.20.05
8) The Israeli-Palestinian Peace Process: Lessons from OsloDavid J. Wilcox 2020 https://www.e-ir.info/2020/09/14/the-israeli-palestinian-peace-process-lessons-from-oslo/ ბოლოს გადამოწმებულია -2021.20.05
9) Egypt, Israel, Palestine By Khaled Elgindy, 2021. https://www.thecairoreview.com/essays/egypt-israel-palestine/ -
10) Trump releases long-awaited Middle-East peace plan Published28, January 2020. https://www.bbc.com/news/world-middle-east-51288218 ბოლოს გადამოწმებულია -2021.20.05
11) Jerusalem violence: Deadly air strikes hit Gaza after rocket attacks Published10 May 2021. https://www.bbc.com/news/world-middle-east-57053074 ბოლოს გადამოწმებულია-2021.25.05
12) The many paths to Syrian-Israeli reconciliation - By Samir Altaqi, MENASource, March 16, 2021. https://www.atlanticcouncil.org/blogs/menasource/the-many-paths-to-syrian-israeli-reconciliation/ ბოლოს გადამოწმებულია 2021.27.05.
13) ანალიტიკოსთა შეფასებები: რეალური მიზნები და თურქეთის როლი, 03 ივნისი, 2010, (ბოლოს გადამოწმებულია 2021.25.05. https://www.amerikiskhma.com/a/article---------- 95551014/529735.html
14) Egypt, Israel, Palestine-By Khaled Elgindy - https://www.thecairoreview.com/essays/egypt-israel-palestine/- (ბოლოს გადამოწმებულია 2021.25.05)
15) Turkish, Iranian leaders discuss Israeli attacks on Palestine
16) Global community should send Israel strong message of deterrence in face of reckless attacks, Erdogan tells Rouhani over phone Mumin Altas - 16.05.2021. ბოლოს გადამოწმებულია -2021.20.05

17) https://www.aa.com.tr/en/politics/turkish-iranian-leaders-discuss-israeli-attacks-on-palestine/2243500 - ბოლოს გადამოწმებულია -2021.20.05

18) Anders Persson, What will Trump's 'ultimate deal' mean for Palestinians? Aljazeera,28 Mar 2018, https://portal.research.lu.se/portal/en/publications/what-will-trumps-ultimate-deal-mean-for-palestinians(a4a4631d-6739-4e21-b2ee-2ee076ffe46f).html ბოლოს გადამოწმებულია -2021.20.05

19) Anders Persson, What will Trump's 'ultimate deal' mean for Palestinians? Aljazeera, 28 Mar 2018, https://portal.research.lu.se/portal/en/publications/what-will-trumps-ultimate-deal-mean-for-palestinians (a4a4631d-6739-4e21-b2ee-2ee076ffe46f).html ბოლოს გადამოწმებულია -2021.20.05

20) Ali Sawafta, Nidal al-Mughrabi, 'Slap of the century': Palestinians reject Trump Mideast plan, Reuters, January 28, 2020 https://www.reuters.com/article/us-israel-palestinians-plan-reactions- (ბოლოს გადამოწმებულია 18.07.2021)

21) US-led Bahrain meeting on Palestine, Two-day workshop boycotted by Palestinian leadership takes place amid efforts by Washington to drum up $50bn investment, Al Jazeera, 2019. https://www.aljazeera.com/news/2019/6/26/us-led-bahrain-meeting-on-palestine-all-the-latest-u ბოლოს გადამოწმებულია -2021.20.05

22) Peace to Prosperity, A Vision to Improve the Lives of the Palestinian and Israeli People, The White House, Washington, January, 2020. https://trumpwhitehouse.archives.gov/peacetoprosperity/ ბოლოს გადამოწმებულია -2021.20.05

23) EU rejects Trump Middle East peace plan, annexation, Reuters, February 4, 2020. https://www.reuters.com/article/us-israel-palestinians-eu-idUSKBN1ZY1I9 ბოლოს გადამოწმებულია -2021.20.05

24) Zarina Othman1, Raed M. I. Qaddoura2, Marina Abdul Majid, The 'Peace to Prosperity' and Trump's Conurdum, Journal of Critical Reviews

http://www.jcreview.com/fulltext/197-1601025329-adt-1.pdf (ბოლოს გადამოწმებულია 18.07.2021)

25) Haim Yacobi, Can the EU Stand Up to Trump's "Deal of the Century"?, 2020, https://www.academia.edu/download/62487752/iaicom20102000326-105119- (ბოლოს გადამოწმებულია 18.07.2021)

26) Israel-Gaza violence: The conflict explained - https://www.bbc.com/news/newsbeat-44124396 - (ბოლოს გადამოწმებულია 18.08.2022)

27) https://www.bbc.com/news/newsbeat-44124396 -(ბოლოს გადამოწმებულია 13.08.2022)

დანართი

კვლევა ჩავატარეთ ონლაინრეჟიმით. ექსპერტთა ჯგუფი შერჩეულია მათი პროფესიისა და დარგისმცოდნეობის მიხედვით.

საკვლევი შეკითხვებია:

1. შეძლებენ თუ არა გარე ძალები ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის გადაჭრაში დადებით როლის შესრულებას?

2. რა დადებითი გავლენა შეუძლია იქონიოს საერთო აბრაამისტულმა წარმომავლობამ და სიწმინდეებმა ამ კონფლიქტის მოგვარებაში?

3. გახდება თუ არა რელიგიური ფაქტორი კონფლიქტის გაღვივების ან მოგვარების მიზეზი?

4. შესაძლოა თუ არა შეიცვალოს აშშ-ის ახალი პრეზიდენტის, ჯო ბაიდენის, მმართველობის პერიოდში ისრაელისადმი დამოკიდებულება და რას უნდა ელოდონ პალესტინელები აშშ-ის ახალი მთავრობის მმართველობის პერიოდში?

რესპონდენტები:

1. **ხათუნა ბაინდურაშვილი** -ისლამოლოგი, ირანისტი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.

2. **ლამზირა ხიდეშელი** _ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის (სეუ) პროფესორი;
3. **ვახტანგ თევდორაძე** _ აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი;
4. **კახა დემეტრაშვილი** _ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, აკად. გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის პროფესორი, მკვლევარი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, აღმოსავლეთმცდონე, ისტორიკოსი;
5. **გურამ აბრამის ძე ბათიაშვილი** (დ. 10 იანვარი, 1938, კულაში, სამტრედიის მუნიციპალიტეტი) _ დრამატურგი. საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე (1987), მსოფლიოს ებრაელთა კონგრესისა (1991) და სიონისტური ორგანიზაციის (1993) გამგეობების წევრი.

ხათუნა ბაინდურაშვილმა პირველ შეკითხვას ***„შეძლებენ თუ არა გარე ძალები ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის გადაჭრაში დადებითი როლის შესრულებას?“*** უპასუხა, რომ, როგორც ცნობილია, პალესტინისა და ისრაელის მოუგვარებელ კონფლიქტს აქტუალურობა აგერ უკვე ათეული წლებია არ დაუკარგავს. მისი აზრით, ეს არა მარტო ახლო აღმოსავლეთის, არამედ მთელი მსოფლიოსათვის გადაუჭრელი პრობლემაა, რადგან ამ კონფლიქტის მოგვარების საქმეში დიდ როლს თამაშობდნენ შიდა და გარე ძალები, რომლებმაც ამ ეტაპისთვის შედეგის მიღწევა ვერ მოახერხეს. მისი აზრით, გარე ძალები ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის გადაჭრაში დადებით როლის შესრულებას ვერ შეძლებენ.

მეორე შეკითხვა _ ***„რა დადებითი გავლენა შეიძლება იქონიოს საერთო აბრაამისტულმა წარმომავლობამ და, აქედან გამომდინარე, საერთო სიწმინდეებმა ამ კონფლიქტის მოგვარებაზე?“*** – მისი აზრით, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია პალესტინელი არაბებისა და ებრაელების საერთო რელიგიური სიწმინდეები, რის გამოც მათ შორის ხშირია უთანხმოება მათ ფლობასთან დაკავშირებით, რადგან ორივე მხარე

მათ საკუთრებად მიიჩნევს. ამ ფაქტს ხშირად იყენებენ პალესტინა-ისრაელს შორის კონფლიქტის გასაღრმავებლად. მისი აზრით, რელიგიურმა ფაქტორმა, ანუ საერთო სიწმინდეებმა, შესაძლოა დადებითი როლი ვერ შეასრულოს დაუსრულებელი კონფლიქტის მოგვარებაში.

მესამე შეკითხვა _ *„გახდება თუ არა რელიგიური ფაქტორი კონფლიქტის გაღვივების ან მოგვარების მიზეზი?“* პასუხი _ *„ჩემი აზრით, კონფლიქტების მოგვარებაში, რელიგიურ ფაქტორს არ შეუძლია შეასრულოს დადებითი როლი პალესტინასა და ისრაელს შორის კონფლიქტში, რადგანაც მათ საერთო რელიგიური სიწმინდეების ფლობის სურვილი კიდევ უფრო აღვივებს და აქედან გამომდინარე, ის კონფლიქტის გაღვივების მიზეზი უფრო გახდება, ვიდრე პირიქით“ (ხ.ბ.)*

მეოთხე შეკითხვაზე _ *„შესაძლოა თუ არა შეიცვალოს აშშ-ის ახალი პრეზიდენტის, ჯო ბაიდენის, მმართველობის პერიოდში ისრაელისადმი დამოკიდებულება და რას უნდა ელოდონ პალესტინელები აშშ-ის ახალი მთავრობის მმართველობის პერიოდში?“* – ექსპერტის პასუხი ასეთია: *„არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, აშშ-ს დამოკიდებულება არ შეიცვლება ამ კონფლიქტთან მიმართებაში, რადგან შუა აღმოსავლეთში ისრაელს ამერიკის 51 შტატსაც კი უწეოდებენ. აქედან გამომდინარე, დიდი ალბათობით, არაფერი შეიცვლება, რადგან სიტუაციაც სტატიკურია, არ არის მოლოდინები რაიმე სახის დადებით ცვლილებებზე. ამერიკის ინტერესებიდან გამომდინარე, მათი ერთიერთობაც (ამერიკა -ისრაელის) დიდად არ შეიცვლება." (ხ.ბ.)*

კახა დემეტრაშვილის პასუხი პირველ შეკითხვაზე _ *„შეძლებენ თუ არა გარე ძალები ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის გადაჭრაში დადებითი როლის შესრულებას?“* _ მისი აზრით, მსოფლიოს წამყვანმა სახელმწიფოებმა, დიდი ალბათობით, შესაძლებელია დადებითი როლი შეასრულონ ამ კონფლიქტის მოგვარებაში, განსაკუთრებით კი _ ძირითადად აქცენტს _ აშშ-სა და დიდი ბრიტანეთზე აკეთებს.

„რა დადებითი გავლენა შეუძლია იქონიოს საერთო აბრაამისტულმა წარმომავლობამ და, აქედან გამომდინარე, საერთო სიწმინდეებმა ამ კონფლიქტის მოგვარებაზე?“ _ ამ შეკითხვაზე ექსპერტი პასუხად აცხადებს, რომ რელიგიურმა ფაქტორმა ან საერთო სიწმინდეებმა ასევე აბრაამისტულმა წარმომავლობამ შესაძლოა ყველაზე ნაკლები როლი ითამაშოს ამ პრობლემის მოგვარებაში, რადგან აქცენტი პოლიტიკურ და ტერიტორიულ საკითხებზეა ყველაზე მეტად გადატანილი. ხოლო კონფლიქტის მოგვარების უპირველესი გასაღები კვლავ ძლიერი სახელმწიფოების ხელშია, რაც მეტ-ნაკლებად მისი მშვიდობიანად მოგვარების გარანტია.

„გახდება თუ არა რელიგიური ფაქტორი კონფლიქტის გაღვივების ან მოგვარების მიზეზი? _ ამ კითხვაზე პასუხისას ის აცხადებს, რომ რელიგიურ ფაქტორსა და მის როლსა და გავლენას კონფლიქტების გაღვივებასა ან მოგვარების მიზეზად არ მიიჩნევს. მისი აზრით, რელიგიურ საკითხს მისი გაღვივებისა ან მოგვარების ყველაზე ნაკლებსავარაუდო შესაძლებლობა აქვს.

ბოლო შეკითხვაზე _ *„შესაძლოა თუ არა შეიცვალოს აშშ-ის ახალი პრეზიდენტის, ჯო ბაიდენის, მმართველობის პერიოდში ისრაელისადმი დამოკიდებულება და რას უნდა ელოდონ პალესტინელები აშშ-ის ახალი მთავრობის მმართველობის პერიოდში?“* _ პასუხი ასეთია:

_ „ჯო ბაიდენის კურსიც იგივე იქნება და არ გადაუხვევს წინამორბედი პრეზიდენტის გეზს და იმავეს გააგრძელებს. იმ შემთხვევაში, თუკი კონფლიქტი უფრო გაღვივდება და სერიოზულ სახეს მიიღებს, მაშინ აშშ ისრაელს კვლავ მხარში დაუდგება (მისი თანადგომის გამოხატვა კი _ დროისა და გარემოების საკითხია), სადაც ისრაელი კვლავაც, სავარაუდოდ, აშკარა უპირატესობას მოიპოვებს. ხოლო, რაც შეეხებათ პალესტინელებს, ისინი აშშ-ის ახალი პრეზიდენტისგან დადებით და იმედიან ნაბიჯებს ელიან, თუმცა კვლავაც ეს რჩება გარემოების საკითხად.'“ (კ.დ.)

ვახტანგ თევდორაძე პირველ შეკითხვაზე ***„თქვენი აზრით, შეძლებენ თუ არა გარე ძალები არსებული კონფლიქტის გადაჭრაში დადებითი როლის შესრულებას?“***- პასუხად აცხადებს, რომ შეძლებს, თან ძალიან ეფექტურადაც, რადგან მსოფლიოში დღევანდელი არსებული რეალობიდან გამომდინარე, ნებისმიერ კონფლიქტში გარე ძალების ჩარევას, ძალიან დიდი დადებითი როლის შესრულება შეუძლია, მაგრამ აქ არის ერთი ფაქტორი, თუ რა ინტერესი აქვს ამ გარე ძალას ამ რეგიონში.

ხოლო მეორე შეკითხვა _ ***„რა დადებითი გავლენა შეუძლია იქონიოს საერთო აბრაამისტულმა წარმომავლობამ და სიწმინდეებმა ამ კონფლიქტის მოგვარებაზე?“*** ექსპერტის აზრით, აქ საყურადღებოა ის გარემოება, რომ სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილ დანაშაულთა რიცხვი დიდია, როგორც ერთი მხრიდან, ასევე, მეორე მხრიდანაც. აქ ალბათ უპირველესი არის სწორედ რელიგიური ფაქტორი, უმეტესობა ექსპერტებისა ისრაელ-პალესტინის კონფლიქტს საერთაშორისო ურთიერთობების უმწვავეს პრობლემად მიიჩნევს. ამიტომ, მისი მართებული დასახელებაც ებრაულ-არაბული დაპირისპირება იქნება, რადგან ის ვნებს, როგორც ქვეყნების ინტერესებს, ასევე საერთაშორისო სისტემის სტაბილურობასაც. აგრეთვე, ხშირად სცდება მხოლოდ ეთნო-ტერიტორიულ ფარგლებს და განზოგადდება უფრო ფართო, რელიგიათა თუ ცივილიზაციათა (არაბული და დასავლური) დაპირისპირების დონეზე. შესაბამისად, აქ რამე დადებით როლზე აქცენტირება ზუსტად ვერ ხდება.

მესამე შეკითხვაზე **„გახდება თუ არა რელიგიური ფაქტორი კონფლიქტის გაღვივების ან მოგვარების მიზეზი?“** პასუხი ოდნავ გლობალურ-პაციფისტურია, რადგან ექსპერტი ნებისმიერი კონფლიქტის დასრულებაში დიალოგს უალტერნატივო გზად მიიჩნევს და აღიარებს, რომ ნებისმიერი უთანხმოება მხოლოდ მშვიდობიანი გზით უნდა გადაიჭრას, თუმცა, არსებული კონფლიქტი უკვე 70 წელზე მეტია გრძელდება. თუმცა, დიალოგის დაწყებაც კი უკვე იმდენად არაპერსპექტიული ჩანს არსებული მდგომარეობიდან, რომ საეჭვოა მოკლე ხანში რაიმე კონსენსუსის მიღწევა

მოხერხდეს. შესაბამისად, ექსპერტის აზრით, პროგნოზირება ძალიან რთულია, რადგან ამ კონფლიქტში ბევრი საგარეო ფაქტორიც არის. მაგალითად, იკვეთება როგორც ზესახელმწიფოთა გლობალური, ასევე, საშუალო ძალისა და შედარებით სუსტ სახელმწიფოთა ლოკალური ინტერესები. შესაბამისად, რელიგიურ ფაქტორს ნაკლებად აქვს ძალა, მოაგვაროს არსებული, ხანგრძლივი კონფლიქტი.

ბოლო შეკითხვაზე **„შესაძლოა თუ არა შეიცვალოს აშშ-ის ახალი პრეზიდენტის, ჯო ბაიდენის, მმართველობის პერიოდში ისრაელისადმი დამოკიდებულება და რას უნდა ელოდონ პალესტინელები აშშ-ის ახალი მთავრობის მმართველობის პერიოდში?“** პასუხი ასეთია _ ***„არა მგონია შეიცვალოს, რადგან ამ კონფლიქტის არსებობის განმავლობაში, ეს არ მომხდარა. შეიძლება გამონაკლისად ჩაითვალოს პრეზიდენტი ბარაკ ობამა, როდესაც მან ისრაელის პრემიერ-მინისტრს, ბენიამინ ნეთანიაჰუს მოუწოდა, რომ არ გაეშვა ხელიდან მოლაპარაკებების შესაძლებლობა, მაგრამ ისრაელი მაინც წინააღმდეგია პალესტინის დამოუკიდებლობის, რათა მან საფრთხე არ შეუქმნას ებრაელებს, თანახმა არის მხოლოდ მისცეს მას ფართო ავტონომია. ჩემი აზრით, ამერიკის მხარდაჭერა ისრაელისადმი კვლავ ჩვეულ რიტმში გაგრძელდება. ასე რომ, პალესტინა რაიმე ახალს არ უნდა ელოდოს.“ (ვ.თ.)***

ლამზირა ხიდეშელმა პირველ შეკითხვაზე - **„შეძლებენ თუ არა გარე ძალები ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის გადაჭრაში დადებით როლის შესრულებას?“** _ გამოთქვა მისი მოსაზრება, რომ, მიუხედავად ძალისხმევისა, რომელსაც არ იშურებს საერთაშორისო საზოგადოება, კონფლიქტში ჩართული მხარეები მზად არ არიან რაიმე დათმობებზე წასასვლელად. შესაბამისად ისრაელ-არაბეთის კონფლიქტი უკვე რამდენიმე ათწლეულს ითვლის და ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც მსოფლიოს ყურადღების ცენტრშია. კონფლიქტმა დღემდე უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. უამრავმა შეთანხმებამ კომპრომისამდე ვერ მიიყვანა დაპირისპირებული მხარეები. კვლავ გრძელდება კონფლიქტის

დარეგულირების მცდელობები სხვადასხვა სახელმწიფოების, თუ საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან, თუმცა დაპირისპირება მოიცავს უამრავ ასპექტს და გარე ძალების მხრიდან ნებისმიერი მცდელობა – დადებითი გავლენა მოახდინონ კონფლიქტის დარეგულირებაზე უშედეგო აღმოჩნდება, თუ ორივე მხარე არ მიუსხდება მოლაპარაკების მაგიდას და ერთმანეთთან შეთანხმებული გეგმით არ გააგრძელებენ თანაცხოვრებას.

მეორე შეკითხვაზე _ „**რა დადებითი გავლენა შეუძლია იქონიოს საერთო აბრაამისტულმა წარმომავლობამ და სიწმინდეებმა ამ კონფლიქტის მოგვარებაზე?**“ ექსპერტის აზრით, ამ დაპირისპირებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება რელიგიურ ასპექტებს. კონფლიქტში დიდ როლს რელიგიური რწმენა და წმინდა ქალაქი იერუსალიმი ასრულებს. ამერიკის პრეზიდენტის, დონალდ ტრამპის ადმინისტრაციის მიერ იერუსალიმის ისრაელის დედაქალაქად აღიარებამ, კიდევ უფრო გაამწვავა დაპირისპირება კონფლიქტის მონაწილე მხარეებს შორის.

მესამე შეკითხვაზე _ **„გახდება თუ არა რელიგიური ფაქტორი კონფლიქტის გაღვივების ან მოგვარების მიზეზი?“** _ რესპონდენტი პასუხად აცხადებს, რომ ყველა ტიპის კონფლიქტებიდან რელიგიურ საკითხებზე აღმოცენებული კონფლიქტები ყველაზე ძნელად მოსაგვარებელია. ისრაელ-პალესტინის კონფლიქტი ტერიტორიული კონფლიქტია, თუმცა არ გამორიცხავს რელიგიურ მოტივსაც, რომელშიც აღთქმულ მიწაზე დაბრუნების დიდი სურვილი მოიაზრება. წმინდა ქალაქის, იერუსალიმის, სტატუსთან დაკავშირებული მოლაპარაკებები ჩიხშია შესული. რელიგიური მოტივი ამ კონფლიქტის მოგვარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დაბრკოლებაა.

ბოლო შეკითხვაზე _ „**შესაძლოა თუ არა შეიცვალოს აშშ-ის ახალი პრეზიდენტის, ჯო ბაიდენის, მმართველობის პერიოდში ისრაელისადმი დამოკიდებულება და რას უნდა ელოდონ პალესტინელები აშშ-ის ახალი მთავრობის მმართველობის პერიოდში?**“ პასუხი კი შემდეგია _ **„ჩემი აზრით, ისრაელ-პალესტინის კონფლიქტთან მიმართებით აშშ-ის ახალი**

ადმინისტრაციის დამოკიდებულება მკვეთრად არ შეიცვლება. მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ჯო ბაიდენი მიესალმა დონალდ ტრამპის ძალისხმევას ისრაელსა და არაბთა გაერთიანებულ საამიროებში და ისრაელსა და ბაჰრეინს შორის მიღწეულ შეთანხმებებს. ისრაელ-პალესტინას შორის ურთიერთობების მოგვარების საკითხში სავარაუდოდ ახალი ადმინისტრაცია „ორი სახელმწიფოს“ შექმნის იდეისკენ გადაიხრება. რაც მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს ბაიდენის ადმინისტრაციასა და ბენიამინ ნეთანიაჰუს შორის სამომავლო ურთიერთობებზე.“ (ლ.ხ.)

გურამ ბათიაშვილის მოსაზრებით, კითხვაზე _ **„შეძლებენ თუ არა გარე ძალები ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის გადაჭრაში დადებითი როლის შესრულებას?“** პასუხი ასეთია: მნიშვნელოვანია, თუ რა მიიჩნევა კონფლიქტის სათავედ: საიდან, როგორ გაჩნდა ტერმინი პალესტინა: რომაელ დამპყრობელთა წინააღმდეგ ებრაელების აჯანყება _ რომელიც საუკუნეების განმავლობაში გრძელდებოდა, ყველაზე დიდი და სისხლისმღვრელი კი ჩვ. წელთაღრიცხვის მეორე საუკუნის დამდეგისას გახლდათ, რომელშიც ებრაელები სასტიკად დამარცხდნენ და როგორც ჟამთააღმწერელი ამბობს, მათ ქ. იერუსალიმი გადახნეს, იუდეა-ისრაელის სამეფოებს, სახელიც წაართვეს და დავითისა და სოლომონის სამეფოს მეზობელი ტომის, პალესტინელების სახელი _ პალესტინა უწოდეს, ხოლო ებრაელები სამშობლოდან განდევნეს. ებრაელები 19 საუკუნე გახლდნენ სამშობლოწართმეულნი, მიმოფანტულნი. 1947წ. გაეროს გადაწყვეტილებით, პალესტინის ტერიტორიაზე შეიქმნა ორი სახელმწიფო _ ისრაელი და პალესტინა. 1948 წ. 15 მაისს ებრაელებმა გამოაცხადეს საკუთარი სახელმწიფოებრიობის აღდგენა, რასაც არაბული სამყარო არ დაეთანხმა: ეგვიპტე, ერაყი, სირია, იორდანია მეორე დღესვე თავს დაესხა ახლადაღდგენილ სახელმწიფოს. ამ ომში ისრაელმა გაიმარჯვა და დაიბრუნა იმ ტერიტორიების ნაწილიც, რომელიც ისტორიულად ებრაელებს ეკუთვნოდათ, გაერომ კი პალესტინის ახლადშექმნილი სახელმწიფოს ფარგლებში დატოვა. პალესტინელთა თვალსაზრისით,

ისრაელმა მიიტაცა პალესტინის ტერიტორიის გარკვეული ნაწილი. ისრაელი მიიჩნევს, რომ მან დაიბრუნა თავისი ტერიტორიები.

„ამ მოკლე ექსკურსის შემდეგ პასუხი არსებულ კითხვაზე: არაბული სამყარო ვერ ურიგდება ახლო აღმოსავლეთში ებრაელების ყოფნას _ ცივილიზებული, დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობას, რადგან მათ მიაჩნიათ, რომ ეს რეგიონი მათი წილხვედრია". (გ.ბ.)

ხოლო რაც შეეხება გარე ძალების ჩართულობასა და მათ მიერ ამ საკითხის მოგვარებას, ნაკლებად სავარაუდოა, რადგან „ჰამასი" ერთობ აგრესიული ძალაა, მას აფინანსებენ არა მხოლოდ არაბული სამყაროდან, არამედ ევროპიდანაც. გარდა ამისა, აქ არა მხოლოდ ტერიტორიების, მენტალობის საკითხიცაა.

რაც შეეხება მეორე შეკითხვას _ **რა დადებითი გავლენა შეუძლია იქონიოს საერთო აბრაამისტულმა წარმომავლობამ და სიწმინდეებმა ამ კონფლიქტის მოგვარებაზე?** _ რესპონდენტის აზრით, ისრაელში სტუმრობისას შეამჩნია, რომ ამ საკითხის გამო ებრაელები პალესტინელებს ერთობ დადებითად მოიხსენიებენ _ მათ თავიან ბიძაშვილებადაც კი მიიჩნევენ. მათ ერთმანეთში სავაჭრო-საქმიანი ურთიერთობებიც აქვთ, მაგრამ, როცა საქმე სიწმინდეებს ეხება, მათთან მიმართებით ისინი ერთობ განსხვავებული შეხედულებისა და მიდგომის არიან... (კვლავ მენტალობის საკითხი!) *„თუ ისრაელის მხარე ისტორიული წარსულის გაფრთხილების მიზნით, ისლამურ სიწმინდეებსაც ისევე უვლის, როგორც ებრაულს, თუნდაც პერსპექტივაში მეტი ტურისტის მოზიდვის თვალსაზრისით, პალესტინური მხარე ასე არ იქცევა: პალესტინის ტერიტორიაზე მოხვდა _ მამამთავარ იაკობის მეუღლის _ რახელის საფლავი. მოსპეს, აღარ არსებობს. ცდილობენ, ყოველი ებრაული სიწმინდე აღგავონ" – (გ.ბ.)*

ხოლო მესამე შეკითხვაზე პასუხად _ **„გახდება თუ არა რელიგიური ფაქტორი კონფლიქტის გაღვივების ან მოგვარების მიზეზი?"** _ რესპონდენტი ამას ნაკლებად სავარაუდოდ მიიჩნევს, რადგან პალესტინის

არაბებს შორის ისლამისტური ფუნდამენტალიზმი მძლავრობს, რაც ნათლად გამოვლინდა მ.წ. (2021 წლის მაისი) მაისის შეტაკებების დროს, თუმცა ამ ტენდენციისაგან არც ებრაული მხარეა თავისუფალი. *„ეს გარემოება კი კონფლიქტის გაღვივების ძალზე ნოყიერი ნიადაგია. სქემა ძალიან უბრალოა და გასაგები: არაბული სამყაროს მიზანია ახლო აღმოსავლეთის ამ ანკლავში არ არსებობდეს ებრაული სახელმწიფო, მითუმეტეს დემოკრატიული იდეალების მიმდევარი. ისინი იმას კი არ აღიარებენ, რომ ებრაელებმა აღიდგინეს 19 საუკუნის წინათ წართმეული სახელმწიფოებრიობა, ახალ თაობებს ჩააგონებენ: მოვიდნენ ებრაელები და დაიპყრეს ჩვენი მიწებიო. იქ, სადაც არ არის განათლება, მითებს ნოყიერი ნიადაგი ხვდება. ამდენად, ახალ თაობებს ისრაელისადმი მტრული სულისკვეთებით ზრდიან.“ (გ.ბ.)*

და ბოლოს, მეოთხე შეკითხვა: **შესაძლოა თუ არა შეიცვალოს აშშ-ის ახალი პრეზიდენტის, ჯო ბაიდენის, მმართველობის პერიოდში ისრაელისადმი დამოკიდებულება და რას უნდა ელოდონ პალესტინელები აშშ-ის ახალი მთავრობის მმართველობის პერიოდში?** აქ რესპონდენტი ისევ თავის შეხედულებას განავრცობს და ამბობს, რომ **„ჯო ბაიდენი დემოკრატიული პარტიის ლიდერი გახლავთ. ეს პარტია კი შეიძლება ითქვას, პროპალესტინური მიმართულებისაა. აშშ-ს წინა, რესპუბლიკური პარტიის ხელისუფლებამ, პალესტინის ავტონომიას შეუწყვიტა მილიონობით დოლარის ოდენობის ფინანსური დახმარება, რადგან ეს თანხა ხმარდება არა ხალხის კეთილდღეობას, არამედ ტერორისტული ორგანიზაციების შეიარაღებას, ე.ი. ისრაელის წინააღმდეგ ბრძოლას _ ებრაელების ხოცვას. ეს კარგად მოეხსენება დემოკრატიულ პარტიას, მაგრამ ბაიდენის ხელისუფლებამ თეთრ სახლში შესვლისთანავე პალესტინელებს, აღუდგინა მრავალმილიონიანი დახმარება. ფაქტობრივად, ეს არის სისხლისღვრის ლეგიტიმაცია. მე არ ვვარაუდობ, რომ ამ მიმართებით აშშ-ს დოქტრინაში რაიმე შეიცვლება. პალესტინელები ელოდებიან და არც თუ უპერსპექტივოდ, აშშ-ის მხარდაჭერას. ეს მხარდაჭერა კი**

მრავალმნიშვნელოვანია. აქ არის ერთადერთი იმედი _ აშშ-ის ებრაული ლობი, რომელსაც დემოკრატიულ პარტია გვერდს ვერ აუქცევს. ებრაულ ლობში ვგულისხმობ არა ებრაელ პოლიტიკოსებს, არამედ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, თორემ ებრაელმა პოლიტიკოსმა, სანდერსმა (დემოკრატიული პარტია), რომელიც წინა არჩევნებისას პრეზიდენტობაზეც იყრიდა კენჭს, ისრაელის სახელმწიფოებრიობის გაუქმებაც კი მოითხოვა." (გ.ბ.)

კვლევაში მონაწილეობა მიღო ასევე პალესტინელმა, რომელიც თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტია _ Omair Fannoun Tamimi – (omair.fannoun.5@hotmail.com) ომარ ფანოუმ ტამინი, რომელმაც საკუთარი აზრი დააფიქსირა ამ გამოკითხვაში.

პირველ შეკითხვაზე _ **„შეძლებენ თუ არა გარე ძალები ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის გადაჭრაში დადებითი როლის შესრულებას?"** სტუდენტმა გამოხატა საკუთარი მოსაზრება და განაცხადა, რომ ამ კონფლიქტის მოგვარებაში უკვე დიდი ხანია, რაც საგარეო ძალები ჩართული არიან. ისინი ცდილობენ პალესტინა-ისრაელის კონფლიქტის მოგვარებას. ორ მხარეს შორის დაიდო მრავალი შეთანხმება. პროცესი გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში დაიძრა, სამშვიდობო მოლაპარაკებების სახით. პირველი შეთანხმება იყო _1993 წლის ოსლოს შეთანხმება, რომელიც ყველაზე გამორჩეული იყო, რადგან საუბარი გახლდათ ისრაელის ძალების გასვლაზე პალესტინის ტერიტორიებიდან, რომლის ოკუპაციაც 1967 წელს შეძლო ისრაელმა. მას ყველა ადგილიდან არ გაუყვანია ჯარი და სადაც და როცა უნდოდა, თავს ესხმოდა პალესტინას. ამის შემდეგ 1995 წელს დასრულდა ოსლოს შეთანხმება, რომლის მიხედვითაც 1967 წელს ოკუპირებული მიწები დაიყო (A), (B), (C) ნაწილებად პალესტინისა და ისრაელის მმართველობის სფეროების დასადგენად. პალესტინელებმა აღიარეს ეს შეთანხმება, მაგრამ ისრაელის ძალებმა დაარღვიეს მისი პირობები და დაარბიეს ის მიწები, რომლებიც, შეთანხმების მიხედვით, არ უნდა დაერბიათ. ისინი კვლავ

ცდილობდნენ მკვიდრი მოსახლეობისგან წაეღოთ მიწები და სახლები და სხვებისთვის გადაეცათ. ისინი (ებრაელები) აპატიმრებენ ყველას, ვინც სურთ. ამის მიუხედავად, საგარეო ძალები არაფერს აკეთებენ, ამიტომ ისინი ვერ შეძლებენ დადებითი როლი ითამაშონ ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის მოგვარებაში, მიუხედავად მათი არაერთგზის მცდელობისა.

რაც შეეხება მეორე შეკითხვას _ **რა დადებითი გავლენა შეუძლია იქონიოს საერთო აბრაამისტულმა წარმომავლობამ და სიწმინდეებმა ამ კონფლიქტის მოგვარებაზე? -** აქ რესპონდენტი ამბობს, რომ აბრაამისტული წარმოშობა ერთ-ერთი მიზეზია, რამაც მრავალი პრობლემა გამოიწვია. მის ქალაქ, ჰებრონში მდებარეობს იბრაჰიმის (იგივე აბრაამის) მეჩეთი, სადაც ამბობენ, რომ დაკრძალულია მათი მამამთავარი აბრაამი და მისი ვაჟები („ნათელი მათ ხსოვნას და უკვდავყოფა“- ო.ფ.თ.). თვით ეს ფაქტია არაერთგზის პრობლემის გამომწვევი მიზეზი, რადგან ებრაელებს სჯერათ, რომ ეს მათთვის სინაგოგაა და მუსლიმებს სჯერათ, რომ ეს მათთვის მეჩეთია. იგი მეჩეთად რჩებოდა 1994 წლამდე, ხოლო ფაჯრის ლოცვისას, პარასკევს, რამადანის მარხვაში, ისრაელის სამხედრო ძალებმა ნება დართეს ერთ-ერთ ებრაელს იარაღით შესულიყო მეჩეთში, მოეკლა 29 მორწმუნე და დაეჭრა 150 ადამიანი, ამის შემდეგ მათ დახურეს მეჩეთი, ასე რომ, აბრაამისტული წარმოშობა და საერთო სიწმინდეები მრავალი პრობლემის გამომწვევია მიზეზია და არა პირიქით.

მესამე შეკითხვა _ **„გახდება თუ არა რელიგიური ფაქტორი კონფლიქტის გაღვივების ან მოგვარების მიზეზი?“-** პალესტინელი არაბის აზრით, კონფლიქტის მთავარი მიზეზი არის რელიგია. ებრაელები მიიჩნევენ, რომ მათთვის ეს აღთქმული მიწაა, ხოლო მუსლიმები _ რომ ეს დალოცვილი და წმინდა მიწაა, რომელშიც არის ალ-აქსას მეჩეთი. ეს მათი პირველი ყიბლაა და ისრაასა და მირაჯის მიწა, რომელშიც დიდი და მჭიდრო სულიერი კავშირია. კონფლიქტი გაჩნდა მაშინ, როდესაც ებრაელებმა დაიწყეს მიგრაცია მსოფლიოს ყველა რეგიონიდან მათთვის აღთქმულ მიწაზე, სადაც მუსლიმები უკვე იქ იმყოფებოდნენ. ებრაელებს

სჯეროდათ, რომ ალ-აქსას მეჩეთი მათ ტაძარზეა აგებული და ისინი ცდილობენ მის დემონტაჟსა და თავიანთი ტაძრის აღდგენას.

რაც შეეხება ბოლო შეკითხვას _ **„შესაძლოა თუ არა შეიცვალოს აშშ-ის ახალი პრეზიდენტის, ჯო ბაიდენის, მმართველობის პერიოდში ისრაელისადმი დამოკიდებულება და რას უნდა ელოდონ პალესტინელები აშშ-ის ახალი მთავრობის მმართველობის პერიოდში?“** - აქ სტუდენტი პასუხად აცხადებს, რომ კონფლიქტის დასაწყისიდან დღემდე ამერიკის პოზიცია მკაფიოდ ნათელი იყო, ის ყოველთვის მხარს უჭერდა ისრაელს, მრავალი მთავრობა და პრეზიდენტი შეიცვალა და ამერიკის პოზიცია არ შეცვლილა, ამიტომ პალესტინელები დიდად არ მოელიან ამ საკითხთან დაკავშირებით ამერიკის პოზიციის ძირეულ შეცვლას.

კვლევის შემდეგი მონაწილე _ ***პატრიკ ჩურაკი*** - *ინფორმატიკისა და ახალი ტექნოლოგიების სპეციალისტი* (pchouraki@gmail.com) _ *ეროვნებით ებრაელი.* პირველ შეკითხვაზე _**„შეძლებენ თუ არა გარე ძალები ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის გადაჭრაში დადებით როლის შესრულებას?“** _ მისი პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით ასეთია, მას მიაჩნია, რომ გარე ძალები დადებით როლს ვერ შეასრულებენ. რადგან მიწა უკვე განაწილდა 1948 წელს, თუმცა ეს პალესტინელებისათვის მიუღებელი აღმოჩნდა. შემდეგ დაიწყო და გაჩაღდა რამდენიმე ომი, სადაც მათ (პალესტინელებმა) წააგეს. ყველაზე ცუდი ამაში ის იყო მათთვის, რომ ეს უფრო უარესი აღმოჩნდა, რადგან ისრაელმა ამ მიწის კოლონიზება შეძლო.

მეორე შეკითხვაზე _ **რა დადებითი გავლენა შეუძლია იქონიოს საერთო აბრაამისტულმა წარმომავლობამ და სიწმინდეებმა ამ კონფლიქტის მოგვარებაზე?** - ებრაელი მოქალაქე პასუხად აცხადებს, რომ, მისი აზრით, ამ კონფლიქტს ბოლო არ უჩანს, რადგან მას თითქმის შეუძლებლად მიაჩნია ორთოდოქსი საზოგადოებისა და „ჰამასის“ თანაარსებობა.

მესამე შეკითხვაზე - **„გახდება თუ არა რელიგიური ფაქტორი კონფლიქტის გაღვივების ან მოგვარების მიზეზი?“** - ჩვენი ებრაელი რესპონდენტი პასუხად საკმაოდ სკეპტიკურად აცხადებს _ შესაძლებელია,

თუმცა ამ კონფლიქტის მოგვარებაზე თუ ვისაუბრებთ (ნებისმიერი გზით), მე არაფერს მოველი.

ბოლო შეკითხვაზე _ **„შესაძლოა თუ არა შეიცვალოს აშშ-ის ახალი პრეზიდენტის, ჯო ბაიდენის, მმართველობის პერიოდში ისრაელისადმი დამოკიდებულება და რას უნდა ელოდონ პალესტინელები აშშ-ის ახალი მთავრობის მმართველობის პერიოდში?“** _ პასუხად რესპონდენტი აცხადებს, რომ სამომავლოდ ძირეულად არაფერი შეიცვლება. ებრაელებმა „იზრუნეს“ იმაზე, რომ პალესტინელები ღია ცის ქვეშ, ღაზაში, გამოკეტეს. ხოლო, რაც შეეხება დანარჩენ პალესტინელებს, ყველას, ვინც ისრაელში მუშაობს, აქვს ისრაელის პასპორტი. პალესტინელებს სურთ პალესტინა, ებრაელები ამბობენ, რომ ეს მიწა ყოველთვის მათი იყო და ის პალესტინელებმა მოჰპარეს მათ. ისრაელი პატარაა, აქ უამრავი სიწმინდეა თავმოყრილი. ერთ-ერთი მთავარია _ იერუსალიმის მეჩეთი, რომელიც მუსლიმთათვის, ანუ ისლამში, მესამე სიწმინდეა და ის აშენებულია მეფე სოლომონის უძველესი ტაძრის ნანგრევების ქვეშ.

ებრაელები ოცნებობენ ამ მეჩეთის საძირკვლების გათხრაზე. მათ ეს უკვე გააკეთეს, რამაც შვა ეს დაუსრულებელი კონფლიქტი. ებრაელებს სურთ, იპოვონ თავიანთი წარმომავლობის (ნივთ) მტკიცებულება და დააკანონონ თავიანთი წარმოშობა.

ამგვარად, კვლევაში მონაწილეთათვის ისრაელ-პალესტინის დღემდე მოუგვარებელი პრობლემის გადაჭრის უალტერნატივო გზად ისევ დიალოგი და კონსენსუსი რჩება. თუმცა, მათი აზრით, მოლაპარაკება გარე ძალების ჩარევის გარეშე უნდა მოხდეს, ორ დაპირისპირებულ მხარეს შორის, მაგრამ რელიგიურმა ფაქტორმა და საერთო სიწმინდეებმა, უმრავლესობის აზრით, შესაძლოა დადებითი როლის ნაცვლად, პირიქით, უარყოფითი _ ითამაშოს და გაამწვავოს მდგომარეობა. ისინი ამ კონფლიქტის სათავედ სწორედ რელიგიური სიწმინდეების ერთპიროვნულად ფლობის სურვილს მიიჩნევენ.

კვლევისას აშკარად გამოიკვეთა და თითქმის გათანაბრდა ორი განსხვავებული აზრი _ გარე ძალების ჩართულობასთან დაკავშირებით _ სადაც ხმები თანაბრად გაიყო ამ კონფლიქტში გარე ძალების ჩართულობის დადებითი როლისა და მათი ჩარევის გარეშე მოგვარების შესახებ. რაც შეეხება მეორე შეკითხვას _**რა დადებითი გავლენა შეუძლია იქონიოს საერთო აბრაამისტულმა წარმომავლობამ და სიწმინდეებმა ამ კონფლიქტის მოგვარებაზე? -** აქ აზრი თითქმის ცალსახაა და ისინი მიიჩნევენ, რომ _ რელიგიური სიწმინდეები სამწუხაროდ ვერ შეძლებენ დადებითი როლის შესრულებას ამ დაუსრულებელი კონფლიქტის მოგვარებაში, არამედ პირიქით, ის კიდევ უფრო გაამწვავებს მას. თუმცა, უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ რესპონდენტებთან საუბრისას, ზოგიერთმა მათგანმა აღნიშნული საკითხი ამ დაუსრულებელი კონფლიქტის მშვიდობიანად დასრულების ერთ-ერთ ვერსიად განიხილა, რაზეც აქამდე არც უფიქრიათ.

მესამე შეკითხვისას _ ***„გახდება თუ არა რელიგიური ფაქტორი კონფლიქტის გაღვივების ან მოგვარების მიზეზი?“*** _ რადიკალურად ცალსახაა ყველას აზრი, და რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ ამ კონფლიქტის მოგვარებაში რელიგიურ ფაქტორს არ შეუძლია დადებითი როლი ითამაშოს. რადგან მათი აზრით, ის კონფლიქტს კიდევ უფრო აღვივებს და ახანგრძლივებს.

რაც შეეხება ბოლო შეკითხვას _ ***„შესაძლოა თუ არა შეიცვალოს აშშ-ის ახალი პრეზიდენტის, ჯო ბაიდენის მმართველობის პერიოდში ისრაელისადმი დამოკიდებულება და რას უნდა ელოდონ პალესტინელები აშშ-ის ახალი მთავრობის მმართველობის პერიოდში?“*** – ამ კითხვაზე ექსპერტთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად შეცვლილი ხელისუფლებისა და ახალი პრეზიდენტის, ***ჯო ბაიდენის*** მმართველობის ეპოქაში ძირეული ცვლილება არ იქნება, არამედ პირიქით, ტრამპის მიერ აღებული კურსი არ შეიცვლება და ისრაელი აშშ-სგან კვლავ დიდ თანადგომას უნდა მოელოდეს.

ხოლო ბატონი ***გურამ ბათიაშვილის*** მოსაზრებით კი პირიქითაც შეიძლება მოხდეს _ რადგან ჯო ბაიდენი დემოკრატიული პარტიის ლიდერი გახლავთ, რომელიც პროპალესტინური მიმართულებისაა და და მათ მრავალმილიონიანი ფინანსური დახმარება აღუდგინა, რაც ექსპერტმა სისხლისღვრის ლეგიტიმაციად „მონათლა“, მისი ვარაუდით, პალესტინელებს დიდი მოლოდინი გაუჩნდათ აშშ-ის ახალი ადმინისტრაციის მმართველობის პერიოდში და არცთუ უპერსპექტივო. სამწუხაროდ, ამ ეტაპზე ისრაელი მხოლოდ ებრაელი ლობისტების იმედად რჩება.